საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
# საქართველო და მსოფლიო
№42 (180)
7 - 13 ნოემბერი, 2012
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

ქრისტიანებს მთელ მსოფლიოში დევნიან 21

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ყოფილმა უფროსმა

## დამნაშავე პროკურორებს ხელი დაადო!



ლადო ჩერქეზიშვილი:

მივმართავ გენერალურ პროკურორს, გააძევოს პროკურატურიდან ბესო თხელიძე, შაქრო ზაალიშვილი, დათო მესტვირიშვილი და თენგიზ ხარებავა 2

ყველა უკანონოდ გამოძიებული საქმე ამ ადამიანების სინდისზეა!

5



## ბაჩანა დააკავეს — დასაჯეთ, ვიდრე ცოცხალია!

ირაკლი ყანდარელი:

ოთხი სახელმწიფოს საპატიო მოქალაქე ვარ და იცით, რას გეტყვით — ვინც გორში სტალინის ძეგლი აიღო, მე იმის... და ვინც უკან არ დააბრუნოს, იმისიც... 16



ზურაბ აბაშიძე:

დიალოგი რუსეთთან რთული იქნება, მაგრამ რთული დიალოგი სჯობს კარგ ომს 6



«რუსეთს სჭირდება ნორმალური, პროგნოზირებადი პარტნიორი სამხრეთ კავკასიის რეგიონში»



## «ანაკლია-პორტი» — საუკუნის პროექტი

ქართული წარმოშობის ლონდონელი მეწარმე თემურ ქარჩავა ანაკლიაში საზღვაო პორტის მშენებლობისთვის 6 მილიარდი დოლარის ინვესტიციების მოზიდვას აპირებს 8

10 ბიძინა ივანიშვილმა ეს უნდა იცოდეს...

საბოტაჟის ფარმაკო-დინამიკა და «აბი კურტანიძე»

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მე ვთხოვ ბატონ გენერალურ პროკურორს, როგორც, უპირველეს ყოვლისა, პატიოსან კაცს, გამოცდილ იურისტსა და განათლებულ პიროვნებას, რომ ეს ხალხი გააძევოს პროკურატურიდან, რადგან დადის ხმები მათი პროკურატურაში დატოვებისა! მე პირადად აზრს ვერ ვხედავ, სასამართლოში შევიტანო სარჩელი, თუ ის იმავე ბესო თხელიძის, შაქრო ზაალიშვილის, დათო მესტვირიშვილის, ქიქავას, ტეპნაძის და მათნაირების ხელში მოხვდება!..

# ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ყოფილმა უფროსმა დამნაშავე პროკურორებს ხელი დაადო!

**35 წლის პოლიციის მაიორი ლადო ჩერქეზიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა დედაქალაქის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსად, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სამმართველოს უფროსის მოადგილედ კრიმინალური პოლიციის ხაზით, თბილისის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსად და ბოლოს, 2007 წლის 21 თებერვლამდე მცხეთა-თიანეთის სამხარეო სამმართველოში — უფროს გამომძიებლად. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი რესპონდენტი დაიბარეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, უფრო კონკრეტულად, ის დაიბარა საგამოძიებოს იმდროინდელმა უფროსმა ზაზა ქიქავამ, თუმცა თავად მაიორ ჩერქეზიშვილს მოვუსმინოთ: „ქიქავას კაბინეტში დამხვდა სამძებრო სამსახურის უფროსი ირაკლი ფირცხალავა, რომელიც ბევრ გახმაურებულ ამბებში ფიგურირებდა, მაგალითად, ვაზაგაშვილის საქმეში... ქიქავამ და ფირცხალავამ შემახსენეს 2005 წელს სპორტის სასახლესთან მომხდარი ინციდენტი, როდესაც სამი ადამიანი დაიჭრა. კონკრეტულად, დაინტერესდნენ ერთ-ერთი მათგანით — არჩილ სახვაძით, თუ რა როლი მიუძღოდა მას ამ დანაშაულში. მაშინვე მივხვდი, რომ ქიქავამ და ფირცხალავამ მშვენივრად იცოდნენ, რომ სახვაძე დაზარალებული იყო და მის საწინააღმდეგოდ არავითარი მტკიცებულება არ არსებობდა, მაგრამ მათ უნდოდათ ისეთი ადამიანის მონახვა, რომელიც სახვაძეს რაიმენაირად დანაშაულს დაუმძიმებდა“.**



## ლადო ჩერქეზიშვილი: მივმართავ გენერალურ პროკურორს, გააძევოს პროკურატურიდან ბესო თხელიძე, შაქრო ზაალიშვილი, დათო მესტვირიშვილი და თენგიზ ხარებავა

## ყველა უკანონოდ გამოძიებული საქმე ამ ადამიანების სინდისზეა!

## «საკანში მცემდნენ „პატიმრები“, რომლებსაც რატომღაც სამხედრო ჩექმა ეცვათ!..»

**— ანუ ცრუმოწმის მოძებნა სურდათ?**

— დიახ!

**— რატომ?**

— მეც ეს ვკითხე!

**— მერე, რა პასუხი მიიღეთ?**

— გვაქვსო ასეთი ინფორმაცია, რომ ამ სახვაძემ პატრულის თანამშრომელი მოკლა 5 დეკემბრის ქუჩაზეო.

სახვაძე უკვე დაკავებული ჰყავდათ სხვადასხვა ბრალდებით, მაგრამ პოლიციელის მკვლელობას არ აღიარებდა და ქიქავასა და ფირცხალავას ამიტომ სჭირდებოდათ „მოწმე“. ვინაიდან სახვაძე ფიგურირებდა ჩემს სამოქმედო ტერიტორიაზე დაზარალებულად, ამ მხრიდანაც სურდათ მისი ბრალეულობის დამძიმება. მე ვუთხარი მათ, რომ მაშინ ვერ გაირკვა, ვინ ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ეს ქიქავასა და ფირცხალავას არ აინტერესებდათ. ისინი მოითხოვდნენ „მოწმეს“, რომელიც დაადანაშაულებდა სახვაძეს ორი ადამიანის დაჭრაში.

**— ორი წლის შემდეგ რატომ გაახსენდათ სახვაძე? მაშინვე, „ცხელ კვალზე“ მოეძებნათ „მოწმე“...**

— ორი წლის შემდეგ მათ ახალი საზრუნავი გაუჩნდათ: ამ საქმესთან უნდა დაეკავშირებინათ დავით გობეჯიშვილი და ლუკა კურტანიძე.

**— კი მაგრამ, საიდან?**

— როდესაც ეს ამბავი მოხდა, სპორტის სასახლეში მიმდინარეობდა საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობაში. ტურნირს ესწრებოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი და მსოფლიო ჩემპიონი ლუკა კურტანიძე. რა თქმა უნდა, ამ ამბავს ისინი არ შესწრებიან, მაგრამ ამ ინციდენტით დაინტერესებულან. მეც ვესაუბრე ამ სახელოვან ადამიანებს, მომხდართან დაკავშირებით ვუთხარი, რომ იყვნენ დაჭრილები.

ქიქავამ, ფირცხალავამ და გამომძიებელმა დიტო ტეპნაძემ პირდაპირ მითხრეს: **რაღაცა უნდა მოვიფიქროთ, რომ სახვაძეს დავუმძიმოთ ბრალდებაო. მე ცრუმოწმის მოყვანაზე უარი განვაცხადე, რადგან ეს ჩემი „ხელწერა“ არ იყო, და სამსახურში დავბრუნდი, სადაც მაშინდელმა სამხარეოს უფროსმა საშა მაისურაძემ მაცნობა, რომ სამინისტროში მას ჩემი გათავისუფლება დაავალეს.**

მე ბედს შევურიგდი და არაფრის გარკვევა არ დამიწყია. 2007 წლის 20 თებერვალს დავწერე პატაკი და მეორე დღეს უკვე დამაკავეს.

**— ბრალდება?**

— მომიყენეს მუხლი: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება!

**— რაში გამოიხატებოდა ეს?**

**— ვითომდა 2005 წელს გამოძიებას, პროკურატურას ხელი შევუშალე „სახვაძის საქმის“ გამოძიებაში, იმიტომ, რომ ეს გობეჯიშვილმა და კურტანიძემ მთხოვეს. რას ერჩით ამ ხალხს-მეთქი, — მიპასუხეს, ჩვენ მაგათ თავად მივხედავთო, თან სახვაძეს დანაშაულს დაუმძიმებთო და შენც გაგიშვებთო. მე კატეგორიული უარი ვუთხარი, რადგან ჩემი ჩვენებით ამ უდანაშაულო ხალხს ზიანს მივაყენებდი!**

**— კი მაგრამ, რა შუაში იყვნენ კურტანიძე და გობეჯიშვილი?**

**— კურტანიძე გასაგებია — მტერი იყო მათი, მაგრამ გობეჯიშვილი?**

**მხოლოდ პატიმრობისას გავიგე, რომ 2007 წლის დასაწყისში ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე მან პოლიტიკური განცხადება გააკეთა, რომელმაც ძალზე გააღიზიანა თურმე სააკაშვილი. რაკი თავისას ვერ მიაღწიეს, ჩემზე ახორციელებდნენ ზეწოლას.**

**— რა ფორმით ხდებოდა ზეწოლა?**

— მოგეხსენებათ, საჯარო მოხელეების, მითუმეტეს პოლიციელების, საკნები უნდა იყოს ცალკე. დილით, გამომიყვანდნენ საკნიდან, ვითომ და, მივყავდი ადვოკატთან. გზადაგზა შევყავდი სხვადასხვა საკანში. ასეთი „სტუმრობები“ კი, შესაძლოა, ჩემი მკვლელობით დამთავრებულიყო!

**— ეს გლდანის საპყრობილეში ხდებოდა?**

— არა, მაშინ ორთაჭალის ციხე ფუნქციონირებდა. მერე, ამ „გასეირნების“ შემდეგ, შევყავდი კაბინეტში, სადაც მხვდებოდნენ ქიქავა და ტეპნაძე და ერთსა და იმავე კითხვებს მისვამდნენ: რა ქენი? რა მოიფიქრე? თუ ხარ ჩვენს წინადადებაზე თანახმა? რატომ წვალობ? და ა. შ. რომ ვერაფერს მიაღწიეს, მერე უკვე „მძიმე არტილერია“ — პროკურატურა მოიშველიეს შაქრო ზაალიშვილის და ბესო თხელიძის სახით! აქვე მინდა ვუთხრა გენერალურ პროკურორს, ბატონ არჩილ კბილაშვილის, რომ ეს პიროვნებები: **ბესო თხელიძე, შაქრო ზაალიშვილი, დათო მესტვირიშვილი** (რომელიც ჩემს სასამართლო პროცესზე პროკურორი გახლდათ) **და თენგიზ ხარებავა ფიგურირებენ ყველა იმ გახმაურებულ საქმეში, რომლებიც აღძრულ იქნა სახელმწიფო მოხელეების მიმართ 2004-2005 წლებში. ყველა უკანონოდ გამოძიებული საქმე, ყველა უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილება ამ ადამიანების სინდისზეა!** მე ვთხოვ ბატონ გენერალურ პროკურორს, როგორც, უპირველეს ყოვლისა, პატიოსან კაცს, გამოცდილ იურისტსა და განათლებულ პიროვნებას, რომ ეს ხალხი გააძევოს პროკურატურიდან, რადგან დადის ხმები მათი პროკურატურაში დატოვებისა! მე პირადად აზრს ვერ ვხედავ, სასამართლოში შევიტანო სარჩელი, თუ ის იმავე ბესო თხელიძის, შაქრო ზაალიშვილის, დათო მესტვირიშვილის, ქიქავას, ტეპნაძის და მათნაირების ხელში მოხვდება!..

**როცა საგამოძიებო სამსახურმა ამოწურა ჩემთან „ოპერატიული მუშაობა“ და ვერ მიიღო სასურველი შედეგი, მომიქსიეს პროკურორები — თხელიძე და ზაალიშვილი. ისინი მემუქრებოდნენ, რომ სასჯელს ოც წლამდე გამიზრდიდნენ! დღეგამოშვებით საკანში მცემდნენ „პატიმრები“, რომლებსაც რატომღაც სამხედრო ჩექმები ეცვათ!.. არადა, პატიმრებს არათუ ჩექმები, ზონარგაყრილი ბოტასებიც კი არ აცვიათ...** ერთხელ ისე მცემეს, რომ ჩემი ადვოკატიც ვერ ახერხებდა ჩემს ნახვას. ეუბნებოდნენ, კარანტინიაო... ნაცემს შემიყვანდნენ ოთახში, რომელშიც თხელიძე მხვდებოდა. **მართალია, ბესო თხელიძეს ჩემთვის ხელი არ დაურტყამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უშუალოდ მისი დავალებით მისწორდებოდნენ!**

**— ბატონო ლადო, რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ თხელიძე აძლევდა თქვენი ცემის ბრძანებას?**

— როცა ბადრაგს შევყავდი თხელიძესთან, ის ხომ ხედავდა ჩემს სახეზე ცემის კვალს, რატომ არ აღშფოთდა?! პირიქით, გაიღიმებდა და შემეკითხებოდა: „რა ქენი? რატომ წვალობ?“

ჩემზე ზეწოლის კიდევ ერთი ხერხი გამოიყენეს: ჩემს სიმამრს ჰყავს ერთი არაკაცი ნათესავი, რომელთანაც ჰქონდა უთანხმოება, ნიკო დარახველიძე. ეს პიროვნება, პირდაპირ ვამბობ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტია. მასზე მაქვს ზუსტად ექვსი სისხლის სამართლის საქმის განაჩენი ამოღებული და ყველგან ფიგურირებს მხოლოდ დაზარალებულად! მისი ჩვენებით, ხალხს წლები აქვთ მისჯილი! სწორედ ამ „ნასედკას“ დააწერინეს, ვითომ მე, დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის უფროსი, საქმის კურსში ვიყავი, თუ როგორ გროვდებოდა ქურდული „ობშჩიაგი“ და ამაზე დამიმძიმეს მუხლი; კიდევ, ვითომ ჩემმა ნათესავმა ქრთამად მაჩუქა ავტომანქანა, რათა არ დამეკავებინა. და, მესამე: თითქოს ამ ნიკო დარახველიძეს ჩემმა სიმამრმა მის ბიზნესში 25-პროცენტიან წილში ჩასმა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, ჩემი სიძე დაგაკავებსო!.. ასე დამემატა სამი ბრალდება!.. აღსანიშნავია, რომ არ არსებობდა მოწმე, ვინც ამ „დამუქრებას“ ესწრებოდა და არავითარი მოწმე იმისა, ჰქონდა თუ არა ამ ნიკოს ბიზნესი, და საერთოდ, ინდმეწარმე თუ იყო, სასამართლოზე არავის მოუკითხავს! ასე დამიწყეს სიმამრით დაშანტაჟება. მაგრამ, რომ ნახეს, ყველაფერი ამოიწურა და მე ვერ „მოვრჯულდი“, სასამართლო დარბაზში ჩემი სიმამრი დააკავეს...

**მთელი პარადოქსი იყო ის, რომ ყველა ეპიზოდში, რომელიც მოგიყევით, სამოხელეო დანაშაულში (ვითომ გობეჯიშვილისა და კურტანიძის თხოვნით რომ არ გამოვიძიე სახვაძის საქმე) გამამართლეს! არადა, მაგ ბრალდებით ვიყავი დაკავებული. ორი ეპიზოდი იმ დარახველიძის ჩვენებიდანაც მომიხსნეს და ზუსტად ის დამიტოვეს, რომელშიც სიმამრი ნიკოს თითქოს დაემუქრა. მე მომისაჯეს 8 წელი, სიმამრს — 5 წელი!..**

მოგვიანებით ჩემმა ადვოკატმა მისწერა საგადასახადოს, მართლა ჰქონდა თუ არა ნიკო დარახველიძეს რაიმე ბიზნესი და მიიღო ცნობა, რომ ამ პიროვნებას არც არასდროს ჰქონია რაიმე ბიზნესი! აი ასე, მხოლოდ პროვოკატორის ჩვენება გახდა საკმარისი იმისათვის, რომ ორი ადამიანი ციხეში აღმოვჩენილიყავით!

ბოლოს და ბოლოს, ზეწოლას ვერ გავუძელი, როცა სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ სხდომაზე მამაჩემმა გამოთქვა აღშფოთება, ხოლო **პროკურორმა დათო მესტვირიშვილმა მას უთხრა: შენ ყოფილი პოლიციელი ხარ, შენ ცოტა ხმას დაუწიე, არ ამომაქექინო შენი საქმეები, თორემ შენც დაგაკავებთო! ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მამაჩემის ჯერიც დადგა** (არადა, გარეთ ცოლი და ორი მცირეწლოვანი ბავშვი მრჩებოდა!). და, ასე, უკანონო პატიმრობის ერთი წლის და სამი თვის შემდეგ მაღიარებინეს ის, რაშიც ადრე სასამართლოს პირველმა ინსტანციამ გამამართლა! **როგორც კი ყველა წაყენებული ბრალდება ვაღიარე, იმ დღესვე დათო მესტვირიშვილმა ჩემს სიმამრს საკნის კარი გაუღო და სახლში გაუშვა, მე კი რვაწლიანი პატიმრობა წელიწად-ნახევრით შემიცვალეს.** გამომატანინეს ყველა განცხადება, თუ სადმე მქონდა დაწერილი: არასამთავრობოების სახელზე, სოზარ სუბარის სახელზე და 2008 წლის 20 აგვისტოს გამათავისუფლეს...

ახლა მე მინდა, რომ ამ არაადამიანებმა პასუხი აგონ ყველაფერზე და კიდევ ერთხელ ვთხოვ გენერალურ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს, რა გვარებიც დავასახელე: თხელიძე, ზაალიშვილი, მესტვირიშვილი და ხარებავა, ეს არაადამიანები გააძევოს პროკურატურიდან! ამ პირებმა უამრავი ხალხი გააწამეს დაააწიოკეს! ესენი უშუალოდ იყვნენ პოლიციის კურატორები და ყველა საქმეში, ყველა პროვოცირებულ დანაშაულში მიუძღვით ▶

## 2007 წლის 7 ნოემბრიდან დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის დელეგიტიმაციის შეუქცევადი პროცესი, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო მასშტაბური ხდებოდა.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...წვლილი! ბოლო დროს ბევრ საქმეს გავეცანი, ბევრი უკანონო განაჩენი ვნახე და ყველგან ეს გვარები ფიგურირებს! ვიმედოვნებ, რომ სხვებიც მომბაძავენ და უჩივლებენ ამ და მათ მსგავს ჯალათებს.

**— ნუ ღელავთ, ბატონო ლადო. მე თქვენი მჯერა. მითუმეტეს, როცა გავიგე, რომ თქვენ, თბილისელი კაცი, არა თუ ახლა, თანამდებობაზე მუშაობის დროსაც ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდით. ეს ფაქტი ბევრ რამეზე მეტყველებს! ვსარგებლობ შემთხვევით და გეკითხებით, როგორც პროფესიონალ პოლიციელს: როგორი მინისტრი იყო ვანო მერაბიშვილი?**

— მე, როგორც პროფესიონალი, რა თქმა უნდა, მისი მუშაობის მეთოდებს ვაკვირდებოდი, ვაანალიზებდი და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **ვანო მერაბიშვილი იყო არაკომპეტენტური შინაგან საქმეთა მინისტრი!**

**— მოიცადეთ, ბატონო ლადო! აბა, რომ ამბობენ, მაგარი ორგანიზატორი იყოო, სტრუქტურა შეკრაო?!**

— იცით, როგორ „შეკრა" სტრუქტურა? **თავად თანამშრომლები ერთმანეთის მოსმენით და დასმენით იყვნენ დაკავებულნი! ისე იყო ეს მოსმენა დანერგილი, პოლიციელი სახლში ვერ რეკავდა, ვერც მშობლებს, ვერც ცოლს, ვერც შვილს ვერ ელაპარაკებოდა, რადგან იცოდა, რომ უსმენდნენ! შიგნით პოლიციაში საყოველთაო შიში სუფევდა! მე მახსოვს, რესტორანში ერთი რომ დადგებოდა სკამზე და ვანო მერაბიშვილის სადღეგრძელოს სვამდა, მეორეს რომ დაეგვიანებინა, უკვე პრობლემები ექმნებოდა!** ამაზე უფრო დაბალი დონე რაღა გინდათ?! და საერთოდ, რაზეა საუბარი, როდესაც მერაბიშვილი ან ადეიშვილი ერთი სატელეფონო ზარით ადამიანის ბედს წყვეტდნენ?! დღეს კი პოლიციელებს ერთმანეთთან ურთიერთობა უხარიათ და კრიმინალთან ბრძოლაში ბიჭები ერთმანეთს მხარში უდგანან! საერთოდ, როცა ადამიანი თავადაა მშიშარა, ცდილობს, ძალაუფლება სხვების დასაშინებლად გამოიყენოს, რადგან ლაჩრის ყველაზე დიდი სიამოვნება ვაჟკაცის დამცირებაა!

**— ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. რამდენიმე დღის წინ „ნაციონალებმა" ირაკლი ღარიბაშვილს დაუწუნეს მოადგილეები. ამის თაობაზე განცხადებაც კი გააკეთეს. ერთ-ერთი მოადგილის გვარი, თუ არ ვცდები, ტაბატაძეა. იცნობთ მას?**

— პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ჩემი 14-წლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, დღესდღეობით ისაა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თანამშრომელი კრიმინალური პოლიციის ხაზით. მას აქვს უნარი სწორი გადაწყვეტილების მიღებისა. დარწმუნებული ვარ, რომ ალეკო ტაბატაძის მინისტრის მოადგილეობის დროს უკანონო არაფერი მოხდება. ეს ადამიანი ათჯერ ზომავს და ერთხელ ჭრის. რაც შეეხება „ნაციონალებს", მათ განცხადებებს რომ ვუსმენ, ყოველთვის აკაკის „მაიმუნი და სარკე" მახსენდება, „მაიმუნმა თავის თავი სარკეში რომ დაინახა, დაჯღანული, დაჭყანული..." და ასე შემდეგ. ვურჩევ, გადაიკითხონ, მერე ჩაიხედონ სარკეში...

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

# ნოემბრიდან ნოემბრამდე

**5 წლის წინ, 2007 წლის 7 ნოემბერს პოლიციამ სასტიკად დაარბია ოპოზიციის მიტინგი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში ამის შემდეგ არაერთი დრამატული, სისხლიანი ფურცელი ჩაიწერა, ამ დღეს მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. 2007 წლის 7 ნოემბრიდან დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის დელეგიტიმაციის შეუქცევადი პროცესი, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო მასშტაბური ხდებოდა.**

შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეს იფეთქა ღია, დაუნდობელმა პოლიტიკურმა ომმა ხელისუფლებასა და ოპოზიციურ საზოგადოებას შორის, რომელიც მრავალი შეტაკების შემდეგ 2012 წლის ოქტომბერში, ამ უკანასკნელის ტრიუმფალური გამარჯვებით დაგვირგვინდა. 2007 წლის შემოდგომისთვის საზოგადოებას ხელისუფლების მიმართ საკმარისზე მეტი პრეტენზია დაუგროვდა. იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც აღიზიანებდა სააკაშვილის ხისტი პოლიტიკა თანმდევი სადიზმით, ქონების წართმევითა და ცინიკური რიტორიკით, კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. ნდობის ლიმიტი ახალი ხელისუფლების მიმართ მნიშვნელოვანწილად ამოიწურა. 2006-ში სანდრო გვირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებულმა ამბებმა და არაერთმა სხვა ეპიზოდმა გაღიზიანება კიდევ უფრო გაზარდა. ყოველივე ამას დაემატა სამი ფაქტორი, რომელმაც გამწვავება პრაქტიკულად გარდაუვალი გახადა.

ამ დროისთვის ხელისუფლებას უკვე დაწყებული ჰქონდა გამოუცხადებელი ომი ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რა გახდა კონფრონტაციის გაღრმავების კონკრეტული საბაბი, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი, ალბათ, მთავარი პრინციპის გააზრებაა, კერძოდ კი იმის, რომ ხელისუფლება ცოცხალი თავით არ შეეგუებოდა საქართველოში მისგან თუნდაც ნაწილობრივ დამოუკიდებელი, მდიდარი და გავლენიანი ადამიანის არსებობას; სისტემა, რომლის კონსტრუირებას სააკაშვილის ჯგუფი ახდენდა, ამას, უბრალოდ, გამორიცხავდა. ეს კონფლიქტი გახდა ერთ-ერთი პირველი რგოლი მოვლენების გრძელ, ერთმანეთთან მიზეზშედეგობრივად დაკავშირებულ ჯაჭვში, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმი საბოლოოდ კრახამდე მიიყვანა. სხვათა შორის, 2012 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ფარული ვიდეოჩანაწერები (განსაკუთრებით საგულისხმო ამ მხრივ უგულავა-პატარკაციშვილის დიალოგია) მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ ულტიმატუმის ენით საუბარი და კონფრონტაციის გაღრმავება ხელისუფლებამ დაიწყო.

ირაკლი ოქრუაშვილის ფარული კონფლიქტი სხვა მაღალჩინოსნებთან 2004-06 წლებში მიმდინარეობდა. მისი გავლენის სფერო თანდათან შეიზღუდა, 2006 წლის მიწურულს ის „სახელისუფლო ოლიმპოდან" გამოაძევეს. რამდენიმე თვის განმავლობაში ოქრუაშვილი შურისძიებისთვის ემზადებოდა. 2007 წლის 25 სექტემბერს მან გააკეთა განცხადება პოლიტიკური პარტიის დაფუძნების შესახებ და იმავე დღეს „იმედის" ეთერში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ოფიციალური ვერსია და განაცხადა, რომ სააკაშვილმა 2005 წლის ივლისში პატარკაციშვილის ლიკვიდაცია დაუკვეთა: „სააკაშვილმა მითხრა, რომ თავიდან უნდა მოგვეშორებინა ის იმ გზით, რა გზითაც ეს მოხდა რაფიკ ჰარირის შემთხვევაში" (ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც 2005 წლის თებერვალში მანქანაში ააფეთქეს). 27 ოქტომბერს ოქრუაშვილი დააპატიმრეს. 8 ოქტომბერს ხელისუფლებამ გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ოქრუაშვილმა უარყო ბრალდებები სააკაშვილის მისამართით. ის გაათავისუფლეს; 1 ნოემბრისთვის მან საქართველო დატოვა. 5 ნოემბერს კი მიუნხენიდან „იმედის" ეთერში ჩაერთო, განაცხადა, რომ მას აიძულეს ბრალდებებზე უარი ეთქვა და კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რაც 25 სექტემბერს თქვა. ამ ეპოპეის თითოეული ეპიზოდი, ერთგვარი კატალიზატორის როლს ასრულებდა, რომელიც პროცესებს სულ უფრო ამწვავებდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეპიზოდები ამ მხრივ ოქრუაშვილის 25 სექტემბრის ინტერვიუ და მისი დაპატიმრება იყო.

მესამე ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო სწრაფ ესკალაციას, ოპოზიციური პარტიების აქტიურობა იყო. 28 სექტემბერს, პარლამენტთან ხალხმრავალი აქცია ჩატარდა, მთავარი მოთხოვნა ოქრუაშვილის გათავისუფლება იყო, თუმცა იქვე გაკეთდა განცხადებები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების შესახებ. 17 ოქტომბერს ხელი მოეწერა „საგურამოს მანიფესტს" და ჩამოყალიბდა საკოორდინაციო „ეროვნული საბჭო", რომელშიც ათი ოპოზიციური პარტია შევიდა. ოპოზიციამ მიხეილ სააკაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს, რომელიც მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე იყო, შემდეგი მოთხოვნებით მიმართა: **ა) პარლამენტის არჩევნები ჩატარდეს კონსტიტუციურ ვადებში, ანუ 2008 წლის გაზაფხულზე; ბ) არჩევნები ჩაატაროს პარიტეტულ საფუძვლებზე შექმნილმა საარჩევნო ადმინისტრაციამ; გ) მრავალმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში მანდატები განაწილდეს თითოეული კანდიდატისთვის მიცემული ხმების საფუძველზე; დ) გათავისუფლდნენ სინდისისა და პოლიტიკური პატიმრები.**



ზებუნებრივი ამ მოთხოვნებში არაფერი იყო. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ მთავარ თემასთან დაკავშირებით ოპოზიციამ სასურველ შედეგს 100%-ით მიაღწია. 7 ნოემბრის შემდეგ სააკაშვილი იძულებული გახდა გაზაფხულზე არჩევნების ჩატარების საკითხი პლებისციტზე გაეტანა და ამ ვარიანტს მხარი ამომრჩეველთა 69,8%-მა დაუჭირა. თუმცა 7 ნოემბრამდე, ტაქტიკური გათვლებიდან და „უკან არ დავიხევთ" პრინციპიდან გამომდინარე, ხელისუფლება ამაზე სასტიკ უარს ამბობდა.

მიხეილ სააკაშვილი სერიოზული და, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, საბედისწერო არჩევანის წინაშე დადგა. **2007 წლის 28 სექტემბერს რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა, თინა ხიდაშელმა, „იმედის" ეთერში ამ თემაზე ვრცლად ისაუბრა და თქვა, რომ სააკაშვილს აქვს შესაძლებლობა, თავიდან აიცილოს „საარჩევნო რევოლუცია", თუ თავისი გარემოცვიდან დისტანცირებას მოახდენს, „უსახურ ხალხს" გაყრის და, „სანამ გვიანი არაა, პოლიტიკურ პროცესებს შემოაბრუნებს".** სააკაშვილმა კი, როგორც ცნობილია, სხვა არჩევანი გააკეთა. სავარაუდოდ, ეს იყო უკანასკნელი შანსი მისთვის ეროვნული ერთიანობისკენ (და არა საზოგადოების გახლეჩისკენ) წასულიყო.

მთელ ამ ისტორიას ერთი საინტერესო ქვეტექსტი ჰქონდა, რომელზეც საუბარს დოკუმენტების გარეშე, მხოლოდ ვარაუდის დონეზე, პოლიტიკოსების განცხადებებზე დაყრდნობით თუ მოვახერხებთ. **2007-ში ნათლად გამოჩნდა, რომ „ნაცმოძრაობა" ორიენტირებულია ფაქტობრივი ერთპარტიულობის დამყარებაზე და მოწადინებულია, მკვეთრად შეზღუდოს ოპოზიციური პარტიების საოპერაციო სივრცე.** არსებობს ვერსია, რომ ოპოზიციის ლიდერებს (ცხადია, კულუარულად) ერთმნიშვნელოვნად განუცხადეს, რომ მომავალ პარლამენტში მიკროსკოპულ წარმომადგენლობას და მხოლოდ დეკორაციულ როლს უნდა დასჯერდნენ და ამ გარემოებამ მათი აქტიურობა მნიშვნელოვნად გაზარდა. ამასთანავე, კონფრონტაციის ერთდროულ გაღრმავებას სამივე მიმართულებით (ოპოზიციური პარტიები, პატარკაციშვილი და ოქრუაშვილი) კომენტატორების დიდი ნაწილი გიგა ბოკერიას უკავშირებს. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ მას სტრატეგიული გათვლის უნარი არ გააჩნია, მოწინააღმდეგეებს ძალების გაერთიანებისკენ თვითონ უბიძგა და, შესაბამისად, სრულფასოვან პოლიტიკოსად ვერ ჩაითვლება. თუმცა **ბოკერიას გადაჭარბებული დემონიზაცია და იმის მტკიცება, რომ სააკაშვილის რეჟიმი სწორედ მისმა რეცეპტებმა დაღუპა, ალბათ, არასწორია. საბოლოო გადაწყვეტილებას მიხეილ სააკაშვილი იღებდა, გარემოცვის სხვა წევრებთან კონსულტაციების შემდეგ, და, შესაბამისად, ალტერნატიული ვარიანტების არჩევაც შეეძლო. თვითგანადგურების გზას ყველანი ერთად დაადგნენ და სიტუაციის წარმოჩენა ისე, თითქოს ბოკერია მათ უფსკრულისკენ მიაქანებდა, როგორც უნებისყოფო მარიონეტებს, მიზანშეწონილი, ალბათ, არაა.**

2 ნოემბერს, მოსამზადებელი რეგიონული ტურნეს შემდეგ, ოპოზიციამ რუსთაველზე გრანდიოზული აქცია ჩაატარა. მისი ლიდერები პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდნენ, რომელმაც კიდევ ერთხელ განუცხადა, რომ ხელისუფლება გაზაფხულზე არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით კომპრომისზე წასვლას არ აპირებს. მიტინგი 3 ნოემბერსაც (და მომდევნო დღეებშიც) ჩატარდა, ძველ მოთხოვნებს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა დაემატა, რომელიც მყისიერად დომინანტური გახდა. 7 ნოემბერს ხელისუფლებამ სადისტურად დაარბია საპროტესტო აქციები (ორჯერ — პარლამენტთან და შემდგომ — რიყეზე), საღამოს სპეცრაზმი ტელეკომპანია „იმედში" შეიჭრა, სააკაშვილმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შეზღუდვას ითვალისწინებდა, რაც, უპირველესად, ტელეკომპანიებს შეეხო.

იმის თქმა, ვინ და როდის მიიღო მიტინგის დარბევის გადაწყვეტილება, საკმაოდ რთულია, დოკუმენტები და ოფიციალური ჩვენებები ამის თაობაზე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არაა, თუმცა ყველა ვერსიაში, რომელიც იმ საბედისწერო თათბირთან დაკავშირებით ვრცელდება, იგრძნობა რევოლუციის პანიკური შიში, რომელიც იმ მომენტში სააკაშვილის ჯგუფს, როგორც ჩანს, დაეუფლა და ესოდენ უგუნური გადაწყვეტილებისკენ უბიძგა.

დარბევას საქართველოში უმწვავესი რეაქცია მოჰყვა. **სააკაშვილი, სავარაუდოდ, ამერიკელი პარტნიორების ზეწოლით, იძულებული გახდა გადამდგარიყო და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები დაენიშნა.** „მე, როგორც ამ ქვეყნის ხელისუფალს, მჭირდება თქვენგან არაორაზროვანი მანდატი", — განაცხადა მან 8 ნოემბრის მიმართვაში. თუმცა ის, რაც სააკაშვილმა 5 იანვარს მიიღო, მეტად ორაზროვნად გამოიყურებოდა. ოპოზიციამ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა. ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიამ ხმების დათვლის 23% შეაფასა, როგორც „ცუდი ან ძალიან ცუდი". დამკვირვებლები დათვლის პროცესის 8%-ში შემაჯამებელი ოქმების შეცვლის მოწმენი გახდნენ, 21%-ში კი მნიშვნელოვანი დარღვევები დააფიქსირეს. ამ არჩევნების შემდეგ ოპოზიციური საზოგადოება განიხილავდა სააკაშვილს, როგორც გამყალბებელს და უზურპატორს; ყოველგვარი თანამშრომლობა მასთან შეუძლებელი შეიქნა.

შეიძლება ითქვას, რომ **სააკაშვილის რეჟიმის ისტორია 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ სხვა არაფერი იყო, თუ არა გადარჩენისთვის ბრძოლის და, საბოლოო ჯამში, აგონიის ისტორია**. რეფორმებმა და თანმიმდევრულმა პოლიტიკამ (კარგი იყო ის თუ ცუდი, ამ კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს) თანდათან უკანა პლანზე გადაინაცვლა და მათი ადგილი ერთობ ისტერიულმა ტაქტიკურმა მანევრირებამ დაიკავა, რომლის უკან თვითგადარჩენის ინსტინქტის გარდა, ღირსშესანიშნავი არაფერი იდგა. ეს აბსოლუტურად უპერსპექტივო გზა იყო, თუმცა სააკაშვილს სხვა არჩევანი აღარ ჰქონდა; **თავისუფალი მანევრის შესაძლებლობა მან 2007 წლის ნოემბერში რუსთაველის გამზირზე დაკარგა.** მისი ყოველი შემდგომი ნაბიჯი არსებითად წარმოადგენდა იმ ფატალური არჩევანის შედეგს, რომელიც მაშინ გააკეთა. ის თითქოსდა ძალიან ვიწრო გვირაბში მოხვდა და მხოლოდ ერთი მიმართულებით სიარული შეეძლო. დროდადრო რეჟიმი თავს უკეთ გრძნობდა, დროდადრო — უარესად, თუმცა დელეგიტიმაციისა და კვდომის პროცესის შეჩერება ვერაფრით მოახერხა.

2012 წლის 1 ოქტომბერს კი, ხანგრძლივი აგონიის შემდეგ, მას გამოუწერეს ცნობა პოლიტიკური გარდაცვალების შესახებ, რომელსაც მხოლოდ ბეჭედი აკლია. ალბათ, **მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ პირველი რეალური ნაბიჯი რეჟიმზე გამარჯვებისკენ ქართულმა საზოგადოებამ 2007 წლის ნოემბერში გადადგა.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილს, სავარაუდოდ, აბსოლუტურად ყველა ბერკეტის დათმობა, ყოფილი თანამებრძოლების საიდუმლოებების გაცემა და ივანიშვილის ნების უსიტყვო შემსრულებლად გადაქცევა მოუწევს. ნუთუ ავლაბრის რეზიდენციაში გატარებული რამდენიმე თვე ამად ღირს? რა სასწაულს ელის, როდესაც ცდილობს, რომ დრო 2013 წლის ოქტომბრამდე გაწელოს?**

# ავლაბრული მელოდრამა, ანუ «ლეოპოლდ, გამოდი!»



**ბიძინა ივანიშვილმა მოუწოდა მიხეილ სააკაშვილს, ავლაბრის რეზიდენცია დატოვოს, ხოლო მუშაობისთვის სახელმწიფო კანცელარიის შენობა გამოიყენოს. „ამორალურია, რომ მისი მომსახურეობა ათეულობით მილიონი დოლარი ჯდება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა 2 ნოემბერს, როდესაც სააკაშვილის რეზიდენციებისა და თვითმფრინავების შენახვის სიძვირეზე საუბრობდა. იმავე დღეს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მთავრობის მიდგომა ასე ჩამოაყალიბა: „როგორც პრემიერმა თქვა, ბიუჯეტიდან უნდა ამოვიდეს ბიუროკრატიული და ფუფუნების ხარჯები. საჯარო მოხელეები ხალხის ხარჯზე არ უნდა ცხოვრობდნენ“. ამ განცხადებების უკან, სავარაუდოდ, იდგა არა მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის სურვილი, არამედ მათ პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ქვეტექსტიც ჰქონდა.**

## არ ეთმობა და რა ქნას?

მიხეილ სააკაშვილი წამგებიან, გადაჭარბების გარეშე, იდიოტურ მდგომარეობაში ჩააყენეს და მეტად არაპოპულარული პოზიციის დაცვა აიძულეს. **მმართველს, რომელიც პრივილეგიებს ებღაუჭება, საზოგადოების გულის მოგების შანსი არ აქვს, მითუმეტეს დღეს, როდესაც ისედაც უმძიმეს პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფება.**

სტრატეგიულად სააკაშვილმა ეს რაუნდი არჩევნებამდე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ მაშინ წააგო, როდესაც მთელ ამ რეზიდენციებსა და საფრენ აპარატებს (დიდძალი თანხა იხარჯება არა მხოლოდ მისი თვითმფრინავების, არამედ ვერტმფრენების შენახვაზეც, კიდევ კარგი, მფრინავი თეფში არ იყიდა) დახარბდა, რითაც საკუთარი ხელით მიწასთან გაასწორა მომჭირნე, დემოკრატი პოლიტიკოსის იმიჯი, რომელიც ისეთივე ან თითქმის ისეთივე პირობებში ცხოვრობს, როგორშიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი; მცირე პერიოდის განმავლობაში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სააკაშვილი ცდილობდა ამ გზით ევლო, თუმცა ეს მალევე მობეზრდა. **დასავლურ მედიაში სააკაშვილს რამდენიმეჯერ საკმაოდ ოსტატურად, სოციალური დემაგოგიის გარეშე, სიტყვების თამაშისა და ქვეტექსტების დონეზე მიანიშნეს (განსაკუთრებით, ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ბრიტანელმა ავტორებმა), რომ არასწორად და წინდაუხედავად იქცევა, როდესაც ღარიბი ქვეყნის შუაგულში გამაღიზიანებელ ფუფუნებაში ცხოვრობს.** მაგრამ მან ეს სიგნალები ყურად არ იღო. სააკაშვილს ნამდვილად ჰქონდა შესაძლებლობა, „ქამრების შემოჭერის“ პროპაგანდისტული კამპანიის ფარგლებში ნაწილობრივ მაინც გამოესწორებინა დაშვებული შეცდომები და ყველას დასანახად ხარჯები შეემცირებინა, მაგრამ არც ეს გააკეთა. ყოველივე ამან ნათლად გამოაჩინა, სადაა სააკაშვილის სუსტი წერტილი, დანარჩენი კი ტექნიკის საქმე იყო. მას, ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, არ შეეძლო გაეცა სხვა პასუხი ივანიშვილის შეთავაზებაზე, გარდა იმისა, რომ პრივილეგიებს არ დათმობდა, იმისდა მიუხედავად, რომ, ქვეყნის გაჭირვების ფონზე, ისინი მართლაც რომ ამაზრზენად გამოიყურებიან.

საინტერესო იყო იმ რეაქციის დაკვირვება, რომელიც ამ ეპიზოდს სოციალურ ქსელებში სააკაშვილის მომხრეების და მასთან ასე თუ ისე დაახლოებული პირების მხრიდან მოჰყვა. ისინი ისე აკივლდნენ, თითქოს სააკაშვილს სადღაც გესტაპოს ჯურღმულებში მიათრევდნენ, სადაც უთოს და სხვა ორმაგი დანიშნულების ელექტროხელსაწყოების გამოყენებით უნდა აწამონ. ახალი მთავრობის სხვა შეტევებს მის პოზიციებზე, იქნებოდა ეს გუბერნატორების დანიშვნის უფლების ფაქტობრივი ჩამორთმევა, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება, თუ გაერთიანებულ შტაბზე რეალური კონტროლის განულება, ასეთი ისტერიული რეაქცია არ მოჰყოლია. ეს კი ირიბად მიუთითებდა იმაზე, რომ პრივილეგიები სააკაშვილისთვის და მისი აპოლოგეტების, როგორც მინიმუმი, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გაცილებით სერიოზული სახელისუფლო ბერკეტები; კიდევ ერთხელ დადასტურდა ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ისინი ვერ ავლებენ ზღვარს რეალურ ძალაუფლებასა და მის თანმდევ სასიამოვნო, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ნაკლებად გამოსადეგ აქსესუარებს შორის.

**სააკაშვილი აუცილებლად ივაჭრებს იმისთვის, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ნაწილობრივ მაინც შენარჩუნდეს მისი რეზიდენციებისა და თვითმფრინავების დაფინანსება და ამ პროცესში, სავარაუდოდ, დათმობს ბევრ, გაცილებით მნიშვნელოვან რამეს, რადგან ღირებულებების მისეულ იერარქიაში პრივილეგიებს, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული ადგილი უკავია, მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩაბღაუჭება საიმიჯო თვალსაზრისით საკმაოდ ძვირი დაუჯდება. მას ვერც საქართველოში გაუგებენ, სადაც თითოეული საბიუჯეტო თეთრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვერც საზღვარგარეთ, სადაც ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდეგ, მსგავსი ხარჯების შემცირება ნორმად იქცა.**

ავლაბრის რეზიდენციასთან სააკაშვილის განშორების მელოდრამა, ალბათ, საკმაო ხანს გაგრძელდება და მას მომავალში არაერთგზის შევეხებით, თუმცა ივანიშვილის 2 ნოემბრის განცხადებაში იყო კიდევ ერთი გზავნილი, რომელიც თითქოსდა შეიფუთა საუბარში რეზიდენციის თაობაზე და ის, სავარაუდოდ, უფრო მნიშვნელოვანი იყო.

**„არსებობს ძალიან ბევრი კითხვა, თუ რატომ რჩება სააკაშვილი პირველ პირად, როცა მას 5 წელიწადში, ანუ იანვარში საპრეზიდენტო ვადა უმთავრდება, თუმცა ეს ცალკე საკითხია და მოგვიანებით შევეხები“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, მანამ, სანამ გადავიდოდა იმაზე, თუ რამდენად ძვირი უჯდება ბიუჯეტს სააკაშვილის შენახვა. სააკაშვილის საპასუხო განცხადებაში კი, რომელიც მისმა პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გაახმოვანა, ნათქვამი იყო, რომ ფიგურანტის „უფლებამოსილების ვადა იწურება ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში შედგება“.**

## გამოდი, გამოდი, ახალი წელია

იანვარში თუ ოქტომბერში? ყოფილი ხელისუფლების საკონსტიტუციო ექსპერიმენტებმა პრაქტიკულად გამოუვალი სიტუაცია შექმნეს. ერთის მხრივ, ვადა აშკარად იანვარში იწურება, თუმცა, მეორე მხრივ, ახალი საკონსტიტუციო ნორმა მას ოქტომბრამდე ახანგრძლივებს. **სააკაშვილის ხელისუფლებამ ისიც კი მოახერხა, რომ შექმნა კონსტიტუცია, რომელმაც კალენდარი გააბათილა და არითმეტიკაც ზედ მიაყოლა.**

დღეს სააკაშვილის მომხრეები ამბობენ, რომ მათი ბელადი ოქტომბრამდე ცოცხალი თავით არ გადადგება და, რაც არ უნდა მოუწოდონ, რეზიდენციიდან ფეხს არ მოიცვლის. თუმცა აშკარაა, რომ საქმე ასე მარტივად არ არის, **პოსტის შენარჩუნება იანვარ-ოქტომბრის მონაკვეთში, ახალი ხელისუფლების თანხმობის გარეშე, მას ძალიან გაუჭირდება.**

თავი დავანებოთ იმას, რომ შეიძლება მოიძებნოს იურიდიული მექანიზმი, რომელიც პრობლემის ოქტომბრამდე მოგვარების შესაძლებლობას შექმნის. უბრალოდ, წარმოვიდგინოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მაგალითად, თებერვლის პირველ რიცხვებში, ავლაბრის რეზიდენციასთან მივა 8-10 (დასაწყისისთვის) ათასი ადამიანი და გამოთქვამს დაუოკებელ სურვილს, გაესაუბროს მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკის საჭირბოროტო პრობლემებზე, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტურ საკითხებზე ან სულაც ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეზე. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნებიან ეს ადამიანები — სტუდენტები, დევნილები თუ 26 მაისის მიტინგის ვეტერანები ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით. სააკაშვილთან გაბაასების სპონტანური სურვილი შეიძლება ნებიმიერ ამ, ისევე როგორც სხვა, ჯგუფს გაუჩნდეს.

წარმოვიდგინოთ, რომ მომიტინგეებმა, რომლებმაც რეზიდენცია ალყაში მოაქციეს, შეიტყვეს, რომ სააკაშვილი მათთან ღია, დასავლეთის ნახევარსფეროში რომ იტყვიან, ჭეშმარიტად პლურალისტულ დისკუსიაზე უარს ამბობს. ისინი შეიძლება აღელდნენ და შეძახილით „ლეოპოლდ, გამოდი!“ რეზიდენციის ეზოში შევიდნენ. **რას მოიმოქმედებს ამ დროს სააკაშვილის დაცვა? რომელიმე მომიტინგეს თითი რომ დააკარონ ან, ღმერთმა დაიფაროს, გაისროლონ, ერთ საათში იმ ადგილას ნახევარი თბილისი მივა და სააკაშვილს მეტად სერიოზული საფრთხე დაემუქრება. ამიტომ ფიგურანტი, სავარაუდოდ, იძულებული გახდება, გაიქცეს.** შემდეგ მომიტინგეები მიადგებიან იქ, სადაც გაიქცევა და პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ სააკაშვილი თავბედს არ დაიწყევლის იმის გამო, რომ პოსტზე ოქტომბრამდე დარჩენა გადაწყვიტა. თუ სააკაშვილი „ოქტომბრამდე ჯდომას“ დააპირებს, ალბათ, მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარების შესაძლებლობაც უნდა გაითვალისწინოს.

**დღეს მიხეილ სააკაშვილი დაუცველია მომიტინგე ქუჩის სტიქიისგან, რომელმაც შეიძლება ძალიან სწრაფად, მისთვის მოულოდნელად იმძლავროს, და მხოლოდ ახალი მთავრობის კეთილი ნება თუ მისცემს მას ფარდობით შანსს, ოქტომბრამდე ავლაბრის რეზიდენციაში გაჩერდეს,** რიგ დოკუმენტებს ფორმალურ-სიმბოლურად ხელი მოაწეროს და პოსტზე ყოფნის ვადა „მიშას წელთაღრიცხვით“ (იმას, თუ როგორ დაიკავა მან ეს პოსტი, ანუ 2008 წლის არჩევნების სავარაუდო გაყალბებასა და ხელისუფლების უზურპაციას, შესაძლოა, ცალკე გამოიძიებენ) შედარებით მშვიდად დაასრულოს. მას, ისევე, როგორც პრივილეგიების შემთხვევაში, ამისთვის ვაჭრობა მოუხდება, ოღონდაც საფასური ამჯერად, ალბათ, გაცილებით დიდი იქნება. **სააკაშვილს, ამ სცენარის ფარგლებში, სავარაუდოდ, აბსოლუტურად ყველა ბერკეტის დათმობა, ყოფილი თანამებრძოლების საიდუმლოებების გაცემა და ივანიშვილის ნების უსიტყვო შემსრულებლად გადაქცევა მოუწევს. ნუთუ ავლაბრის რეზიდენციაში გატარებული რამდენიმე თვე ამად ღირს? რა სასწაულს ელის, როდესაც ცდილობს, რომ დრო 2013 წლის ოქტომბრამდე გაწელოს?** ▶



**სააკაშვილის ხელისუფლებამ ისიც კი მოახერხა, რომ შექმნა კონსტიტუცია, რომელმაც კალენდარი გააბათილა და არითმეტიკაც ზედ მიაყოლა**

**ვინმეს ძნელად თუ დაარწმუნებ, რომ მამა როლანდის ბაჩანა მამა აბრამის ბატკანია. ახლა ისეთი ვითარებაა, თვით უმწიკვლობით სახელგასმენილი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც რომ გამოვიდეს და თქვას, ახალაია უდანაშაულოაო, მაინც არავინ დაიჯერებს!**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გამორიცხული არაა, ამ სიტუაციასთან დაკავშირებით, გაჩნდეს ვარაუდი, რომ **სააკაშვილი შეეცდება თანამდებობიდან წასვლა იანვარში ხელშეუხებლობის გარანტიებში გაცვალოს,** თუმცა ძალიან ძნელი იქნება იმ სამართლებრივი ფორმების წარმოდგენა, რომელიც მსგავსმა გარანტიებმა შეიძლება მიიღოს. ან როგორ შეიძლება (მაგალითად) 26 მაისის დარბევის, ტელეკომპანია „იმედში" შეჭრის, ზურაბ ჟვანიას დაღუპვის და არაერთი სხვა საქმის ბოლომდე მიყვანა, ისე, რომ სააკაშვილი, როგორც მინიმუმი, მოწმის სტატუსით არ დაიკითხოს? ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ დაკითხვებზე, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს, დიდი ალბათობით, ისევე ეფექტურად დაძირავენ, როგორც აისბერგი „ტიტანიკს", ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთ-ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით მაინც, დღის წესრიგში სააკაშვილისთვის ბრალის წაყენების საკითხი არ დადგეს. თეორიულად, მან შეიძლება მიიღოს არაფორმალური, ზეპირი გარანტიები ზოგიერთი მაღალჩინოსნისგან, რომ ქვეყნიდან წასვლის შემთხვევაში, საქართველო მის ექსტრადირებას აქტიურად არ მოითხოვს, თუმცა ცხადია, რომ არანაირი იურიდიული შედეგები მსგავსი განცხადებებიდან არ გამომდინარეობს და ეს საკმარისი არ იქნება იმისთვის, რომ სააკაშვილმა მშვიდად დაიძინოს. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამ კონტექსტში, ის პრეზიდენტობას ერთგვარ ფარად განიხილავს, რომელიც ამ პრობლემებისგან დროებით მაინც იცავს.

### იქნებ მაინც დაფიქრდეს?

სააკაშვილი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რომ გადამდგარიყო, მაშინ, როდესაც საზღვარგარეთ (და გარკვეულწილად საქართველოშიც) მას დამარცხების აღიარება მოუწონეს, მას, სავარაუდოდ, გაცილებით კარგი სასტარტო პირობები ექნებოდა იმისთვის, რომ ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობისთვის" ეხელმძღვანელა ან დასავლურ უნივერსიტეტებში, დემოკრატიის მეჩირაღდნის როლში, ლექციები წაეკითხა (ერთი მეორეს არ გამორიცხავს). **ეს იყო „შესაძლებლობების ფანჯარა", რომელიც საკმაოდ მცირე დროით გაიხსნა, თუმცა სააკაშვილმა იმის ნაცვლად, რომ ის გამოეყენებინა, მისგან მიმავალი ხელისუფლების ჩაბღაუჭების უპერსპექტივო, პოლიტიკური და საიმიჯო თვალსაზრისით, ფრიად წამგებიანი ტაქტიკა აირჩია.**

მეტ-ნაკლებად ლამაზად წასვლის შესაძლებლობა მან ხელიდან გაუშვა. დღეს იგივე ნაბიჯი იმდენადვე მომგებიანი ველარ გახდება, თუმცა მაინც გაცილებით ნაკლებად მტკივნეული და დამამცირებელი იქნება, ვიდრე „სავარძლიდან მოგლეჯის" პროცესი, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში დაიწყება. **სააკაშვილს ზედიზედ მეორედ მიანიშნეს, რომ მისთვის უმჯობესი იქნება, თანამდებობიდან რაც შეიძლება მალე, ხვალ თუ არა, იანვარში მაინც წავიდეს.** ის ჯერჯერობით ფეხს ითრევს, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ, რომ მალე გატყდება.

გასაგებია, რომ მას არ სურს, ასპარეზი დამარცხებულმა და შერცხვენილმა დატოვოს, თუმცა სხვა ვარიანტი, უბრალოდ, არ არსებობს. ყოველივე მომდევნო დღე, რომელსაც იგი ავლაბრის რეზიდენციაში, თავის სავარძელში გაატარებს, მის მდგომარეობას, სავარაუდოდ, უფრო დაამძიმებს.

მანამ, სანამ ეს პრობლემა მოიხსნება, **ის თანხები, რომლებიც სააკაშვილზე ბიუჯეტიდან იხარჯება, სავარაუდოდ, მკვეთრად შემცირდება. შეიძლება საავიაციო საწვავის ლიმიტიც კი დაუწესონ, რათა მილანში შოპ-ტურებზე ბიუჯეტის ხარჯზე აღარ იფრინოს და თავი დაანებოს მოგზაურობებს,** რომელთა შემდეგ მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ასეთი ტიპის ინფორმაციები ქვეყნდებოდა: „...ერთდღიანი ვიზიტით არუბაში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილი არუბას პრემიერ-მინისტრს მიშელ (გოდფრაიდ) ემანს, ასევე არუბას გუბერნატორს ფრედის რეფუნჯოლის შეხვდა. შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს კარიბის რეგიონის ურთიერთობების თაობაზე სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან". ეს 2010 წლის აგვისტოს ინფორმაციაა, მაშინ სააკაშვილი კოლუმბიის პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, სადაც კაციშვილმა ვერ გაიგო, რა უნდოდა, მედიის თვალთახედვიდან რამდენიმე დღით გაქრა, მასზე ლამის ძებნა გამოცხადდა და მისი ადმინისტრაცია იძულებული შეიქმნა, საზოგადოებისთვის განემარტა, რომ ამ პერიოდში სააკაშვილი დაუცხრომლად იღვწოდა კარიბის ზღვის თვალწარმტაც კუნძულებზე. ვერაფერს ვიტყვით, დაუვიწყარი დრო იყო და, ალბათ, კარგია, რომ ის აღარასოდეს დაბრუნდება.

**დიმიტრი მონიავა**

## ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს, დიდი ალბათობით, ისევე ეფექტურად დაძირავენ, როგორც აისბერგი «ტიტანიკს»

# ბაჩანა დააკავეს — დასაჯეთ, ვიდრე ცოცხ-ალია!

**ბიძინა ივანიშვილის წყალზე ფეხით გავლა არ გამოიწვევდა ხალხში ისეთ გაოცებას (ზოგი დაიზაფრა კიდეც!), როგორიც ბაჩანა ახალაიას გამოჩენამ გამოიწვია. მსუბუქი ირონიით გაჯერებული მისი კომენტარები კი ნამდვილი შოკი იყო დამნაშავეთა დასჯის იმედით გულმოცემული „მეოცნებეებისთვის".**



**არჩევნებამდე ბევრმა მათგანმა სასწორზე შეაგდო არამარტო თავისი, არამედ ოჯახის წევრების ჯანმრთელობა და სიცოცხლე.** პოლიტიკოსების ჯავშანი, მოგეხსენებათ, უბრალო ადამიანებისთვის მიუწვდომელი ბედნიერებაა და, რასაკვირველია, პირველები სწორედ „ოცნებაში ჩაძირული" ამომრჩევლები აღმოჩნდებოდნენ „ნაცმოძრაობის" ხორცსაკეპში. გადავრჩით! და ამიტომაც **ხალხი ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების" გამარჯვებას იმდენად არა, რამდენადაც საკუთარ გამარჯვებას თუ გადარჩენას ზეიმობდა.**

ახლა კი, როცა სააკაშვილის ხელკეტი — ბაჩანა ახალაია, სასჯელაღსრულების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, მზად არის საკუთარი ფეხით ეახლოს გამომძიებელს, ხალხს ეჭვი გაუჩნდა: **რატომ საუბრობს ასე თავდაჯერებულად „სახალხო დამნაშავე", თუკი მას ვინმესგან რაიმე გარანტია არ აქვს?!** „სახალხო დამნაშავე" დაახლოებით ისეა, როგორც „სახალხო არტისტი", „სახალხო პოეტი", „სახალხო მხატვარი", „სახალხო მთქმელი" და ა. შ. ამ ტიტულს ხალხი ანიჭებს ამა თუ იმ დამსახურებულ ან „დამსახურებულ" ადამიანს. ბაჩანაც გამორჩეულია, რადგან, მართალია, მის სიმღერებს ხალხი არ მღერის, მაგრამ მის შესახებ იმდენი ჭორსწორი ვრცელდებოდა და ვრცელდება, **ვინმეს ძნელად თუ დაარწმუნებ, რომ მამა როლანდის ბაჩანა მამა აბრამის ბატკანია. ახლა ისეთი ვითარებაა, თვით უმწიკვლობით სახელგასმენილი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც რომ გამოვიდეს და თქვას, ახალაია უდანაშაულოაო, მაინც არავინ დაიჯერებს!**

მოკლედ, ბაჩანა უკვე „დაღიანია" და ამას აღარაფერი ეშველება. ამ დროს ხელისუფლება ან საზოგადოებაში ღრმად გამჯდარ მოსაზრებას (მით უფრო, თუ ხელისუფლებაში მოსვლამდე თვითონაც აქტიურად ხელს უწყობდა ამ აზრის დამკვიდრებას!) ითვალისწინებს, ანდა თვითონ ეხვევა ეჭვის საბურველში და შემდეგ დიდხანს და უშედეგოდ მოუწევს საკუთარი ქმედების (თუ უმოქმედობის) ახსნა-განმარტება; უშედეგოდ, რადგან, **როგორც ბაჩანა ახალაია ვერ აჯერებს ვერავის საკუთარ ჭიამაიობას, ისევე არ დაუჯერებენ ხელისუფლებასაც, რომ მან რაღაც გარიგების გამო არ თქვა უარი მართლმსაჯულების განხორციელებაზე.**

ახალაიას დასაპატიმრებლად თუ სამხილების ნაკლებობაა, აღარ ყოფილა საშველი... აბა, დანარჩენები დაიდგამენ შარავანდედს და მოგვიწევს მეტანიების კეთება დღეში სამჯერ!

**მაინც რატომ დაბრუნდა კაცი, რომელიც დაგვცინის?**

ახალაიას დაბრუნებამდე ორიოდ დღით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მის ცოცხლად ხელში ჩასაგდებად ან მოსაკლავად „ათასი თუმანი" დააწესეს. ალბათ, ხვდებით, რომ ბაჩანას უპირველესი მტრები სწორედ ისინი არიან, ვისი დამარცხებითა და ქვეყნიდან გაძევებით თავს იწონებენ „ნაციონალები". ეს საქმე ახალაიას სახელს იმთავითვე დაუკავშირდა და პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა კიდეც, ბაჩომ იმდენად გაქაჩა, რომ „კანონიერ ქურდებს" ცოცხები დააჭერინაო. ახლა ამ **„მეეზოვეებმა", რომლებსაც მთელ მსოფლიოში გავლენა არ დაუკარგავთ, ძველი სამიზნე თუ სადმე „იქ" მოიხელთეს, ახალაიას ველარ უშველის თავდაჯერებული ლაპარაკი საკუთარ უდანაშაულობაზე.**

ჰოდა, დაბრუნდა აქ, სადაც მისი უსაფრთხოება შედარებით დაცულია — მას ჯერ წინასწარი დაკავების იზოლატორში მოუწევს ღამის გათევა, შემდეგ კი **მის სიცოცხლეს გლდანის ციხის შვიდჯერ გადაღებილი კედლები უფრო საიმედოდ დაიცავს, ვიდრე მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის მიერ ნაწყალობევი თავშესაფარი.**

**დასჯიან თუ არა ახალაიას, ვიდრე ცოცხ-ალია?**

რასაკვირველია, დასჯიან. ეს გარდაუვალია, რადგან საზოგადოებისთვის, რომელიც ხელისუფლებისგან ელვისებურ და ეფექტიან მოქმედებებს ელის, გამაღიზიანებელია როგორც ნაცპოლიტიკოსების ცინიკური რეპლიკები, ისე „სახალხო დამნაშავედ" გამოცხადებული პათოლოგების თავდაჯერებული კომენტარები. **ამ საზოგადოების აზრის გათვალისწინება კი აუცილებლად მოუწევს ხელისუფლებას, რომელიც ძალაუფლების ხელში აღებამდე მუდმივად იმეორებდა, რომ ქვეყნის ბედს ხალხთან ერთად გადაწყვეტდა.**

**ბონდო მძინარაშვილი**

# სააკაშვილს «დენი ჩაუჭრეს»

**პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ადმინისტრაციისთვის ხარჯების შემცირების გამო, იძულებული გახდა, განათება გამოერთო. ამის შესახებ ნათქვამია პრეზიდენტის პრესსპიკერის, მანანა მანჯგალაძის, განცხადებაში, რომელიც პრეზიდენტის ვებგვერდზე გავრცელდა.**



„იმის გამო, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ახალი ბიუჯეტის მიხედვით, დაფინანსება შეუმცირდა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, მიგვემართა იძულებითი ღონისძიებებისთვის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე განათება, გარდა დაცვისთვის განკუთვნილი პერიმეტრისა, რომელიც უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებლობას წარმოადგენს, გამოგვერთო.

ძირითადი ხარჯები შეეხება გარე განათებას, რაც, თავის მხრივ, ჩვენი დედაქალაქის გალამაზებას ემსახურებოდა, მაგრამ ახალი ბიუჯეტის გამო, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის ხარჯების შემცირებას ითვალისწინებს, იძულებულები ვართ, განათება გამოვრთოთ", — აღნიშნულია განცხადებაში.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენი დასავლელი პარტნიორები ყოველთვის მოგვიწოდებდნენ, რამენაირად გვეცადა რუსეთთან საერთო ენის გამონახვა. დასავლეთევროპელ, ამერიკელ მეგობრებთან ნებისმიერი კონტაქტების დროს ისინი სწორედ ამას გვიმეორებდნენ და ხაზგასმით გვეუბნებოდნენ, რომ ამასთან ერთად შეგვენარჩუნებინა, არ დაგვეთმო ჩვენი პრინციპები და ღირებულებანი.“

**ზურაბ აბაშიძე:**

# დიალოგი რუსეთთან ძალიან რთული იქნება, მაგრამ რთული დიალოგი სჯობს კარგ ომს

**ცნობილი ქართველი დიპლომატი, 1993-2000 წლებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ევროკავშირსა და ნატოში, 2000-2004 წლებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში — ზურაბ ირაკლის ძე აბაშიძე რამდენიმე დღის წინ ელჩის რანგში პროფესიულ საქმიანობას ოფიციალურად დაუბრუნდა.**





**— ბატონო ზურაბ, თქვენ დაინიშნეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირად წარმომადგენლად რუსეთის ფედერაციაში თუ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლად რუსეთში?**

— საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში.

**— ამ თანამდებობაზე თქვენი დანიშვნა უდავოდ გაბედული ნაბიჯია, მაგრამ რისკის შემცველიც, მოსალოდნელი შედეგით თუ ვიმსჯელებთ.**

**რას ეფუძნება ეს რისკი? ვნახოთ, რას მოგვცემს, ანუ შემთხვევითობის პრინციპს — დიაკვანმა ულელი გადააგდო და კურდღელს მოარტყაო, ან რუსები რომ ამბობენ — „ნა ავოს“? თუ ეს არის გამართლებული, მდგომარეობის ლოგიკიდან გამომდინარე დიპლომატიური ნაბიჯი?**

**თუ — ვცადოთ, რას ვკარგავთ?**

— ჩემი აზრით, ეს არის ბუნებრივი სურვილი, რათა ჩვენს ყველაზე დიდ და ყველაზე პრობლემურ მეზობელთან ურთიერთობა ეტაპობრივად მოვაწესრიგოთ.

ამ ეტაპზე ჩვენ რუსეთთან უაღრესად კონფრონტაციული ურთიერთობა გვაქვს, რის შეცვლაც აუცილებელია პროგნოზირებადი, პრაგმატული ურთიერთობებით. ამის მიღწევა უდავოდ რთული იქნება, მაგრამ როდესმე ეს უნდა დაწყებულიყო.

**— და დაიწყო კიდეც.**

— დიახ. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო პრემიერ-მინისტრმა, როცა მან პირველმა გადადგა ნაბიჯი და შესთავაზა რუსეთს, შეიქმნას პოლიტიკური დიალოგისა და კომუნიკაციის ახალი, დამოუკიდებელი არხი. ბუნებრივია, რომ საუბარი არ არის ჟენევის მოლაპარაკების ცნობილი ფორმატის გაუქმებაზე, რადგან მას თავისი სპეციფიკა და დანიშნულება აქვს.

**შეიქმნება ისეთი პოლიტიკური დიალოგის ფორმატი, რომლის ფარგლებში განიხილება რუსეთთან ურთიერთობისა და უმთავრესი პრობლემების მთელი სპექტრი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის უსაფრთხოების საკითხები, დეოკუპაციის თემა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა და ასე შემდეგ.**

თუ რუსეთიც გადადგამს ანალოგიურ შემხვედრ ნაბიჯს, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაიწყება დიალოგი, ვიმეორებ, რთული დიალოგი, რომელიც პრობლემების ეტაპობრივი მოგვარების საშუალებას მოგვცემს.

**— მაშასადამე, ეს თანამდებობა შეიქმნა მდგომარეობის ლოგიკიდან გამომდინარე.**

— დიახ. მინდა შეგახსენოთ, რომ მსგავსი მცდელობა წინა ხელისუფლებასაც ჰქონდა. იყო შეთავაზება, რომ დიალოგი რუსეთთან დაწყებულიყო „ყოველგვარი წინაპირობის გარეშე“. მაგრამ მაშინ ამ შეთავაზებას პასუხი რუსეთის მხრიდან არ მოჰყოლია.

ვიმედოვნებთ, რომ ამჯერად შეიძლება მიიღონ შემხვედრი გადაწყვეტილება. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ჩვენი სურვილი.

**— თუმცა ჩვენი მხარის წინა შეთავაზების გულწრფელობის ხარისხი ეჭვს ბადებდა. ამის საფუძველს იძლეოდა ის ნეგატიური რეაქცია, რომელიც ოფიციალურ პროპაგანდას ჰქონდა რუსეთში საქართველოს პატრიარქის ვიზიტის შედეგების შეფასებისას. დათბობის ის ყლორტები, რომლებიც ორი მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელების შეხვედრის კვალზე გამოჩნდა, ძირშივე დააზრო რევანშისტულმა და თავდაჯერებულმა რიტორიკამ და „გამარჯვების“ უაზრო პათეტიკამ, რომელსაც შედეგად მოჰყვა რუსეთის შეიარაღებული ნაწილების შემობრუნება გათავისუფლებულ დასახლებულ პუნქტებსა და ტერიტორიაზე.**

# «რუსეთს სჭირდება ნორმალური, პროგნოზირებადი პარტნიორი სამხრეთ კავკასიის რეგიონში»

— ორ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის ურთიერთობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. დიალოგის რეჟიმი მათ 2008 წლის აგვისტოს უმძიმეს პერიოდშიც კი შეინარჩუნეს, ეს კონტაქტები მომდევნო პერიოდებშიც ხორციელდებოდა. მაგრამ, ბუნებრივია, რომ **ეკლესიათშორის ურთიერთობები ვერ ჩაანაცვლებს პოლიტიკურ დიალოგსა და სახელმწიფოთაშორის კონტაქტებს, თუმცა ხელეწიფება საამისოდ გარკვეული ფონის შექმნა. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, შესაბამისად, პოლიტიკოსების საქმეა.**

ჩვენ შეიძლება რაღაც დავიჯეროთ, რაღაც — არ ვირწმუნოთ, მაგრამ საქართველოში პოლიტიკური რეალობა კარდინალურად არის შეცვლილი, რაც იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი რეალობა რუსეთშიც შესაბამისად იქნება აღქმული.

ასე რომ, დაველოდოთ რეაქციას მოსკოვიდან და შემდეგ შეგვეძლება ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, თუ რამდენად პერსპექტიულია დიალოგის ახალი ფორმატის შექმნა.

**— ამ დღეებში თქვენ ჟურნალისტების მიერ იყავით „ოკუპირებული“. ერთ-ერთი მათგანისთვის ბატონ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილების სისწორის ასახსნელად თქვენ მოიშველიეთ გერმანიის მაგალითი — ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ რუსეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გადადგმული ნაბიჯი. ისტორიული პარალელი გაავლეთ. მაგრამ ჟურნალისტმა თავიდან აირიდა თქვენი პასუხი რეპლიკით — „ეს სულ სხვა საქმეა“. როგორც ჩანს, ასე იმიტომ მოიქცა, რომ მსჯელობისას აუცილებლად წამოიჭრებოდა დამარცხებული ქვეყნის საკითხი, რაც ხელს არ აძლევდა: ჩვენ ხომ „გავიმარჯვეთ“ რუსეთთან ომში, როგორც გუშინდელნი გვარწმუნებდნენ, „რუსეთს ნიღაბი ჩამოვხსენით“ და ა. შ.?**

**იქნებ ახლა დაასრულოთ თქვენი სათქმელი?**

— გერმანიის მაგალითი რომ დავასახელე, სრულიადაც არ ვგულისხმობდი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ზუსტ ანალოგიას. მოგეხსენებათ, რომ ისტორიაში ზუსტი ანალოგები არ არსებობს.

**— თუმცა არის მსგავსება და გარკვეული შედარების გაკეთების შესაძლებლობაც.**

— დიახ. მე იმის თქმა მინდოდა, რომ ისეთი მტრულად განწყობილი ქვეყნებიც კი, რომლებიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ორჯერ იყვნენ ორი მსოფლიო ომის პროტაგონისტები, საბოლოო ჯამში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კონფრონტაციიდან სხვა ტიპის ურთიერთობაზე გადასვლა იყო საჭირო.

ევროპაში ასეთი მაგალითი უამრავია. საუკუნეების მანძილზე ევროპის ისტორია არის ერთმანეთის მტრობის, ქიშპობის, გაუთავებელი სისხლისმღვრელი ომების ისტორია, მაგრამ რომელიღაც ეტაპზე ყველა ერთად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება.

**ჩვენც გვაქვს აქ, საქართველოში, იმის განცდა, რომ ის დამოკიდებულება, ის ურთიერთობა, რომელიც რუსეთთან ჩამოგვიყალიბდა, დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. ჩვენი დაკვირვებით, ჩვენი ინფორმაციით რუსეთშიც ბევრია ისეთი მოღვაწე, რომელიც ასე ფიქრობს, თუმცა საქართველო-რუსეთის შერიგების იდეას ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს.**

ვნახოთ, დავაკვირდეთ და გამოჩნდება, თუ რომელი ტენდენცია რომელს დაძლევს — კონფრონტაციის გაგრძელების თუ ნაბიჯ-ნაბიჯ შერიგების ტენდენცია.

**— მოსკოვში პირველი ვიზიტის შემდეგ სააკაშვილმა პუტინთან შეხვედრის თაობაზე განაცხადა, რომ, „ჩემი წინამორბედისგან განსხვავებით, პუტინთან პრობლემები არ მქონიაო“.**

**რა პრობლემები ჰქონდა შევარდნაძეს?!**

**მე პირიქით მახსოვს — პრობლემები დახვავდა სააკაშვილის მოსვლის შემდეგ, იმდენად ბევრი და მწვავე, რომ ბოლოს და ბოლოს ომი დაიწყო.**

**პიროვნულ ფაქტორზე მინდა გკითხოთ: მოიხსნება ეს წინააღმდეგობა მოლაპარაკების პროცესში, რომელიც უნდა დაიწყოს, თუ დარჩება, როგორც გადაულახავი „ლიჩნი ნეპრიაზნი“, სასამართლოს წინაშე მდგარი ფრუნზიკ მკრტიჩიანი რომ ამბობდა „მიმინოში“?**

**ხომ არ შემოუბრუნდება იგივე პრობლემა ბატონ ბიძინას?**

— პიროვნულ ფაქტორს პოლიტიკაში ყოველთვის აქვს გავლენა, „ლიჩნაია ნეპრიაზნ“ ხშირად არსებობს პოლიტიკოსებს შორის. განსა-

▶

## ევროზონამ უმუშევრობის რეკორდი დაამყარა

**ევროზონის ქვეყნებში თითქმის 18,5 მილიონი უმუშევარია. ამას მოწმობს სექტემბერში ჩატარებული სტატისტიკური კვლევები, რომელთა შედეგებიც ახლახან გამოქვეყნდა.** უმუშევართა ეს რაოდენობა ევროზონის მთლიანი მოსახლეობის 11,6 პროცენტს შეადგენს. კვლევის მიხედვით, უმუშევრობის საკითხი ყველაზე მწვავედ ესპანეთში დგას. იქ 5,78 მილიონი ადამიანი, ანუ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 26 პროცენტი უმუშევარია. კიდევ უფრო მძიმე სიტუაციაა ესპანეთში ახალგაზრდობის დასაქმების მხრივ — ესპანელი ახალგაზრდების 54 პროცენტი სამსახურის გარეშეა დარჩენილი. მძიმე მდგომარეობაა ასევე საბერძნეთსა და პორტუგალიაში. საუკეთესო შედეგები აჩვენეს ავსტრიამ (4,4%), ლუქსემბურგმა (5,2%), გერმანიამ და ნიდერლანდებმა (5,4 %). რაც შეეხება სრულიად ევროკავშირს, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც ევროს არ იყენებენ, აქ დაახლოებით 25 მილიონი უმუშევარია, რაც საერთო მოსახლეობის 10,6 პროცენტს უდრის. კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ უმუშევრობასთან ერთად ევროზონაში საბაზრო ფასებმაც იმატა, განსაკუთრებით ენერგოპროდუქტებზე.



„არ ვარ იმის მომხრე, რომ გაზვიადებული მოლოდინი გვქონდეს და არარეალური ილუზიები შევიქმნათ. რეალისტურად და პრაგმატულად უნდა შევხედოთ და შევაფასოთ რუსეთთან ურთიერთობა, რომელიც დღეისთვის რთულია. და, ამავე დროს, არ დავკარგოთ იმედი, არ გავინელოთ სურვილი, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს.“

## ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95






**«ჩვენც გვაქვს აქ, საქართველოში, იმის განცდა, რომ ის დამოკიდებულება, ის ურთიერთობა, რომელიც რუსეთთან ჩამოგვიყალიბდა, დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. ჩვენი დაკვირვებით, ჩვენი ინფორმაციით რუსეთშიც ბევრია ისეთი მოღვაწე, რომლებიც ასე ფიქრობენ, თუმცა საქართველო-რუსეთის შერიგების იდეას ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს»**

◀ კუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, საქართველო, პოსტსაბჭოთა სივრცის და ა.შ. სახელმწიფოში, მაგრამ, რა თქმა უნდა, უპირატესი და უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოებრივი ინტერესები. მე ვფიქრობ, რომ რუსეთისთვის მთავარი გამღიზიანებელი, მთავარი პრობლემა საქართველოს დასავლური ორიენტაცია და მისი ევროატლანტიკურ ინტეგრაციისკენ მისწრაფებაა. ასე იყო შევარდნაძის დროსაც, წინა ხელისუფლების დროსაც, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, ამ გამღიზიანებელს ზემოდან კიდევ სხვა პრობლემები ემატებოდა, რაც უფრო მეტ დრამატიზმს სძენდა ჩვენს ორმხრივ ურთიერთობას. **სრულებით არ ვაპირებ რუსეთის პოლიტიკის გამართლებას საქართველოს მიმართ, მიმაჩნია, რომ დღევანდელ მდგომარეობამდე მისვლაში პასუხისმგებლობის ლომის წილი რუსეთზე მოდის, მაგრამ პასუხისმგებლობის გარკვეული წილი ჩვენც გვეკისრება. ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ ეს, თითქმის ოცწლიანი დრამატული ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის თანდათან და ნელ-ნელა გადავიყვანოთ პოზიტიურ რელსებზე. თუმცა, ვიმეორებ, დიალოგი რუსეთთან ძალიან რთული იქნება. მაგრამ რთული დიალოგი სჯობს კარგ ომს.**

**— რის გაკეთებას აპირებთ საიმისოდ, რომ დიალოგი იყოს ეფექტიანი და არა დიალოგის იმიტაცია? არა სალაყბო და კიდევ უფრო უარესი — ლაპარაკი ლაპარაკისთვის, ან როგორც სალტიკოვ-შჩედრინი „თავადი გლოვლიოვების“ ერთ-ერთ პერსონაჟს ახასიათებდა — „ბეზსტრუნნაია ბალალაიკა“?**

— ეს ნამდვილად სახიფათო თემაა. მოლაპარაკების დროს ხანდახან იქმნება იმიტაცია, რომ ყველაფერი კარგად მიმდინარეობს, მხარეები უკვე ესაუბრებიან ერთმანეთს, სადაცაა თვითონ მოილაპარაკებენ და მივლენ კონსესუსამდე. ასეთი იმიტაციის შემთხვევაში დასავლეთის ინტერესიც მოდუნდება, პროცესზე მისი ზემოქმედებაც დაიკლებს. ეს არ უნდა დავუშვათ მანამ, სანამ რეალური, ხელშესახები შედეგები არ იქნება მიღწეული.

რახან დასავლეთი ვახსენე, მინდა გითხრათ, რომ **ჩვენი დასავლელი პარტნიორები ყოველთვის მოგვიწოდებდნენ, რამენაირად გვეცადა რუსეთთან საერთო ენის გამონახვა. დასავლეთევროპელ, ამერიკელ მეგობრებთან ნებისმიერი კონტაქტების დროს ისინი სწორედ ამას გვიმეორებდნენ და ხაზგასმით გვეუბნებოდნენ, რომ ამასთან ერთად შეგვენარჩუნებინა, არ დაგვეთმო ჩვენი პრინციპები და ღირებულებანი.**

**— ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, რთულია, ხოლო, როცა ჩვენი ხელისუფლება სხვა პოლიტიკურ ჰანგზეა აწყობილი, საერთოდ შეუძლებელია. ასეც მოხდა...**

— იმასაც შეგახსენებთ, რომ, როცა 2005 წელს თბილისში ჩამოვიდა აშშ პრეზიდენტი ბუში, თავისუფლების მოედანზე წარმოთქმული მისი სიტყვის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი, საქართველოს ხელისუფლებისადმი მთავარი მოწოდება რუსეთთან საერთო ენის გამონახვა იყო, ჩვენ კი ამაში დაგეხმარებითო.

**— ეჭვიანი ადამიანები წინასწარ ბრალს გდებენ, რომ თქვენი მისია შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც რუსეთის ფედერაციასთან ფარული მოლაპარაკებისა და შეთანხმების მექანიზმი, საშუალება. რას უპასუხებთ?**

— გავიმეორებ იმას, რაც ითქვა მაშინ, როცა ბატონი პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება გახდა ცნობილი. **იყო მოსაზრება, რომ წინასწარ, სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდით და გამოვაცხადებდით, რომ ვაწესებთ ასეთ თანამდებობას, კულუარულად მოგვესინჯა ნიადაგი, თუ რა პასუხი შეიძლება მიგვეღო რუსეთის მხარისგან. მაგრამ ბატონმა ბიძინამ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ყველაფერი გაკეთებულიყო ღიად, საჯაროდ, ყოველგვარი კულუარული მოძრაობების გარეშე: არაფრის დამალვას არ ვაპირებთ და არც არაფერია დასამალი.**

ჩვენი მიდგომა ასეთია: თუ დიალოგი დაიწყება, მაშინ როდის და რა ნაბიჯიც გადაიდგმება, ჩვენი საზოგადოება ამის თაობაზე სრულად იქნება ინფორმირებული.

**— არის კი სერიოზული რესურსები ამ მოლაპარაკების შედეგიანად წარსამართად, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის მხრიდან?**

— ვფიქრობ, რომ არის.

**— თქვენ არ იტყვით, ამიტომ მე ვამბობ: პირველი ეს არის თქვენი ფაქტორი, რადგან უკვე იყო გამოხმაურება სწორედ თქვენს პიროვნებასთან დაკავშირებით.**

— არა, არა! ვერ დაგეთანხმებით არა ზედმეტი მოკრძალების გამო, არამედ იმიტომ, რომ იქ არის გაცილებით მნიშვნელოვანი ფაქტორები.

**რუსებს ბევრი პრობლემა, ბევრი სირთულე და, როგორც ახლა იტყვიან, ბევრი გამოწვევა აქვთ კავკასიის რეგიონში, იგივე, რაც გვაქვს ჩვენ. შეიძლება ჩვენზე მეტიც. მსოფლიოში ერთ-ერთ ურთულეს რეგიონში ვცხოვრობთ.** აქ კონცენტრირებული პრობლემები, რომლებიც ჩვენც და მათაც გვაწუხებს — ტერორიზმი, იარაღით უკანონო ვაჭრობა, ნარკოტრაფიკი, რომელი ერთი ჩამოგითვალო, რადიკალიზმი, სხვადასხვა სახის ფუნდამენტალიზმი, ექსტრემისტული გამოვლინებანი და ა.შ.

ასე რომ, მას, რუსეთს სჭირდება ნორმალური, პროგნოზირებადი პარტნიორი სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ამას გარდა, **საერთაშორისო სარბიელზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთს სერიოზულად აკრიტიკებენ საქართველოსთან დამოკიდებულების გამო. უკვე გაჩნდა და დაკანონდა სიტყვა ოკუპაცია. ოკუპანტის იმიჯი რუსეთს ნამდვილად არ სიამოვნებს.**

ვფიქრობ, რომ ამ ორი ფაქტორის გამო, რუსეთში უნდა იყოს ისეთი ხალხი, ისეთი სახელმწიფო მოღვაწენი, ვისაც სურთ ვითარების უკეთესობისკენ შეცვლა და საქართველოსკენ შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა.

ეს სერიოზული რესურსია.

**— დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ვინ — პუტინმა თუ მედვედევმა — ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ საქართველოსთან ურთიერთობაში არ არსებობს საკითხები, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია.**

— მეც მსმენია ამის თაობაზე, მართალი გითხრათ, პირადადაც მსმენია უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან. ღმერთმა ქნას, რომ ასე იყოს. ყოველ შემთხვევაში მე არ ვარ იმის მომხრე, რომ გაზვიადებული მოლოდინი გვქონდეს და არარეალური ილუზიები შევიქმნათ. რეალისტურად და პრაგმატულად უნდა შევხედოთ და შევაფასოთ რუსეთთან ურთიერთობა, რომელიც დღეისთვის რთულია. და, ამავე დროს, არ დავკარგოთ იმედი, არ გავინელოთ სურვილი, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს.

**— მაშ, როგორც რუსები იტყვიან, ვისხდეთ ზღვის პირას და ამინდს ველოდოთ? დაველოდებით რუსეთის მხარის რეაქციას თუ შევეცდებით მოვიპოვოთ ეს რეაქცია?**

— არა, არავის ზედმეტად დარწმუნებას არ ვაპირებთ, არავის თხოვნით არ მივმართავთ. ჩვენი მხრიდან ნაბიჯი გადაიდგა, ამის შესახებ მოსკოვში უკვე იციან, შეტყობინება ოფიციალურადაც გაიგზავნება.

დაველოდებით. დადებითი იქნება რეაქცია, მივესალმებით. თუ სხვა გადაწყვეტილების მომწიფებას გავხედებით, შესაბამის დასკვნებს გავაკეთებთ.

ყველა ვარიანტში რუბიკონი გადალახულია.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## პაკისტანელი გოგონა მშობლებმა ბიჭებთან საუბრის გამო მოკლეს

**პაკისტანში მშობლებმა 16 წლის გოგონა ბიჭებთან საუბრის გამო მოკლეს. ინციდენტი ქაშმირის ტერიტორიაზე მოხდა. მშობლებმა დაინახეს, როგორ ესაუბრებოდა გოგონა ბიჭებს სახლთან ახლოს და სასჯელის სახით სახეში მჟავა შეასხეს.** გოგონამ სახის კანის, კისრის, თავისა და ხელების მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო და საავადმყოფოში გადაყვანიდან მალევე გარდაიცვალა. ექიმის განცხადებით, ბავშვი საავადმყოფოში მიიყვანა დედამ, რომელიც აცხადებდა, რომ გოგონამ თავის მოკვლა სცადა. ბავშვის გარდაცვალების შემდეგ მშობლებმა დანაშაული აღიარეს. ადამიანთა უფლებების დაცვის კომისიის ბოლო მონაცემებით, 2011 წელს 1000-მდე ქალი გახდა „ღირსების დაცვის მიზნით მკვლელობის“ მსხვერპლი. 2004 წელს ასეთი მკვლელობის პრაქტიკა კანონით აიკრძალა, თუმცა კანონი არაეფექტური აღმოჩნდა. პაკისტანელ სამართალდამცავთა თქმით, ასეთი სახის მკვლელობები გამოუძიებელი რჩება.



## ევროკავშირი ლიბიაში ახალი მთავრობის ფორმირებას მიესალმება

**ევროკავშირი ლიბიაში მინისტრთა ახალი კაბინეტის დამტკიცებას მიესალმება. უცხოური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ევროკომისარმა ქეთრინ ეშტონმა განაცხადა.** ეშტონი იმედოვნებს, რომ ახალი მთავრობა ქმედითუნარიანი მალე გახდება. როგორც ცნობილია, ლიბიის პრემიერ-მინისტრმა ალი ზიდანმა ქვეყნის კონგრესს წარუდგინა კოალიციური მთავრობის წარმომადგენლები. მისი თქმით, ორი პარტიის: „ნაციონალური ძალების ალიანსისა“ და „ისლამისტური პარტია სამართლიანობისა და განვითარებისთვის“ წარმომადგენლები შედიან. ლიბიის პარლამენტმა მინისტრთა ახალი კაბინეტი დაამტკიცა.

მსოფლიო

## სანქციების შედეგად ირანში მოსახლეობის ჯანმრთელობა გაუარესდა

**ირანის სამედიცინო და საქველმოქმედო ფონდებმა განაცხადეს, რომ დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად 6 მილიონამდე ირანელი მოქალაქის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა.** მიუხედავად იმისა, რომ სანქციებს მიზანში უშუალოდ ჯანდაცვის ინდუსტრია არ ჰყავთ ამოღებული, წამლებისა და სამედიცინო აპარატურის იმპორტი ქვეყანაში სულ უფრო რთული ხდება. თეირანის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორის განცხადებით, სანქციების შედეგად ზარალდება საბანკო და სადაზღვევო ინდუსტრიები, რაც აბრკოლებს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება ჯანდაცვისთვის საჭირო სამედიცინო პრეპარატებისა და ტექნიკის იმპორტირებაც. ირანი ყოველწლიურად 400 მილიონი დოლარის ოდენობის სამედიცინო პროდუქციის იმპორტ-ექსპორტს ახდენს, მაგრამ სახელმწიფო მაინც ცდილობს, რაც შეიძლება მეტი წამალი ქვეყანაშივე დაამზადოს.



ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «ანაკლია-პორტი» — საუკუნის პროექტი



## ქართული წარმოშობის ლონდონელი მეწარმე თემურ ქარჩავა ანაკლიაში საზღვაო პორტის მშენებლობისთვის 6 მილიარდი დოლარის ინვესტიციების მოზიდვას აპირებს

### სატელეფონო ზარი საგანგებო ქღერადობით

2009 წელი იდგა, შემოდგომა. ბიზნესმენ თემურ ქარჩავას ლონდონის ოფისში ტელეფონმა დარეკა. **„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გაწუხებთ,** – გაისმა სადენის მეორე ბოლოდან, – **ბატონ პრეზიდენტს სურს, ბატონ ქარჩავას შეხვდეს და მასთან ანაკლიაში პორტის მშენებლობის საკითხები განიხილოს“.**

მალე ანაკლიაში მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ქარჩავას შეხვედრა შედგა. **ინგლისის დედაქალაქში მცხოვრებმა ქართული წარმოშობის ბიზნესმენმა საქართველოს პრეზიდენტს უამბო, რომ ანაკლიაში პორტის მშენებლობის იდეა მას ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გაუჩნდა,** მაგრამ საბჭოთა პერიოდში ამ ოცნების განხორციელება შეუძლებელი იყო — ეს ადგილი სსრკ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზას ჰქონდა დაკავებული. **თემურ ქარჩავამ ანაკლიაში პორტის მშენებლობის საკითხის შესწავლას სერიოზულად მოჰკიდა ხელი გასული საუკუნის 90-იანი წლების შუაში.**

**„აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდის ფუნქციას კავკასია უხსოვარი დროიდან ასრულებდა,** – ამბობს თემურ ქარჩავა. – **დიდი აბრეშუმის გზა, რომელიც კავკასიაზე გადიოდა, ევროპას ინდოეთთან და ჩინეთთან აკავშირებდა. გასული საუკუნის ბოლოდან კავკასია ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მარშრუტებიდან ერთ-ერთ ალტერნატიულ ვარიანტად განიხილება. ბოლო 15 წლის განმავლობაში ამოქმედდა ნავთობსადენები: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-სუფსა, გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზრუმი; აშენდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საზღვაო ტერმინალი ყულევში, მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა“.**

დღეს საქართველოში მოქმედი ყველა პორტი და საზღვაო ტერმინალი ბათუმში, ფოთში, ყულევსა და სუფსაში, თუ ჩაუტარდებათ რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის გარკვეული სამუშაოები, შეძლებენ უზრუნველყონ წელიწადში 45-51 მილიონი ტონა მოცულობის მშრალი ტვირთების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიღება, შენახვა და გაგზავნა. თემურ ქარჩავამ საქართველოს პრეზიდენტს მოახსენა, რომ მის მიერ დაპროექტებული **ახალი პორტი ანაკლიაში, რომელიც 3000 ჰექტარზე მეტს დაიკავებს, შეძლებს წელიწადში 60-70 მილიონი ტონა მოცულობის ტვირთის გადამუშავებას, ხოლო პერსპექტივაში – 180-200 მილიონი ტონისაც, ანუ რამდენჯერმე უფრო მეტის, ვიდრე ერთად აღებული ბათუმი, ფოთი, ყულევი და სუფსა.**

### საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება: საჭიროა პორტი ანაკლიაში

**„მაგრამ რატომ აირჩიეთ მაინც და მაინც ანაკლია, უკეთესი და უფრო იაფიც არ იქნებოდა არსებული პორტების გაფართოება?“** – დაინტერესდა პრეზიდენტი. თემურ ქარჩავამ უპასუხა, რომ, ჯერ ერთი, ის ტერიტორია, რომელზეც ანაკლიის პორტის მშენებლობაა გათვალისწინებული, დაუსახლებელია და სუსტად არის ათვისებული; მეორე, პორტის მდებარეობა არ მოითხოვს ზღვისგან დამცავი ძვირადღირებული ნაგებობების მშენებლობას; და მესამე, რაც მთავარია, ანაკლიასთან გადის შავ ზღვაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წყალქვეშა კანიონი. **აქ საზღვაო პორტის სიღრმე 20,5 მეტრია** (ბათუმში – 14 მეტრი, ფოთში – 8,5 მეტრი), **ანუ აქ შემოსვლა შეუძლია ისეთ გემებს, რომელთა ტვირთმზიდაობა** (დედვეიტი) **50-150 ათას ტონას შეადგენს. პროექტი ითვალისწინებს 32 ნავმისადგომის აგებას საერთო სიგრძით 12 300 მეტრი.**

ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ანაკლიაში მოლაპარაკება მიხეილ სააკაშვილსა და თემურ ქარჩავას შორის, საკითხის განხილვაში ჩაერთვნენ ექსპერტებიც. **საბოლოოდ გაჩნდა პორტის მშენებლობის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 20 ოქტომბრის განკარგულება 732 და 2010 წლის 20 იანვრის განკარგულება 45. შემდეგ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ პორტის მშენებლობისთვის გამოყო 2100 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რისთვისაც შპს „ანაკლია-პორტმა“ გადაიხადა 6 მილიონ 700 ათასი ლარი.** ჩატარდა აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები, შპს-მ მიიღო სანებართვო დოკუმენტები. მხოლოდ საპროექტო სამუშაოების ღირებულებამ 220 მილიონი დოლარი შეადგინა.

**2010 წლის სექტემბერში შპს „ანაკლია-პორტმა“ დაიწყო სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებული სამუშაოები. კერძოდ, სამშენებლო მოედნის ათვისება დაიწყეს გეოდეზიური ქსელის შექმნით, რომელიც პროექტის რეალურ გარემოში გადასატანად არის საჭირო. ადგილზე დაახლოებით 300 კაცი მუშაობდა.**

საქართველოს პრეზიდენტს ბავშვივით უხაროდა „საუკუნის პროექტის“ დაწყება. კერძოდ, 2010 წლის 3 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილმა ანაკლიაში საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრისას ასეთი განცხადება გააკეთა:

**„დაიწყო ანაკლიის პორტის მშენებლობა, რომელზეც მრავალი წელია ყველა ლაპარაკობს, მაგრამ ვერავინ მოჰკიდა ხელი. თქვენ იცით, რომ ხელშეწყობის მიმართულებითაც გადავდგით ნაბიჯები. როგორც მეუბნებიან, კერძო ინვესტორმა დაიწყო მშენებლობა, გადაიხადა რამდენიმე მილიონი დოლარი ამ მიწაში. იცით, რომ აქ არის შავი ზღვის ყველაზე კარგი აკვატორია იმ გაგებით, რომ მთელ შავ ზღვისპირეთში ყველაზე ღრმა ნაწილია, აქ არის ყველაზე დიდი ჩაღრმავება. მართლაც, ოქრო ადგილი შავი ზღვის პორტის ასაშენებლად. არ ცდებოდნენ არც ბერძნები და არც თურქები, როდესაც ციხესიმაგრეები ააგეს. სავაჭრო პორტის შესაქმნელად ეს საუკეთესო ადგილია“.**

### ჭექა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე

**„ანაკლია-პორტის“ დამფუძნებლის, თემურ ქარჩავას, თქმით, სამუშაოები მიმდინარეობდა იმ ვადებში, რა ვადებშიც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. თითქოს არაფერი მოასწავებდა ავდარს, მაგრამ მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილი მაინც დაიწყო მიხეილ სააკაშვილის განცხადების შემდეგ ანაკლიაში ქალაქ ლაზიკისა და ლაზიკა-პორტის მშენებლობის შესახებ.** „ანაკლია-პორტის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე უცხო სამშენებლო ტექნიკა გამოჩნდა. პორტის აკვატორიაში რალაც წინაფრიანი ნაგებობის მშენებლობა დაიწყეს. დიდი გაჭირვებით მოახერხეს იმის გაგება, რომ ეს იქნებოდა იუსტიციის სახლი ლაზიკის მომავალი მოქალაქეებისთვის. ამ ნაგებობის მშენებლობა იქ დაიწყეს, სადაც დიდი ტვირთმზიდაობის ტანკერებს უნდა ემოძრავათ. ინვესტორებმა „ანაკლია-პორტის“ მშენებლობა შეაჩერეს მომხდარ ამბებში გარკვევამდე.

გარკვევა კი ვერ ხერხდებოდა. „ანაკლია-პორტის“ კითხვები უპასუხოდ რჩებოდა, ხოლო **მიმდინარე წლის ზაფხულში საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ცალმხრივად გააუქმა შპს „ანაკლია-პორტთან“ გაფორმებული შეთანხმება, ჩამოართვა მას ნაყიდი მიწის ნაკვეთი და ყველაფერთან ერთად სასამართლოშიც შეიტანა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა მისთვის საჯარიმო სანქციების დაკისრება 100 მილიონი დოლარის ოდენობით. რადგან „ანაკლია-პორტი“... ვერ ჩაეტია პორტის მშენებლობის გრაფიკში.**

„ჩვენ გვაჯარიმებენ ის ადამიანები, – ამბობს თემურ ქარჩავა, – **რომლებიც, პირდაპირი გაგებით, შემოიჭრნენ ჩვენს ტერიტორიაზე სამშენებლო ტექნიკით და მოგვაყენეს ჩვენ და მიაყენეს ქვეყანას განუზომელი ზარალი: დაბლოკეს მილიარდებიანი ინვესტიცია, არ შეიქმნება 15000 სამუშაო ადგილი. ერთი სიტყვით, ხელისუფლების ქმედებას მხოლოდ აბსურდის თეატრს თუ შეადარებ“.**

### ლაზიკა და „ლაზიკა-პორტი“ — ქალის ოცნება, იყოს ოცნების ქალი

იმის შესახებ, რისთვის გახდა უცებ საჭირო ლაზიკა და ლაზიკა-პორტი, ვარაუდი გამოთქვა ენერგეტიკის მინისტრმა, წარსულში ცნობილმა ქართველმა ფეხბურთელმა კახი კალაძემ. ის ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილს აფხაზეთის საზღვართან ნახევარმილიონიანი ცათამბჯენებიანი ქალაქის აშენებით სურდა აფხაზეთის თემის გადაფარვა. ამ ჩანაფიქრის მიხედვით, მზიანი, ზღვიანი, გრანდიოზული ქალაქ-კურორტის დანახვით აფხაზეთში მოსვენება და ძილი უნდა დაეკარგათ. აფხაზმა ჟურნალისტმა ახრა სმირმა მართლაც გამოთქვა ასეთი შეშფოთება: **„თუ ქართველები ააშენებენ თავის ქალაქ-ბაღნარს, გალატაკებული, მეჩხერად დასახლებული აფხაზეთი ორ საქალაქო აგლომერაციას შორის აღმოჩნდება... ერთი მხრიდან ლაზიკა, მეორედან – სოჭი... ჩვენ, უბრალოდ, დაგვგლეჯენ – ღატაკ, მოუვლელ ქვეყანაში, სადაც ნორმალური სერვისი არ არსებობს, ტურისტები არ ჩამოვლენ“.**

**თემურ ქარჩავა ვარაუდობს, რომ „ლაზიკა-პორტის“ იდეა საქართველოს პრეზიდენტისთვის შეიძლება მიეწოდებინა იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილს, რომლის გარეშე საქართველოში არც ერთი მსხვილი პროექტი არ ხორციელდებოდა, პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს ან სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ზაზა გოროზიას.** ამ სამეულს შეეძლო დაერწმუნებინა მიხეილ სააკაშვილი, რომ „ლაზიკა-პორტის“ მშენებლობაზე საბიუჯეტო თანხების დახარჯვა აჯობებდა კერძო ინვესტორების შემოსვლას. და ოცნების ქალაქის მშენებლობაზე უკვე ხაზინიდან ამოჩნდა და გახარჯული მილიონობით დოლარი. ედუარდ სევრუსის პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, **ლაზიკასა და „ლაზიკა-პორტზე“ ოცნება გახდა იმ ქალის ოცნება, რომელიც ოცნებობს, იყოს ოცნების ქალი.**

### სიმართლეს ვერსად დაემალები!

სამწუხაროდ, მოვლენები განვითარდა „ძალა აღმართს ხნავსო“ ანდაზის მიხედვით, **თუმცა „ანაკლია-პორტის“ გუნდს ხელები არ ჩამოუშვია, მუშაობას აგრძელებდა და იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან** სიმართლე გაიმარჯვებდა.

**„ანაკლია-პორტმა“ 5,5 მილიარდი დოლარის ინვესტიციის მოზიდვის შესახებ უმნიშვნელოვანესი კონტრაქტი გააფორმა კორეულ კომპანიასთან GILTZ FINANCIAL HOLDINGS AG. კომპანია SAMSUNG-მა გამოთქვა მზადყოფნა პორტის მშენებლობაში 700 მილიონი დოლარის ჩადების შესახებ. „ექსიმბანკი“ (EX-IM BANK) – აშშ-ის სახელმწიფო დაწესებულება, მზადაა, გამოყოს 2 მილიარდი დოლარის კრედიტი საპორტო აღჭურვილობის შესაძენად ამერიკაში.**

**DP WORLD FZE თანახმაა, გახდეს პორტის ოპერატორი. ეს არის ტვირთბრუნვის მოცულობის მიხედვით მსოფლიოში საპორტო ტერმინალების ოპერატორებს შორის მესამე ოპერატორი HUTCHINSON WHAMPOA-სა (ჰონგ-კონგი) და PSA-ს (სინგაპური) შემდეგ. DP WORLD მართავს 60-ზე მეტ პორტს ექვს კონტინენტზე.**

ბრიტანული კომპანია Ernst & Young-ის შეფასებით, რომელიც მსოფლიოს აუდიტორული კომპანიების „დიდ ოთხეულში“ შედის, დღეს შპს „ანაკლია-პორტის“ აქტივები 2 მილიარდ დოლარს შეადგენს.

**„ანაკლიის პორტი უნივერსალური გახდება,** – ამბობს თემურ ქარჩავა. – **გაჩნდება საშუალება, საქართველოს ახალი საზღვაო ჭიშკრის გავლით გადაიზიდოს საკონტეინერო ტვირთები, გროვები (მადანი, სასარგებლო წიაღისეული და სხვ.), ლითონები და ლითონნაკეთობანი, მარცვლეული, კვების პროდუქტები და მალფუჭებადი ტვირთები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ქიმიური ტვირთები, ღვინო და მინერალური წყლები, ბამბა, ნავთობი, ნავთობპროდუქტები და გაზი.**

**იმავე დროს სოფელ ხორგასთან, მდინარე ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე გაჩნდება საერთაშორისო აეროპორტი ოთხი სატვირთო და ორი სამგზავრო ტერმინალით. სატვირთო-სატრანსპორტო კვანძის ტერიტორიასთან მიყვანილი იქნება ოთხზოლიანი საავტომობილო გზა და ორლიანდაგიანი რკინიგზა, აშენდება ტვირთების დახარისხების სადგური და ვაგონების ტექნიკური მომსახურების ცენტრი. გაჩნდება ახალი თანამედროვე დასახლება, სადაც იქნება სავაჭრო ცენტრი, კაფე, სპორტული მოედნები და დასასვენებელი ადგილები, საავადმყოფო, სკოლა, საბავშვო ბაღი...“**

**„ცხოვრებაში იმაზე დიდი მიზანი არ გამაჩნია,** – თქვა თემურ ქარჩავამ, – **რომ ვნახო ჩემი თანამემამულეების ბედნიერი სახეები, რომელთაც ექნებათ სტაბილური მომავალი: ექნებათ სამსახური, ექნებათ დასვენების, ქორწინების, ბავშვებისთვის განათლების მიცემის საშუალება“.**

### როტერდამი, სინგაპური, შანხაი და ანაკლია

**...დღეს ზუგდიდის საქალაქო სასამართლოში, რომელსაც ტერიტორიულად მიეკუთვნება ანაკლია, მიმდინარეობს სასამართლო საქმის განხილვა. დავა მიმდინარეობს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „ანაკლია-პორტს“ შორის. პორტის მშენებლებს იმედი აქვთ, რომ გაუქმდება უკანონო საჯარიმო სანქციები შპს „ანაკლია-პორტის“ მიმართ და უკანონოდ ჩამორთმეული 2100 ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაუბრუნდება მის ჭეშმარიტ მფლობელს – „ანაკლია-პორტს“.** ეს მათ საშუალებას მისცემს, გააგრძელონ „საუკუნის პროექტი“ – ანაკლიაში პორტის მშენებლობა, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოს ისეთ უდიდეს პორტებს, როგორებიცაა როტერდამის, სინგაპურის, შანხაის პორტები.

**„გვახარებს და იმედს გვაძლევს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის, განცხადება, რომელიც მან გასულ შაბათს გაავრცელა,** – აღნიშნა თემურ ქარჩავამ. – **ბატონმა მინისტრმა ბრძანა, რომ ახალი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი იქნება ბიზნესის ხელშეუხებლობა და მისი განვითარებისთვის მაქსიმალურად კომფორტული პირობების შექმნა“.**

**ბესიკ ფიფია,**
ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი

**„ნებისმიერი ხელისუფლება თავად უნდა მოერგოს ქვეყნის ძირითად კანონს, არ უნდა ცდილობდეს და ვერც უნდა ახერხებდეს კონსტიტუციის საკუთარ სურვილებზე მორგებას.“**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვახტანგ ხმალაძე:

# აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსები უნდა განისაზღვროს ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხთან შეთანხმებით და არა ცალმხრივად, თუნდაც ჩვენ მიერ

**ხელისუფლება არც უნდა ცდილობდეს და ვერც უნდა ახერხებდეს კონსტიტუციის საკუთარ სურვილებზე მორგებას. აშშ-ის კონსტიტუციაში 225 წლის განმავლობაში მხოლოდ 27 ცვლილებაა შეტანილი. საქართველოს კონსტიტუციაში კი 1995 წლის 24 აგვისტოდან დღემდე — ოცდაცხრა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყნის ძირითად კანონში დაახლოებით 25-მდე ცვლილება განხორციელდა. განსაკუთრებული რეაქცია ბოლო დროს გატარებულ ორ ცვლილებას მოჰყვა — ერთი ევროკავშირის მოქალაქეებისთვის საარჩევნო უფლებამოსილების მინიჭებას და მეორე ქალაქ ლაზიკის დაარსებას შეეხება და კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრების ცვლილებასაც ითვალისწინებს. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში კონსტიტუციის ახალი რედაქცია ამოქმედდება. „საქართველო და მსოფლიოს“ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე ესაუბრება.**



— ხშირი საკონსტიტუციო ცვლილებები არ შეიძლება. კონსტიტუცია უნდა იყოს სტაბილური. მასში ცვლილება უნდა შედიოდეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. **ნებისმიერი ხელისუფლება თავად უნდა მოერგოს ქვეყნის ძირითად კანონს, არ უნდა ცდილობდეს და ვერც უნდა ახერხებდეს კონსტიტუციის საკუთარ სურვილებზე მორგებას.**

**— პოლიტიკური კრიზისების დასაძლევად რამდენად არის გათვალისწინებული?**

— კრიზისების წარმოქმნის თვალსაზრისით, საპარლამენტო რესპუბლიკის სისტემა ყველაზე დაბალი რისკების შემცველია. თუ მაინც წარმოიქმნა პოლიტიკური კრიზისი, სიტუაციიდან გამოსვლა ყველაზე ნაკლები დანაკარგებით არის შესაძლებელი. **იმ ცვლილებებში, რომლებიც ძალაში ერთი წლის შემდეგ უნდა შევიდეს, ხელისუფლების განაწილების პრინციპი სრულად არ არის დაბალანსებული. ურთიერთკონტროლის გაწონასწორების მექანიზმები არ არის საკმარისი, ამიტომ ეს ცვლილებებიც არსებითად შესასწორებელია.** სწორედ ეს არის რთული, ეს სირთულე იწვევს იმ დისბალანსს, რომელიც პარლამენტსა და მთავრობას შორის უნდა იყოს დაცული.

**— ვინ უნდა ირჩევდეს პრეზიდენტს?**

— საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელში პრეზიდენტის პირდაპირი არჩევა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში ხდება. ეს განპირობებულია იმით, რომ, კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის ხელში არ არის აღმასრულებელი ხელისუფლება. პირდაპირი წესით არჩეულ პრეზიდენტს, შესაძლოა, ძალაუფლების გაზრდის ამბიცია გაუჩნდეს. პროგრამაში ამიტომ გვიწერია, რომ **პრეზიდენტი უნდა ირჩეოდეს პარლამენტის ან მომავალში რეფორმებისგან შექმნილი რეგიონული წარმომადგენლობითი ორგანოების წარმომადგენლების მიერ, როგორც ეს ხდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.**

**— განათლების მინისტრის მოადგილის, დავით ზურაბიშვილის, განცხადებით, განათლების სამინისტროს სტუქტურაში არ უნდა არსებობდეს კონსტიტუციის შემსწავლელი ცენტრი. თქვენი აზრით, ასეთი ცენტრის არსებობა განათლების სამინისტროს ბაზაზე მიზანშეწონილია?**

— რამდენადაც მახსოვს, ამ ცენტრს ჰქვია კონსტიტუციონალიზმის შესწავლის ცენტრი. ასეთი რამ შეიძლება არსებობდეს განათლების, მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, ასევე უნივერსიტეტში. გააჩნია, ვინ, რას და სად მიიჩნევს საჭიროდ. ჩემი აზრით, ასეთი ცენტრები მიზანშეწონილია, რომ სამეცნიერო საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობდეს, რომელიმე კვლევით ინსტიტუტში რომ იყოს, ძალიან კარგი იქნება.

**— როგორც ცნობილია, ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჯერ ჩამოართვეს, შემდეგ კი აღუდგინეს. საქართველოს კონსტიტუციაში კი წერია, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია....**

— **პირი საქართველოს მოქალაქე შეიძლება გახდეს დაბადებით და ნატურალიზაციით.** მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემები უკანონოდ შეექმნა. აქ არ არის ლაპარაკი მოქალაქეობის ჩამორთმევაზე. ამ შემთხვევას კანონი განსაზღვრავს. **საქართველოს მოქალაქემ თუ უნდა მიიღოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, მაშინ იგი ავტომატურად კარგავს საქართველოს მოქალაქეობას. ამ შემთხვევაში გამოიცემა პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე. კონსტიტუცია და კანონი კრძალავს, რომ საქართველოს მოქალაქე, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. კონსტიტუცია, უშვებს გამონაკლისს. პრეზიდენტს უფლება აქვს, სხვა ქვეყნის მოქალაქეებს მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა, ანუ პირი ერთდროულად შეიძლება იყოს ორი ან მეტი ქვეყნის მოქალაქე. სწორედ ამის გამო მისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა მოხდა იმ საფუძვლით, რომ მან საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემდეგ მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა, ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და კანონს, მაგრამ ივანიშვილს უკვე ჰქონდა რუსეთის, შემდეგ კი საქართველოს მოქალაქეობა. ამის მერე გინდა საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო და გინდა — ვენესუელის.**

**ამას არ უნდა გამოეწვია მოქალაქეობის შეწყვეტა.** სრულიად ცხადია, რომ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური მოტივით იყო მიღებული. პრეზიდენტმა ამ მოქმედების გასამართლებლად გამოიყენა კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა და კანონი. ნორმების ინტერპრეტაცია მოხდა არა ობიექტურად, არამედ მიკერძოებულად.

**— რადგან ბიძინა ივანიშვილზე ვსაუბრობთ, მის განცხადებაზე მინდა გკითხოთ: მან არაერთი მედიასაშუალებით განაცხადა, რომ მაქსიმუმ ორ წელიწადში პოლიტიკიდან წავა. ამან საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. მოქალაქეებს, რომლებმაც „ქართულ ოცნებას“ დაუჭირეს მხარი, აინტერესებთ, კონსტიტუციურად რამდენად გამართლებულია ეს გადაწყვეტილება.**

— **პრემიერ-მინისტრად ივანიშვილი მოქალაქეებს არ აურჩევიათ, პარლამენტის თანხმობით დაინიშნა პრეზიდენტის მიერ.**

**— გასაგებია, მაგრამ უმრავლესობა, რომელიც პარლამენტში დღეს გვყავს წარმოდგენილი, სწორედ ივანიშვილის გამო აირჩია ხალხმა....**

— აქ კონსტიტუცია არაფერ შუაშია. კონსტიტუცია არავის უკრძალავს მთავრობიდან გადადგომას. პრეზიდენტს, პარლამენტს, პრემიერ-მინისტრს, მინისტრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგნენ თანანმდებობებიდან. ეს არის მათი უფლება და ამას არაფერი კრძალავს. ასე რომ, **კანონის თვალსაზრისით, ნებისმიერ პირს, მათ შორის ბიძინა ივანიშვილს, უფლება აქვს, როცა მიზანშეწონილად მიიჩნევს, გადადგეს თანამდებობიდან. აქ არანაირი კონსტიტუციური წინააღმდეგობა არ არის.**

**— წლების განმავლობაში სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკურ ნებაზე იყო დამოკიდებული. კონსტიტუციის ახალ რედაქციაში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისთვის რა ცვლილებებია გათვალისწინებული?**

— კონსტიტუციით, სასამართლო დღესაც არის დამოუკიდებელი. კონსტიტუციისა და კანონის თვალსაზრისით, სასამართლოს დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად ახალს ვერაფერს მოიგონებ. პრობლემაა ის, რომ ქვეყნის ხელისუფლება თავს უფლებას აძლევდა, ზემოქმედება მოეხდინა სასამართლოზე. დაუმორჩილებელ მოსამართლეებს კი უკანონო მეთოდებით უსწორდებოდა. ეს ვითარება ამან გამოიწვია. **ჩვენმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სასამართლო საქმიანობაში არ ჩაერევა. ეს არის პოლიტიკური ნება. კანონით და კონსტიტუციით შესაძლებელია დაიხვეწოს, გაუმჯობესდეს სასამართლო სისტემა. დასახვეწია მოსამართლეთა შერჩევის წესი, უნდა იყოს დაწესებული უფრო მკაცრი კრიტერიუმები. წინსვლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს კარიერის პრინციპი, მათი პროფესიული ცოდნის დონე. რაც შეიძლება უნდა გავაუმჯობესოთ მოსამართლეთა კორპუსი, უფრო მომზადებული და პრინციპულები რომ იყვნენ. მათი დამოუკიდებლობისთვის აუცილებელია სასამართლო საქმიანობაში ჩაურევლობის პოლიტიკური ნება.** შემდეგ, როდესაც ქვეყანაში შეიქმნება ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, სწორედ საზოგადოება იქნება სასამარლოს დამოუკიდებლობის გარანტი, რადგან **ეს საზოგადოება ხელისუფლებას არ აპატიებს სასამართლოს საქმეებში ჩარევას**. რაც შეეხება დღევანდელ ეტაპს, ვამბობთ, რომ არ ჩავერევით, დანარჩენს უკვე საქმე აჩვენებს.

**— 2007 წელს, როდესაც სასამარლო დარბაზში ვიდეოგადაღება აიკრძალა, ამან გარკვეული კრიტიკა გამოიწვია. ამ გადაწყვეტილებას როგორ შეაფასებთ, ამ მიმართულებით თუ აპირებთ ცვლილებას?**

— სასამარლო სხდომების ღიაობა არ შელახულა. მედიასაშუალებებს აეკრძალათ ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა. ამით ზიანი მიადგა ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შესაძლებლობას. ამის მიზეზი იყო ის, რომ ჩაწერები ხელს უშლიდა სასამართლოს საქმიანობას. ამავე დროს, იყო შეპირება, რომ ყველა სხდომა იქნებოდა სასამართლოს მიერ გადაღებული და ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ექნებოდა, გადაეღო ასლი. ეს პირობა არ შესრულებულა. **იმისათვის, რომ ინფორმაცია იყოს ადვილად ხელმისაწვდომი, მოხდეს სასამართლო პროცესის გაანალიზება, დარბაზში გადაღება არ უნდა აიკრძალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჩანაწერების გაკეთება.**

**— ბატონო ვახტანგ, ახალი კონსტიტუციით, როგორი იქნება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის მოდელი? განსაკუთრებული სტატუსის რამდენი ერთეული გვექნება?**

— ამაზე პასუხი ჯერ საკონსტიტუციო კომისიამ, შემდეგ კი, კონსტიტუციურ ცვლილებებს რომ მიიღებს, პარლამენტმა უნდა გასცეს. ერთი რამ შემიძლია ვთქვა: განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეს აფხაზეთს. ცხინვალის რეგიონის სტატუსი კი იქნება სადისკუსიო თემა (უნდა ჰქონდეს სხვებისგან განსხვავებული, მაგრამ არ შეიძლება იყოს ისეთივე, როგორიც ექნება აფხაზეთს). ჩემი აზრით, **აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსები უნდა განისაზღვროს ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხთან შეთანხმებით და არა ცალმხრივად, თუნდაც ჩვენ მიერ.** კონსტიტუციაში სტატუსი უნდა ჩაიწეროს არა ახლა, არამედ — როდესაც ამის შესაძლებლობა იქნება. მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი არანაირად არ მოგვცემს ამ რეგიონების დაბრუნების შესაძლებლობას. როგორი პირობით მოხდება ეს დაბრუნება და როდის გახდება შესაძლებელი, ამაზე პასუხის გაცემა, უბრალოდ, შეუძლებელია.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ სტატუსის განსაზღვრა ხალხთან შეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს; ასეთ შემთხვევაში ხომ არ არსებობს საფრთხე, რომ სხვა სახელმწიფომ მოახდინოს მათზე გავლენა?**

— ასეთი რამ შეიძლება ყოველთვის მოხდეს. უნდა შევეცადოთ, რომ ჩვენი გავლენა იყოს მეტი, ხოლო ამ შემთხვევაში — რუსეთის გავლენა განეიტრალებული. ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად მოვახერხებთ ამის გაკეთებას.

ესაუბრა
**ანა ქევხიშვილი**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2007 წლის 18 მაისის მერიის ბრძანებულებით, შპს „სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი N6“-ის კაპიტალი შეადგენდა 3 162 390 ლარს. აუქციონზე კი ქონება 1 250 000 ლარად გაიყიდა.**

# ბიძინა ივანიშვილმა ეს უნდა იცოდეს...

**«საქართველო და მსოფლიოს» ჟურნალისტური გამოძიება**

**ბავშვთა მე-10 პოლიკლინიკის გასაფართოებლად მერიამ ყაზბეგის №14-ბ-სა და მიცკევიჩის ქუჩას შორის ფართი გამოყო. საძირკველი საზეიმო ვითარებაში 1991 წლის 1 ივნისს გაიჭრა. დასრულებული შენობა ბავშვთა მე-10 პოლიკლინიკის კოლექტივს არ გადასცემია. ,,საქართველო და მსოფლიო“ ამ შენობის ბედით დაინტერესდა. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებიდან ირკვევა, რომ მიცკევიჩის №29-ში მდებარეობს შპს ,,ჯანმრთელობის ცენტრი“, რომელიც 1998 წლის დეკემბერში არის დარეგისტრირებული. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი კი ლალი გუჯაბიძეა. ცნობისთვის: ლალი გუჯაბიძე სააკაშვილის ხელისუფლების დროინდელი იუსტიციის ყოფილი მინისტრის და კახი კალაძის მოადგილეობიდან საზოგადოების ზეწოლის შედეგად ახლახან გადამდგარი გია ქავთარაძის დედაა.**

# საბოტაჟის ფარმაკოდინამიკა და «აბი კურტანიძე»

## საბოტაჟის მცდელობა თუ...

**გასულ კვირას გამრეკელის №19-ში მდებარე პოლიკლინიკის — შპს „მედკაპიტალის“ ექიმები გაიფიცნენ. მიზეზად ხელმძღვანელობის მიერ ქირურგ რევაზ ბედიას სამსახურიდან გათავისუფლებას ასახელებენ.**

რევაზ ბედიამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ მისი განთავისუფლება პოლიტიკური მიზეზით მოხდა. იგი აპროტესტებდა **„სამკურნალო დიაგნოსტიკურ ცენტრ N6“-ის „მედკაპიტალის“ საკუთრებაში გადასვლას. მისი თქმით, ამ უკანასკნელმა არაკანონიერად შეიძინა „სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრ N6“-ის უძრავ-მოძრავი ქონება.**

ექიმები აღნიშნავენ, რომ პრობლემა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ზეწოლა არჩენების შემდეგ გაძლიერდა. მათი თქმით, ადგილი აქვს მერიის მაღალჩინოსნების მხრიდან საბოტაჟის მცდელობას:

**„გაფიცულ ექიმებს დედაქალაქში მიმდინარე საპროტესტო აქციაზე წასვლისკენ მოგვიწოდეს. სიტუაციის წარმოჩენა სხვაგვარად სურთ. კურტანიძემ საჯაროდ განაცხადა, „ნაციონალებს“ ვაფინანსებდიო, ესე იგი იყო რაღაც კორუფციული შეთანხმება, აფინანსებდა და მას მონოპოლიურ მდგომარეობაში ყოფნის საშუალებას აძლევდნენ. ბიძინა ივანიშვილმა პაატა კურტანიძეს თითი დაუქნია და მონოპოლისტურ სამსახურებს შეკავება დაუწყო. სწორედ ამიტომ გაძლიერდა ზეწოლა ექიმებზე, ცდილობენ, ჩვენი საპროტესტო განწყობა ახალი ხელისუფლებისკენ მიმართულ უკმაყოფილებად წარმოაჩინონ. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ახალ ხელისუფლებასთან პრობლემა არ გვაქვს“, — აცხადებენ ექიმები.**

მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, ადგილი აქვს სხადასხვა დაწესებულების თანამშრომელთა მასობრივ უკმაყოფილებას. **სპეციალისტების აზრით, ამ მდგომარეობას გარკვეული ძალები სპეციალურად ქმნიან, რათა ახალი ხელისუფლება უმოქმედობაში დაადანაშაულონ.**

## პოლტერგეისტი, ანუ გასხვისებული ფართები

„სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი N 6“ 2007 წელს სამი პოლიკლინიკის შერწყმის შედეგად შეიქმნა. ეს პოლიკლინიკებია: ბავშვთა მე-10, მე-18 და მოზრდილთა მე-8 დაწესებულება. „სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი N 6“ გამრეკელის №19-ში მდებარე ფართში შევიდა. ეს შენობა მერიამ მე-8 მოზრდილთა პოლიკლინიკას ძველი ფართის სანაცვლოდ გამოუყო. ბავშვთა მე-10 და მე-18 პოლიკლინიკების ფართები მერიამ შემდეგში 1 კვმ 7 000-9 000 აშშ დოლარად გაყიდა.

აქ საგულისხმოა ერთი ფაქტი: **ბავშვთა მე-10 პოლიკლინიკის გასაფართოებლად მერიამ ყაზბეგის №14-ბ-სა და მიცკევიჩის ქუჩას შორის ფართი გამოყო. როგორც უკვე გითხარით საძირკველი საზეიმო ვითარებაში 1991 წლის 1 ივნისს გაიჭრა. დასრულებული შენობა კი ბავშვთა მე-10 პოლიკლინიკის კოლექტივს არ გადასცემია. „საქართველო და მსოფლიომ“ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში გაარკვია, რომ მიცკევიჩის №29-ში მდებარეობს შპს „ჯანმრთელობის ცენტრი“, რომელიც 1998 წლის დეკემბერში არის დარეგისტრირებული. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი კი კახი კალაძის მოადგილეობიდან საზოგადოების ზეწოლის შედეგად გადამდგარი გია ქავთარაძის დედა ლალი გუჯაბიძეა. ცნობისთვის: ლალი გუჯაბიძე იუსტიციის ყოფილი მინისტრის, გია ქავთარაძის, დედაა. 1998 წლის თებერვლიდან (ანუ მაშინ, როდესაც შენობის გუჯაბიძეზე რეგისტრაცია მოხდა) გია ქავთარაძე იუსტიციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კოორდინატორია, იმავე წლის ოქტომბრიდან კი — საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი. ლალი გუჯაბიძე შპს „ჯანმრთელობის ცენტრში“ 54-პროცენტიანი წილის მფლობელია. ამავე დროს შენობაში იჯარით ათამდე შპს სარგებლობს.**

**ზაზა ჯაფარიძე:**

**რაც შეეხება მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალს, ასპროცენტიანი აბსურდია. ექიმებისთვის არავის დაუძალებია ასეთი რამ. არ შეიძლება ექიმს მიუთითო, რომ მაინც და მაინც კონკრეტული წამალი გამოწეროს და არა სხვა“**


ავერსი-რაციონალი | დოკუმენტის №შფ.02.104/02 | AVERSI-RATIONAL

მედიკამენტების მონიტორინგის აღრიცხვის ფურცელი

ქალაქი ____________
სამედიცინო დაწესებულება ____________

ექიმის გვარი, სახელი ____________

| № | პაციენტის სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი | ასაკი | დიაგნოზი | დანიშნულება / დოზა | შედეგი | | | | გვერდითი მოვლენები | | | | | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ძალიან კმაყოფილი | კმაყოფილი | უკმაყოფილო | უცნობია | გვერდითი მოვლენის სახეობა | არ არის | არის მსუბუქი | არის | ჯერ უცნობია | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | |

შევსების წესი: გთხოვთ მიუთითოთ წამლის დოზა და ფორმა (ტაბლეტი, შუშხუნა ტაბლეტი, სიროფი, სუსპენზია, საინექციო ფხვნილი და ა.შ.).

„საქართველო და მსოფლიოს“ მიერ მოპოვებული „ავერსის“ მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალის ასლი

## კლინიკის გასხვისების ისტორია

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2011 წლის 12 აგვისტოს (მერიის 8 აგვისტოს ბრძანებულებით) პოლიკლინიკის კოლექტივს სამედიცინო საქმიანობის შესასრულებლად შენობა 5 წლის ვადით უსასყიდლო სარგებლობის პირობით (უზურფრუქტი) გადაეცა.

2011 წლის 15 აგვისტოს თბილისის მერიამ აუქციონი ჩაატარა. ექიმების თქმით, მათთვის აუქციონის შესახებ არავის უცნობებია. **2011 წლის 31 აგვისტოს შპს „სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრ N 6“-ის ქონება შპს „მედკაპიტალმა“ შეიძინა. აუქციონის ერთადერთი მოთხოვნით, გამარჯვებული კომპანია ვალდებული იყო, აღნიშნულ მისამართზე პროფილის შენარჩუნებით 5 წლის ვადით მომსახურებოდა პაციენტებს.**

**2012 წლის 15 მარტს კი შპს „სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრ N 6“-ის დირექტორსა და შპს „მედკაპიტალს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელშიც უსასყიდლო სარგებლობის პირობა შეიცვალა სასყიდლიანით** (სასყიდლიანი უზურფრუქტი). პერსონალის განცხადებით, არც ამის შესახებ უცნობებიათ მათთვის და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მათი შევიწროება. გაზარდეს მომსახურების საფასური, ექიმებს კი ხელფასები შეუმცირეს.

**2007 წლის 18 მაისის მერიის ბრძანებულებით, შპს „სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრ N6“-ის კაპიტალი შეადგენდა 3 162 390 ლარს. აუქციონზე კი ქონება 1 250 000 ლარად გაიყიდა.**

**ქეთევან უტიაშვილი, ადვოკატი:**

— ჯერ კიდევ 2007 წლის 18 მაისიდან საწესდებო კაპიტალი 3 162 390 ლარს შეადგენდა. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ **კლინიკას ჰქონდა საკმარისი რესურსი,** შესაბამისად, ბიუჯეტში გარკვეული თანხები შეჰქონდა. ჩემთვის ცნობილია, რომ **კლინიკას დღეში დაახლოებით 6 ათასი ლარის შემოსავალი აქვს**. ამ დროს მისი მფლობელები აცხადებენ, რომ პოლიკლინიკას, შემოსავლის თვალსაზრისით, არასახარბიელო მდგომარეობა აქვსო. სწორედ ამას ასახელებენ გასხვისების მიზეზად. კლინიკაში მომსახურების საფასური და პაციენტთა რაოდენობა მაღალია, რაც თავისთავად მის მაღალშემოსავლიანობაზე მიუთითებს, სახელმწიფოს მხრიდან უსასყიდლო უზურფრუქტით დაიტვირთა და რამდენიმე დღეში მოხდა ქონების გასხვისება. აღსანიშნავია, რომ **პოლიკლინიკა გაიყიდა მიზერულ ფასად — 1 250 000 ლარად. გაყიდვის შემდეგ აუცილებელი მოთხოვნა ხუთი წლის ვადით პროფილის შენარჩუნება იყო.**

**— ეს პირობა სრულდება?**

— ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია, რომ 21 ათასი პაციენტი, ფაქტობრივად, გადავიდა სხვა პოლიკლინიკაში. „ავერსისა“ და „არქიმედეს“ კლინიკებს შორის დაპირისპირებისა თუ შეთანხმების საფუძველზე, ისინი უფასო მომსახურებით ვერ სარგებლობენ. ამ ორი კომპანიის ურთიერთობა, ჩემის აზრით, არის მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება მონოპოლია ვუწოდოთ. **21 ათას ადამიანს კონკრეტულ პოლიკლინიკაში უნდა მიეღო უფასო მომსახურება. გადამისამართების შემდეგ, თუ მაინც „მედკაპიტალში“ უნდოდათ მომსახურება, საფასურს იხდიდნენ. ეს არ არის ნორმალური სიტუაცია, რადგან, პაციენტებისა და ექიმების ინტერესებს კი არა, კონკრეტული ბიზნესის მოგების გაზრდას ემსახურება.** ფაქტობრივად, პირველადი ჯანდაცვის სისტემა 21 000 ადამიანისთვის არ მოქმედებს. გამოდის, რომ პოლიკლინიკა პროფილით ვერ ახორციელებს მუშაობას.

**— კლინიკა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება იყო. თანამშრომლებს უფლება ჰქონდათ, სცოდნოდათ, რომ ეს ქონება იყიდება?**

— თავდაპირველად, როდესაც უსასყიდლოდ სარგებლობის პირობა შეიცვალა სასყიდლიანით და რამდენიმე დღეში აუქციონზე გავიდა შპს, თანამშრომლებს ამის ცოდნის უფლება კანონით ჰქონდათ. უსასყიდლო უზურფრუქტის გაუქმება და აუქციონზე გაყიდვა რამდენად კანონიერად მოხდა, ამას გამოძიება დაადგენს. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

**— რამდენად კანონიერად მოხდა ერთი-ერთი ექიმის, რევაზ ბედიას, გათავისუფლება?**

— რევაზ ბედია გათავისუფლებამდე ერთი დღით ადრე იყო ჩემთან. მან კანონმდებლობით გათვალისწინებული ხერხით დაიცვა საკუთარი უფლება — ბიძინა ივანიშვილსა და თეა წულუკიანს განცხადებით მიმართა და ამის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან. ცხადია, ბრძანებაში ამას არავინ ჩაწერდა. ჩემი ინფორმაციით, იგი პროფესიულ საქმიანობაში ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელია. მათ კი ბრალად დასდეს, რომ **იმ პერიოდში თითქოს მან დაარღვია შინაგანაწესი. მას ჰქონდა ჯანსაღი პროტესტის გამოხატვის უფლება, რადგან ყველაზე დიდი თანხა აქვს შეტანილი პოლიკლინიკაში, რაც გამორიცხავს შინაგანაწესის დარღვევას. არ შეიძლება 130 ადამიანი იყოს მტყუანი და ერთი კონკრეტული ადამიანი მართალი.** შრომის კანონმდებლობით, დასაქმებულები დამსაქმებლის პანღურს არიან შეჩ- ▶

# ამ პოლიკლინიკების გასხვისება მოხდა იმისთვის, რომ ზემოაღნიშნულ აფთიაქებს უფრო მეტი პრეპარატი გაეყიდათ, სააფთიაქო ქსელი მიბმულიყო კონკრეტულ სამედიცინო დაწესებულებაზე

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვეულნი. ჩვენ ვიცით, შრომის კანონმდებლობით როგორ შეზუდულია დასაქმებულის უფლებები. სწორედ ამ შეზღუდული უფლებების შეზღუდვაც ხდება. ეს სავალალო მდგომარეობაა. იმედი მაქვს პირები, რომლებსაც ამ საკითხების გარკვევა ხელეწიფებათ, დაინტერესდებიან და გაარკვევენ, როგორ და რატომ გაიყიდა პოლიკლინიკა, ხომ არ მოხდა მისი მიზანმიმართულად კონკრეტული პიროვნებების ხელში გადაცემა და ა. შ.

**— როგორც ცნობილია, ექიმებს მედიკამენტების მონიტორინგის ჟურნალები დაურიგეს......**

— მედიკამენტების მონიტორინგის ჟურნალი ამძაფრებს განცდას, რომ კონკრეტული პოლიკლინიკები ბიზნესის გასაკეთებლად გაიყიდა. პოლიკლინიკები შეიძინა „ავერსისა“ და „პსპ“-ს შექმნილმა კომპანიამ. **გარკვეული პერიოდი გავიდა, რაც „ავერსმა“ ექიმებს გადასცა სპეციალური ბარათები, გახსნილია მედიკამენტების მონიტორინგის ჟურნალი „ავერსი – რაციონალი“. ეს ადასტურებს, რომ ექიმებზე ხორციელდება კონტროლი, აღნიშნული სააფთიაქო ქსელის მედიკამენტების დანიშვნასთან დაკავშირებით.**

ეს ფაქტიც ადასტურებს ეჭვს, რომ ამ პოლიკლინიკების გასხვისება მოხდა იმისთვის, რომ ზემოაღნიშნულ აფთიაქებს უფრო მეტი პრეპარატი გაეყიდათ, სააფთიაქო ქსელი მიბმულიყო კონკრეტულ სამედიცინო დაწესებულებაზე.

ექიმს უფლება აქვს, რომელ პრეპარატსაც ჩათვლის საჭიროდ, ის დაუნიშნოს პაციენტს. ამიტომ ექიმები მეტ-ნაკლებად არ ემორჩილებიან ამ წესს, რის გამოც მუდმივი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან.

**ზაზა ჯაფარიძე — შპს „მედკაპიტალის“ გენერალური დირექტორი:**

„კლინიკის პროფილის შეცვლა არ იგეგმება. ასევე არ იგეგმება მომუშავე პერსონალის შეცვლა და შემცირება. 600-კაციან კოლექტივში თითო შემთხვევა, რა თქმა უნდა, იქნება. ტოტალურ გათავისუფლებაზე საუბარი არ ყოფილა, ცალკეული შემთხვევები კი იყო, მაგრამ ამას მასიური ხასიათი არ ექნება. სადაზღვევო პროგრამებიდან მუშაობს „პსპ“-სა და „ალფა“-ს დაზღვევა, ხოლო, რაც შეეხება „არქიმედეს“, მან არ გაგვიფორმა ხელშეკრულება. შესაბამისად, ის ბენეფიციარები, რომლებიც „არქიმედე გლობალ ჯორჯიას“ დაზღვევით სარგებლობდნენ, მათ ბალანსზე გადავიდნენ.

რაც შეეხება მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალს, ასპროცენტიანი აფსურდია. ექიმებისთვის არავის დაუძალებია ასეთი რამ. არ შეიძლება ექიმს მიუთითო, რომ მაინც და მაინც კონკრეტული წამალი გამოწეროს და არა სხვა“.

## მონოპოლიის კლანჭებში

მიმდინარე წლის მაისში ბიზნესმენებისთვის გამართულ შეხვედრაზე „ავერსის“ დამფუძნებელი პაატა კურტანიძე და ბიძინა ივანიშვილი მონოპოლიზაციის თემაზე საუბრისას შეკამათდნენ. „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენის საკითხი წამოჭრა. პაატა კურტანიძეს კი სიტყვა შეაწყვეტინა. იგი ფარმაცევტულ სფეროში მონოპოლიების არსებობას უარყოფდა. **„მონოპოლიებზე საუბარმა ბევრჯერ გაიჟღერა. კონკრეტულად, ფარმაცევტულ სფეროზე და ამიტომ თავს ვალდებულად მივიჩნევ, ჩემი მოსაზრება ვთქვა. ფარმაცევტულ სფეროში, არც ერთ კომპანიას და არც ერთ პიროვნებას არასდროს გვქონია შეზღუდვა მედიკამენტების იმპორტში ან აფთიაქის გახსნაში“**, — დარწმუნებით განაცხადა პაატა კურტანიძემ. კოალიციის ლიდერმა კი მას საჩხერის საავადმყოფოსთან დაკავშირებით კონკრეტული მაგალითი მოუყვანა, დიდი მცდელობის მიუხედავად, თუ როგორ ვერ მოახერხა საავადმყოფოსთვის მედიკამენტების შემოტანა.

არჩევნების შემდეგ პაატა კურტანიძე სხვანაირად ალაპარაკდა. „მაესტროს“ ეთერში განაცხადა: **„ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა აუცილებელია. ზუსტად უნდა განისაზღვროს მონოპოლისტის განსაზღვრის კრიტერიუმი. შემდეგ კი, თუ რომელი კომპანიები არიან მონოპოლისტები. ასე რომ, მივესალმები ბატონ ბიძინას განცხადებას. მე არასდროს დამირღვევია კანონი. ყველა ხელისუფლების დროს მიწევდა იმის მტკიცება, რომ მონოპოლისტი არ ვარ. რა კანონიც იქნება, იმის მიხედვით ვიმუშავებთ“.**

არაოფიციალური მონაცემებით, ქართველ მილიონერთა სიაში კურტანიძე 100-მილიონიანი ქონებით 42-ე ადგილს იკავებს. 2009 წლის 25 დეკემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №16-ში მდებარე 18 ერთეული შენობა-ნაგებობისა და მათზე დამაგრებული 58175 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“ და შპს „ქ. თბილისის სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი“) გამართულ საპრივატიზაციო აუქციონზე განაცხადი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა კომპანიამ — შპს „ავერსი-ფარმამ“, რომელმაც ქონება 12 250 000 აშშ დოლარად შეიძინა (საწყისი ფასი 12 000 000 აშშ დოლარი იყო). ეს ფაქტი მონოპილიის პირდაპირი თუ არა, ირიბი მაჩვენებელი მაინცაა. დაფარული არაა, რომ „ავერსი“ სამედიცინო სფეროში ყველა ციკლს ფლობს: იმპორტი, წარმოება, დისტრიბუცია, აფთიაქები, საავადმყოფოები, სადაზღვევო კომპანია და სწორედ ამით იძენს დამატებით საბაზრო ძალას. თანაც **„ავერსის“ აფთიაქებში ფარმაცევტებზე ზეწოლა ხორციელდება, ხელმძღვანელები პერსონალს აიძულებენ, „ავერსის“ წარმოებული მედიკამენტები შესთავაზონ მომხმარებელს, ამის გამო კი პრემიას ურიცხავენ.** პაატა კურტანიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ მედიკამენტებზე ფასების კლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იაფად შეიძენენ მედიკამენტებს. აღსანიშნავია, როდესაც ბათუმში „ფარმადეპო“ შემოვიდა, „ავერსმა“ და „პსპ“-მ მედიკამენტებზე ფასები 40%-მდე დაწიეს.

სტატისტიკას რომ გადავხედოთ, აშშ-ში არის 3 დისტრიბუტორი, რომლებსაც ფასნამატი 5 % აქვს, ევროპაში ეს მაჩვენებელი 8-10 პროცენტია, საქართველოში კი, საერთაშორისო ფონდ „კურაციო“-ს მონაცემებით, ფასნამატი 100 %-ზე მეტია. მიმდინარე წლის ივნისში **არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოაქვეყნა დასკვნა, რომ საქართველოში სამი კომპანია – „პსპ“, „ავერსი“ და „ჯპს“ არიან მონოპოლისტები.**

ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რომელსაც ევროკავშირი საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის წინაპირობად მიიჩნევს, ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენაა. შესაბამისი კანონის უქონლობის გამო, ევროპელებს არაერთგზის გაუკრიტიკებიათ ქართული მხარე. თავის დროზე ამ სამსახურის აღდგენის ინიციატივით მიხეილ სააკაშვილიც გამოვიდა. მაშინ გადაწყდა, შექმნილიყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელსაც ქვეყანაში „პატიოსანი კონკურენცია“ უნდა უზრუნველეყო.

მთავრობამ ანტიმონოპოლიური სამსახური, ბაზრის ლიბერალიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე, 2004 წელს გააუქმა. 2010 წლის გაზაფხულზე მთავრობის ინიციატივით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი — **თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო** ჩამოყალიბდა. ეს უწყება ანგარიშვალდებული იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. 2011 წელს მთავრობამ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ სტრატეგია შეიმუშავა და კანონპროექტი მოამზადა. კანონი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უნდა აღასრულოს, რომელიც 2012 წლის იანვარში ორი სააგენტოს (თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსა და სახელმწიფო სააგენტოს) შერწყმის საფუძველზე ჩამოყალიბდა. კანონპროექტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ შესახებ პარლამენტმა მესამე მოსმენით 2011 წელს მიიღო. ამის მიუხედავად, ანტიმონოპოლიური უწყების ამოქმედებით, ადგილობრივ ბაზარზე მონოპოლიების პრობლემა არ მოგვარებულა.

ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ პარლამენტში შესული კანონპროექტის მთავარი ნაკლი ევროკავშირის რეკომენდაციებიდან გადაცდენა, მონოპოლისტებისთვის განსაზღვრული დაბალი ჯარიმები, სააგენტოსთვის გამოყოფილი მცირე ბიუჯეტი, ბაზარზე დომინანტი კომპანიისთვის შეცდომით განსაზღვრული სტატუსი და არასაკმარისი კადრები იყო.

**გიორგი ბახტურიძე — ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსულტანტი:**

„ბაზარზე დღესდღეობით რამდენიმე მსხვილი მოთამაშეა. **კარტელური შეთანხმების გზით მედიკამენტებსა და მომსახურებაზე ადგენენ კონკურენტუნარიან ფასებს. ამაში პირდაპირ მონაწილეობენ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები და მათი ოჯახის წევრები. ინტერესთა სერიოზული კონფლიქტია, როდესაც კომპანია პარალელურად სამედიცინო ობიექტების ქსელის მფლობელიცაა. იგი ხდება მის მიერ წარმოებული ან შემოტანილი სამკურნალო საშუალებების გამსაღებელი ქსელის მეშვეობით. ამ შემთხვევაში კონკურენციის ფაქტორი გამორიცხულია. ეს თავისთავად ზრდის მომსახურებისა და მედიკამენტების ფასს.** თავისთავად იზღუდება მომხმარებლის უფლებებიც. ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობა აუცილებელია. უკვე ორი წელია, ეკონომიკის სამინისტროში სახელმწიფო შესყიდვების სამინისტროს მიაწერეს სიტყვა კონკურენცია, ფაქტობრივად, სააგენტოს შიგნით უფუნქციო დეპარტამენტის სახით გააფორმეს; ესეც — ევროკავშირის მრავალწლიანი მოთხოვნების შემდეგ და ისიც მხოლოდ ფორმალურად, რადგან მათ არანაირი ადმინისტრირების ფუნქცია არ აქვთ. **ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ აპირებს ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნას. ეს სამსახური უნდა იყოს დამოუკიდებელი ორგანო. სასურველია, ის პირდაპირ პარლამენტს ან პრემიერ-მინისტრს დაექვემდებაროს. მისი მუშაობის ეფექტურობა დამოკიდებული იქნება რეალური უფლებამისილებისა და ადმინისტრირების ფუნქციებით აღჭურვაზე“.**

**ლალი ბრეგვაძე — „ავერსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:**

„მედიკამენტებზე ფასების დაკლების პროცესი მუდმივად მიმდინარეობს. ამაში სააფთიაქო ქსელში შესული ნებისმიერი ადამიანი დარწმუნდება. ეს არ არის დღევანდელი ან გუშინდელი საქმე. ფასებს ყოველკვირეულად და ყოველთვიურად ვამოწმებთ და ვაიაფებთ. „ავერსი რაციონალში“ წამლების ნედლეული შემოგვაქვს როგორც ევროპის, ასევე აზიის ქვეყნებიდან, ზუსტად რომლებიდან, ვერ გეტყვით, ამის დასაზუსტებლად უშუალოდ წარმოებას უნდა დაუკავშირდეთ. საიდან მოიტანეთ, რომ მედიკამენტებზე ფასნამატი 100 პროცენტზე მეტია? თქვენ საბაჟოდან უნდა მოიძიოთ ინფორმაცია, თუ რამდენია ფასნამატი და ისე დაწეროთ. მე ვამბობ, რომ არ არის 100%-ზე მეტი ფასნამატი. ჩვენ ამ არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევას არ ვეთანხმებით და ოფიციალური განცხადებითაც კი გამოვედით, რომ ეს იყო აფსოლუტურად არასწორი ინფორმაცია და მონაცემები“.

ლალი ბრეგვაძემ განაცხადა, რომ შპს „მედკაპიტალის“ გეგმებზე ინფორმაციას არ ფლობს.

## „აბი კურტანიძე“

1992 წლის აგვისტოდან გია ქავთარაძეს სხვადასხვა მაღალი თანამდებობა ეკავა, იყო საქართველოს იუსტიციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კოორდინატორი, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი, იუსტიციის მდივანი; 2002 წელს დააფუძნა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება — „ქავთარაძე და პარტნიორები“, ასევე ინდიანას უნივერსიტეტის ქართველ კურსდამთავრებულთა ასოციაცია, რომელსაც დღემდე თავმჯდომარეობს, 2005 წელს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად. სწორედ მისი იუსტიციის მინისტრობის პერიოდში, 2006 წლის მარტში, თბილისის მე-5 საპყრობილეში მოხდა გახმაურებული „ბუნტი“. ოფიციალური მონაცემებით, შეტაკების შედეგად რამდენიმე პატიმარი გარდაიცვალა, ხოლო სპეცრაზმის ორი თანამშრომელი და 16 პატიმარი დაიჭრა. გია ქავთარაძემ მაშინ განაცხადა: **„პოლიციამ თავიდან აიცილა კრიმინალური ავტორიტეტების მიერ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია. იგეგმებოდა ციხიდან გაქცევა, რომელსაც წინ უძღოდა „ბუნტი“.**

იმდროისთვის იუსტიციის სამინისტრომ მხოლოდ 17 დაჭრილი პატიმრის სია გამოაქვეყნა, თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, დაჭრილთა და გარდაცვლილთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო...

უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ოპოზიციაში გადასული „ნაცმოძრაობა“ ბოროტად იყენებს სხვადასხვა დონეზე თავისი კადრების სახელისუფლო რესურსს და გაფიცვებისა თუ შეჭრების ინსპირირებით სხადასხვა სამეწარმეო სექტორში საბოტაჟის მოწყობას ცდილობს.

მათი ხელწერის ამოცნობა რთული ნამდვილად არაა. სამედიცინო სფეროში მრავალმა წარუმატებელმა რეფორმამ, პაციენტების გარდა, მედპერსონალიც დააზარალა. ამან მათი პოლიტიკური შეხედულებებიც შეცვალა. სამედიცინო სფეროს ზოგადი უკმაყოფილება სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ კი იმაში გამოიხატა, რომ მათმა უდიდესმა უმრავლესობამ არჩევნებზე ქართულ ოცნებას დაუჭირა მხარი.

სწორედ ამ მხარდაჭერის გამო ექიმები დღეს ორ ცეცხლშუა აღმოჩნდნენ. პრივატულ საუბარში კლინიკის ექიმები აცხადებენ, — მათ დაემუქნენ, რომ ახალი ხელისუფლების მხარდაჭერისთვის პასუხს აგებინებენ.

შორს გათვლილმა ხრიკმა პრემიერ-მინისტრი ჩიხურ სიტუაციაში ჩააგდო. თუ პრემიერი მედიკოსებს დაუჭერს მხარს, „ნაცმოძრაობა“ იმ წამსვე კერძო ბიზნესის ტერორში და „ნაცმოძრაობის“ წევრი დეპუტატი ბიზნესმენების პოლიტიკური ნიშნით შევიწროებაში დაადანაშაულებს. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესორგანიზაციებს დაიცავს, მაშინ მედიკოსთა არმია აღუდგება წინ...

ასეთია „აბი კურტანიძის“ ფარმაკოდინამიკა. ეს „აბი“ აშკარად მავნებელია, მისი გამოხატული გვერდითი მოვლენა წმინდა წყლის საბოტაჟი გახლავთ და, **თუ პრემიერი ივანიშვილი „აბი კურტანიძეს“ სასწრაფოდ არ ამოიღებს თავისუფალი მიმოქცევიდან, მას წასვლა არა წელიწად-ნახევარში, როგორც თვითონ აცხადებს, არამედ გაცილებით მალე მოუწევს.**

ბატონ კურტანიძეს კი შევახსენებთ, რომ **საბოტაჟი კანონით დასჯადი ქმედებაა და სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლი ამ დანაშაულისთვის 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**ანა ქევხიშვილი,**
**ასმათ ჯაღმაიძე**

### თუ პრემიერი ივანიშვილი «აბი კურტანიძეს» სასწრაფოდ არ ამოიღებს თავისუფალი მიმოქცევიდან, მას წასვლა არა წელიწად-ნახევარში, როგორც თვითონ აცხადებს, არამედ გაცილებით მალე მოუწევს





### ბატონ კურტანიძეს კი შევახსენებთ, რომ საბოტაჟი კანონით დასჯადი ქმედებაა და სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლი ამ დანაშაულისთვის 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტელეკომპანია „საქართველო“ მაუწყებლობს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, სენაკში, საჩხერეში, ასევე გადის სატელიტზე. სწორედ ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი „თავისუფლების ინსტიტუტისთვის“, რადგან ამ უპირატესობის გარეშე ისინი ისეთივე პრობლემის წინაშე დადგებოდნენ, როგორიც არჩევნებამდე „მაესტროს“ და „მე-9 არხს“ ჰქონდათ.**

# «ნაცმოს» ტელედივერსანტები

**თუ ირაკლი ჩიქოვანს კიდევ დიდხანს აპარპაშებენ საზოგადოებრივი სიკეთის — საინფორმაციო ველის „რეგულირების“ სფეროში, „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს ისევე გამოაცლიან ხელისუფლებას, როგორც „ობიექტივს“ და ირმა ინაშვილს წაართვეს 35-ე არხის ლიცენზია 8 წლის წინ.**

**რეკორდულ ვადაში, 3 დღეში, არჩევნებიდან მეთორმეტე დღეს, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ტელეკომპანია „საქართველოს“ ლიცენზიის გადაცემა „სამოქალაქო განათლების ფონდისთვის“ სათანადოდ არავის შეუფასებია. სააკაშვილის რეჟიმის დამარცხების შემდეგ საზოგადოებას სხვა, „უფრო მნიშვნელოვანი“ საკითხები აღმოაჩნდა. ახალი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება უკვე შეუდგა მუშაობას და ახლა კომპეტენტური ორგანოები დაინტერესდებიან იმ საკითხით, თუ როგორ ემზადება საინფორმაციო ომისთვის „თავისუფლების ინსტიტუტი“, რა სიყალბეები და კანონდარღვევები დგას მედიური გადაჯგუფებების უკან.**

**უშიშროების საბჭოს მდივნის მეუღლე, რომელიც „სულაც არ არის პოლიტიკასთან დაკავშირებული“, 1 ოქტომბრის არჩევნების კრახის შემდეგ ახალ ამპლუაში მოევლინა საზოგადოებას.** მან ჯერ წვრილად გააანალიზა საკუთარი ფავორიტის მარცხი და განაცხადა, რომ სააკაშვილი სულაც არ არის მისი სათაყვანებელი პრეზიდენტი, ის მისი მეგობარია, შემდეგ ჩერგოლეიშვილმა პოპულიზმის მავნებლობაზეც ილაპარაკა და კომპეტენტურად ბრძანა: **„პირველ რიგში, მისი** („ნაცმოძრაობის“. — თ. დ.) **დამარცხება გამოიწვია დაღლამ, ხელისუფლებაში რვაწლიანმა ყოფნამ; მეორე, რაშიც ვთვლი, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ შეეშალა, ესაა კომუნიკაცია. კარგად ვერ ხდებოდა იმ რეფორმების არსის ახსნა მოსახლეობისთვის, რომელთაც ხელისუფლება ახორციელებდა. მაშინ, როცა მიხვდა, რომ მოსახლეობამ შეიძლება კარგად ვერ გაიგო რაღაც რეფორმის არსი, მათი საარჩევნო კამპანია სხვა პარტიებთან მიმართებაში პოპულიზმში დეგენერირდა.**

პოპულიზმი არ აღმოჩნდა მომგებიანი, რადგან მარტო ამით ვერ შეინარჩუნებ მხარდამჭერს, მითუმეტეს მაშინ, როცა მეორე მხარეს დგას დიდი რაოდენობით ფული“.

ფულის, განსაკუთრებით დიდი ფულის ფასი ჩერგოლეიშვილს, როგორც ჩანს, კარგად ესმის, რადგან არჩევნების შემდეგ სულ რაღაც ერთ კვირაში სწორედ ფულის ტომარასთან ერთად გადაწყვიტა ახალი მედიაპროექტისთვის მოეკიდა ხელი, რათა, მისივე გამოთქმისა არ იყოს, „კარგად აუხსნას მოსახლეობას „ნაციონალური“ რეფორმების არსი“. **30 ოქტომბერს მან საზოგადოებას სიხარულით ამცნო, რომ ჟურნალი „ტაბულა“ ყოველკვირეულიდან ყოველთვიურ ფორმატზე გადადის, რადგან ახლა იგი უკვე ტელეკომპანიას ქმნის. ჩერგოლეიშვილს კარგად ესმის, რომ შუბი** (თანაც ამხელა) **ხალთაში მაინც არ დაიმალება და საზოგადოებას თავად ეუბნება, რომ მის ტელევიზიას კახა ბენდუქიძე დააფინანსებს.**

თუმცა თამარ ჩერგოლეიშვილს ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმის თაობაზე, რომ მისი „სამოქალაქო განათლების ფონდი“ უპირობოდ როდი მიიღებს თანხებს ბენდუქიძისგან. 9 ოქტომბერი ერთობ დაძაბული დღე გამოდგა ჩერგოლეიშვილისთვის: გარდა იმისა, რომ ტელეკომპანია „საქართველოს“ ერთადერთი მფლობელი იაგო ჩოჩელი და გენერალური დირექტორი თამარ სტეფანიშვილი „დაიყოლია“ სამაუწყებლო ლიცენზიის გადაცემაზე, იმავე დღეს იმსჯელა ერთბაშად 14 მოხალისის წერილობით მიმართვაზე, მიეღო ისინი ფონდის წევრებად. მათგან **ცამეტმა საკუთარი ფეხით ინება ნოტარიუსთან მიბრძანება, ხოლო ბენდუქიძეს ნოტარიუსი იქით ეახლა — „თავისუფალ უნივერსიტეტში“.** ვინ არის სინამდვილეში მთელ ამ სასწრაფო გადაფორმებაში პირველი პირი, აქედანაც ჩანს, ხოლო დანარჩენი 13 მოხალისის ვინაობა ასეთია:

1. **გიორგი ნოდია**
2. **გიგა ზედანია**
3. **ბაადურ მალაზონია**
4. **ლევან რამიშვილი**
5. **ალექსი მაჭავარიანი**
6. **ბექა მინდიაშვილი**
7. **დავით პაიჭაძე**
8. **გიორგი ფრუიძე**
9. **ნინო გოგიბერიძე**
10. **დავით კოვზირიძე**
11. **ირაკლი სალინაძე**
12. **ქეთევან დევდარიანი**
13. **გიორგი ლიფონავა.**

იმავე 9 ოქტომბერს თამარ ჩერგოლეიშვილი მინდობილობას უფორმებს ახალ წევრს — გიორგი ფრუიძეს და უფლებამოსილებას ანიჭებს, მისი წარმომადგენელი იყოს ნებისმიერ ორგანიზაციას და დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიაში, საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ბანკში. **გიორგი ფრუიძე უფლებამოსილია, მართოს და განკარგოს ფონდის ანგარიშები შეუზღუდავად, აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაცია, კერძოდ: შეიტანოს, გადარიცხოს, გამოიტანოს თანხა, მოახდინოს კონვერტაცია, მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან, განახორციელოს მასზე კანონით ნებადართული ყველა მოქმედება, გახსნას საზოგადოების სახელით ახალი ანგარიშები მართვისა და განკარგვის უფლებით, საჭიროების შემთხვევაში კი დახუროს ისინი.**


„შრეკი“ და თამარი

## ჩერგოლეიშვილი, ბენდუქიძე და «თავისუფლების ინსტიტუტი» საინფორმაციო ომს იწყებენ!

ერთი სიტყვით, ფინანსურ მხარეს მთლიანად ფრუიძე აკონტროლებს. იქნებ თამარ ჩერგოლეიშვილი ტექნიკურ მხარეს აგვარებს? სულაც არა. ინტერვიუში იგი თავად აცხადებს: **„ეხლა გავრბივარ დუდუ კურდღელიასთან, რომელიც ტექნიკურ ნაწილში კარგად ერკვევა. სხვა საკითხებზე კონსულტაციებს სხვა გამოცდილი ადამიანებისგან ვიღებ. მაგალითად, გუშინწინ მქონდა შეხვედრა ნიკა ტაბატაძესთან. მე ხომ ეს საქმე არ მიკეთებია არასდროს და ისეთ ადამიანებს უნდა ვკითხო, ვისაც ჩემზე უკეთ ესმით და გამოცდილები არიან“.**

ახალი წევრების სია ცხადყოფს, რომ **ჩერგოლეიშვილს არც „იდეურ ხელმძღვანელობას“ ანდობენ ერთპიროვნულად. აქაც ისეთი ხალხია, რომელთაც „უკეთ ესმით და გამოცდილები არიან“.** ამდენად, ჩერგოლეიშვილი მხოლოდ ფასადია, მის უკან კი კარგად ცნობილი პერსონები დგანან. თუმცა იგი ამას ასე ხსნის: **„ტელევიზია, ბუნებრივია, დაეფუძნება გარკვეულ იდეოლოგიას, ფონდის წევრები ძირითადად ვეფუძნებით საერთო ღირებულებებს, პირველ რიგში ეს არის ინდივიდუალური თავისუფლება, სეკულარული სახელმწიფო, რაც არამც და არამც არ ნიშნავს ურწმუნო ადამიანების სახელმწიფოს, ეს ნიშნავს იმას, რომ რელიგია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოს, ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ თავისუფალი ბაზარი არის საუკეთესო გზა ეკონომიკური წარმატების მისაღწევად და ა.შ. თუმცა თვითონ ფონდის წევრთა შორისაც არის აზრთა სხვადასხვაობა სხვადასხვა საკითხებზე. იდეოლოგია გარკვეულწილად შენარჩუნდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ წარმოდგენილი არ იქნება განსხვავებული აზრი. პირიქით, ტელევიზიაში იქნება ფართო სპექტრი მოსაზრებებისა წარმოდგენილი“.**

როგორ იტანს ეს ჯგუფი განსხვავებულ აზრს, ყველასთვის ცნობილია, თუმცა ერთი იდეოლოგიის ადამიანებს განსხვავება იმაში თუ ექნებათ, კვირაში ერთხელ თუ ორჯერ უნდა შეუტიონ სახელმწიფოსგან გამიჯნულ მართლმადიდებელ ეკლესიას, ეს, ცხადია, პლურალიზმად ვერ ჩაითვლება. სხვაფრივ, **ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებების იდეოლოგია რომ სწორედ ის არის, რასაც ქართველმა ამომრჩეველმა 1 ოქტომბერს უთხრა უარი, ესეც დღესავით ნათელია.**

„სამოქალაქო განათლების ფონდის“ 9 ოქტომბერს შეტანილი განცხადება კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ რეკორდულ, 3 დღის ვადაში განიხილა და 12 ოქტომბერს სხდომაზე ლიცენზია გადასცა. გადაწყვეტილების წინააღმდეგ კომისიის მხოლოდ ერთი წევრი — აკაკი სიხარულიძე წავიდა. პრესაში ითქვა, რომ **„სამოქალაქო განათლების ფონდს“ ტელეკომპანია „საქართველოს“ კუთვნილი კერძო მაუწყებლობის №21, №91 და №99 ლიცენზიები გადაეცა, მაშინ, როცა კომისიის გადაწყვეტილებაში ერთ საერთო ლიცენზიაზეა საუბარი.** მაგრამ **ეს არ არის ერთადერთი სიყალბე, რომელიც ამ ბედკრულ სიხშირესა და სამაუწყებლო ლიცენზიას ახლავს, აგერ უკვე 9 წელია.** თავად ჩერგოლეიშვილი ამ სიყალბეებზე კარგად რომ არის ინფორმირებული, მისი ერთ-ერთი კომენტარიდან ჩანს: **„ჩვენ ვართ კეთილსინდისიერი მყიდველი. თუ „საქართველო“ არღვევდა პირობებს, მას უნდა მიეღო გაფრთხილება, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო ეჩივლა ან თვითონ კომისიას შეეძლო მიეღო ზომები. ჩვენ ვერ დაგვემუქრება ის, რომ „საქართველო“ ოდესლაც არღვევდა ლიცენზიის პირობებს, ჩვენ პირობებს არ დავარღვევთ“.**

პატრონების არაერთხელ „ნებაყოფლობით“ გამოცვლის შემდეგ ტელეკომპანია „საქართველოს“ 100%-იანი წილის მფლობელი ასევე „პოლიტიკასთან არანაირად დაკავშირებული“ ბიზნესმენი იაგო ჩოჩელი გახდა, რომელიც ამავე დროს მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის, ძმა არის. **ტელეკომპანია „საქართველო“ მაუწყებლობს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, სენაკში, საჩხერეში, ასევე გადის სატელიტზე. სწორედ ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი „თავისუფლების ინსტიტუტისთვის“,** რადგან ამ უპირატესობის გარეშე ისინი იმავე პრობლემის წინაშე დადგებოდნენ, როგორიც არჩევნებამდე „მაესტროს“ და „მე-9 არხს“ ჰქონდათ.

„საქართველო“ გახსნის დღიდან თანამშრომლობდა თავდაცვის სამინისტროსთან. იმ პერიოდში, როდესაც თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი იყო, ტელეკომპანია „საქართველოსა“ და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული იყო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, ტელეკომპანიის სამაუწყებლო ბადის ძირითადი ნაწილი თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით მომზადებულ სამხედრო და ისტორიულ გადაცემებს ეთმობოდა.

**დავით კეზერაშვილმა არჩევნების შემდეგვე იყიდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ წილები, რომლებიც ორიოდე დღეში იმავე ფასად გაყიდა. ასე იქმნება მითები „კეთილსინდისიერი მყიდველების“ შესახებ.**

თუმცა დავუბრუნდეთ კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, რომლის მიმართაც ინტერესი არ ცხრება. 35-ე დეციმეტრული სიხშირის ხელიდან ხელში გადასვლის მრავალჯერ მივმართეთ მარეგულირებელ კომისიას კითხვით (როგორც თავად მოითხოვეს, ელექტრონული ფოსტით გავაგზავნეთ შეკითხვა) — **როგორ აღმოჩნდა 35-ე დეციმეტრული სიხშირე, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ხელიდან ხელში გადადის, ამჟამად თამარ ჩერგოლეიშვილის საკუთრებაში? ჩვენ-**

**ფულის, განსაკუთრებით დიდი ფულის ფასი ჩერგოლეიშვილს, როგორც ჩანს, კარგად ესმის, რადგან არჩევნების შემდეგ სულ რაღაც ერთ კვირაში სწორედ ფულის ტომარასთან ერთად გადაწყვიტა ახალი მედიაპროექტისთვის მოეკიდა ხელი, რათა, მისივე გამოთქმისა არ იყოს, «კარგად აუხსნას მოსახლეობას «ნაციონალური» რეფორმების არსი»**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავისი პარტნიორის, გიორგი გეგეშიძის, მეშვეობით ირაკლი ჩიქოვანს გარკვეული ბერკეტი ჰქონდა საიმისოდ, რომ განესაზღვრა „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ სამაუწყებლო პოლიტიკა, ეკონტროლებინა ამ არხების ფინანსები და სარეკლამო შემოსავლები. როგორ ახერხებდა ამას მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე, ეს „კავკასუსის“ იურისტებთან მისი საუბრის ფარული ჩანაწერიდანაც კარგად იკითხება.**

**ჩვენთვის ცნობილია, რომ თამარ ჩერგოლეიშვილი თავად არც ერთი პარტიის და არც მთავრობის წევრი არ გახლავთ, მაგრამ ის არის ბატონ გიგა ბოკერიას მეუღლე, რომელიც ჯერ ისევ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად რჩება.**

გადიოდა კვირები, მაგრამ მარეგულირებელი კომისია პასუხის გაცემას არ ჩქარობდა. ბოლოს ჩვენი შეუპოვრობა, როგორც ჩანს, ძალზედ მომაბეზრებელი აღმოჩნდა. მარეგულირებელი კომისია იძულებული გახდა, პასუხი გაეცა ჩვენს კითხვაზე.

**ხატია ყურაშვილი, მარეგულირებელი კომისიის PR-მენეჯერი:**

— კანონში წერია, რომ სამაუწყებლო სიხშირის გადაცემის, ანუ გაყიდვის შემთხვევაში, მყიდველმა და გამყიდველმა უნდა მიმართონ მარეგულირებელ კომისიას და მისგან მიიღონ წინასწარი თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუ დამაბრკოლებელი გარემოებები არ წარმოიქმნება, მაშინ კომისიას უფლება აქვს, დაუკმაყოფილოს მსურველს აღნიშნული მოთხოვნა.

**— ქალბატონო ხატია, ჩერგოლეიშვილის შემთხვევაში დამაბრკოლებელი ფაქტორი არ არსებობდა?**

— „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე. ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი, პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული იურიდიული პირი, იურიდიული პირი, რომელიც წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორში რეგისტრირებული ზონაში. როგორც ხედავთ, აქ გვაქვს ექვსი ძირითადი მოთხოვნა და მათ თამარ ჩერგოლეიშვილი სავსებით აკმაყოფილებს. ამგვარად, ჩერგოლეიშვილი იურიდიული პირი არ გახლავთ. მოქალაქე ჩერგოლეიშვილს უფლება ჰქონდა, მოემართა და კომისიას უფლება ჰქონდა, დაეკმაყოფილებინა მისი თხოვნა.

**— ის ფაქტი, რომ ქალბატონი თამარი გიგა ბოკერიას მეუღლეა, რომელიც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანია, არ ითვლება დამაბრკოლებელ ფაქტორად?**

— არა, ანალოგიურ მაგალითს მოგახსენებთ, ბატონი პრემიერის მეუღლე, ეკატერინე ხვედელიძე, ასევე ფლობს ტელეკომპანიას და ეს ფაქტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს კანონმდებლობასთან. სხვა საქმეა, მოგვწონს თუ არა ჩვენ ეს კანონი. ამჯერად კი ჩვენ სხვა თემაზე ვსაუბრობთ და ამ საკითხზე ვერ ვისაუბრებთ.

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამა წლის 9 ოქტომბერს ჩერგოლეიშვილის წარმომადგენელმა — გიორგი ფრუიძემ და „TV საქართველოს“ წარმომადგენელმა მოგმართათ ლიცენზიის გადაცემის საკითხზე. ვინ არის გიორგი ფრუიძე?**

— ბატონი გიორგი „სამოქალაქო განათლების ფონდის“ დირექტორი გახლავთ, რომლის ერთ-ერთი წევრი თამარ ჩერგოლეიშვილიც არის.

**— რას გვეტყვით იმ ფაქტზე, რომ მათი თხოვნა დაუყოვნებლივ იქნა დაკმაყოფილებული მაშინ, როდესაც სხვა ნებისმიერ კერძო პირს ან ორგანიზაციას ამისთვის რამდენიმე თვე უხდება ლოდინი. ვიდრე მათ თხოვნას განიხილავთ ხოლმე, საკმაო დრო გადის და პასუხიც ხშირად უარყოფითია, რატომ?**

— ადმინისტრაციულ წარმოებას აქვს თავისი ვადები, წერილის შემოტანიდან ერთი თვის ვადაში პირმა, რომელიც ჩვენ მოგვმართავს, უნდა მიიღოს პასუხი. განსახილველად თუ ბევრი წერილია შემოსული, ასეთ შემთხვევაში პასუხი დროში შეიძლება გაიწელოს კიდეც. თუ არ არის ბევრი წერილი, მაშინ ორგანიზაცია ან კერძო პირი პასუხს დაუყოვნებლივ იღებს.

**— როგორც წესი, თქვენი პასუხები ყოველთვის უარყოფითია, ჩორგოლეიშვილის შემთხვევას როგორ ახსნით?**

— მაშინ დამისახელეთ თუნდაც ერთი ისეთი გადაწყვეტილება, როდესაც კომისიამ ლიცენზიის გაცემაზე უარი უთხრა კომპანიას, რომელსაც კანონით დადგენილი ნორმის გათვალისწინებით ეკუთვნოდა აღნიშნული ლიცენზია, ხოლო კომისიამ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა.

**რა მოთხოვნებს, ვის და როგორ უკმაყოფილებს კომისია, ამაზე ყველაზე უკეთ**



გიორგი გარამიძე და თამარ ჩერგოლეიშვილი ცეკვავენ ტანგოს

ეს ხელშეკრულებები მაქვს და არ მოგცემთ, ბავშვობა ხომ არაა?! რა უნდა გავაკეთო? მოგვადგება, ჩვენ ხო დაგვირხევს მაგარს და მოითხოვს ამ არხების გათიშვას და ვერაფერს ვერ ვიზამ. რას აპირებთ, ხალხნო? რა გავაკეთო, აღარ ვიცი. რამე ხელშეკრულება არ გაქვთ? გადავადებაც ძაან დროებითია. რამდენჯერ გითხარით, ეს თემა აუცილებლად დაიწყეთ. გითხარით, რომ „მაგთი“ ამას თავს არ დაანებებს. „სილქნეტი“ გავაჩერეთ, ვთხოვეთ. გგონიათ, არ იცის, რა ხდება „სილქნეტმა“? „მაგთის“ ვერ გავაჩერებთ.

**– 104 არხიდან 59 ხელშეკრულება არაა წარმოდგენილი, ანუ ნახევარზე მეტი.**

რაღაც ოფშორით და ძველი რიცხვით ჩავდეთ, მერე თუ ვერ მოასწარი? **იშვიათი შემთვევაა, როცა არ ვიცი, რა უნდა ვქნა. ახლა არის ისეთი სიტუაცია, როდესაც არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო.**

ერთი ვიცი, რომ ამ კაცს ბევრი რამე აქვს გაკეთებული. ბევრგან აქვს დარეკილი. ნამდვილად იცის, რომ თქვენ ხელშეკრულებები არ გაქვთ. **მაქსიმალურად ვეცდები, რომ ამისგან ცოტა ზარალი მივიღო.**

**გაიჭყლიტებით თქვენ. კომისია სჯობს ყველანაირ ვარიანტში სუფთა გამოვიდეს. თქვენ თავს უშველეთ, ძმებო, რა!**

# «კავკასუსი» საკაბელო ტელევიზიის არხებს «პირატულად» ავრცელებს, ჩიქოვანი კი საქმის კურსშია და მათ მფარველობს

**გუშინ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ახალი ფარული აუდიოჩანაწერი მეტყველებს. ამ ჩანაწერში კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელი ირაკლი ჩიქოვანი „კავკასუს ონლაინის“ იურისტებს ესაუბრება.** ირკვევა, რომ „კავკასუსი“ საკაბელო ტელევიზიის არხებს „პირატულად“ ავრცელებს, ჩიქოვანი კი საქმის კურსშია და მათ მფარველობს. ჩანაწერში ასევე ჩანს, თუ როგორ სთავაზობს იგი „კავკასუსს“ კანონის დარღვევის სხვადასხვა გზას და საუბრობს იმაზეც, რომ რაკი „მაგთისატს“ ამერიკელი დამფუძნებელი ჰყავს, ის ამ საკითხში ვეღარ დაეხმარება „კავკასუსს“, თუმცა შეუძლია, რაღაც დოკუმენტები საქმეში უკანა რიცხვით ჩადოს. გთავაზობთ ჩანაწერის სრულ ვერსიას (სტილი დაცულია):

**ირაკლი ჩიქოვანი:**

„მიუხედავად ჩემი მრავალგზის გაფრთხილებისა, თქვენ მაინც არ შეისმინეთ ჩემი. გაქვთ სერიოზული პრობლემა, რომელზეც ჩვენ უკვე გითხარით. ვერანაირად ვერ გიშველით. 10-11 თვე აყალბებდით. ახლა რომ ვთქვა, რომ

– როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, ძალიან სერიოზული პრობლემაა. ეს არაა კომისიის პრობლემა. ესაა ბიზნესის პრობლემა. კომისია აქამდე ჩუმად იყო, ახლა ვერ იქნება. „მაგთიმ“ ძალიან კარგად იცის, თქვენ რა გაქვთ. შეიძლება ზუსტად ყველაფერი არ იცის, მაგრამ საკმაოდ ბევრი რამე იცის. დაიწყებს მეთოდურად მოთხოვნებს და სანქცირებებს. სასამართლოშიც ვერ დაგეხმარებით და ვერც ვერავინ დაგეხმარებათ, რადგან მეორე პირი მოვა ამერიკელი, დაჯდება და მოისმენს. დამთავრებულია ყველაფერი. რამხელა ჯარიმებზე აგიყვანთ, იცი? ოფშორიც რო ვიჩალიჩოთ, მოასწრებ მერე ხელშეკრულებების გადატანას? დავუშვათ, მოვიტანეთ

თუ რამეს მოასწრებთ, ერთადერთი, ძველი რიცხვით ჩავდებ საქმეში დოკუმენტებს.“

მარეგულირებელი კომისიის მუშაობის სტილი ამ ერთი ჩანაწერიდანაც ჩანს, რამდენად „კანონიერია“. ისიც ნათელია, რომ ასეთი სახის ურთიერთობები იყო ჩამოყალიბებული არა მარტო „კავკასუსთან“, რომლის ისტორია ცალკე ჟურნალისტურ (და არა მარტო) გამოძიებას იმსახურებს, არამედ ყველა სხვა იურიდიულ პირთან, ვის საქმიანობასაც ირაკლი ჩიქოვანი „არეგულირებდა“.

საქართველოს კანონში „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ მითითებულია: **„კომისიონერს და მისი ოჯახის წევრს, აგრეთვე, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს აპარატის თანამშრომელს უფლება არ აქვს, ჰქონდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესები ლიცენზიის მფლობელის მიმართ ან ეკავოთ თანამდებობა ლიცენზიის მფლობელის საწარმოში“** (მუხლი მე-14, „ეთიკის ნორმები“).

ჩიქოვანი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ 2009 წლის ივნისში აირჩიეს. მანამდე ის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი და აქციათა 30%-ის მფლობელი იყო. ამავე დროს თავის ორ ბიზნესპარტნიორთან — გიორგი კურცხალიასთან და გიორგი გეგეშიძესთან ერთად ფლობდა და, რაც მთავარია, დღესაც ფლობს ყველასთვის კარგად ცნობილ სარეკლამო კომპანიას „მაგი სტილი“.

მას შემდეგ, რაც ირაკლი ჩიქოვანმა „რუსთავი 2“-ის გენდირექტორის პოსტი დატოვა, მისი ადგილი „რუსთავი 2“-ში მისმა მუდმივმა ბიზნესპარტნიორმა გიორგი გეგეშიძემ დაიკავა. გიორგი გეგეშიძე დღეს უკვე ფლობს ორი ტელეკომპანიის — „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ აქციების ათ-ათ პროცენტს. ამ ტელეკომპანიების ვებგვერდზე მითითებულია:

**„რუსთავი 2“ კერძო კომპანიაა. მისი მფლობელები არიან ლევან ყარამანიშვილი — 90% და გიორგი გეგეშიძე — 10%“.**

**„ტელეკომანია „მზე“ კერძო კომპანიაა. მისი მფლობელები არიან ლევან ყარამანიშვილი — 90%, გიორგი გეგეშიძე — 10%“.**

„მაგი სტილი“, რომელსაც გიორგი გეგეშიძე და ირაკლი ჩიქოვანი ერთობლივად ფლობენ, ოდესღაც ცნობილი იყო, როგორც მხოლოდ სარეკლამო და დიზაინერული კომპანია. დღეს იგი დეველოპერულ საქმიანობაშია ჩართული და ქუთაისში პარლამენტის მშენებლობის პატივი სწორედ „მაგი სტილს“ ერგო წილად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ირაკლი ჩიქოვანი იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის, ფავორიტი იყო.** ცხადია, არც ტენდერი ჩატარებულა და ეს მშენებლობაც ისეთივე გასაიდუმლოებული იყო, როგორც სააკაშვილის ავლაბრის რეზიდენციისა. ამავე დროს, **„მაგი სტილი“ დღემდე სარეკლამო საქმიანობითაცაა დაკავებული, რაც მჭიდროდ უკავშირდება მედიასივრცეს, ანუ სივრცეს, რომლის რეგულირება ჩიქოვანს ევალება.** მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ფლობს შპს „მაგი სტილი მედიას“ საერთო წილის 35%-ს. აღნიშნული კომპანიის წესდებით ამ ორგანიზაციის „საქმიანობის ძირითად საგანს სატელევიზიო რეკლამების მომსახურება და ტელევიზიებში რეკლამების განთავსება წარმოადგენს“.

არადა, **სწორედ, იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც ირაკლი ჩიქოვანი ხელმძღვანელობს, დაკისრებული აქვს ვალდებულება, გამოავლინოს სატელევიზიო მაუწყებლების მიერ რეკლამის განთავსების ლიმიტის დარღვევის ფაქტები და მოახდინოს მათზე სათანადო რეაგირება** (მაუწყებლობის სანქცირება). ცხადია, რომ ირაკლი ჩიქოვანი საკუთარ ფინანსურ ინტერესებს არასოდეს დააზარალებდა.

ფასიანი ტელემომსახურება (საკაბელო ტელევიზია) „ჯიემჯის“ მეშვეობით ასევე ირაკლი ჩიქოვანისა და მისი პარტნიორების მიერ კონტროლდება. საკაბელო ოპერატორების მომსახურება „ჯიემჯის“ გამოჩენის შემდეგ საგრძნობლად გაძვირდა, ხოლო **სარგებელი, რომელსაც ირაკლი ჩიქოვანი და მისი ბიზნესპარტიორები იღებდნენ, საკმაოდ სოლიდური გახდა.**

თავისი პარტნიორის, გიორგი გეგეშიძის, მეშვეობით ირაკლი ჩიქოვანს გარკვეული ბერკეტი ჰქონდა საიმისოდ, რომ განესაზღვრა „რუსთავი 2“-სა და „მზის“ სამაუწყებლო პოლიტიკა, ეკონტროლებინა ამ არხების ფინანსები და სარეკლამო შემოსავლები. როგორ ახერხებდა ამას მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე, ეს „კავკასუსის“ იურისტებთან მისი საუბრის ფარული ჩანაწერიდანაც კარგად იკითხება.

ნორმალურ ქვეყანაში ამგვარ „მარეგულირებელს“ ქურდი ჰქვია, უფრო სწორად, „კანონიერი ქურდი“, რადგან იგი ყველა კანონს სათავისოდ იყენებს და „პალაჟენია“ უჭირავს. **ჩერგოლეიშვილისა და „თავისუფლების ინსტიტუტისთვის“ მაუწყებლობის ლიცენზიის სასწრაფო გადაცემით ეს ქურდი ახალი ხელისუფლების საბოტაჟის პროცესში ჩაერთო და, თუ მას კიდევ დიდხანს აპარპაშებენ საზოგადოებრივი სიკეთის — საინფორმაციო ველის „რეგულირების“ სფეროში, „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს ისევე გამოაცლიან ხელისუფლებას, როგორც „ობიექტივს“ და ირმა ინაშვილს წაართვეს 35-ე არხის ლიცენზია 8 წლის წინ.**

**ნორმალურ ქვეყანაში ამგვარ «მარეგულირებელს» ქურდი ჰქვია, უფრო სწორად, «კანონიერი ქურდი». ჩერგოლეიშვილისა და «თავისუფლების ინსტიტუტისთვის» მაუწყებლობის ლიცენზიის სასწრაფო გადაცემით ეს ქურდი ახალი ხელისუფლების საბოტაჟის პროცესში ჩაერთო**

**თამარ დავითულიანი**

ქართველი და მსოფლიო
ახალი მესაიდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი დასავლელი „მეგობრებისთვის“ კი ჟენევის ფორმატი სალაყბო ადგილი იყო და არის, სადაც კიდევ ერთხელ აღიარებდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, კიდევ ერთხელ აღშფოთდებოდნენ ოკუპანტი რუსეთის გამო, ანუ კიდევ ერთხელ და მერამდენედ თვალში ნაცარს შეგვაყრიდნენ! მაშ, რის გაგრძელებისკენ და რისთვის მოუწოდებდა გიგა ბოკერია ზურაბ აბაშიძეს?**

# რატომ არ სურს გიგა ბოკერიას ზედამხედველის გარეშე რუსეთთან საუბარი?



**ზურაბ აბაშიძის რუსეთში საქართველოს სპეციალურ წარმომადგენლად დანიშვნამ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია! ერთნი ამთავითვე სკეპტიკურად არიან განწყობილნი, მეორენი კი პირიქით, — ზედმეტად ოპტიმისტურად. სინამდვილეში კი არც თუ იოლი დასადგენია, სად არის ე. წ. ოქროს შუალედი, იმ ფონზე, როდესაც აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციასთან საქართველომ ცალმხრივად გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები. რას შეძლებს საქართველოს „უპორტფელო ელჩი“ რუსეთში ან საერთოდ შეძლებს რამეს? — აი მთავარი კითხვები, რომლებზეც პასუხების გაცემას მკითხველთან ერთად წინამდებარე წერილში შევეცდებით...**

სკეპტიკოსთა შორის, უპირველესად, რა თქმა უნდა, „მეცოცხეების პარტიად“ ქცეული „ნაცმოძრაობის“ ოდიოზური ფიგურები გვევლინებიან. ამიტომ მათ არა სკეპტიკოსებს, არამედ ბოღმა-ღვარძლით გულგასიებულ ჩასაფრებულებს ვუწოდებ, რომელთაგან ერთ-ერთმა „ღირსეულმა“ უზნეო ეგზემპლარმა, აკაკი მინაშვილმა, კიდევ ერთხელ „გაგვანათლა“ და იმ „ბრძნული აღმოჩენით“ გადაუწურა წყალი საქართველოს უპორტფელო დესპანს, რომ თურმე **მანამ არაფერი წინსვლა არ იქნება ორი ქვეყნის ურთიერთობებში, ვიდრე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია?!**

მაშ, რა ვქნათ, ერთი ტვინგაცხელებული მიშნაცის მსგავსად, რუსეთის ადგილას ოკეანე წარმოვიდგინოთ, ანუ მისი არსებობა დავივიწყოთ, და სულ ცოტა 12 წელიწადი ხმა არ გავცეთ?

თავი დავანებოთ მინაშვილის დემაგოგიაზე პოლემიკას და გიგა ბოკერიაზე ვთქვათ, უშიშროების საბჭოს საშიშ მდივანზე, რომელსაც, მინაშვილისგან განსხვავებით, უტვინობას ნამდვილად ვერ დასწამებ. გიგა ბოკერიამ დაუფარავად განაცხადა, რომ **ზურაბ აბაშიძიემ უნდა იცოდეს, მიუხედავად მისი დანიშვნისა, რუსეთთან კომუნიკაციაში მთავარი მაინც ე. წ. ჟენევის ფორმატი რომ რჩება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთთან ერთი ერთზე, ძია სემის მეთვალყურეობის (როგორი ზუსტი სიტყვაა!) გარეშე საქართველომ არ უნდა ილაპარაკოს?**

**ეს ის გიგა ბოკერიაა, რომელიც, როგორც პრესა წერდა, არჩევნების წინ, ყოველგვარი ფორმატის გარეშე, დაძვრებოდა მოსკოვში, — არიქა, ამერიკამ ცოცხების გამო, მგონი, დაგვადო, ვილუპებით, გვიშველეთო... მაგრამ რუს მუჟიკებსაც თვალებზე ცრემლი მოსდგომიათ უკანალში ცოცხგათხრილი ქართველების გამო და რუსებმაც დაადეს გიგას, სამ ასოზე გაუშვეს!**

თუმცა გიგას პირმშვენიერმა მეუღლემ — გიგა მოსკოვში კი არა, აბაზანაშია, შხაპს იღებსო, — განაცხადა. ეეე, გიგა, გიგა, მაგას ვინ ჭამს, სადა ბანაობ, ბიჭო?..

არა და, რა არის ეს ყბადაღებული „ჟენევის ფორმატი“? — აგვისტოს უტვინო ავანტიურის შემდეგ, საქართველომ ტერიტორიებთან ერთად ყველაფერი დაკარგა, რისი დაკარგვაც წარმოსადგენი იყო, მათ შორის საერთაშორისო მონიტორინგიც გამორიცხულია სოხუმ-ცხინვალში და ერთადერთ საშუალებად საქართველოს მიერ საკუთარ დაკარგულ ტერიტორიებზე სავიშვიშოდ ე. წ. ჟენევის ფორმატიღა დარჩა.

**ფაქტია, რომ ამ (ჟენევის) ფორმატით არც ერთი, დიახ, არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შეთანხმება არ მიღწეულა!**

**ანუ ჟენევაში იმაზე თანხმდებოდნენ, რომ შეთანხმებას ვერაფერში მიაღწიეს...**

აქედან გამომდინარე, ჟენევის ფორმატი საქართველოს ყოფილი ხელისუფლებისთვის „დავარცხნილ“ ევროპაში პერიოდული ვიზიტების, უფრო გასაგებად კი, ძვირადღირებული „პაეზდკების“ საბაბად იქცა, სადაც ერთმანეთის მონაცვლეობა-ჩანაცვლების წინასწარ გაწერილი გრაფიკის მკაცრი დაცვით, 5-ვარსკვლავიან აპარტამენტებში საქმიანი „ფეის-როჟებით“ განცხრომით „იცავდნენ“ საქართველოს ინტერესებს „ცოცხების პარტიის“ ოდიოზები: გიგა ბოკერიები, აკაკი მინაშვილები, გოკა გაბაშვილები, გია ბარამიძეები, მიშა მაჭავარიანები თუ გალსტუკიანი ხვლიკის „ოპოზიციური პარტიის“ ვარსკვლავები: გიორგი თარგამაძეები, ლევან ვეფხვაძეები, მაგდა ანიკაშვილები და ა. შ. — ოპოზიცია-პოზიციის სხვა მრავალი უსინდისო...

**ჩვენი დასავლელი „მეგობრებისთვის“ კი ჟენევის ფორმატი სალაყბო ადგილი იყო და არის, სადაც კიდევ ერთხელ აღიარებდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, კიდევ ერთხელ აღშფოთდებოდნენ ოკუპანტი რუსეთის გამო, ანუ კიდევ ერთხელ და მერამდენედ თვალში ნაცარს შეგვაყრიდნენ!**

**მაშ, რის გაგრძელებისკენ და რისთვის მოუწოდებდა გიგა ბოკერია ზურაბ აბაშიძეს?**

სანამ ამ რიტორიკულ კითხვას პასუხს გავცემთ, მცირე ისტორიულ ექსკურს მივმართოთ, რათა დავინახოთ, თუ როგორ მივედით ამ „საოცნებო“ ჟენევის ფორმატამდე...

გახსოვთ, ალბათ, მას შემდეგ, რაც სააკაშვილს მართლაც რეალურად დაჰპირდა მასზე არცთუ ბევრად ჭკვიანი ჯორჯ დაბლიუ ბუში რუსეთთან კონფრონტაციის შემთხვევაში თანადგომას, თუ ჩვენს შექანებულ პრეზიდენტს სასურველი რეალობად მოეჩვენა, უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობები რუსეთთან. რამდენჯერ მიიღო საქართველომ რუსეთისგან სავსებით ცალსახა მესიჯები, რომელთა აზრი, თუ დიპლომატიურ „შელუხას“ მოვაშორებთ, ადამიანურ ენაზე ასე ჟღერდა: არ გინდათ ჩვენთან მეგობრობა? ნუ გინდათ, მაგრამ „ნა-ტო, ნა-ტოს“ ძახილსაც მოეშვით, ამერიკასაც ნუ გაუღებთ კარს, ნეიტრალიტეტი გამოაცხადეთ, თორემ, სანამ ამერიკა 9 ზღვასა და 9 მთას იქიდან მოვა, მე აგერ ვარ, ყურისძირში, და „ცულს მოვიტან, ცუნცულასაო“...

ისიც გემახსოვრებათ, თუ როგორ სასაცილოდ აიგდეს მაშინ ნეიტრალიტეტის იდეა ზემოთ ჩამოთვლილმა ოდიოზებმა თუ არჩამოთვლილმა „ექსპერტ-პოლიტოლოგებმაც“. დიახ, აქ შეგნებულად არ ვიხმარე ეპითეტი „სამთავრობო“, რადგანაც, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყველანი ერთ ხმაზე მღეროდნენ, მათ შორის ოპოზიციური პარტიების უმრავლესობაც და ნეიტრალიტეტის სერიოზულად განხილვის მცდელობა მედიაში (მათ შორის თქვენი მონამორჩილისაც), როგორც იტყვიან, „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, რჩებოდა?!

ახლა, ამ იდეამ „ჩაილურის წყალი დალია“. **ნეიტრალიტეტის მატარებელი გავიდა და ახლა, გინდაც ძალიან მოვინდომოთ, ამ თემაზე არავინ დაგველაპარაკება, რადგანაც საქართველოსგან ამ „მოწყალების“ გარეშეც, რუსეთმა მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოში დანაპირები აგვისრულა და „ცუნცულა ცული“ მოიტანა, იმაზე გაცილებით მეტი მიიღო, ვიდრე საქართველოს ნეიტრალიტეტის შემთხვევაში ვარაუდობდა!**

რუსეთმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზების სახით თითქმის ასპროცენტიანი გარანტია მიიღო იმისა, რომ დღეიდან და „ას წელიწადს კიდო“, კავკასიაში ნატო ვერ შემოვა, ანუ იმავე საქართველოს ნატოში მიღებისთვის ხმის მიცემას, ბალტიის თუ პოლონეთის მსგავსი ვაიდემოკრატი ქვეყნების (თუმცა ახლა ეგეც საკითხავია) გარდა, ალიანსის სხვა წევრებიდან, ალბათ, ვერავინ გარისკავს!..

თუ მაინც და მაინც (ვიმეორებ, მე პირადად არ მჯერა ამის, მაგრამ...) ჰიპოტეტურად შეიძლება საქართველოს ნატოში გაწევრიანების წარმოდგენა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ უარს იტყვის აფხაზეთ-ცხინვალზე და ცნობს მათ დამოუკიდებლობას. ამას კი ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაბედავს?!

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძალისმიერი, სამხედრო გზაც რომ აბსოლუტური უტოპიაა, ეს შიშველი გადარეული სააკაშვილისთვისაც კი ცხადი გახდა და მითუმეტეს ამის ილუზია ვერ ექნებათ „ქართულ ოცნებაში“.

ის მიამიტური აზრიც გამორიცხულია, რომ რუსეთს, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაშიც კი, ერთი ხელის აქნევით შეუძლია საქართველოს იურისდიქციაში აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნება!

**მაშ, რაზე უნდა ველაპარაკოთ რუსეთს ერთი ერთზე, რით უნდა დავიწყოთ? ერთადერთი, რაც რუსეთთან ჯერ კიდევ ასე თუ ისე მნიშვნელოვანწილად გვაკავშირებს, ეს ისტორიული და სარწმუნოებრივ-კულტურული ურთიერთობების რაღაც ნარჩენები და აქედან გამომდინარე, ორმხრივი ნოსტალგიაა ძველი, მასშტაბური ურთიერთობების მიმართ, როდესაც ძნელად მიხვდებოდი, სად იწყებოდა ერთი და სად მთავრდებოდა მეორე...**

და ყველაზე მთავარი, ერთმორწმუნეობა, ჩვენი პატრიარქის ბრძნული მოღვაწეობის გამო ამ მიმართულებით: არა თუ შენარჩუნდა ორ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ევქარისტული ძმობა-ერთობა, არამედ, თუ გავითვალისწინებთ ურთულეს პოლიტიკურ კონტაქტს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობები უფრო გაძლიერდა. გახსოვთ, ალბათ, როგორ უშლიდა ნერვებს ჩვენი პატრიარქი „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ ხელისუფლებაში მოკალათებულ გველებს თავისი „უდროო და მოღალატური“ ვიზიტებით მოსკოვში...

კულტურულ-სარწმუნოებრივი, ეკონომიკური თემების შემდეგ, იქნებ იმასაც მივაღწიოთ, რომ რუსეთმა ასევე ერთი ერთზე საუბრის შესაძლებლობა აფხაზებთან და ოსებთანაც მოგვცეს და ვინ იცის, იქნებ შორეულ მომავალში რაღაც ფორმით პოლიტიკური და ადამიანური თანაცხოვრების კონტურებიც გამოიკვეთოს?!

**რაც შეეხება უახლოეს თვალსაწიერს, რეალისტები უნდა ვიყოთ — პირადად მე კმაყოფილი ვიქნები, თუ ჩემი სიცოცხლის მანძილზე, სანამ თვალი და მუხლი მიჭრის, იმას მაინც მოვესწრები, რომ ძველებურად ჩამესვლებოდეს მიწიერ სამოთხე აფხაზეთში, რომელთანაც ჩემი ჯეელობის ტკბილი მოგონებები მაკავშირებს...**

**მომიტევეთ ეს მცირე ლირიული გადახვევა და ახლა ისევ მკაცრ პროზას დავუბრუნდეთ — მაშ, რამ შეაშფოთა თავისუფლების ინსტიტუტში აღზრდილი გველის წიწილი და, რეზო ამაშუკელის უზუსტესი შედარებით, ახლა „გამძღარ, მთვლემარე პითონს“ რომ ჰგავს, გიგა ბოკერია, უფრო სწორად, მისი ამერიკელი ბოსები?**

**რამ და, ემანდ რუსებთან ერთი ერთზე დარჩენილმა საქართველომ ისეთი რამ არ მოილაპარაკოს რუსეთთან, რაც საქართველოში აშშ-ის მოკლევადიან ინტერესებს საფრთხის ქვეშ დააყენებს. მისი ინტერესი კი ერთია — საქართველოს, როგორც ტერიტორიის, პლაცდარმის გამოყენება ირანის წინააღმდეგ უეჭველ ომში. დიახ, უაჭველ, რადგან, ანალიტიკოსთა აზრით, ირანმა ან უკვე შექმნა, ან ძალიან ახლოს არის ატომური ბომბის შექმნასთან! აქედან გამომდინარე, მიახლოებით თარიღსაც ასახელებენ — აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებს, არაუგვიანეს ა. წ. დეკემბრის ბოლოს, ისრაელი პირველი დაარტყამს ირანს. ეს რომ სარწმუნო ვარაუდია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ისრაელმა საყოველთაო სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა!**

ანალიტიკოსთა აზრითვე, ეს „ლოკალური კონფლიქტი“ უეჭველად გადაიზრდება საყოველთაო „ჯვაროსნულ ლაშქრობაში“, არაბული, მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ტოტალურ ომში. პენტაგონში ამ ბოლო დროს მომწიფდა აზრი, რომ არაბული, მაჰმადიანური სამყარო გათავხედდა და დროა, მას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ!

**თუმცა „ჯვაროსნული ლაშქრობა“ უწოდო ხლისტების, ანუ ურწმუნო ამერიკის, სიონისტების მიერ წარმოებულ ომს, ალბათ, არ არის სწორი...**

**ამ ყველაფრის პასიური მაყურებელი რომ ვერ და არ იქნება რუსეთი, ცხადია. იმავე ანალიტიკოსთა აზრით, საქართველოს თანხმობით თუ მის გარეშე, როგორც მინიმუმ, რუსეთი გიუმრის ბაზამდე პირდაპირ სახმელეთო კორიდორს გაჭრის საქართველოზე!**

ეს ისე, ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ მოვლენათა განვითარების ასეთი აპოკალიფსური ვარიანტის ალბათობა არც თუ მცირეა...

სხვა შემთხვევაშიც, გიგა ბოკერიას ბოსების ამჯერად გრძელვადიან ინტერესებში მაინც არ შედის საქართველოს რუსეთთან ამერიკის თვალყურის გარეშე დიალოგი, რადგანაც ორმა მართლმადიდებელმა ერმა, რომლებიც ერთნაირი სიმძაფრით განიცდიან გლობალიზაციისგან მომდინარე მენტალური გადაგვარების საფრთხეებს, სულ ადვილად შეიძლება ანტილიბერასტული კოალიცია შეკრან.

**რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილის პროდასავლური კურსი მხოლოდ პრაგმატული რიტორიკაა და არა იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი ე. წ. რუსული პროექტი მგონია, არამედ იმიტომ, რომ, ალბათ, ბიძინასაც კარგად მოეხსენება „ნა-ტო, ნა-ტო“-ს ძახილის არა მხოლოდ უპერსპექტივობა, არამედ ე. წ. დასავლური ღირებულებების დამღუპველობა ქართული მენტალობისთვის, რადგანაც ის ჭეშმარიტი დასავლური ღირებულებები, რომლებიც აგრერიგად გვხიბლავდა, დღეს ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების იძულებაში და ათასგვარ სხვა, სულის წამბილწველ გარყვნილებებში ტრანსფორმირდა.**

იქამდეც მივედით, რომ დასავლეთიდან 100%-ით დაფინანსებული ჩვენი ენჯეოები ქსენოფობია-ჰომოფობიად უთვლიან ქართველ კაცს იმის სრულიად ბუნებრივ სურვილს, რომ ქართველს მამრი სიძე და მდედრი რძალი უნდოდეს და საქართველოს პრეზიდენტად ეთნიკური ქართველის ხილვა სურდეს.

**დავით მხეიძე**

**„ზოგიერთი ცნობილი სახე“, რომელიც არ გამორიცხავდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას, სწორედ ზაქარეიშვილის თანაპარტიელი რესპუბლიკელები არიან. ახლა, როცა ისინი ოპოზიციიდან უმრავლესობაში აღმოჩნდნენ, შესაძლოა, საკუთარი ადრინდელი გამონათქვამების მძევლებად იქცნენ. ასეა თუ ისე, აფხაზური მხარე, საქართველოში ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, არანაირ მზადყოფნას არ გამოთქვამს, მიიღოს შეთავაზება და, აღიარების გარდა, რომელიმე საკითხზე დაიწყოს მოლაპარაკება.**

პოზიცია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ალექსანდრე ანქვაბი:

# თუ ქართული ოცნებაა, აფხაზეთი საკუთარ კალაპოტში დააბრუნონ, მაშინ ეს ოცნება ილუზორულია

**აფხაზეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა 10 ოქტომბერს ვრცელი პრესკონფერენცია გამართა, რომელიც გაზეთმა „ეხო აბხაზიი“ გააშუქა. პირველივე კითხვა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს შეეხო.**

**ვიტალი შარია, გაზეთი „ეხო აბხაზიი“:**

**— ალექსანდრ ზოლოტინსკოვიჩ, თქვენ მოკლედ უკვე გამოეხმაურეთ საქართველოში ახალი მთავრობის მოსვლას და მისი წარმომადგენლების პირველ განცხადებებს. უფრო ვრცლად ხომ არ ჩამოაყალიბებთ საკუთარ პოზიციას ამ ქვეყანაში მიმდინარე უკანასკნელ მოვლენებთან დაკავშირებით?**

**ალექსანდრე ანქვაბი:**

— რა უნდა განვავრცო? მე წავიკითხე მომავალი მინისტრების ზოგიერთი კომენტარი. არაფერი შეცვლილა: იგივენი და იგივე. ვერ ვხედავ განსხვავებას 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში შემოჭრილ აგრესორებსა და იმათ შორის, რომლებიც შემდგომში სხვადასხვა მდგომარეობაში ცდილობდნენ ამის კომენტირებას. ვინც არ უნდა იყვნენ ისინი – პოლიტოლოგები, საზოგადო მოღვაწენი თუ სახელმწიფო მოხელეები. **თუ ქართული ოცნებაა, აფხაზეთი საკუთარ კალაპოტში დააბრუნონ, მაშინ ეს ოცნება ილუზორულია. თუ ქართული ოცნებაა თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება, მაშინ ეს კარგი ქართული ოცნებაა. სხვა კომენტარი არ მაქვს. ჯერ არავის დაურეკავს, არაფერი მოუწერიათ.**

აი, რა წავიკითხე დღეს... პაატა ზაქარეიშვილის ინტერვიუ მომიტანეს. ერთგვარი გუშინდელი მტრედია, ახლა – სახელმწიფო მოხელე პერსპექტივაში. ამბობს, რომ მზად არიან ყველაფერზე სამსჯელოდ, მაგრამ არავითარი დამოუკიდებლობა ოსებსა და აფხაზებს არ ექნებათ. დიდი მადლობა, მაგრამ ჩვენ თვითონ ავაწყობთ ჩვენს ცხოვრებას, თავად განვსაზღვრავთ საკუთარ შემდგომ ბედს. უკვე განვსაზღვრეთ კიდეც და ასეთი მრჩეველები, კომენტატორები არ გვჭირდება, რომლებსაც მათ მიმართ აფხაზეთში კეთილგანწყობის იმედი აქვთ. **იგი წერს, რომ ბევრი მეგობარი ჰყავთ აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოებაში, არასამთავრობოებში. მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ ყველას თავისი გზა აქვს. ამას ვერ ითვალისწინებს ბატონი ზაქარეიშვილი.**

**სვეტლანა კორსაია, ტელეარხი „აბაზა-ტვ“:**

**— რა საფრთხეებს შეიცავს ჩვენთვის საქართველოს ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლა?**

**ალექსანდრე ანქვაბი:**

— საფრთხეები ყოველთვის გვაქვს — ივანიშვილი მოვა ხელისუფლებაში თუ ვინმე სხვა. მათ თავისი ჰქონდეთ, ჩვენ კი — ჩვენი. თუ ივანიშვილი მდიდარი კაცია, თავისი კაპიტალი საკუთარ ხალხს დაახარჯოს. ის, რაც ჩვენი მისამართით თქვა, იმას ნიშნავს, რომ ოსები და აფხაზები მისი ხალხია. თავის აზრზე დარჩეს. **ჩვენ საკუთარ სამშობლოში ვცხოვრობთ და არსად წასვლას არ ვაპირებთ, სახელმწიფო საზღვარი გვაქვს, რომელსაც დავიცავთ. თუ კარგი მეზობელივით მოიქცევიან, ჩვენც მზად ვართ... თუ ჩვენთან სხვაგვარად მოქცევას გადაწყვეტენ, არაფერი გამოუვათ.** ლავროვმა ამას წინათ თქვა: რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაწვეული არ იქნება.

**ანჟელა კუჩუბერია, „აფსნიპრესი“:**

**– ჩვენმა ქვეყანამ განაცხადა, რომ ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი უნდა შეიცვალოს. თუ ფორმატი არ შეიცვლება, მიზანშეწონილად მიგაჩნიათ დისკუსიების უწინდელი ფორმატით გაგრძელება?**

**ალექსანდრე ანქვაბი:**

– მე არაერთხელ გამოვთქვი აზრი ჟენევის დისკუსიებზე, თუმცა არსი ერთია: ეს არის მოედანი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ მსოფლიომდე მიგვაქვს ჩვენი აზრი. დამახინჯებული ინფორმაცია აფხაზეთის შესახებ ყველგანაა. მსოფლიოში ბევრგან ჩვენზე არაფერი იციან, მათ შორის ევროპაშიც. ეს ჩვენი ბრალიცაა და იმათიც, ვისაც ჩვენს შესახებ არაფრის ცოდნა არ უნდათ. თუ ყველა შეხვედრაზე ცხვირში ერთსა და იმავეს გვჩრიან, რა აზრი აქვს ასეთ მსჯელობას? ეს უაზრო შრომაა. აფხაზური მხარის სარგებელი მხოლოდ ჩვენი დიპლომატების, მომლაპარაკებლების ტრენინგშია. აფხაზეთისთვის ამწამიერი უშუალო სარგებელი შეიძლება არც იყოს. ამიტომაც ვფიქრობთ, უფრო ხისტი გავხადოთ ჩვენი პოზიცია. და ამას გავაკეთებთ.

ეს არაერთხელ მითქვამს დასავლელი დიპლომატებისთვის ჩემს კაბინეტში, მათ შორის ასეთი სიტყვებიც: **რა აზრი აქვს ჩვენს შეხვედრებს, წყალი ვნაყოთ? მოდით, ერთმანეთს დროს ნუ დავაკარგვინებთ. ჩამოდით ჩვენთან, როგორც კერძო პირები, მიგიღებთ, გიმასპინძლებთ, ექსკურსიებზე გატარებთ. მოლაპარაკებები კი ხშირად უაზრო სახეს ატარებს. ასევე კრიტიკულად ვარ განწყობილი აფხაზეთში საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობის მიმართ. მათაც შევთავაზებთ სამუშაო ფორმატის შეცვლას და გალის რაიონისკენ გადანაცვლებას.** არც ისე კორექტულია ჩვენს განათლებაში, კულტურულ დაწესებულებებში, თითქოსდა სკოლების რეანიმაციაში ჩარევა. ამ ყველაფერს მოჩვენებითი სახე აქვს. დიდ პატივს ვცემ ცალკეული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ კონკრეტულ სამუშაოს, მაგრამ ძირითადში ამ მუშაობას აფხაზეთისთვის არავითარი სიკეთე არ მოაქვს.

როგორც მომახსენეს, საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობის საერთო ფინანსური კალათა 15 მილიონ დოლარს შეადგენს. ალბათ, ნახევარი საკუთარი თავის შენახვაზე ეხარჯებათ. რაზე ვლაპარაკობთ? მათ მიერ ჩატარებული ყველა რემონტი უვარგისია. **მხოლოდ ქალაქ ტყვარჩელში მათი თანხებით გარემონტებული 18 მრავალსართულიანი სახლის სახურავები თავიდან არის გასაკეთებელი. იგივეა სოხუმშიც და ყველგან. ანგარიშებში კი უწერიათ, რომ ესა და ეს გააკეთეს. როგორც იტყვიან, განშორების დროა და ჩვენ აქეთ მივდივართ.** თუ ვინმე ერთობლივი მუშაობის სერიოზულ პირობებს შემოგვთავაზებს, ამ ურთიერთობებს განვაგრძობთ, მაგრამ სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში „ქვეყნების კუთხეთა“ შექმნას არ ვაპირებთ. ჩვენ გვაქვს აფხაზური, რუსული კუთხეები, ჩვენი ომის ვეტერანებისადმი მიძღვნილი კუთხეები. ჟენევის პროცესს მივუბრუნდები... **დარწმუნებული ვარ, საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლით ჟენევის მოლაპარაკებებზე საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიციის არსი არ შეიცვლება, თუმცა ჟენევა ლამაზი ქალაქია, იქ ბევრის ნახვა შეიძლება.**

**მანანა გურგულია, „აფსნიპრესი“:**

**– ჩემი კითხვაც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას ეხება, რადგან მათ შესახებ ახლა ბევრს კამათობენ. თუ ქართულ პრესას გადავავლებთ თვალს, იმ აზრსაც მოვისმენთ, რომ საქართველოს მხოლოდ რუსეთთან კი არ აქვს კონფლიქტი, არამედ ისინი აღიარებენ, რომ არსებობს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტიც. თუმცა ისინი მოლაპარაკებებში რუსეთის შუამავლის სახით მონაწილეობას ეწინააღმდეგებიან და პირდაპირი მოლაპარაკების მომხრენი არიან. რას იტყოდით ამის შესახებ და როგორ ხედავთ რუსეთის როლს მოლაპარაკებებში?**

**ალექსანდრე ანქვაბი:**

— არც ერთი მოლაპარაკება დღემდე არ გამართულა შუამავლების, მათ შორის, რუსეთის მონაწილეობის გარეშე. რა უნდა დღეს ქართულ მხარეს, არ ვიცი. ჩამოყალიბდება მთავრობა და მოვისმენთ, რას იტყვიან. ჩვენს მდგომარეობაში საკვანძო საკითხი სამშვიდობო ხელშეკრულებაა. სხვა ყველაფერზე არაერთხელ გვიმსჯელია სხვადასხვა მოედანზე — გალის რაიონით დაწყებული, ჟენევით დასრულებული. არავითარი შედეგი არ არის. **საკვანძო საკითხზე მსჯელობისთვის კი მზად ვართ, მაგრამ ქართულ მხარესთან იმაზე კამათს, ეს კონფლიქტი იყო თუ არა, ლტოლვილებზე და სხვა საკითხებზე ლაპარაკს არ ვაპირებთ. მთავარი საკითხის გადაწყვეტის დრო დადგა, თუ ქართული მხარე ამისთვის მზად არის, თუ არადა, ქარავანი მიდის.**

> **„დარწმუნებული ვარ, საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლით ჟენევის მოლაპარაკებებზე საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიციის არსი არ შეიცვლება, თუმცა ჟენევა ლამაზი ქალაქია, იქ ბევრის ნახვა შეიძლება“**

ამავე დროს რეინტეგრაციის ახალი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი გაზეთ „კომერსანტთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება მზადაა, აღადგინოს სარკინიგზო-საავტომობილო მიმოსვლა რუსეთთან აფხაზეთის გავლით. პირველ ეტაპზე ეს იქნება სატვირთო, შემდეგ კი სამგზავრო სახით. **„ჩვენ უნდა შევწყვიტოთ საკითხის პოლიტიკურად მოტივირება და პრობლემა ეკონომიკურ ასპექტში განვიხილოთ“,** — აცხადებს ზაქარეიშვილი, თუმცა აღნიშნავს, რომ რუსეთთან და აფხაზეთთან ჯერ ეს საკითხი არ განუხილავთ. პაატა ზაქარეიშვილმა იქვე აღნიშნა, რომ სარკინიგზო საკითხი დევნილების დაბრუნების თემასთან მიბმული არ უნდა იყოს. **„სარკინიგზო ხაზის აღდგენა ხელს შეუწყობს დევნილების დაბრუნებას და პრობლემების მოგვარებას“,** — აღნიშნავს ზაქარეიშვილი.

**„სარკინიგზო ხაზი მაინც მუშაობს: შემადგენლობა მაინც მოძრაობს რუსეთის, მაგრამ არა საქართველოს მიმართულებით, რადგან ძველმა ხელისუფლებამ ასე გადაწყვიტა. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ აფხაზეთი ეკონომიურად მხოლოდ რუსეთთან იყოს მიბმული, თუ ჩვენ რკინიგზას ჩვენს მხარესაც გავხსნით, აფხაზეთს ალტერნატივა გაუჩნდება“,** — აღნიშნავს მინისტრი. პაატა ზაქარეიშვილი დარწმუნებულია, რომ, თუ საქართველო ჩაერთვება ეკონომიკურ პროექტებში, მაშინ ეს აფხაზეთთან კონფლიქტის სწრაფ დარეგულირებას შეუწყობს ხელს.

2012 წლის ზაფხულში ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე აცხადებდა, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, პირველ რიგში, რუსეთსა და სომხეთს სჭირდება და არა საქართველოს. იგი საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ამ გზით რუსეთი აფხაზეთისა და საქართველოს ტრანზიტით საკუთარ სამხედრო ბაზას მოამარაგებდა გიუმრიში. რკინიგზის სტატუსიც გაუგებარი იყო, რადგან, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, აფხაზეთი „ოკუპირებულ ტერიტორიად“ მიიჩნევა.

ზაქარეიშვილის მოსაზრებაზე აფხაზური არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა აზრი მკვეთრად განსხვავებულია, არადა, მას სწორედ მათი მხარდაჭერის იმედი აქვს.

**აფხაზი პოლიტოლოგი ლიანა კვარჩელია, გაზეთი „ეხო აბხაზიი“:**

— არა მგონია, ახალ ქართულ მმართველ გუნდს არ ესმოდეს, რომ აფხაზებისთვის საკუთარ სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და რომ კონფლიქტმა და განსაკუთრებით 1992-1993 წლების ომმა, საბოლოოდ მოხსნა დღის წესრიგიდან საქართველოსთან ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების საკითხი. ასე რომ, **თუ ახალი ქართული პოლიტიკა მაინცდამაინც არ არის გათვლილი იმაზე, რომ აფხაზეთის „დაბრუნებაში“ დაეხმარება, ის, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით მაინც ააცილებს ხელმძღვანელობას, გადაწყვიტოს ქართული საზოგადოებისთვის მტკივნეული საკითხი აფხაზეთის „სტატუსის“ შესახებ.** აღნიშნულ საკითხს „ავადმყოფურ“ მდგომარეობაში შეინარჩუნებენ წაგებული „ნაციონალებიც“. მთლიანობაში კი საქართველოს ამის გარეშეც ბევრი საქმე აქვს. გამოკითხვები აჩვენებენ, რომ რიგითი მოქალაქეებისთვის პრიორიტეტულ პრობლემებს წარმოადგენს დასაქმება და არა „გამოყოფილი ტერიტორიები“.

**ახრა სმირი, აფხაზი ჟურნალისტი:**

— პაატა არ ჰგავს თვითმკვლელს. პაატა არ დაარქმევს ყველაფერს თავის სახელს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საჯარო პირიდან ის ოფიციალურ პირად გადაიქცა. მოკლედ რომ ვთქვათ, **ვიდრე საქართველოში შეუძლებელია აშკარა საკითხების გახმოვანება, არაფერს კარგს არ უნდა ველოდოთ ამ ქვეყნისგან. საქართველო კავკასიის ავადმყოფი ადამიანია, მაგრამ მე მჯერა, რომ ავადმყოფობა დამარცხდება. ეს ჯერ იქნება ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა, შემდეგ დაიწყება ყველა მოვლენისთვის თავისი სახელის დარქმევის პროცესი, შემდეგ პასუხისმგებლობის გაზიარება და შემდეგ კი ფინიში.** მაგრამ ის არ იქნება ისეთი, როგორსაც ახმოვანებს პაატა. ფინიში უნდა იქნეს ნამდვილი, რომელიც ხელსაყრელია ყველასთვის. ყველას კი ერთი რამ აძლევს ხელს — დასვას წერტილი და დაიწყოს ყველამ თავისი ცხოვრებით ცხოვრება. ამ კონტექსტში ჩემი პროგნოზი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველო ჩვენ მაინც გვაღიარებს და ეს მოხდება არაუმეტეს ათი წლის განმავლობაში.

თუმცა ყველაზე ნიშანდობლივი **აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, სტანისლავ ლაკობას,** განცხადებაა. 19 ოქტომბერს აფხაზური ტელევიზიის თოქ-შოუში მან განაცხადა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მხრიდან იგი მნიშვნელოვან დივიდენდებს ელოდება: **„ზოგიერთი ცნობილი სახე „ქართული ოცნებიდან“ ადრე არ გამორიცხავდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას“.** ამასთან, ლაკობამ აღნიშნა, რომ თბილისიდან რაიმე ხეირის მოლოდინი ზედმეტია, **„ვიდრე იქ დღემდე ხელკეტით სააკაშვილი დგას“.**

**„ზოგიერთი ცნობილი სახე“, რომლებიც არ გამორიცხავდნენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, სწორედ ზაქარეიშვილის თანაპარტიელი რესპუბლიკელები არიან. ახლა, როცა ისინი ოპოზიციიდან უმრავლესობაში აღმოჩნდნენ, შესაძლოა, საკუთარი ადრინდელი გამონათქვამების მძევლებად იქცნენ. ასეა თუ ისე, აფხაზური მხარე, საქართველოში ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, არანაირ მზადყოფნას არ გამოთქვამს, მიიღოს შეთავაზება და, აღიარების გარდა, რომელიმე საკითხზე დაიწყოს მოლაპარაკება.**

მოამზადა
**ლილი მიროტაძე**

საქართველო და მსოფლიო
ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხალხიც აღარაა ის ხალხი, რაც წინათ იყო. სტალინის ძეგლის აღება 1956 წელსაც უნდოდათ და დააპირეს კიდეც, მაგრამ მთელი გორი ფეხზე დადგა და არაფერი გამოუვიდათ. კარვები ჰქონდა მოსახლეობას გაშლილი და დარაჯობდნენ, რომ ძეგლი მალულად არ წაეღოთ. მაშინ ჰქონდათ ადამიანებს ღირსების გრძნობა და საზოგადოება მოწოდების სიმაღლეზე იდგა.“



# ირაკლი ყანდარელი: ოთხი სახელმწიფოს საპატიო მოქალაქე ვარ და იცით, რას გეტყვით — ვინც გორში სტალინის ძეგლი აიღო, მე იმის ... და ვინც უკან არ დააბრუნოს, იმისიც...

**უკვე ორ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც სააკაშვილის ძეგლთმოძულე რეჟიმმა გორის ცენტრალური მოედნიდან სტალინის მონუმენტი ვანდალურად გააქრო. მოსახლეობის უკმაყოფილების მიუხედავად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მაშინდელი მინისტრი, ნიკოლოზ რურუა, ამ ფაქტს საზოგადოების ინტერესებით ხსნიდა და აცხადებდა, რომ საქართველოში საბჭოთა სიმბოლიკის ადგილი არ არის. ხელისუფლების შეცვლასთან ერთად გაჩნდა მოლოდინი, რომ ძეგლი, რომელიც, ფაქტობრივად, გორის სიმბოლოს წარმოადგენდა, ქალაქს ისევ დაუბრუნდება. რა პოზიცია ექნება ამასთან დაკავშირებით ახალ მთავრობას და რეალურად საჭიროა თუ არა ამ ძეგლის აღდგენა? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ გორის მკვიდრი, ომის ვეტერანი და შრომის გმირი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი ირაკლი ყანდარელი ესაუბრება.**



**«მარტო ამათნაირ ტვინგახურებულს თუ მოუვა აზრად მისი სახელის შეურაცხყოფა, თორემ, ვინც საღად აზროვნებს, რატომ უნდა სძულდეს კაცი, რომელმაც, ფაქტობრივად, იხსნა მთელი მსოფლიო?! რაც უნდა გააკეთონ, რაც უნდა პროპაგანდამ იმუშაოს, სტალინის სახელს, მის ამაგს კაცობრიობის წინაშე ჩრდილს ვერ მიაყენებენ»**

**— ბატონო ირაკლი, ომის მონაწილე ხართ და, ბუნებრივია, თქვენთვის, როგორც ყველა ვეტერანისთვის, ყველაფერი, რაც სამამულო ომს უკავშირდება, ძვირფასია...**

— 14 ნოემბერს 89 წელი შემისრულდება. ამ ასაკამდე იოლად და სიძნელეების გარეშე არ მოვსულვარ. 1941 წლის 22 ივნისს ომი რომ დაიწყო, ზუსტად იმ დღეს სკოლა დავამთავრეთ და მცირე პურმარილი გვქონდა. 23-ში უკვე მოხალისედ ჩავეწერეთ და გაგვიყვანეს... ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და ვერ ნახავთ საქართველოში ადამიანს, რომელსაც იმდენი ჯილდოები ჰქონდეს მიღებული, რამდენიც მე; 26 წელი სამხედრო სამსახურში ვიყავი, ომის შემდეგ კი, სწავლა რომ დავამთავრე, 20 წელი ვმუშაობდი ინტურისტებში. იქ მარტო რუსულად ვსწავლობდით, ამიტომ ქართულად ცოტა მიძნელდება საუბარი და ბოდიშს გიხდით.

**— თქვენისთანა დამსახურებული ადამიანები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი არიან. ხელისუფლება თუ გეხმარებათ რამეთი?**

— იცით, რას გეტყვით, მე ამათი... არ შემაგინებინოთ. ეს რა მთავრობაა, ვუგზავნი წერილს, განცხადებას, ყურსაც არ იბერტყავენ. ადამიანი ჩალის ფასად არ ულირთ. მე ოთხი სახელმწიფოს საპატიო მოქალაქე ვარ: ჩეხეთის, სლოვაკეთის, აფხაზეთისა და უკრაინის...

**— კი მაგრამ, აფხაზეთი ხომ სახელმწიფო არ არის?**

— ფეხებზე მკიდია, მთავრობა რას იტყვის. მე აფხაზეთის საპატიო მოქალაქე ვარ! ეს შემთხვევით კი არ ხდება, მათ იციან ადამიანების დაფასება.

პირველი შეხვედრა ფაშისტურ ძალებთან სწორედ აფხაზეთში გვქონდა, სანჩეროს უღელტეხილზე. იქ ვიყავით მთელი საოფიცრო სკოლა. შეტაკებების შემდეგ სამი ათას ორასი კაციდან სულ რამდენიმე დავრჩით საღსალამათი. უმეტესობა ბრძოლაში დაიღუპა, ნაწილი კი ისე დასახიჩრდა, რომ ჯარში მათი გაჩერება შეუძლებელი იყო...

**— ბოლოს როდის შეიკრიბეთ ვეტერანები?**

— 1982 წელს სოხუმში. იმ დროისთვის უკვე 15-ღა ვიყავით დარჩენილი საოფიცრო სკოლიდან.

**— არ მინდა, ერთი და იმავე კითხვებით თავი შეგაწყინოთ, მაგრამ თქვენ თქვით, რომ ხელისუფლება არაფრით გეხმარებათ. მიმართეთ ვინმეს?**

— როგორ არ მივმართე, ვის არ მივმართე! **გაქცევს ვინმე ყურადღებას?! გთვლიან ადამიანად?! გუბერნატორი რომ იყო ჩვენი, ლამაზად რომ ივარცხნიდა ხოლმე ქოჩორს, პასუხის ღირსად არა გვთვლიდა...** სხვათა შორის, ალასანია იყო ჩემთან მოსული არჩევნებამდე და 2007 წელს სააკაშვილმაც მინახულა, ორდენი გადმომცა საჩუქრად და ტელევიზორი...

**— ალასანიამ რა გადმოგცათ?**

— ალასანიამ არაფერი მაჩუქა, მაგრამ დამპირდა... დაპირებაში მაგრები არიან, მოგეცა ლხენა. ისე ალასანია კარგი ბიჭია, არ ვემდური.

**— სხვებზე რას იტყვით?**

— ჯერ ახალმოსულები არიან, რა უნდა ვთქვა... **ოთხი დღის წინ სააკაშვილს მივწერე წერილი, იქნებ შემოიარონ მთავრობის წევრებმა-მეთქი. ტელეფონებსაც არ პასუხობენ, რომ ვრეკავ. ყველა ერთსა და იმავეს მეუბნება: შეგეშალათ, სხვაგან მოხვდითო. რა არის ეს, გამაგებინეთ! შეიძლება მთავრობამ ასე დაიკიდოს ფეხებზე საკუთარი ხალხი?!**

**— არის საუბარი იმაზე, რომ გორში სტალინის ძეგლი უნდა აღდგეს. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— **ჯერ ერთი, ვინც სტალინის ძეგლი გორის ცენტრიდან გაიტანა, მე იმის... და, ვინც უკან არ დააბრუნოს, იმისიც... არ მინდა, შევაგინო; რა თქმა უნდა, ძეგლი აღსადგენია. ესაა ჩვენი ღირსეული წარსული. არ ვიცი, გაქვთ თუ არა იმ მონუმენტის სურათი, რომელიც გორის ცენტრალურ მოედანზე, სტალინის ადგილზე უნდა დაედგათ, მაგრამ ეს დაცინვა და თვალებში შეფურთხებაა, ხალხის აბუჩად აგდება.**

**— თქვენი აზრით, ვისი იდეა იყო ეს ყველაფერი?**

— ვისი და ამათი ღმერთი რომაა, ნიკა რურუასი.

**— რაში სჭირდებოდა რურუას ამ მონუმენტის აღება, როგორ ფიქრობთ?**

— დურაკი რომაა, იმაში — საბჭოთა კავშირს გვაგონებსო, დალოცვილო, შენ რომ წახვალ, შენი გაკეთებული საქმეები რას გაახსენებს ხალხს, გიფიქრია?!

**— თქვენი ბინის სარკმელი გორის ცენტრალურ მოედანს პირდაპირ გადაჰყურებს. ძეგლს რომ იღებდნენ, ხედავდით?**

— როგორც თქვენ არ დაგინახავთ ეს ყველაფერი, არც მე. **25 ივნისს, შუა ღამით, როცა მოსახლეობას ეძინა, მოვიდნენ, მოიყვანეს ტექნიკა და ძეგლი რამდენიმე საათში გააქრეს. იცოდნენ, რომ ხალხს პროტესტი ექნებოდა და ეს იმიტომ გააკეთეს.** მერე გავიგეთ, რომ ვიღაც მილიონერი დაინტერესებულა ამ ძეგლით და თვრამეტი ათას დოლარს იხდის. აი, ესაა ამათი მზრუნველი პოლიტიკა: თუ რამე არ მოსწონთ, ხალხის აზრი ფეხებზე ჰკიდიათ და ყიდიან კიდეც.

**— ხალხს რა რეაქცია ჰქონდა, ძეგლი რომ ველარ დაინახეს?**

— **ხალხიც აღარაა ის ხალხი, რაც წინათ იყო. მაგ ძეგლის აღება 1956 წელსაც უნდოდათ და დააპირეს კიდეც, მაგრამ მთელი გორი ფეხზე დადგა და არაფერი გამოუვიდათ. კარვები ჰქონდა მოსახლეობას გაშლილი და დარაჯობდა, რომ ძეგლი მალულად არ წაეღოთ. მაშინ ჰქონდათ ადამიანებს ღირსების გრძნობა და საზოგადოება მოწოდების სიმაღლეზე იდგა.**

**— გაქვთ იმედი, რომ ახალი მთავრობა ძეგლს აღადგენს?**

— უნდა აღადგინოს. სხვა აზრი არ არსებობს. **ეს ძეგლი ქალაქის განუყოფელი ნაწილია, ჩვენ მისით ვამაყობდით და ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს.**

**— თუ არ დააბრუნებენ?**

— არა, ეგ არ შეიძლება. მაგის წარმოდგენაც არ მინდა.

**— ისევ ცენტრალურ მოედანზე უნდა დაიდგას, თუ სადმე სხვაგან?**

— როგორც მე ვიცი, ეგენი სტალინის მუზეუმთან აპირებენ დადგმას. იყოს იქაც, მშვენიერი ადგილია; საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ძეგლი უნდა იყოს ხელუხლებელი; ვის, როგორ მოეპრიანება, ეგრე კი არაა. ის, რაც ერის საკუთრებაა და ხალხისთვის იქმნება, ვიღაცის ნებასურვილით არ უნდა გააქრონ; და კიდევ ერთი: ეს უტვინო რურუა საერთოდ არ უნდა გაიკარონ მაგ საქმეში. ჯერ ერთი მაგას კულტურის არაფერი გაეგება და მეორეც, რაც მთავარია, საკუთარი წარსულის მიმართ პატივისცემა არ გააჩნია. **რამდენჯერ მივწერე წერილი, ვთხოვე, გამომიარე-მეთქი და ყურადღების ღირსად არ ჩამთვალა. შე კაი დედ-მამის შვილო, ოცდათოთხმეტ (34) სახელმწიფოსთან მქონდა მიმოწერა და ისინი მიპასუხებდნენ, შენ რა გახდი ასეთი?!**

...სტალინი მარტო საქართველოს კი არ ეკუთვნის, ის ეკუთვნის ყველას, იმიტომ, რომ მან გადაარჩინა მთელი მსოფლიო. სტალინზე დიდი პიროვნება ბევრი გვყავდა? მოსკოვი, პეტერბურგი ან რომელიმე სხვა ქალაქი აიღეთ რუსეთში, იმპერატორების ძეგლები დგას. ჩვენთან შეიძლება ამხელა ადამიანის მონუმენტი არ იდგეს?!

**— გორის მოსახლეობას რამდენად უყვარს სტალინი?**

— სტალინი ვის არ უყვარს... კი, ხალხი სხვანაირია, მაგრამ ამხელა ადამიანი, შენი მამულიშვილი შეიძლება არ გიყვარდეს?! **მარტო ამათნაირ ტვინგახურებულს თუ მოუვა აზრად მისი სახელის შეურაცხყოფა, თორემ, ვინც საღად აზროვნებს, რატომ უნდა სძულდეს კაცი, რომელმაც, ფაქტობრივად, იხსნა მთელი მსოფლიო?! რაც უნდა გააკეთონ, რაც უნდა პროპაგანდამ იმუშაოს, სტალინის სახელს, მის ამაგს კაცობრიობის წინაშე ჩრდილს ვერ მიაყენებენ.**

**— დასაწყისში საბჭოთა სიმბოლიკა ახსენეთ და ეს ძეგლიც ამ სიმბოლიკის ნაწილად მიიჩნეოდა. თქვენი აზრით, ახალ ხელისუფლებას, რომელიც აშკარად პროდასავლურია, ექნება ამ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სტალინი არ არის მარტო ჩვენი საკუთრება, მისი სახელი და მისი პიროვნება მთელი მსოფლიოს სიამაყეა. თუ ესენი საღად მოაზროვნე ხალხია და დარწმუნებული ვარ, ასეცაა, მაშინ წინა ხელისუფლების გზას არ უნდა გაჰყვნენ. იმ პროპაგანდას, რომ თითქოს ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირში შეიქმნა, ცუდია, ხაზი უნდა გადაესვას. თუ ეს არ მოხდება, ცვლილებას რეალურად ვერ მივიღებთ.

**«ალასანიამ არაფერი მაჩუქა, მაგრამ დამპირდა... ალასანია კარგი ბიჭია, არ ვემდური»**

**„მიუხედავად ომისა და ყველაფრისა, რაც ბოლო წლებში მოხდა, ზუგდიდიდან აფხაზეთში რომ ვინმე გადავიდეს, ხელს არ ახლებენ. სულ მითებია ის, რომ თითქოს იქ განუკითხაობაა და ქუჩებში შეიარაღებული ხალხი დაძრწის. არაფერი მსგავსი არ ხდება. ასე რომ, დიალოგის შანსი, რა თქმა უნდა, ისევ არსებობს, მთავარია, ხალხს ერთმანეთთან მისვლაში ხელი არ შეუშალონ. ამას თუ გააკეთებს ახალი ხელისუფლება და დარწმუნებული ვარ, გააკეთებს, დაახლოება ძალიან სწრაფად მოხდება...“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გორში სტალინის ძეგლის აღებასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიომ“ კომენტარი სთხოვა პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას.**

**აი, რა გვითხრა მან:**

— სტალინის ძეგლის აღებით ხელისუფლებამ თავიანთ დასავლელ პატრონებს მათი ფასეულობების, მათი იდეოლოგიისადმი ძაღლური ერთგულება დაუმტკიცა და ამით კიდევ ერთხელ ჩააფურთხა სულში საკუთარ ხალხს, ტალახში ამოსვარა საკუთარი ისტორია.

**იმ არამზადებს, რომლებმაც ინიციატივა გამოიჩინეს და განახორციელეს ძეგლის დემონტაჟი, შესაშური ბედი ნამდვილად არ ელით. საქმე ისაა, რომ ყველა იმ სახელმწიფო მოღვაწემ, მწერალმა, ისტორიკოსმა, მსახიობმა, რიგითმა მოქალაქემ, რომლებიც ცდილობდნენ სტალინის დისკრედიტირებას, მისთვის ტალახის სროლას, მისი ნათელი ხსოვნისთვის ჭუჭყიანი ხელით შეხებას, ცუდად დაამთავრეს.** მათ, როგორც წესი, თანამემამულეთა ზიზღთან ერთად, თავს ატყდებათ საშინელი ავადმყოფობა, უბედურება, პირადი ტრაგედიები. ამასთან, ეს მათ შვილებსა და შვილიშვილებზეც გადადის. საოცარია, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ თვით განგება მათ სასტიკად სჯის და არ ინდობს მათ შვილებსაც კი. ამიტომ **მე მებრალება ის სულელი მარიონეტები, რომლებმაც მონუმენტის აღების ბრძანება გასცეს, და მეცოდება ის იდიოტებიც, რომლებიც ფოტოებს იღებდნენ წაქცეული ძეგლის ფონზე. მათ და მათ ოჯახებს დიდი ტანჯვა ელით, საშინელი წყევლა დაატყდება თავს მთელ მათ მოდგმას.**

**ზოგადად, სტალინის ძეგლის აღება, რა თქმა უნდა, სამარცხვინო ფაქტია საქართველოს ისტორიაში და სამარცხვინო ლაქა მთელი ქართველი ხალხისთვის, უპირველეს ყოვლისა, ქალაქ გორის მცხოვრებთათვის.** დღევანდელი გორელების მამებმა ამის გაკეთების უფლება არ მისცეს არამზადა ხრუშჩოვს, მათმა შვილებმა კი ხელისუფლებაში მყოფ ლაწირაკ მაიმუნების წინააღმდეგობა არ გაუწიეს. არც თუ ისე ცოტანი არიან ისეთებიც, რომლებმაც ამ მკრეხელობის შემდეგ ხმა მისცეს „ნაციონალურ მოძრაობას“. ეს არის ერის განადგურების, ეროვნული ღირსების დაკარგვის მორიგი ნიშანი.

**რა თქმა უნდა, სტალინის ძეგლის აღდგენა — ეს ქართველი ერის და თითოეული ჩვენგანის ღირსების საქმეა.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. ბატონმა ირაკლიმ დასაწყისში თავადაც აღნიშნა, რომ 14 ნოემბერს 89 წელი შეუსრულდება. გილოცავთ, ბატონო ირაკლი, დაბადების დღეს და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას გისურვებთ.**

რემფერ ბეჭვაია:

# წლებია, საზღვრები ჩაკეტილია და პროდუქცია სახლში გვილპება

**სამეგრელოს რეგიონი რომ „ქართულ ოცნებას“ იმთავითვე თავსატეხად ექცა და ივანიშვილი მეგრელებმა „მესიად“ ვერ მიიღეს, არახალია. ეს განწყობა 1 ოქტომბრამდე განვითარებულ პროცესებშიც იგრძნობოდა და შემდგომ მოვლენებშიც, მაგრამ, დამთავრდა თუ არა არჩევნები, საკითხმა უმალ აქტუალობა დაკარგა. დღეს უკვე არავინ საუბრობს იმაზე, თუ სად გაქრა ან საერთოდ გაქრა თუ არა ის ანტიპოზიტიური და, შესაბამისად, პროსახელისუფლო მუხტი, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ერთობ მძლავრობდა ამ რეგიონის მოსახლეობაში. სიტუაცია სირაქლემის პოზიციას წააგავს და ჩნდება ლოგიკური კითხვა: რა სტრატეგია აირჩია ბიძინა ივანიშვილმა განდგომილი რეგიონის მიმართ — აღიარება თუ, უბრალოდ, იგნორირება? რა მდგომარეობაა დღესდღეობით სამეგრელოში და რამდენად თავისუფალია იგი ახალაიების კლანისგან, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის მკვიდრი, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტივისტი რემფერ ბეჭვაია ესაუბრება.**



## «პირადად რუსლან ქიმშარიას აქვს ჩემთვის ნათქვამი, გალის მოსახლეობას არავინ ერჩის და დაბრუნდითო»

**— როგორც ვიცი, თქვენი სოფელი ოპოზიციურობითა და კოალიციის მიმართ დიდი სიმპათიით არ გამოირჩეოდა. არჩევნები სამეგრელოში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიგო. როგორ ფიქრობთ, რით იყო ეს ყველაფერი გამოწვეული? რა ჰქონდათ მეგრელებს ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგო?**

— რაც მართალია, მართალია. სინამდვილეში სააკაშვილს მართლა ჰყავდა აქ მხარდამჭერები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამეგრელო გიჟდებოდა „ნაცმოძრაობაზე“. ხალხი იყო დაშინებული და დატერორებული; ცალკე ახალაიების ფაქტორიც მძლავრად მოქმედებდა, ამიტომ მოსახლეობამ თავისუფლად ვერ გააკეთა არჩევანი. მაგალითად, **ჩემს უბანში ოცდათექვსმეტი მცხოვრებია, მათი აბსოლუტური უმეტესობა, დაახლოებით ოცი-ოცდახუთი ოჯახი, სააკაშვილს აძლევდა ხმას. მქონდა დავა, კამათი და თითქმის ხელჩართულ დაპირისპირებამდე მივდიოდით, მაგრამ ვერაფრით შევაგნებინე ამ ადამიანებს, რომ ეს ხელისუფლება ღუპავს ქვეყანას...**

**— გამოდის, რომ მათ გულწრფელად სჯეროდათ ხელისუფლების...**

— სჯეროდათ, იმიტომ, რომ უყურებდნენ „რუსთავი 2“-ს და „იმედს“, ხოლო ვისაც სატელიტური ანტენები ეყენა და „მაესტროს“, „მეცხრე არხს“ უყურებდა, მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული იყო მიმდინარე მოვლენებში, ანუ იმის თქმა მინდა, რომ ხალხი გამოაშტერეს; თქვენ კიდევ არ იცით, ჩვენთან რა ხდებოდა...

**— ახალაიების ფაქტორი ახსენეთ. კონკრეტულად რა ფორმით ხდებოდა დაშინება?**

**— არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ირაკლი ალასანია რომ მოვიდა ჩვენს სოფელში, ადგილობრივმა პოლიციამ კარდაკარ დაუარა ყველაზე მრავალრიცხოვანი უბნების მოსახლეობას და დაემუქრა: არ დაგინახოთ მისული, თორემ დედას გიტირებთო. შესაბამისად, შეხვედრას არავინ ესწრებოდა, ხალხმა მისვლა ვერ გაბედა...**

**— იმ პოლიციელების ვინაობა თუა ცნობილი?**

— ამის გარკვევას რა უნდა! აქ ყველა ერთმანეთს იცნობს, რომ გაიკითხოთ, ნებისმიერი გეტყვით, ვინ ემუქრებოდა.

**— 22 სექტემბერს კოალიციის აქციას ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე უამრავი ადამიანი ესწრებოდა, მაგრამ მეორე დღეს სააკაშვილმაც არანაკლებ მრავალრიცხოვანი ელექტორატი გამოიყვანა. ვინ იყვნენ ეს ადამიანები — ვინც წინა დღეს „ქართული ოცნების“ დროშებს აფრიალებდნენ?**

— ვინ იყვნენ და, გეუბნებით, ყურით მოთრეული, ძალით მოყვანილი ხალხი; კი იყვნენ უანგარო მხარდამჭერებიც, რომლებსაც მართლა სჯეროდათ და დღემდე სჯერათ სააკაშვილის ხელისუფლების, მაგრამ, ვიმეორებ, მათზე სხვანაირად მოახდინეს ზეგავლენა. მხედველობაში მაქვს პროპაგანდა, რომელიც ამ ე. წ. სახელისუფლო არხებიდან მოედინებოდა. **აქ საშინელება ხდებოდა — ხმას ვერ ამოიღებდი, ყველა უბანში, ყველა ქუჩაში და ჩიხში ამბის მიმტანები ჰყავდათ შეგზავნილი.**

**— თქვენს ქუჩაზეც იყვნენ?**

— იყვნენ რომელია, გატენეს უბანი აგენტებით და ყველამ ვიცოდით, ვინ ვინ იყო... სიტყვას ვერ იტყოდი თავისუფლად, მაშინვე იქ იცოდნენ. **თუ რამე არ მოეწონებოდათ შენი ან შენი ოჯახის წევრის, დამლაგებელიც რომ ყოფილიყავი, მაშინვე გათავისუფლებდნენ სამსახურიდან. აი, ასეთ წნეხში იყო სამეგრელო, ამიტომ, როცა საუბარია იმაზე, თითქოს ჩვენ განვუდექით დანარჩენ კუთხეებს და ხელისუფლებას მივემხრეთ, ესეც უნდა ითქვას.** არაა ადვილი ასეთი წნეხის პირობებში თავისუფლად მოქმედება...

**— რესპუბლიკურ პარტიაზე რას იტყვით?**

— ეს რესპუბლიკელები თავიდანვე გამაღიზიანებლად მოქმედებდნენ ხალხზე და მეც ვამბობდი ხოლმე, რაში დასჭირდათ ამათი გვერდით დაყენება-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმეს სჭირდებოდა. ჩემი აზრით, ისინი რომ ივანიშვილის გვერდით არ ყოფილიყვნენ, „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება ძალიან გაუჭირდებოდა; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რესპუბლიკურ პარტიასაც თავისი მხარდამჭერები ჰყავს და მათთან მტრობა მათი მხარდამჭერების გადამტერებასაც ნიშნავს; მეორე კი იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, კადრები არ ეყოლებოდა კოალიციას. წარმოიდგინეთ, უსუფაშვილი, ბერძენიშვილი, ზაქარეიშვილი ან თუნდაც ზურაბიშვილი რომ გამოაკლდეს ახალ მთავრობას, ვინღა დარჩება?!

**— მხარდამჭერები ახსენეთ და რესპუბლიკური პარტია ერთ-ერთი ყველაზე დაბალრეიტინგული პარტიაა საქართველოში...**

— კი, მაგრამ მხარდამჭერები მარტო საქართველოში ხომ არ არიან, ამომრჩევლების სახით? **რესპუბლიკელებს ამერიკის ხელისუფლებასთან აქვთ კარგი ურთიერთობა და ასე თუ ისე ქვეყანაში პროდასავლურ ძალას წარმოადგენენ. ამასთან, რაც მართალია, მართალია, ძალიან მომზადებული ხალხია და საქმე იციან. ის, რომ იეღოველებსა და სხვადასხვა სექტებს მფარველობენ, მეორე საკითხია. ამ თვალსაზრისით ეს პარტია ჩემთვისაც მიუღებელია.**

**— აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის დაწყება რამდენად მიგაჩნიათ შესაძლებლად? ივანიშვილი ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სწორედ ამას ისახავს.**

— პირდაპირი დიალოგი არ ვიცი, მაგრამ მე, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, **რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის გარეშე ვერანაირ შანსს ვერ ვხედავ. ვის როგორც უნდა, ისე გამიგოს, — რუსეთის გარეშე სად წავალთ?!** ჯერ მარტო ხალხის მდგომარეობა ავიღოთ. რამდენიმე წელია, საზღვრები ჩაკეტილია და პროდუქცია სახლში გვილპება. წარმოიდგინეთ, თავისუფალი მიმოსვლა რომ აღდგეს, როგორც ადრე იყო, როგორ ამოისუნთქავს მოსახლეობა. თავის დროზე ერგნეთის ბაზრობაზე მანდარინი დაგვქონდა; იქიდან კი პურის ფქვილი ჩამოგვქონდა 17 ლარად, მაშინ, როცა ჩვენთან 30-35 ლარი ღირდა. ხალხს ერთმანეთთან კონტაქტის საშუალება ჰქონდა. აბა, მაგ ბაზრობას ჭკუასთან ახლოს მყოფი გააუქმებდა?!

**— აფხაზებთან რამდენად არსებობს დიალოგის შესაძლებლობა?**

— ყველაფერი ძალიან რეალური იყო. დედაჩემი ოჩამჩირიდანაა და მთელი ბავშვობა იქ გავატარე. გალის რაიონის ყოფილი გამგებელი რუსლან ქიშმარია ჩემი დეიდაშვილის ბიძაშვილია, ამიტომ გადასვლაგადმოსვლის პრობლემა არასდროს მქონია.

**— ახლა შეგიძლიათ თავისუფლად გადასვლა?**

— ბოლოს ძალიან დიდი ხნის წინ ვიყავი აფხაზეთში, ეს იყო ომის შემდეგ. მაშინ ძალიან კარგად მიმიღეს. რაც შეეხება დღეს გადასვლას, რომ ჩავიდე, დევნას არავინ დამიწყებს. **პირადად რუსლან ქიშმარიას აქვს ჩემთვის ნათქვამი, გალის მოსახლეობას არავინ ერჩის და დაბრუნდითო. რამდენი ადამიანის პირით შემოუთვალა ეს ქართულ მხარეს და მეც დამაბარა, მაგრამ ხალხს მაინც ეშინოდა.**

**— კი მაგრამ, ვინ იყო გარანტი, რომ გადასულების უსაფრთხოება დაცული იქნებოდა?**

— როგორ გეკადრებათ, რამდენი ქართველი ცხოვრობს დღეს გალის რაიონში და სხვაგანაც, მაგრამ გაგიგიათ, რომელიმეს რამე დაუშავესო?

**— მაშინ რა უშლიდათ ხელს, რომ დაბრუნებულიყვნენ?**

**— მოგეხსენებათ, საზღვრის ერთ მხარეს იდგნენ რუსები, მეორე მხარეს კი ჩვენები, იქით, არ ვიცი, რა ხდებოდა, მაგრამ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ხალხი ერთმანეთთან არ მისულიყო. მე ვერ გეტყვით, ამას რატომ აკეთებდნენ, მაგრამ ეს ფაქტია...**

**— დღეს უკვე აფხაზეთიც და სამაჩაბლოც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს, რუსეთის, მიერ აღიარებული დამოუკიდებელი სუბიექტებია. ახლა იქ გადასვლა და ცხოვრება მოქალაქის მხრიდან სულ სხვა პასუხისმგებლობას მოითხოვს.**

— რუსეთმა კი აღიარა, მაგრამ აფხაზეთში ისევ ის ხალხი ცხოვრობს. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: **მიუხედავად ომისა და ყველაფრისა, რაც ბოლო წლებში მოხდა, ზუგდიდიდან აფხაზეთში რომ ვინმე გადავიდეს, ხელს არ ახლებენ. სულ მითებია ის, რომ თითქოს იქ განუკითხაობაა და ქუჩებში შეიარაღებული ხალხი დაძრწის. არაფერი მსგავსი არ ხდება. ასე რომ, დიალოგის შანსი, რა თქმა უნდა, ისევ არსებობს, მთავარია, ხალხს ერთმანეთთან მისვლაში ხელი არ შეუშალონ. ამას თუ გააკეთებს ახალი ხელისუფლება და დარწმუნებული ვარ, გააკეთებს, დაახლოება ძალიან სწრაფად მოხდება...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სამეგრელოს მოსახლეობამ „ქართულ ოცნებას“ „ნაცმოძრაობა“ ამჯობინა. ამის გამო თურმე ბიძინა ივანიშვილს დღეს მეგრელებისკენ გახედვაც აღარ უნდა. ეს, ცხადია, ხუმრობით, მაგრამ ამბობენ, სიმართლის მარცვალი ყველა ხუმრობაში დევსო. რეალობა კი ისაა, რომ კოალიცია თვითონაც შეეგუა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან რეგიონში პირწმინდად დამარცხებას... პარლამენტში არხეინად ზის ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი როლანდ ახალაია, რომელიც „მედვედ“ იცავს რაიონის ღირსებას საკანონმდებლო ორგანოში... ვაშა, სამეგრელოს! ვაშა, მეგრელებს!**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინმა ისარგებლა ოცი წლის წინანდელი საბჭოურ-სპარსული ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით, რომელიც ითვალისწინებდა, საჭიროების შემთხვევაში, თუ ეს ემუქრებოდა საბჭოთა რუსეთის უსაფრთხოებას, ირანის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანას.**

# საიდუმლო ჩანაწერები გენერალ კაკუჩაიას დღიურიდან

1941 წლის 19 სექტემბერს საბჭოთა ჯარებმა ირანის დედაქალაქი დაიკავეს. იმავე დროს თეირანში ინგლისელებიც შევიდნენ. შაჰის ხელისუფლება დაემხო. ფეხლევის დინასტიის დამაარსებელი, 63 წლის რეზა-შაჰი, რომელიც 16 წელი მართავდა სახელმწიფოს, აიძულეს, ტახტზე უარი ეთქვა, თავისი 22 წლის ვაჟის — მოჰამედ რეზა ფეხლევის სასარგებლოდ. ამით თავიდან იქნა აცილებული დიდი სისხლისღვრა. იმ დღიდან მოყოლებული, 1946 წლის ჩათვლით, წითელი არმია აკონტროლებდა ირანის ჩრდილოეთს, ინგლისელები კი — ამ ნავთობით უმდიდრესი ქვეყნის სამხრეთს, იმ ნავთობით, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა არც ჰიტლერს და არც ჩერჩილს.



## ლევან დოლიძე: თეირანის კონფერენციაში 37 ქართველი ჩეკისტი მონაწილეობდა

„ირანის ფრონტი“ არასდროს უხსენებიათ პრესაში, რადიოთი ან ტელევიზიით. მასზე არაფერი დაწერილა არც ერთ ენციკლოპედიაში, მათ შორის, სამხედროშიც, რომლებიც გამოიცა როგორც საბჭოთა დროს, ისე ახლახან. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! ისტორიის ამ უაღრესად მნიშვნელოვან მონაკვეთზე, რომელიც მოსახლეობისთვის არათუ უბრალოდ „თეთრი“, არამედ ქათქათა „თეთრი ლაქაა“, პირადად მე ბავშვობიდან ვიცოდი! თუმცა ხსენებული საკითხის სიღრმისეული ცოდნით ნამდვილად ვერ დავიტრაბახებ და, აი, რატომ: ჩემი სახლის პირველ სართულზე, პაწია ოთახში წუთისოფლის გრძელ გზას ასრულებდნენ რუსი ცოლ-ქმარი — „ბაბა“ ნიურა და „ძედა“ მიშა. საქართველოზე და ქართველებზე შეყვარებული ბუნჩულა მიშასაგან განსხვავებით, ნიურა სიავით გამოირჩეოდა, რის გამოც, ჩვენმა მრავალეროვანმა „იტალიურმა“ ეზომ მას სავსებით სამართლიანად ზედმეტსახელად „ავჩარკა“ უწოდა. დროდადრო, მეუღლის აუტანელი კაპასობისგან თავდასაცავად, „ძედა“ მიშა მოუხმობდა საუკუნეებით გამოცდილ და, ამ შემთხვევაში, უტყუარ საშუალებას — არაყს! ჰოდა, აი, მაშინ, შეზარხოშებული მოხუცი, ლამის, ციცერონისეული მჭევრმეტყველებითა და პათოსით მიმართავდა თანამეცხედრეს: აბა, ბებერო ძუკნავ, აღიარე მეზობლების წინაშე, როგორ ართობდი ჩვენს ჯარისკაცებს ირანშიო!.. შემდეგ კი დაშოშმინებული ამატებდა: ირანში რომ არ შევსულიყავით, ჩემი საქართველო აღარც იარსებებდაო!

არადა, „ირანის ფრონტზე“ მოქმედებდნენ მსხვილი სამხედრო შენაერთები, საბრძოლო ტექნიკის უზარმაზარი რაოდენობა, ე. წ. უხილავი ფრონტის ასობით მებრძოლი, რომელთა შორის არცთუ ისე ცოტა საქართველოს მკვიდრი გახლდათ. მათი საგმირო საქმეების აღწერა ომის შემდგომ პერიოდში, გასაგებ მიზეზთა გამო, არ იყო მიღებული, ხოლო შემდეგ — სტალინის მოწამვლამ, ბერიას მკვლელობამ და მოღალატე, გარეწარი ხრუშჩოვის ზიზღმა ყველაფერი ქართულისადმი დიდი ხნით „დაასამარა“ ქართველი მზვერავებისა და კონტრმზვერავთა სახელოვანი ქმედებები...

მეორე მსოფლიო ომის ამ საიდუმლოებით მოცულ საბრძოლო და სადაზვერვო ოპერაციაზე ვესაუბრები საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, მეორე მსოფლიო ომის მკვლევარს, ისტორიკოსს, მრავალი პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდენოსან **ლევან დოლიძეს**.

**— ბატონო ლევან, როგორ მოიპოვეთ ასეთი, საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია ირანის ფრონტზე?**

— ჩემს პირად არქივში მქონდა მწირი ცნობები ამ მოვლენებზე. ის ადამიანები კი, რომლებიც იბრძოდნენ ირანის ფრონტზე, რატომღაც ყოველთვის გვერდს უვლიდნენ ამ თემას და, თუ მოხდებოდა სასწაული და ირანის ამბებს გაიხსენებდნენ, მხოლოდ და მხოლოდ, გაკვრით! **ტაბუ ირანული ფრონტიდან მოხსნა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ქართველმა გენერალმა ვარლამ კაკუჩაიამ, რომლის მოგონებები, დღიურების სახით, სულ ახლახან მომაწოდა მისი ოჯახის ახლობელმა.**

**— მაინც რატომ შეიყვანა საბჭოთა კავშირმა ჯარები ირანში?**

— სანამ ამ კითხვაზე ვუპასუხებ, თავს ნებას მივცემ და პატარა ისტორიულ ექსკურსს ჩავატარებ. სტალინი საზღვარგარეთიდან იღებდა ვრცელ სადაზვერვო ინფორმაციას. ის ყოველთვის კულუარულ საქმეთა კურსში იყო ისეთი ქვეყნებისა, როგორიცაა გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და მრავალი სხვა სახელმწიფო, რომლებიც შედიოდნენ საბჭოთა კავშირის ინტერესების სფეროში. ამ ინფორმაციით მას, ძირითადად, ლავრენტი ბერია ამარაგებდა, რომელსაც მაგ ქვეყნების ხელმძღვანელთა უახლოეს გარემოცვაში „თავისი ხალხი“ ჰყავდა. მაგალითად, ღრმად გასაიდუმლოებული, ჰიტლერის მიერ 1940 წლის 18 დეკემბერს დამტკიცებული გეგმა „ბარბაროსა“ სტალინს მაგიდაზე 1941 წლის იანვარში უკვე ედო. ერთადერთი შესწორება, რომელიც ჰიტლერმა ამ გეგმაში შეიტანა, თავდასხმის თარიღის ერთი თვით გადატანა იყო. **გეგმა „ბარბაროსა“ შეიცავდა, ასევე, მსხვილ სტრატეგიულ ოპერაციას, რომელიც მიზნად ისახავდა მთელი კავკასიის**



უინსტონ ჩერჩილი: აქ ჩვენ, ყველანი, ქართველების ხელში ვართ!

**დაპყრობას ბაქოზე გასვლით და ჰქონდა დასახელება „ბლაუ III“. ამ გეგმის განხორციელებით, ჰიტლერი ვარაუდობდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში არა მარტო თურქეთის ჩაბმას, რომელსაც სსრკ-ის საზღვარზე სრულ მზადყოფნაში ჰყავდა თითქმის მილიონიანი არმია, არამედ ირანისაც. ჰიტლერს ირანზე განსაკუთრებული შეხედულებები ჰქონდა. აქ ხომ ნავთობის უზარმაზარი მარაგია; ხოლო, სადაც „ნავთობის სურნელია“, უმალ იქვეა ინგლისიც თავისი შეიარაღებული ძალებით!**

ამ საკითხთან დაკავშირებით, ფასდაუდებელი ინფორმაცია მოდიოდა ლონდონიდან, ბერიას აგენტისაგან, ლეგენდარული კიმ ფილბისაგან, რომელიც, სხვათა შორის, გადმობირებულ იქნა ქართული წარმოშობის ფრანგის მიერ. და, მართლაც, ნათელი გახდა, რომ ჰიტლერელებმა აქტიურად დაიწყეს მოქმედება მთელ ირანში, რომლის შაჰი აშკარად მეგობრულად განეწყო ჰიტლერისადმი. ამიტომაც გეგმაზომიერი მუშაობა, გამონაკლისის გარეშე, სტალინის მიერ განუხრელად ყველა მიმართულებით ხორციელდებოდა. მაშინ მთავარი იყო დროის მოგება...

მართალია, დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე თურქეთი თავის ნეიტრალიტეტზე აცხადებდა, მაგრამ „ქარქაშიდან ამოღებული ხმალი“ მომარჯვებული ჰქონდა; ირანში კი, მიუხედავად 1921 წლის 26 თებერვალს დადებული საბჭოთა-სპარსული (სპარსეთი — 1935 წლამდე ირანის ოფიციალური დასახელება) მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებისა, ლამის ზეიმობდნენ ფაშისტების მიერ თითოეული საბჭოთა ქალაქის აღებას. უფრო მეტიც, სამხრეთიდან საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში სულ უფრო ინტენსიურად იჭრებოდნენ გერმანელი ჯაშუშები და დივერსანტები. ამის გამო ინგლისმა შესთავაზა საბჭოთა კავშირს, რომ საკუთარი ჯარებით გააკონტროლებდა თურქეთს და, განსაკუთრებით — ირანს, რასაც სტალინის ამგვარი რეაქცია მოჰყვა: მერე ირანიდან ინგლისს ვერ გაისტუმრებო! მოიძებნა კომპრომისი და გადაწყდა ირანში ჯარების ერთობლივი შეყვანა.

**— ჯარების შეყვანას ოფიციალური საფუძველი უნდა ჰქონოდა, მაგალითად, ირანის მხრიდან ნებართვა მაინც.**

— მართალი ბრძანდებით. **სტალინმა ისარგებლა ოცი წლის წინანდელი საბჭოურ-სპარსული ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით, რომელიც ითვალისწინებდა, საჭიროების შემთხვევაში, თუ ეს ემუქრებოდა საბჭოთა რუსეთის უსაფრთხოებას, ირანის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანას.**

**განსაკუთრებული საიდუმლოების ვითარებაში, გერმანიასთან ომის დაწყებიდან ზუსტად 65 დღის შემდეგ, 1941 წლის 25 აგვისტოს დილის 5 საათზე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ირანში შევიდა შინსახკომის პოლკით გაძლიერებული საერთო-საჯარისო 45 არმია გენერალ-ლეიტენანტ კ.ფ. ბარონოვის სარდლობით. ეს არმია ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში და იმთავითვე გათვლილი იყო ირანის ფრონტისთვის.**

### გენერალ ვარლამ კაკუჩაიას დღიურიდან:

„დაახლოებით აგვისტოს 20 რიცხვებში, როდესაც სამსახურებრივი საქმეების გამო ვიმყოფებოდი ჭიათურაში, მივიღე დეპეშა მიწერილობით, დაუყოვნებლივ ჩამოვსულიყავი თბილისში. აქ მე წავიკითხე დაშიფრული ტელეგრამა, გამოგზავნილი მოსკოვიდან ჩემს სახელზე: **„ამის წაკითხვისთანავე, ჩეკისტების ოპერატიული მცირე ჯგუფით გაემგზავრეთ ჯულფაში (აზერბაიჯანი) იმის გათვლით, რომ 24 აგვისტოს 24:00 საათზე ჯარების შტაბში გახსნათ პაკეტი თქვენს სახელზე და იმოქმედოთ პაკეტში არსებული დოკუმენტების მითითებით“.**

...მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ფრონტის ყველა უმაღლესი წოდების მქონე პიროვნებები მე კარგად მიცნობდნენ, მათ შორის სამხედრო საბჭოს წევრი — მირ ჯაფარ ბაგიროვი (აზერბაიჯანის ცკ პირველი მდივანი), რომელიც, ასევე, იმყოფებოდა ჯულფაში, ვერავინ ვერაფერი კონკრეტული ვერ მითხრა, ყველა მოკლედ მპასუხობდა — 24:00 საათ- ▶

# ინგლისმა შესთავაზა საბჭოთა კავშირს, რომ საკუთარი ჯარებით გააკონტროლებდა თურქეთს და, განსაკუთრებით — ირანს, რასაც სტალინის ამგვარი რეაქცია მოჰყვა: მერე ირანიდან ინგლისს ვერ გაისტუმრებო! მოიძებნა კომპრომისი და გადაწყდა ირანში ჯარების ერთობლივი შეყვანა.

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





კაპიტონ ნაჭყებია



შალვა წერეთელი



ვარლამ კაკუჩაია



ბოგდან ქობულოვი

## და თუ, საბოლოო ჯამში, საბჭოთა დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ სძლია, დაჯაბნა ვერაგი მტერი, ამ წარმატების ლომის წილი საქართველოს საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებზე მოდის! ჩეკისტთა ეს ბრწყინვალე კოჰორტა ლავრენტი ბერიას მიერ იყო გამოზრდილი

◀ზე გავიგებთ, როდესაც მოსკოვიდან გამოგზავნილ პაკეტს გავხსნითო; იმ დროს კი, შტაბის მუშაკები წუთის დაკარგვის გარეშე მუშაობდნენ. ზუსტად 24:00 საათზე პაკეტი გავხსენით და, აი, რა გავიგეთ: **„...ირანის ტერიტორიაზე ფაშისტურმა გერმანიამ ფარულად თავი მოუყარა ოფიცერთა შემადგენლობის დიდ რაოდენობას, უმაღლესი წოდებების ჩათვლით, რომლებიც, სავარაუდოდ, დესანტის გადმოსხმისას სათავეში ჩაუდგებიან ვერმახტის სამხედრო ნაწილებს, რათა ზურგიდან შეუტიონ წითელ არმიას თურქეთ-ირანის საზღვრის მთელ პერიმეტრზე იმ მიზნით, რომ დაიკავონ ბაქოს ნავთობიანი რაიონები“**. ამის გამო, როგორც მითითებული იყო უმაღლესი მთავარსარდლის, სტალინის, ბრძანებაში, 1941 წლის 25 აგვისტოს დილის 5 საათზე ჩვენ უნდა დაგვეწყო სამხედრო მოქმედებები ირანის საზღვრის მთელ სიგრძეზე და საზღვრის გადაკვეთის შემდეგ გვემოძრავა ელვისებური სისწრაფით, რათა მნიშვნელოვნად დაგვესწრო ინგლისელებისთვის, რომლებიც სამხრეთიდან მიიწევდნენ წინ...“

**ამრიგად, საბჭოთა დაჯგუფებას დაუსვეს ამოცანა: დაეკავებინა ირანის ყველა საკვანძო რაიონი, ხოლო შინსახკომისა და სამხედრო დაზვერვის თანამშრომლებს უნდა მიეღოთ ენერგიული ზომები, რომ გამოეაშკარავებინათ და გაენადგურებინათ შეგზავნილი გერმანელი ოფიცრები, მათი აგენტურა და დამქაშები. ამასთან ერთად, კატეგორიულად იკრძალებოდა ირანის სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა, თუმცა, სავარაუდოდ, მთლიანად უნდა განეიარაღებინათ ირანის არმია და პოლიცია.**

**სტალინის ბრძანებით, 25 აგვისტოს, დილის 05 საათზე ირანის ტერიტორიას გაუხსნეს ცეცხლი ქვემეხებიდან, ნაღმტყორცნებიდან და სხვა იარაღიდან. სატანკო მექანიზირებულმა და ფეხოსანთა ნაწილებმა დაიწყეს სასაზღვრო მდინარე არაქსის ფორსირება ფონით, რადგან, საბჭოთა სამხედრო დაზვერვის მონაცემებით, რკინიგზის ხიდი დანაღმული იყო.**

### გენერალ ვარლამ კაკუჩაიას დღიურიდან:

„საჰაერო ნაწილები ბომბავდნენ აეროდრომებს და სხვა მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს. რაღაც ერთი საათის განმავლობაში რკინიგზის ხიდი უვნებლად ჩავიგდეთ ხელში, რის შედეგადაც 45-ე არმიის ნაწილები, ჯულფის გავლით, გაქანდნენ ირანის ტერიტორიისკენ და თითქმის ქარის სიჩქარით მოძრაობდნენ. გერმანული ნაწილები წინააღმდეგობას გვიწევდნენ მხოლოდ... პანიკური უკუქცევით და სულ მალე წითელმა არმიამ დაიკავა ირანის ერთ-ერთი უმსხვილესი ქალაქი — თაბრიზი, რომელიც შუა საუკუნეებში სეფევიდების მძლავრი სახელმწიფოს დედაქალაქი გახლდათ“.

**ირანში წითელი არმია სწრაფად მიიწევდა ორი მიმართულებით: თაბრიზის (ძირითადად, ეს იყო ე. წ. ირანული აზერბაიჯანის ტერიტორია) და თეირანის. მოკლე დროში ირანის მთელ ჩრდილოეთს საბჭოთა მხარე აკონტროლებდა, ინგლისელები კი სამხრეთში დამკვიდრდნენ.**

**ვარლამ კაკუჩაია კარგად ფლობდა, როგორც აზერბაიჯანულ, ისე გერმანულ ენებს. მან უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა, რათა გამოევლინა გერმანელების აგენტურა. ომის წლებში გენერალი კაკუჩაია ირანში არაერთხელ ჩავიდა და საჭირო ურთიერთობები დაამყარა ადგილობრივ მოსახლეობასთან.**

**— ბატონო ლევან, კიდევ რა სარგებლობა მოიტანა ირანის გაკონტროლებამ?**

— საბჭოთა და ინგლისის ჯარების მიერ ირანის ტერიტორიის დაკავებამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უსაფრთხოების დერეფნის შექმნაში, რომლითაც სსრკ-ში „ლენდ-ლიზით“ შემოდიოდა სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობა, იარაღი, საბრძოლო მასალა, აღჭურვილობა, სტრატეგიული ნედლეული, სურსათი; და ეს, არ დაგავიწყდეთ, 1941 წლის ნოემბრიდან, როცა ფაშისტები მოსკოვთან იდგნენ! მერე, მოგვიანებით ასეთი მიწოდებები ხორციელდებოდა ვლადივოსტოკის, არხანგელსკისა და მურმანსკის გავლით...

**კავკასიისათვის ბრძოლის ყველაზე კრიტიკულ დროს — 1942 წლის ზაფხულში, როდესაც რჩეული ფაშისტური სამხედრო ნაწილები მოადგნენ საქართველოს საზღვრებს, ლავრენტი ბერიამ, რომელიც ამ დროს სტალინის ბრძანებით თბილისში იმყოფებოდა და ხელმძღვანელობდა საბრძოლო მოქმედებებსაც, შეძლო მისგან მიეღო 45-ე არმიის ნაწილი, რადგან დაარწმუნა ბელადი, რომ ჩეკისტები სრულიად აკონტროლებენ ვითარებას ირანში. მაშინ ბერიამ მართლაც გადაარჩინა ამიერკავკასია ფაშისტური შემოჭრისგან და აოხრებისგან, მაგრამ რამხელა პასუხისმგებლობა აიღო მან საკუთარ თავზე, ალბათ, მხოლოდ ღმერთმა იცის! ესეც ამ დიდი ომის „თეთრი ლაქაა“!..**

**— ბატონო ლევან, „აბვერი“, „გესტაპო“ და მესამე რაიხის პოლიტიკური დაზვერვა უთუოდ არ ისხდნენ გულხელდაკრეფილნი, არა?**

— რა თქმა უნდა! განსაკუთრებით ფართო სადაზვერვო ქსელი ფაშისტებმა შექმნეს თურქეთში, როდესაც მანდ გერმანიის ელჩად იმყოფებოდა ფრანც ფონ პაპენი, უწინ გერმანიის მმართველი, რომლის დიდი ხელშეწყობით ჰიტლერი მოვიდა სათავეში. მძიმე ვითარება შეიქნა მაშინ ავღანეთშიც, სადაც უკვე 12 წელი ბატონობდა ნადირ შაჰი. ისიც მხარს უჭერდა ჰიტლერს. იმ წლებში საბჭოთა კავშირმა ირანში, ავღანეთსა და თურქეთში არც თუ ისე ცოტა გამოცდილი მზვერავი დაკარგა... და თუ, საბოლოო ჯამში, საბჭოთა დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ სძლია, დაჯაბნა ვერაგი მტერი, ამ წარმატების ლომის წილი საქართველოს საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებზე მოდის! ჩეკისტთა ეს ბრწყინვალე კოჰორტა ლავრენტი ბერიას მიერ იყო გამოზრდილი. სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე უამრავი რამ არ ვიცით. ბევრი სახელი დაუფასებლად დავიწყებულია, არქივები გაფანტულია ან განადგურებული... მინდა აღვნიშნო, რომ ირანში მოქმედებდნენ სომეხი ეროვნების მზვერავებიც, რომლებიც წარმოშობით თბილისიდან იყვნენ. ირანში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი გახლდათ ივანე აღაიანცი. შემდეგ ივან ივანეს ძე ხელმძღვანელობდა რეზიდენტურას საფრანგეთში; მერე მსახურობდა სსრკ-ს უშიშროების კომიტეტში და გენერლის წოდება მიიღო. მეორე თბილისელი — მიხეილ ალახვერდოვი სათავეში ედგა საბჭოთა დაზვერვას ავღანეთში. ამ ადამიანმა ამაოდ აქცია ფაშისტების ყველა მცდელობა, ამიერკავკასიაში არეულობის, დესტაბილიზაციის გამოწვევისა. კიდევ ერთმა თბილისელმა ისახელა თავი — ბოგდან ქობულოვმა, მომავალმა გენერალ-პოლკოვნიკმა.

არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ ლავრენტი ბერიას ერთადერთ შვილს — სერგოს, რომელიც, მაშინ ჯერ კიდევ ლეიტენანტ-რადისტი, 1941 წელს ირანში იმყოფებოდა.

### სერგო ბერიას მოგონებიდან:

„...ჩვენმა ჯგუფმა დაადგინა ირანში გერმანელების აგენტურის თითქმის მთელი ქსელი. პირადად მე არ ვიყავი დაკავებული დაზვერვით, მაგრამ ამხანაგის მიერ მოპოვებული მონაცემები მიდიოდა ცენტრში ჩემი გავლით; მე ერთდროულად ვშიფრავდი და გადავცემდი. ჩვენ, ახალგაზრდა ბიჭები, განვიცდიდით, რომ არ ვმონაწილეობდით სამხედრო ოპერაციებში, რამეთუ არ გვესმოდა შესრულებული სამუშაოს არსი. ყველაფერი გაირკვა თეირანის კონფერენციის დროს, როცა ჩვენი სპეციალისტები მთელ ირანში თავს გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში“.

**სხვათა შორის, სტალინის დავალებით, თეირანის კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა სერგო ბერიაც, ხოლო, ამ უმაღლესი საერთაშორისო შეხვედრის, რომელშიც მონაწილეობდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი, უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა მამამისი — ლავრენტი ბერია.**

**ბატონმა ლევან დოლიძემ ერთ საინტერესო ფაქტზეც მიამბო:** „თეირანის კონფერენციის მსვლელობისას, უინსტონ ჩერჩილის თანაშემწემ, თეირანში მისი შტაბის ხელმძღვანელმა — მერაბ კვიტაშვილმა წარუდგინა ინგლისის პრემიერ-მინისტრს სტალინის დაცვის უფროსი, გენერალი შალვა წერეთელი და იქვე დაამატა: ესეც ქართველიაო. ჩერჩილმა დაუფარავი ინტერესით შეხედა მოხდენილ გენერალს, გაიღიმა და თქვა: „აქ ჩვენ, ყველანი, ქართველების ხელში ვართ!“. მართლაც, აქ ბევრი ქართველი იმყოფებოდა. ერთი დღით ადრე ჩერჩილმა ყურადღება მიაქცია ორ საბჭოთა გენერალს, რომლებიც მას მოეწონა და სურათიც გადაიღო მათთან. ეს ორი ვაჟკაცი გრიგოლ კარანაძე და კაპიტონ ნაჭყებია იყვნენ!

ჩემი პირადი მონაცემებით, თეირანის კონფერენციაში მონაწილეობდა 37 ქართველი ჩეკისტი. 1953 წლის ივნისამდე — ბერიას მკვლელობამდე — ქართველი მზვერავების დიდი ავტორიტეტი საბჭოთა კავშირში ურყევი იყო!“



## სერგო ბერია:
## ...ჩვენმა ჯგუფმა დაადგინა ირანში გერმანელების აგენტურის თითქმის მთელი ქსელი. პირადად მე არ ვიყავი დაკავებული დაზვერვით, მაგრამ ამხანაგის მიერ მოპოვებული მონაცემები მიდიოდა ცენტრში ჩემი გავლით; მე ერთდროულად ვშიფრავდი და გადავცემდი. ჩვენ, ახალგაზრდა ბიჭები, განვიცდიდით, რომ არ ვმონაწილეობდით სამხედრო ოპერაციებში, რამეთუ არ გვესმოდა შესრულებული სამუშაოს არსი. ყველაფერი გაირკვა თეირანის კონფერენციის დროს, როცა ჩვენი სპეციალისტები მთელ ირანში თავს გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში

**1946 წელს მოსკოვიდან მოსული ბრძანების მიხედვით, 45-ე არმია უკვე გენერალ რემეზოვის (ესეც თბილისელი გახლდათ) სარდლობით გამოიყვანეს ირანიდან და დაშალეს. ყველა მასალა და დოკუმენტი, დაკავშირებული ირანთან, გამოქვეყნებას არ ექვემდებარებოდა და გადამალულ იქნა საკავშირო უშიშროების არქივში. აი, ასე გადაიქცა ირანის ფრონტი ისტორიის „თეთრ ლაქად“ და ამის მთავარი მიზეზი იყო ირანის ომში ქართველთა სპეცსამსახურების აქტიური მონაწილეობა ლავრენტი ბერიას თავკაცობით...**

— მახსოვს, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, — მეუბნება ბატონი ლევანი, — ლეგენდებით მოცულმა უშიშროების გენერალმა ვლადიმერ ზარელუამ, რომელთანაც მაკავშირებდა მეგობრობა, შინაურულად მითხრა: ლევან, შვილო, მოვა დრო და სიმართლე გაიმარჯვებს! ხალხი გაიგებს დიდი ქართველი პატრიოტის — ლავრენტი ბერიას სახელოვან საქმეებზე და იმ ბრწყინვალე მზვერავებსა და კონტრმზვერავებზე საქართველოდან, რომლებსაც ბადალი არ ჰყავდათ ომის დროს; სულ ცოტა, მე მაგ დონის პროფესიონალები არ მინახავსო!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არ აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია – სახელმწიფო ინტერესის თვალითაც-კი მეტად სახეიროა რუსეთისთვისაც“.**

# ილია ჭავჭავაძე სოფლის მეურნეობასა და რუსეთის ბაზრის მნიშვნელობაზე

**სიცოცხლეშივე ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს უძველესი დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო კულტურისა და ტრადიციების მქონე ხალხად, ხოლო საქართველოს, მისი ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი მრავალფეროვნების გამო, აგრარულ ქვეყნად მიიჩნევდა:**
**„ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათ-მოქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი – იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის-მოქმედებასთან“.**



ილიას თავის დროზე მცდელობა არ დაუკლია საქართველოში მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების აღორძინებისთვის. რადგან სწამდა, რომ: **„ქვეყნის ეკონომიური სიმტკიცე და ძლიერება გლეხკაცობის მიწათმფლობელობაზეა დამოკიდებული. რამოდენადაც ეგ მიწათმფლობელობა ფართოა, სხვაზედ დამოუკიდებელი და თავისუფალი მიწათ-მოქმედებისათვის, იმოდენად ქონებითი ძალღონე ქვეყნისა, თუ სახელმწიფოსი მტკიცეა, ძლიერი და მუდმივი.“**

**ერის მამას ამოცანად დასახული ჰქონდა სოფლად თვითმმართველობის დამკვიდრება და საგლეხო მიწათმფლობელობის გაფართოება, „ადგილის კაცის“ — მკვიდრი მიწათმოქმედის ფუნქციათა და უფლებათა გაძლიერება.**

ილიამ სწორად გაიაზრა ეროვნული ზნეობრივი ღირებულებებისა და ერის ტრადიციული სამეურნეო მახასიათებლების ერთიანობა: **„ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფეხ-მოკიდებულია და ღრმად ფესვგადგმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით კი არა, არამედ სულითაც და გულითაც; ესე იგი ზნეობითაც შემსჭვალულია. მისი სოფელი სამკვიდროა, თვითონ „მკვიდრია“ თავის სოფლისა და სხვა თავმოსაწონებელი სახელი არ იცის“.** სწორედ ამიტომ გაიხადა სოფლის მეურნეობა ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამის ეკონომიკურ საძირკვლად.

ერის მოძღვარმა უპირველესი ზრუნვისა და დაცვის ობიექტად მიწათმოქმედება აღიარა: **„ერთი უდიდესი წყარო სიმდიდრისა, უფრო მტკიცე და საიმედო ხვნა-თესვაა, მიწათმოქმედებაა ყოველგვარი, იმიტომ რომ ამ მრეწველობის ნაამაგარი შეადგენს უპირველეს საჭიროებას ადამიანის ცხოვრებისას... ჩვენი ძალღონე, ჩვენი ცხოვრებისა და ვინაობის, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე — მიწა და გუთანია“.**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური გაძღოლა ილიას ვერ წარმოედგინა ადგილობრივ მიწათმოქმედთა მიერ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ათვისების გარეშე („დროთა შესაფერი ცოდნა, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა“, მიწათმოქმედის ცოდნის პროდუქტიულობაა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელი ქართული სოფლისთვის). **ერის მოძღვარს არა ერთხელ შეუსყიდია გერმანიიდან თუ საფრანგეთიდან უახლესი მოდიფიკაციის მანქანა-იარაღები საკუთარ მამულში დასანერგად, თუმცა მან მათი გამოყენება კვალიფიციური მუშა-ხელის არარსებობის გამო ვერ მოახერხა. ასეთი უცხო ხილი იყო მოწყობილობა, რომელსაც კრუხის როლი უნდა შეესრულებინა, რასაკვირველია, ინკუბატორს ვგულისხმობთ. იგი კარგა ხნის განმავლობაში აოცებდა ილიასთან სტუმრად მისულ საზოგადოებას თავისი შესაძლებლობებით, რომლის დემონსტრირებაც ვერ იქნა და ვერ მოხერხდა.**

დიდი საზოგადო მოღვაწის მიზანი იყო, გლეხს შეეგნო ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების შეძენის გარდაუვალი აუცილებლობა, ზიარებოდა მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, განმტკიცებოდა რწმენა, რომ მხოლოდ იგია ჭეშმარიტი პატრონი და გამგებელი წილხვედრი მიწისა. ილია ბრძანებდა: **„განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას... — ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ახლა, თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის... ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა სამეურნეო სკოლაა. ამ-გვარის სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა“.**

1883 წელს, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში ილია აღნიშნავდა **„აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს — სად რა სიმდიდრე სძევს და რა რიგის ხერხით შეიძლება ამ სიმდიდრეს ხელი მივაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენი თავის სადღეგრძელოდ“.**

დღეს, როდესაც დიდი ილია საყოველთაოდ აღიარებულია, როდესაც ყველა თანხმდება, რომ ილია წარსულის კი არა მომავლის მოაზროვნეა, როდესაც ლოზუნგიც კი გაჩნდა „წინ, ილიას გზით!“, არ ვიცი, რა დავარქვა ილიას სახელით ილიას დასახული გზის საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმას. **მიუხედავად იმისა, რომ ყველა გონიერმა ქართველმა იცის, რომ ილიამ მოგვცა ერის მომავლის განვითარების კონცეპტუალური ხედვა, რომელიც უსწრებს და შეესატყვისება თანამედროვე ცნებებს „მომავლის ინსტიტუტი“, „მომავლის განვითარება.“ თანამედროვე საქართველოში აგრარული განათლება და მეცნიერება სულს ღაფავს, მის მიმართ უდიერი დამოკიდებულებისა და არასწორი პოლიტიკის გამო.**

ყურადსაღები მოსაზრება გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ თავის წერილში „კავკასიის სასოფლო-მეურნეობის საზოგადოების“ შესახებ. ევროპის მოწინავე ქვეყნების (საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, გერმანია) გამოცდილების მიმოხილვის შემდეგ ილია დაასკვნის: **„მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰგრძნობდეს, და მეორეს გზით — მზად იყოს, ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გაწვდება“.**

ერის განმანათლებელი ცდილობდა, ევროპული გამოცდილების მაგალითზე ჩვენშიც დანერგილიყო ამხანაგობათა (კოოპერატივები) ჩამოყალიბების ტენდენცია. ილია მიესალმა თელავის თავად-აზნაურთა მიერ შექმნილ „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირის“ შექმნას, მოიწონა მისი წესდების პროექტი და გამოთქვა იმედი, რომ „კავშირი“ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა. **„ეს იმისთანა საქმეა, რომელიც საუკუნოდ სახსოვრად გახდის იმის სახელს, ვინც ამ საქმეს მესვეურობას და მეთაურობას გაუწევს. ესეც უნდა იცოდეს თავადაზნაურობამ, რომ აქ მცირეოდენის გაწირვა და გაცემა დიდის სიკეთის მომავლინებელია ყველასათვის ერთად და სათითაოდ ცალკე, და ყოველი დაზოგვა და არგაცემა — დაკარგვაა“.**

ილიამ იცოდა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინებას ფინანსური რესურსები ესაჭიროებოდა. ამასთან, უნდა გადაჭრილიყო ერისათვის უმნიშვნელოვანესი — „მიწის ქართველთა ხელში დარჩომის“ ამოცანა. მკვიდრი მიწათმოქმედი უნდა დამკვიდრებულიყო იმ მიწაზე, რომელსაც იგი ამუშავებდა და რომელიც საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა.

დიმიტრი ყიფიანის იდეასა და წამოწყებას სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შექმნის თაობაზე ილია ჭავჭავაძემ ფრთები 1875 წელს შეასხა. ბანკის დაფუძნების დღეს თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: **„ქართველი ერი სამარადისოდ მადლიერი იქნება ამ საქმის წამომწყებისა და მესაძირკვლის უფალ დიმიტრი ყიფიანისა“.**

ილიამ განმარტა საადგილმამულო კრედიტის მნიშვნელობა „მიწის და მიწათმოქმედების განკარგებისა და გაძლიერებისათვის“: **„დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედთა ღონისა და მომცემლობისა“.**

დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა დიდი საზოგადო მოღვაწის პუბლიკაციებს ქვეყანაში პურეულის მოვლა-მოყვანის, ტყის, ტექნიკური კულტურების გაშენების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების, მელიორაციისა და სხვა პრობლემური საკითხების შესახებ. სტატიაში „ჩვენი გლეხობა და ტყეებით სარგებლობის საქმე“, ილია ბრძანებდა: **„ჩვენებურის გლეხისათვის ტყე ისე საჭიროა, როგორც არსებითი პური. უტყეოდ ჩვენებური გლეხკაცი ვერ დადგება ისე, როგორც უპუროდ“.**

სააშკარაოზე გამოიტანა სატყეო ხელისუფლების ძალმომრეობა და უკანონო დაუსჯელი საქმიანობა, ასევე ტყით სარგებლობის რუსული წესის ქართული სინამდვილისადმი შეუთავსებლობის საკითხი. პურეულის საკითხთან დაკავშირებით, უაღრესად ყურადსაღებია ილია ჭავჭავაძის წერილი „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“, რომელშიც ილია დაასკვნის: **„ჩვენ მარტო, იმას უნდა ვეცადოთ, პური იმდენი მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს, ჩვენ და ჩვენს შინაურ ბაზარს ეყოს“.**

დარგის პრობლემებზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე გამოყოფდა საქართველოში მრავალდარგოვანი, ფართოდ სპეციალიზებული სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობას. ილიას აზრით, დარგობრივ სპეციალიზაციას უნდა ეპასუხა საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნებისთვის: **„ამ ეკონომიურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არ აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია — სახელმწიფო ინტერესის თვალითაც-კი მეტად სახეიროა რუსეთისთვისაც“.**

ილიას მოსაზრება რუსეთთან პარტნიორობის შესახებ ყურადსაღებია თუნდაც იმიტომ, რომ იგი კარგად იცნობდა რუსეთის ბაზარს, ქვეყნის მასშტაბსა და შესაძლებლობებს და დარწმუნებული იყო რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის შეღწევა საქართველოს ეკონომიკასა და პრესტიჟს წაადგებოდა.

**ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ, როდესაც რუსეთ-საქართველოს შორის არსებული სავაჭრო კავშირები სრულიად მოიშალა და რუსეთის ბაზრიდან ქართული ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული, ღვინო და მინერალური წყლები გამოაძევეს, საქართველოს ეკონომიკას უდიდესი ზიანი მიადგა. ქვეყანა ახალი სავაჭრო პარტნიორის ძიებაშია, ფერმერად მონათლული გლეხი კი მოწეული მოსავლის პირისპირ მარტო დარჩა.**

სოფლის მეურნეობის დარგების სპეციფიკურ თავისებურებათა ცოდნა საშუალებას აძლევდა დიდ მწერალს, ნათლად დაესაბუთებინა მევენახეობისა და მეღვინეობის, მეხილეობის, მებოსტნეობა-მებაღჩეობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის და სხვა დარგების განვითარების აუცილებლობა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისთვის. ილიამ იცოდა, რომ თითოეული ეს დარგი წარმოადგენს არა მხოლოდ ქვეყნისა და გლეხკაცის ეკონომიკურად გაძლიერების წყაროს, არამედ ქართველი ერის სამეურნეო ცხოვრების წესისა და კულტურის ორგანულ, განუყოფელ ნაწილსაც, ბუნებრივად მისადაგებულს ქვეყნის ისტორიულ მხარეებთან.

**ქართველი კაცი ღვინის დაყენებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ყურძნის მტევანს ალალი კაცის მარჯვენა უნდა შეხებოდა. ღვინო მხოლოდ ყურძნის წვენის დადუღებით მიიღებოდა და ამ წესის დაუცველობა წარმოუდგენელი იყო.** ქართველი მევენახის სინდისი ზედაშეა, რომლითაც ინათლებოდა მათი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ღვინის დაყენების ქართული წესი: კახური (ჭაჭაზე სრული დადუღებით-ექსტრაქტული ღვინოები), იმერული (ჭაჭაზე დადუღების გარეშე-არაექსტრაქტული ღვინოები), რაჭული (ჭაჭაზე ნახევრად დადუღებით).

**„ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა,** — ბრძანებდა ილია, — **ღვინის კეთებას ჩვენში მრავალი ათასის წლების ისტორია აქვს და, მასაშადამე, არის რა მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თავისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპულს უფროხის, ერიდება დღესაც... ჩვენებური ღვინის კეთება მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური შეურეველი თვისება ჰქონდეს“.** ქართული ღვინის უმთავრესი ღირსება „ბუნებრიობაა“, მხოლოდ „ნატურალობაა“, ამიტომ განსაკუთრებული სერიოზულობით იბრძოდა დიდი მწერალი ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძე ქართველ მეღვინეთა გასაგონად აცხადებდა: **„თუ ჰსურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ ადგილი დაიჭიროს და ევროპულს ყალბს ღვინოებს აჯობოს და გზა დააცლევინოს, ეს მარტო იმით შეიძლება მოხდეს, რომ გასამკლავებლად ყალბ ღვინოს ჩვენი მართალი ღვინო პირში წავუყენოთ. აქ ჩვენი გამარჯვება უეჭველია“.** ამაზე ლოგიკურად და მიზანდასახულად გზის ჩვენება, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია.

**საინტერესო და დღემდე აქტუალურია ილია ჭავჭავაძის თვალთახედვა მთის პრობლემების მოგვარებაზე. მას ღრმად სწამდა, რომ საქართველოს მთიანეთში მეცხოველეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის – მთიანეთის აღორძინების და თავდაცვის უპირველესი პირობა იქნებოდა.**

ილია ჭავჭავაძის პარადიგმა, ისტორიული ხედვით განმტკიცებული, მიწისადმი ქართველი კაცის განსაკუთრებული (მარადიული) დამოკიდებულებისა, არა მარტო ქართველი ერისთვისაა აქტუალური, არამედ მთელი განვითარებული კაცობრიობისთვის.

დასასრულ, ისევ დიდ მოძღვარს მოვუხმოთ: **„დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი დაჯდება, ვინც ირჯება, ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს ეკონომიურად წელში გაიმართოს“.**

დროთა სვლაზე გამარჯვებული, ილია ჭავჭავაძის მიერ დასახული გზა „უკეთესი ქვეყნის“ შენებისა, მხოლოდ ერის ერთიანობითა და თანხმობითაა შესაძლებელი. როგორც გიორგი მთაწმინდელი ბრძანებდა: „ერთნებაობითა და თანადგომით ქვეყნის მართვა“!

ეს XXI საუკუნის საქართველომ უნდა შეძლოს.

„მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (*მათ. 20.16*). მხოლოდ ამ სიტყვების წარმოთქმა იცოდა ილიამ, როდესაც დიდად განაწყენდებოდა მოსაუბრეებზე და უკომენტაროდ ტოვებდა შეკრების ადგილს.

დიახ, იცოდა მან თავისი ფასი, იცოდა, რომ მრავალი ეწვევა ამ წუთისოფელს, მაგრამ მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ ერის სამსახურში ჩადგომა, დროის ფეხდაფეხ მიყოლა, რაციონალურად საქმეთა წარმართვა.

აკი ამიტომაც ბრძანა კიდევ ერთმა გამოჩენილმა ქართველმა გრიგოლ რობაქიძემ, რომელსაც გერმანიაში ცხოვრებამ კიდევ უფრო გაუმძაფრა ქართული გენი: **„ილია კარდუს დიდი მოურავია“, რისთვისაც მინიჭებული აქვს კოსმიური მედალიონი — „მარადმყოფი“.**

**პაატა კოლუაშვილი,**
**პროფესორი**



**მაროკოდან პაკისტანამდე ძნელად იპოვით თუნდაც ერთ ქვეყანას, რომელშიც ქრისტიანებს შეეძლებათ დაბრკოლების გარეშე, სრულიად თავისუფლად თავიანთი რელიგიის აღიარება. მუსლიმანებს, რომლებიც მიიღებენ ქრისტიანობას ან სხვა რელიგიას, ამ სახელწიფოთა უმრავლესობაში მძიმე სასჯელი ელით. ახლა არსებობს უზარმაზარი რისკი იმისა, რომ ეკლესიები ახლო აღმოსავლეთის ბიბლიური მიწიდან სრულად აღიგვება.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქრისტიანებს მთელ მსოფლიოში დევნიან

**წარმოიდგინეთ, რა საშინელი რისხვა აბობოქრდებოდა ისლამურ სამყაროში, თუ ბოლო 30 წლის მანძილზე ქრისტიანების მიერ მართული ხართუმის ხელისუფლება ათასობით სუდანელი მუსლიმანის სიკვდილზე იქნებოდა პასუხისმგებელი, ან თუ ერაყში ქრისტიანი ტერორისტები პარასკევის ლოცვის დროს მეჩეთში ცეცხლგამჩენ ბომბებს შეაგდებდნენ, ან თუ ინდონეზიაში სკოლაში მიმავალ მუსლიმან გოგონებს გაიტაცებდნენ და თავს მოკვეთდნენ მათი რწმენის გამო.**

რა თქმა უნდა, ასეთ საშინელებებზე ფიქრიც კი შეუძლებელია. თუმცა ამგვარი რაღაცები იმ ქრისტიანებს ემართებოდათ, რომლებიც ისლამისტების აგრესიის მსხვეპრლნი ხდებოდნენ. სულ რაღაც ორი დღის წინ თვითმკვლელი-ტერორისტი ნიგერიის ჩრდილოეთში, კადუნში მდებარე კათოლიკურ ეკლესიაში ასაფეთქებელი მოწყობილობით აღჭურვილი ჯიპით შევარდა. 8 ადამიანი დაიღუპა და ასზე მეტი დაიჭრა. ეს ტრაგედია თავისი ხელწერით იმ მრავალრიცხოვანი ტერაქტების ანალოგიური იყო, რომლებსაც უკიდურესად პირსისხლიანი, მებრძოლი „ბოკო ხარამის“ (რაც ითარგმნება როგორც „დასავლური განათლება ცოდვიანია“) დაჯგუფება ახორციელებდა.

**პრობლემურ ადგილთა რიცხვში შედის, მაგალითად, ეგვიპტე, რომელიც 1980-იანი წლების შემდეგ შევიწროებისა და ღია რეპრესიების გამო 600 ათასმა კოპტმა დატოვა. ეს რიცხვი მანჩესტერის მოსახლეობას აღემატება.**

მაშ, რატომ არ აქცევს ამ ყველაფერს ყურადღებას დასავლეთი? ამგვარი უყურადღების ერთ-ერთი მიზეზი გახდა მსხვერპლის გაზვიადებული განწყობა, რომელიც ბევრ მუსლიმანს დაუბრკოლებლად უვითარდება. ავიღოთ, მაგალითად, მთელ მსოფლიოში აგორებული პროტესტი წინასწარმეტყველ მუჰამედის შესახებ გადაღებული ამერიკული ფილმის წინააღმდეგ. **მათ უამრავი დავა გამოიწვიეს კანონიერებასა და სიტყვის თავისუფლებაზე, თუმცა არავის უსაუბრია იმაზე, თუ რამდენად ხშირად შეურაცხყოფენ თავად მუსლიმანები ქრისტიანებს და რამდენად ადვილად „გასდით“ ეს ყველაფერი.**

ფილმ „მუსლიმანთა უმანკოებას“, რომელმაც გამოიწვია ამ უკმაყოფილებათა ტალღა, სამართლიანად უწოდებენ საზიზღრობას, მაგრამ რას იტყვით საიტის „რწმენის მცველების“ შესახებ, რომელიც ქაიროელმა ექსტრემისტ-სალაფიტებმა შექმნეს? სხვათა შორის იქ გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „რით სჯობია მუსლიმანები კოპტებს“. **„იყო მუსლიმანი ქალი, რომლის მისაბაძი მაგალითიც ჰიჯაბის მატარებელი წინასწარმეტყველის ცოლები არიან, უმჯობესია, ვიდრე იყო ქრისტიანი ქალი, რომლის მისაბაძი მაგალითიც როსკიპები არიან,** — აცხადებს იგი. — **იყო მუსლიმანი, რომელიც იბრძვის, რათა თავისი ღირსება და რწმენა დაიცვას, უმჯობესია, ვიდრე იყო ქრისტიანი, რომელიც ქურდობს, ბავშვებს აუპატიურებს და კლავს“**. ამგვარი სიძულვილის პროპაგანდა შესაბამის ქმედებებს იწვევს. არაა გასაკვირი, რომ ბოლო წლის მანძილზე ეგვიპტეში ბრბო ეკლესიებს წვავს.

**ჭეშმარიტება, რომელიც ამ ხმამაღალი ტირადების უკან შეუმჩნეველი რჩება და რომელიც, სხვათა შორის, შეუმჩნეველი ხდება ბევრი დასავლური ანტიკლერიკალის ახვეული თვალების გამო, არის იმაში, რომ ქრისტიანები ახლა მეტად იტანჯებიან, ვიდრე სხვა რომელიმე რელიგიის აღმსარებლები. დაახლოებით 200 მილიონი ქრისტიანი (საერთო რაოდენობის 10%) ხდება რელიგიური დისკრიმინაციის მსხვერპლი, მაგრამ ამაზე საუბარი მიღებული არ არის.** 2010 წელს გადავწყვიტე, სხვადასხვა კონტინენტზე ქრისტიანთა დევნის ქრონიკა დამეწერა. ჩემი კვლევის შედეგები, რომელიც წიგნ „ქრისტიანოფობიაში“ გამოვაქვეყნე, გაცილებით უფრო სავალალოდ გამოიყურება, ვიდრე ველოდი.

**აბუ ჰამზას (Abu Hamza), 7 ივლისის ტერაქტების ორგანიზატორ მიჰამედ სიდიკ ხანს (Mohammad Sidique Khan) და სხვა ცნობილ პერსონაჟებს თავიანთი რელიგიის ღია პრაქტიკა შეეძლოთ ბრიტანეთში, მაგრამ მაროკოდან პაკისტანამდე რთულად იპოვით თუნდაც ერთ ქვეყანას, რომელშიც ქრისტიანებს შეეძლებათ დაბრკოლების გარეშე, სრულიად თავისუფლად თავიანთი რელიგიის აღიარება. მუსლიმანებს, რომლებიც მიიღებენ ქრისტიანობას ან სხვა რელიგიას, ამ სახელწიფოთა უმრავლესობაში მძიმე სასჯელი ელით. ახლა არსებობს უზარმაზარი რისკი იმისა, რომ ეკლესიები ახლო აღმოსავლეთის ბიბლიური მიწიდან სრულად აღიგვება.**



**«2008 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე ინდუისტმა ფანატიკოსებმა აღმოსავლეთის შტატ ორისში არანაკლებ 90 ადამიანი მოკლეს, 50 ათასი ადამიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საკუთარი ბინა. თავდასხმა მოხდა 170 ეკლესიასა და სამრეკლოზე»**

ქრისტიანები სხვა ადგილებშიც იტანჯებიან. ვიდრე აღმოსავლეთ ტიმორმა ინდონეზიისგან დამოუკიდებლობა მიიღო, 100 ათასი მშვიდობიანი კათოლიკე 1970-1990 წ.წ. პერიოდში სუხარტოს მთავრობის აგენტებმა მოკლეს. **რამდენიმე თვის წინ საუდის არაბეთის უმაღლესმა მუფტიმ, შეიხმა აბდულ-აზიზ ბინ აბდალამ (Abdul Aziz bin Abdullah) ოფიციალურად განაცხადა, რომ არაბეთის ნახევარკუნძულზე „აუცილებელია, ყველა ეკლესია განადგურდეს“.**

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ისლამურ სამყაროში ამ რელიგიური დევნის შესახებ დასავლური აუდიტორია მწირ ინფორმაციას ფლობს, საკმაოდ მარტივია: **ევროპასა და ამერიკაში ქრისტიანი ახალგაზრდობა არ „რადიკალიზდება“, ხოლო შევიწროებული ქრისტიანები ტერორსა და ძალადობას არ მიმართავენ. ამგვარი ხანგრძლივი მოთმენის უნარი სიამაყის მიზეზი და უდავო მადლი იქნებოდა, მას რომ სათანადოდ აღიარებდნენ.** თუმცა მისი ფასი ეცემა იმ ვითარებაში, რომელშიც მხოლოდ ხმაურისა და გულახდილი ძალადობის შემჩნევაა მიღებული.

პრობლემები, რომლებიც ხვდება ქრისტიანებს, მხოლოდ მუსლიმანური სამყაროთი არ შემოიფარგლება. ავიღოთ ინდოეთი, რომელშიც უმცირესობებს, მათ შორის მუსლიმანებსაც, ექსტრემისტი-ინდუისტები ემუქრებიან. ისინი მონოთეისტურ ტრადიციებს ინდურ მიწაზე დაუპატიჟებელ სტუმრებად მიიჩნევენ და აღშფოთებას გამოხატავენ იმის გამო, რომ ქრისტიანები კასტური სისტემის წინააღმდეგ გამოდიან.

**2008 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე ინდუისტმა ფანატიკოსებმა აღმოსავლეთის შტატ ორისში არანაკლებ 90 ადამიანი მოკლეს, 50 ათასი ადამიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საკუთარი ბინა. თავდასხმა მოხდა 170 ეკლესიასა და სამრეკლოზე. და ეს არ იყო რაიმე გამონაკლისი. ბოლო ოთხი წლის მანძილზე ქვეყნის სხვა ნაწილებში ეკლესიებსა და მრევლზე თავდასხმის ათობით შემთხვევა აღინიშნა.**

გარდა ამისა, ქრისტიანებს ასევე კომუნისტები ავიწროებენ, ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბირმა და შრი-ლანკა, ნაციონალისტურად განწყობილი ბუდისტებიც. კომუნისტური შეუწყნარებლობის გასაქანი განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს. **რწმენის თავისუფლების შელახვა კომუნისტურ ქვეყნებში, კერძოდ, ჩინეთში, ვიეტნამსა და კუბაში დრაკონულ ხასიათს ატარებს და ხშირად, უბრალოდ, სადისტურად გამოიყურება.**

რატომ აქვს ამ ყველაფერს მნიშვნელობა? ერთ-ერთი ნათელი პასუხი ის არის, რომ რელიგია არ აპირებს წარსულში გადაბარგებას. როგორც არ უნდა ეპყრობოდეს ვინმე რელიგიურ რწმენას, ეჭვგარეშეა, რომ სეკულარიზმი ახლა უკან იხევს, დიდწილად დემოკრატიის გავრცელების გამო. **კაცობრიობის სამი მეოთხედი ამჟამად ამა თუ იმ რელიგიურ შეხედულებებს იზიარებს და, პროგნოზების მიხედვით, საუკუნის შუაგულისთვის მორწმუნეთა წილი 80%-ს მიაღწევს.**

ამ პერსპექტივამ არ უნდა გაგვაოცოს. ათეიზმი იკვებება ცუდი რელიგიით, განსაკუთრებით – ფუნდამენტალიზმით, რომლის იაფფასიანი დოგმატური რწმენაც ათეიზმისთვის უკიდურესად ხელსაყრელია. მეორეს მხრივ, ურწმუნობას გაცილებით უფრო უჭირს, ჩაანაცვლოს მომწიფებული რელიგიური რწმენის პოეტურობა, რომელიც ბადებს რწმენას, რომ სიცოცხლე ღირს, რადგანაც მას უმაღლესი აზრი აქვს.

ამასთან, როგორც მთავარმა რაბინმა ჯონათან საქსმა (Jonathan Sacks) აღნიშნა, რწმენა ცეცხლს ჰგავს. მას შეუძლია გაათბოს, მაგრამ დაწვაც შეუძლია. **ჩრდილოეთ განედის მე-10 პარალელის გასწვრივ და მის შემოგარენში ნიგერიას, ინდონეზიასა და ფილიპინებს შორის, რელიგიური ფანატიზმი და პოლიტიკური არასტაბილურობა ერთმანეთს კვებავს. ეს უნდა გავითვალისწინოთ იმის აღიარებისას, რომ რელიგია არსებული სოციალური კაპიტალის მნიშვნელოვან, შესაძლოა, საკვანძო წყაროსაც წარმოადგენს.**

რელიგიური რწმენა მილიონობით ადამიანს შთააგონებს, იბრძოლონ ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ, მიაღწიონ დემოკრატიას, მხარი დაუჭირონ ადამიანის უფლებებს და შეუმსუბუქონ ადამიანებს ტანჯვა. **მეოცე საუკუნეში რელიგიური მოძრაობები ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ ევროპაში, აფრიკასა და აზიაში კოლონიალური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლასა და დემოკრატიის განმტკიცებას ეხმარებოდა.**

**ამგვარად, ამოცანა, ერთდროულად იოლი და მნიშვნელოვანი, იმაში მდგომარეობს, რომ განვავითაროთ მშვიდობისმოყვარე ტენდენციები, რომლებიც მთავარი მსოფლიო რელიგიების საფუძველში დევს.**

ის, რასაც ვამბობ, არ უნდა იყოს აღქმული, როგორც მცდელობა, ქრისტიანებში ქედმაღლობა გამოვიწვიო. ქრისტიანული სამყაროს უდიდესი ნაწილი 70 და 100 წლის წინ შეპყრობილი იყო საშინელი ძალადობით. ბრიტანეთში მე-18 საუკუნემდე ადამიანი, სახელად თომას ეიკენჰედი (Thomas Aikenhead) სიკვდილით დასაჯეს ღვთის გმობისთვის. „მუსლიმანთა უმანკოება“ კოპტური წარმოშობის ნასამართლევმა დამნაშავემ გადაიღო.

თუმცა მთლიანობაში, თუ გამონაკლისებს არ შევეხებით, **ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ქრისტიანები ბევრად შემწყნარებლები და კრიტიკულები გახდნენ საკუთარი თავის მიმართ და ამ პროცესში იესოს სწავლების ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტს მიუბრუნდნენ** (მაგალითად, უნდა აღვნიშნოთ, რომ პაპი იოანე პავლე მეორე და სხვა ძირითადი ქრისტიანული ეკლესიების მეთაურები ერაყში ომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ).

**ქრისტიანობის ევოლუციის გათვალისწინებით, არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ისლამს ასევე აქვს უნარი, შეიცვალოს. ორი ტრადიციის შეხების წერტილები, სულ ცოტა, იმდენადვე მნიშვნელოვანია, როგორც განსხვავებები. ორივე რწმენა — იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი თავისი სახელმძღვანელო პრინციპების ერთგული რჩებიან, ღმერთის მაძიებელი ადამიანის სიწმინდეს ვარაუდობს.** აქედან უნდა გამომდინარეობდეს რელიგიური თავისუფლების, როგორც ადამიანის უპირველესი უფლების აღიარება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამას არა მხოლოდ მაღალი მოსაზრებები, არამედ საერთო სარგებელიც ითხოვს. **სინდისის თავისუფლება მთლიანობაში თავისუფლების და საზოგადოების აყვავების მაჩვენებელია.**

ამ საშუალო და გრძელვადიანი ამოცანების დაძლევა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია მშვიდობისთვის მთელ მსოფლიოში. მაგრამ **რელიგიათაშორისი კავშირების განვითარებამ არ უნდა შეაჩეროს მცდელობები, ითქვას სიმართლე ქრისტიანთა დღევანდელ ბედზე. არ უნდა შეჩერდეს ბრძოლა მასშტაბური უსამართლობის წინააღმდეგ.**

**რუპერტ შორტი,**
**The Telegraph UK,**
**დიდი ბრიტანეთი.**

**რუპერტ შორტი** — ავტორის წიგნისა „ქრისტიანოფობია: რელიგია დარტყმის ქვეშ“ („Christianophobia: A Faith Under Attack“), რომელიც გამოაქვეყნა გამომცემლობა Rider-მა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ გვინდა ვიფიქროთ ქვეყანაში ისეთი პრიორიტეტული გამოყენებითი დარგების აღორძინება-განვითარებაზე, როგორიცაა ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მედიცინა, მაშინ უნდა ვიფიქროთ საფუძველთა საფუძველზე — ფუნდამენტურ მეცნიერებებზეც...**



ფრიდონ თოდუა:

# რომელ განათლებაზე შეიძლება საუბარი ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების გარეშე?!

**2009 წელს „საქართველო და მსოფლიოში" ყოველკვირეულად გამოდიოდა ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე და მისი პროფესიის გადმოსახედიდან ხატავდა ახლა უკვე ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის „ცნობადი" პირების ფსიქოპორტრეტებს. უნიკალური ექსპერიმენტი იყო. ამ გალერეაში „ქვეყნის მამები", მათი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მკვეთრად უარყოფითად იყვნენ წარმოდგენილნი, რაც აბსოლუტურად ემთხვეოდა ხალხში მათზე გავრცელებულ შეხედულებას. ერთი — ერთზე!**

**ზურაბ გაგნიძე წერდა: „დღეს „ფეხშიშველი" და განუკითხავი ერი, დიოგენეს მსგავსად, სანთლით ეძებს ქართულ პოლიტიკაში ადამიანს, ამ სიტყვის სრული გაგებით"...**

ეძებდა პროფესორი გაგნიძე და აღმოაჩინა ადამიანი, რომელმაც „მოახერხა პიროვნული სიმწიფის მიღწევა" და რომლის „ფსიქოსტრუქტურის ცენტრალური ხაზი მიზნისკენ მიმართული ეფექტიანი ორგანიზაცია იყო" („საქართველო და მსოფლიო", 2009 წლის 18-24 ნოემბერი, №38).

პუბრიკის სათაურია „ფრიდონ თოდუას ფსიქოსტრუქტურა დიდი ილიას მრწამსის ქარგაზეა აწყობილი".

საინტერესოდ წერდა ფრიდონ თოდუაზე ზურაბ გაგნიძე. განსაკუთრებით საინტერესო კი ის არის, რომ ეს ორი ადამიანი — ზურაბ გაგნიძე და ფრიდონ თოდუა — ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან, ერთმანეთს არ იცნობდნენ და მეცნიერის მიერ წარმოდგენილი ფსიქოპორტრეტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სუფთა ექსპერიმენტის შედეგია.

შედეგი, რომელიც აბსოლუტურად ემთხვევა რეალობას, და ფსიქოპორტრეტების გალერეაში ერთადერთ დადებით გამონაკლისად წარმოჩნდა.

ამ პუბლიკაციიდან 3 წლის შემდეგ შევხვდი ბატონ ფრიდონ თოდუას კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, რომლის დამაარსებელიცაა, და რომელსაც, ოც წელიწადზე მეტია, ხელმძღვანელობს.

პირველი ნოემბერია. ზუსტად ერთი თვის წინ მის მრავალრიცხოვან რეგალიებს მოაკლდა ერთი — საქართველოს მეშვიდე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.

მერე რა? არც არაფერი. „ის მუდამ ინარჩუნებს წონასწორობას, რადგან თვითშეფასების მაღალი უნარი აქვს... ამიტომ მისი თვალსაწიერი შორსაა ეგოიზმისგან. ამგვარ ფსიქოტიპს არასოდეს ემუქრება ნევროტული და ანომალური ტენდენციები, რომელთა სიმრავლემ პოლიტიკაში ხალხი გულაცრუებამდე მიიყვანა", — ესეც კიდევ ერთი დასკვნაა გაგნიძის „დიაგნოზიდან".

— 2008 წელს ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობისთვის არჩევნებში მონაწილეობა რომ შემომთავაზეს, — **ამბობს ფრიდონ თოდუა**, — უარზე დავდექი: ეს სფერო ჩემთვის სრულიად უცნობი იყო. დამარწმუნეს, რომ ჩემი დეპუტატობა საკეთილდღეოდ წაადგებოდა მშობლიურ რაიონს, რომ, ამასთან, ეს იყო ჩემთვის გამოცხადებული ნდობა.

ნდობა მართლაც დიდი იყო, ნდობის ხარისხიც — შესაფერისი და მივიღე ხმების ისეთი რაოდენობა, როგორიც ჩემამდე არჩევნებში მონაწილე არც ერთ დეპუტატს არ მიუღია, აქედან — დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მხრებზე დამაწვა. ჩემი მოუცლელობიდან გამომდინარე, ამას ემატებოდა დროის დეფიციტი, რადგან პარალელურად ინსტიტუტისთვისაც უნდა მეხელმძღვანელა და საქართველოს ეროვნული აკადემიის პირველი ვიცეპრეზიდენტის მოვალეობაც შემესრულებინა.

მიუხედავად ამისა, შევძელი ბევრი რამის გაკეთება, რაც შესანიშნავად იციან ზუგდიდელებმა, ამიტომ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

**ფრიდონ თოდუას ფსიქოპორტრეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტრიხია „ხალხის მსახურების მოთხოვნილება, — შენიშნავს პროფესორი ზურაბ გაგნიძე, — შეუძლებელია საქართველოში იცხოვრო და არ შეეჯახო საზოგადოების მწვავე და მტკივნეულ პრობლემებს".**

**შეეჯახა და, როგორც შეეძლო, დაძლია: რა და როგორ, ჰკითხეთ ასობით პაციენტის ჭირისუფალს. მადლიერი ზუგდიდელები წვრილად მოგიყვებიან მისი დახმარებით რამდენ გაჭირვებულ ადამიანს ჩაუტარდა გამოკვლევა, გაუკეთდა ოპერაცია...**

**მისი ძალისხმევით გამაგრდა სოფელ კორცხელის ულამაზესი ეკლესია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა ბოტანიკური ბაღი, ქალაქში შეყვანილი იქნა ბუნებრივი გაზი და ა. შ.**

**„დეპუტატობა ავადმყოფი ქვეყნის ჭირისუფლობაა", — წერდა პროფესორი გაგნიძე.**

**— ბოლოდროინდელ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი რომ განაცხადეთ, ეს ნიშნავს, რომ ჩამოიცილეთ დეპუტატობის ტვირთი?**

— დეპუტატობა არ არის საჭირო იმისთვის, რომ საქმე აკეთო ადამიანმა და ხალხს დაეხმარო. არ ვარ დეპუტატი და მაინც ვასრულებ ჩემს მოვალეობას. მაინც მოდის ხალხი, ვეხმარები, ვშუამდგომლობ იქ, სადაც ხელი მიმიწვდება.

მაგრამ ამ ოთხი წლის განმავლობაში რაღაცნაირად მოწყვეტილი ვიყავი ინსტიტუტსაც, მეცნიერებათა აკადემიასაც. ახლა დავუბრუნდი, რადგან მეცნიერება, ავადმყოფის მკურნალობა ჩემთვის მთავარი იყო ყოველთვის.

**— სიტყვამ მოიტანა და მეცნიერებათა აკადემიაზე შეგეკითხებით: აკადემიის წევრების ნახევარზე მეტი ადგილი ვაკანტურია, წევრ-კორესპონდენტების ინსტიტუტი, საიდანაც აკადემიის ნამდვილი წევრები უნდა აირჩიონ, გაუქმებულია.**

**ამ პრობლემების მოგვარების რა გზას ხედავთ?**

— აკადემიის პრეზიდენტთან, თამაზ გამყრელიძესთან, ერთად ბევრს ვეცადეთ, მაგრამ ვერ შევძელით ამ საკითხების მოგვარება. აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის გაუქმება შეცდომად მიმაჩნია.

საჭიროა განახლება. ახალგაზრდების აკადემიკოსებად არჩევა წევრკორობის გაუვლელად ძალიან რთულია, თითქმის შეუძლებელია.

**— ახალგაზრდა მეცნიერებისთვის გზის ხელოვნურად გადაკეტვა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ გარკვეული დროის შემდეგ მეცნიერებათა აკადემია გაუქმდება... აკადემიის წევრების არყოლის გამო?**

— თუ ყველაფერი ისე დარჩება, როგორც დღეს არის, ვერაფერს გამოვრიცხავთ. მე მგონი, შევძლებთ ახალ პარლამენტში საკითხის გატანას, რომელიც მოაწესრიგებს როგორც ორგანიზაციულ, ისე ფინანსურ პრობლემებს. მითუფრო, რომ დამატებით ფინანსებს არ მოვითხოვთ.

მოგეხსენებათ, კანონმდებლობის მიხედვით, აკადემია დღეს მთავრობის მრჩეველია, ამიტომ მისი გაუქმება ნონსენსია, რადგან პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მისი ამ იპოსტასში არსებობა სწორი და გამართლებულია. ბოლო პერიოდში აკადემიამ დაამუშავა ისეთი მნიშვნელოვანი კონცეფციები, როგორიცაა ენერგეტიკის განვითარებისა და ეკოლოგიის, მეტალურგიის, სოფლის მეურნეობის კონცეფციები და ა. შ., რომლებსაც მეცნიერებმა მაღალი შეფასება მისცეს. მაგრამ, სამწუხაროდ, შესაბამისი აღმასრულებელი სტრუქტურების მხრიდან ეს ყოველივე ყურადღების მიღმა დარჩა.

როდესაც წინა ხელისუფლებაში მეცნიერების პრობლემებზე ვიწყებდით საუბარს, გვეუბნებოდნენ, რომ საქართველოში პრიორიტეტულია განათლების საკითხების მოგვარება. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში განათლებასთან, სოფლის მეურნეობასთან, ჯანდაცვასთან და ა. შ. ერთად უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს მეცნიერება. ეს არის აქსიომა, რომელსაც, ჩემი აზრით, კამათი არ სჭირდება.

**«საქართველოში ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს მეცნიერება, ეს არის აქსიომა, რომელსაც კამათი არ სჭირდება!»**

მეცნიერება ყველა დარგის საფუძველთა საფუძველია. განა ეს ელემენტარული არ არის?!

ამჟამად მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 36 აკადემიკოსია დარჩენილი, კანონით გათვალისწინებული 70 ადგილიდან თითქმის ნახევარი — 34 ვაკანტურია.

ჩვენ მივმართავთ მთავრობას, რომ ფუნდამენტურ მეცნიერებათა ინსტიტუტები დაუბრუნდეს აკადემიას, რათა მან შეძლოს თავისი ძირითადი ფუნქციის — მეცნიერების განვითარებასა და მეცნიერებათა უახლეს მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ცენტრის ფუნქციის შესრულება.

მიმაჩნია, რომ იმთავითვე შეცდომა იყო მეცნიერებათა აკადემიიდან ინსტიტუტების გაყვანა, თუმცა აუცილებელი იყო ოპტიმიზაცია – რიგი ინსტიტუტების უნივერსიტეტების დაქვემდებარებაში გადაყვანა და ფუნდამენტური მეცნიერებების აკადემიის დაქვემდებარებაში დატოვება და მათი ცენტრებად ჩამოყალიბება.

არაერთხელ აღმინიშნავს, რომ საქართველო ყოველთვის იყო მდიდარი თავისი ინტელექტუალური და სამეცნიერო პოტენციალით, ჩვენ გვყავდა და გვყავს მსოფლიო დონის მეცნიერები, მაგრამ დღეს მათ ეს ფუნქცია დაკარგული აქვთ და მოკლებულნი არიან იმ ყურადღებას, რომელსაც უდავოდ იმსახურებენ.

საოცრად მწყდება გული, რომ მეცნიერებათა აკადემიამ დაკარგა თავისი ქარიზმა და ეს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების განათლებისადმი დამოკიდებულებისთვის არის საზიანო. დღეს რუსთაველზე გამვლელთაგან ბევრმა არც კი იცის, რომელია მეცნიერებათა აკადემიის შენობა.

ისე მოდიან და მიდიან მინისტრები, სიტყვაც კი არ დასცდებათ მეცნიერების აღორძინებაზე თუ არა, ხელშეწყობაზე მაინც... რომელ განათლებაზე შეიძლება საუბარი ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების გარეშე?!

ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის სრულიად გაუგებარია მეცნიერების მნიშვნელობა, ეს არა მხოლოდ დასანანი, სავალალოცაა ქვეყნის განვითარებისთვის.

თუ გვინდა ვიფიქროთ ქვეყანაში ისეთი პრიორიტეტული გამოყენებითი დარგების აღორძინება-განვითარებაზე, როგორიცაა ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მედიცინა, მაშინ უნდა ვიფიქროთ საფუძველთა საფუძველზე — ფუნდამენტურ მეცნიერებებზეც...

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მწყდება გული, როდესაც ჩვენი ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ ინტერესი სამეცნიერო მოღვაწეობისადმი, საზღვარგარეთ მიდიან სწავლის გასაგრძელებლად და, როგორც წესი, მათ შორის საუკეთესონი იქვე რჩებიან სამუშაოდ. ნუთუ ჩვენ ვერ უნდა შევქმნათ ქვეყანაში პირობები, რათა თავიდან ავიცილოთ ინტელექტის გადინება?

**— ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და სხვა ჰუმანიტარული ინსტიტუტების გაუქმებას რით ახსნით?**

— სრული შეუფასებლობით ჰუმანიტარული დარგების და, კერძოდ, ამ ინსტიტუტების მნიშვნელობის. სამწუხაროდ, ვერ შევძელით მათი დაცვა, მეცნიერებათა აკადემიაში გვქონდა განხილვა, პრინციპულად გამოვთქვი ჩემი პოზიცია, მაგრამ უშედეგოდ. დღემდე არ მესმის, რატომ გააუქმეს ფილოსოფიის ინსტიტუტი, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება იყო არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში, ან როგორ და რა მოსაზრებით ვთქვით უარი მსოფლიოში აღიარებულ უზნაძის სკოლაზე?!

მე მგონი, მათ აუცილებლად უნდა აღვუდგინოთ სტატუსი.

და, საერთოდ, მეტი ყურადღების მიქცევა სჭირდება ჩვენს ინტელიგენციას, ვინც ჩვენი ქვეყნის სახეს ქმნიდა და დღემდე მოიტანა ქართული კულტურა, ქართული ტექნიკური აზროვნება თუ ხელოვნება. მათი პოტენციალის ამოქმედება დღესაც შესაძლებელია და, მე რომ მკითხოთ, აუცილებელიც. მათ დამსახურებას პატივი უნდა ვცეთ, უნდა მოვეფეროთ და ხელი შევუწყოთ.

მე, ჯერ კიდევ სამედიცინო ინსტიტუტში, როგორც მომავალი ექიმი, ჩემმა დიდმა პედაგოგებმა მაზიარეს ერთ დიდებულ ჭეშმარიტებას: რომ ყოველი ადამიანის წარმატების საუკეთესო შეფასება მისი მოწაფეებია, ხოლო მისი ადამიანობის საზომი კი ის, თუ როგორ პატივს მიაგებს იგი თავის მასწავლებლებს. ჩემთვის მართლაც უზომო სიამაყის საგანია ჩემი მოწაფეები, რომლებიც დღეს წარმატებული ექიმები და უკვე თავად არანაკლებ წარმატებული პედაგოგები არიან.

**კიდევ ერთხელ მივუბრუნდები პროფესორ გაგნიძის გამოკვლევას, კერძოდ იმ ნაწილს, რომელშიც იგი წერს ბატონი ფრიდონის შესახებ: ზუგდიდელებმა იციან, ათასი რეგალიების მქონე, დაფასებული დეპუტატი კვლავ დარჩება მოუსყიდველ ქადაგად, ყალბი ილუზიებით არ მოგატყუებთ, შეულამაზებლად და პატიოსნად იტყვის, რანი ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ.**

**— ბატონო ფრიდონ, რას გვეტყვით საპარლამენტო არჩევნებსა და მასთან დაკავშირებულ ბოლოდროინდელ მოვლენებზე?**

— საფრანგეთში პრეზიდენტის არჩევნები ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, როცა სარკოზიმ მომავალ პრეზიდენტს გამარჯვება მიულოცა. მე ვოცნებობდი იმაზე, რომ საქართველოშიც მოვსწრებოდი დემოკრატიის ასეთ გამოვლენას.

გულახდილად გეტყვით, ისევე, როგორც ბევრ ჩვენგანს, მეც არ მეგონა, რომ ეს არჩევნები ასე მშვიდობიანად ჩაივლიდა. ამ საკითხზე ბევრჯერ მისაუბრია პატრიარქთან. მეიმედებოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში იგი აუცილებლად ჩაერეოდა და დაამშვიდებდა სიტუაციას. წინასაარჩევნო პერიოდში, დამერწმუნებით, მისი ქადაგებები სწორედ სიმშვიდისკენ მოწოდებებით იყო გამსჭვალული. პრეზიდენტმა მიულოცა ბატონ ბიძინას გამარჯვება, მისასალმებელია მისი ეს ნაბიჯი, რომელიც ნამდვილი დემოკრატიულობის ნორმაა.

კონფრონტაცია ვერაფერ კარგს ვერ მოიტანს საქართველოსთვის, უნდა იყოს კონსტრუქციული დიალოგი, კანონშემოქმედებითი საქმიანობა აზრთა ჭიდილისა და ურთიერთპატივისცემის ვითარებაში.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ▶

## „მიშანიკი“, ანუ ზედმეტსახელად „ნაციონალური მოძრაობა“ იძირება!!! ნეტავ, რას იზამს ფსიქო-პათოლოგიურად ალეწილი კაპიტანი: ჩაჰყვება ფსკერამდე საკუთარ ხომალდს თუ ნავით გაიპარება სადმე და კრიმინალურ ეკიპაჟს მიატოვებს?

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დემოკრატიისკენ უდიდესი ნაბიჯი გადავდგით. საქართველოს უახლეს ისტორიაში პირველად მოხდა ხელისუფლების ცვლილება არაძალადობრივი გზით — არჩევნების საშუალებით, ძნელია, არ აღიარო, რომ სამოქალაქო შეგნების ზრდასთან ერთად ეს, აწ უკვე ყოფილი, ხელისუფლების დამსახურებაცაა. ამდენად, სრულიად ზედმეტად მიმაჩნია აგრესიული და ახალი კონფრონტაციისკენ მიმართული განცხადებები. თუ ვინმე დამნაშავეა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ, როგორც ცივილიზებულმა საზოგადოებამ, არ უნდა დავუშვათ უდანაშაულობის პრეზუმპციის, როგორც სამართლის უზენაესი პრინციპის, დარღვევა.

**— თქვენი ვიცესპიკერობის დროს კლინიკაში უამრავი ადამიანი მოდიოდა სამკურნალოდ. დღეს, როცა თქვენ აღარ ხართ ამ მაღალ თანამდებობაზე, ახალი ვითარება პაციენტების რაოდენობაზე აისახა?**

— არა, რა თქმა უნდა. ჯერ ერთი, არც მე მიგრძვნია, და ხალხი ისევ ისე მოდის, როგორც უწინ, და მეც უწინდელივით ვეხმარები. სახელმწიფოებრივ სტატუსზე მაღლა საქართველოში ყოველთვის ადამიანური ურთიერთობები იდგა.

**— მახსოვს, რომ თქვენ ეხმარებოდით დღეს ხელისუფლებაში მყოფ ოპოზიციონერებს. მინდა გკითხოთ, დღეს თუ მოდიან?**

— ბევრ ადამიანს ვიცნობ დღევანდელ ხელისუფლებაში. მოდიოდნენ, ალბათ, კიდევ მოვლენ და დარწმუნებით გეტყვით, რომ ჩემი მხრიდან ახლებთან და ძველებთან ურთიერთობაში არაფერი შეიცვლება — ექიმობა პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, პიროვნულ სიმპათია-ანტიპათიაზეც მაღლა იდგა ყოველთვის და არასოდეს დათმობს თავის ჰუმანურ პოზიციას.

**— როგორც წინა ხელისუფლების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რას უსურვებთ ახალ ხელისუფლებას და განსაკუთრებით საქართველოს პრემიერ-მინისტრს?**

— ბატონ ბიძინა ივანიშვილს მე ვიცნობ, ძალიან ჭკვიანი და ენერგიული პიროვნებაა. მისი მთავარი პრიორიტეტია საქმე, ძალიან პრაგმატული ადამიანია. ვფიქრობ, მთავრობაში დარჩება ის, ვინც მის მომთხოვნელობას გაუძლებს. თუ ბატონი ბიძინა რამეზე იტყვის, რომ უნდა გაკეთდეს, აუცილებლად მიაღწევს მიზანს. მე მჯერა მისი და ვუსურვებ ჯანმრთელობას, უწინარეს ყოვლისა. ყველაფერ დანარჩენს კი თავისი მიზანდასახულობისა და ნებისყოფის წყალობით ის აუცილებლად წარმატებით დააგვირგვინებს.

მინდა მხოლოდ დავძინო, რომ, თუ თითოეული ჩვენგანი აღიარებს კანონის უზენაესობას, ისწავლის განსხვავებული აზრის პატივისცემას, გაჭირვებული მოყვასის გვერდით დგომას და თავის საქმეს სიყვარულით, პასუხისმგებლობითა და მონდომებით მოეკიდება, გარწმუნებთ, ეს იქნება ყველაზე კარგი ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენ პატარა, მაგრამ დიდი პოტენციალის მქონე ერი ვართ და ნამდვილად შეგვიძლია გვეკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიო საზოგადოებაში.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# მიშანიუსი



> **მთავრობა ძუძუმწოვარი ბავშვივით არის: საოცარი მადა — ერთ ბოლოში და სრული უპასუხისმგებლობა — მეორეში.**
>
> **რეიგანი**

**როგორც წესი, თითქმის ყველა პოლიტიკოსი, განსაკუთრებით კი უსინდისო ხელისუფალი, ცდილობს, სახელმწიფო მოწყობაში, ქვეყნის განვითარებასა და მის წინსვლაში საკუთარი თავის იდენტიფიკაცია მოახდინოს, „ჯერ არნახულ“ პროგრესსა და „მზარდ“ დინამიკაზე მოახდინოს საზოგადოებრივი მზერის ფოკუსირება და სამამულო ისტორიის ათვლის წერტილად თავისი პიროვნული „მე“ მოიაზროს.**

ყველა ავტორიტარული თუ დიქტატორული წყობილების ამბიციურ, ფლიდ ლიდერს გააჩნია თავისი ინდივიდუალური, თუმცა მაინც გაცვეთილი, არაენიგმატური, ზოგადად აპრობირებული მახასიათებლები თუ სიმპტომები. მათ საჯარო გამოსვლებსა და ცოფიან რიტორიკაში უხვად წააწყდებით სიზმრისეული ბოდვებისა თუ ილუზორული რეალობის ლიტონ და ტრაფარეტულ აფიშირებას, განსხვავებული აზრისადმი ისტერიულ გულისწყრომას, მომხიბვლელი სიცრუის მანქანებას, ტენდენციურ პროპაგანდასა და ურცხვ აგიტაციას, რომელიც დაცლილია ყოველგვარი მორალისა და ზნეობრივი მსოფლშეგნებისგან.

სწორედ ზემოთ ნახსენები ყველა „ამაღლებული“ უნარჩევით, ადათ-წესითა და ზემიწიერი „ტალანტით“ გამოირჩევა ჩვენი ერის „კორიფეგენიოსი“ და მესიანისტურად ნიჭიერი ბელადი, საქართველოს რიგით მესამე, მაგრამ „ღვაწლითა“ და „ტრიუმფალური მიღწევებით“ პირველი პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი!

მე, როგორც რიგით მოქალაქეს, „გულითადად“ მსურს, რომ მის პოლიტიკურ კუბოსთან, მისსავე „არაამქვეყნიურ“ პიროვნებას, ხოტბა-ქათინაურები, კომპლიმენტები და პროზაული ენკომია ვუძღვნა, რისი შთაგონებაც თავად იმპერატორ მიშა-„ნიუსი“-სგან მოვიპოვე და რომელთა შესახებაც ქვემოთ დაწვრილებით მოგახსენებთ:

მაშ ასე, თქვენ წინაშეა მისი „ღვთაებრივი“ უიმპერატორესობა, ცხრა წლის მანძილზე უძლეველი, თუმცა ამჟამად „სიბერისგან“ მომტყდარი კეისარი, ბატონი მიშანიუსი!

**ვიზუალური მხარე:**

იგი გახლავთ ტანადი, ახოვანი, თმებ-შეღებილი, „ღარიბულად ჩაცმული“, „იაფიანი“ აქსესუარებით მორთული, მუდამ მომღიმარი, ხანაც „გულწრფელად“ მოყვირალი, ქალთა პირლიად მომზირალი, თუმცა ოჯახის „ერთგული“, ანაკლიის სანაპიროებზე ნაჭყუმპალავები და რუჯით მოხდენილი, „ჭირვეულად“ მსმელი და მჭამელი, მყუდროების „მოყვარული“ და გართობის „უარმყოფელი“, „დარბაისლურად“ მოცინარი და გძელნაბიჯება ჭაბუკი.

**ინტელექტუალური მხარე:**

იგი ფლობს რამდენიმე უცხო ენას, რითაც ამ ენებით მოსაუბრე მსოფლიოს მყისიერად აგებინებს თავისი „წარმატებული სათნოებების“ შესახებ. გამოირჩევა შესაშური „ადეკვატურობით“. არის მეტად ჰიპერ-აქტიური, კრეატიული და ინიციატივიანი. იგი, აგრეთვე, ბეჯითად მეცადინეობს „დემოკრატიასა და ლიბერალიზმში“. ყოველი მოხსენების წინ „დინჯად“, „კონსტრუქციულად“ და „თავაზიანად“ იღებს ოპონენტთა კრიტიკას, აქვს „უზადო“ მოსმენის კულტურა, მგზავრობს მეტროთი, რაც მისი „უპოვარობისა და უბრალოების“ მანიშნებელია, საჩვენებელი თითით სულ მუდამ მარჯვედ, „მოკრძალებულად“ იწმინდავს წკვინტლიან ცხვირსა და დადორბლილ ბაგეებს, ავლენს საოცრად „დახვეწილ“ და „ჯანსაღ“ იუმორს, უყვარს „გუნდური აზროვნება“, წითელი ლენტების ჭრა, „პედანტური დისციპლინა“ და ვერასდროს ეგუება „უსამართლობას“!

**სულიერი მხარე:**

**„ღრმად სწამს“ სულის უკვდავებისა და ამქვეყნიური ცხოვრების დასრულების შემდეგ არსებული მარადიული სიცოცხლისა, არის „მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი“, ამა თუ იმ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის შერჩევისას უპირატესობას ანიჭებს ადამიანთა „სუფთა რეპუტაციას“, მათ „წესიერებასა და პატიოსნებას“. მას აქვს „თავგანწირვისა“ და სამშობლოსთვის „გმირული“ ფორთხვა-ცოცვის საოცარი უნარი, ასევე მისი „თანდაყოლილი თვისებებია“ – ლმობიერება, გულჩვილობა, ალტრუიზმი და დიდსულოვნება... ამ ყველაფრის შემდეგ კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის გახლავთ ნამდვილად დამსახურებული ტალახთ-ხელმწიფე და ღორ-სეული პიროვნება! მოკლედ, უეჭველია, რომ მთლიანობაში იგი ერთი-ერთში წარმოადგენს „ჯაყოს“ პორტრეტის კვინტესენციას.**

ამიტომაც, ჩემო ერო, ჰე, ხანგრძლივი და მქუხარე ტაში!

საბოლოოდ გავისტუმროთ ეს ხვანცალა მიშიკუნა „ატაში“!

> **მე, როგორც რიგით მოქალაქეს, «გულითადად» მსურს, რომ მის პოლიტიკურ კუბოსთან, მისსავე «არაამქვეყნიურ» პიროვნებას, ხოტბა-ქათინაურები, კომპლიმენტები და პროზაული ენკომია ვუძღვნა, რისი შთაგონებაც თავად იმპერატორ მიშა-«ნიუსი»-სგან მოვიპოვე**

**P.S. მოდით ამიერიდან წარსულ დროში, მესამე პირში მოვიხსენიოთ ჩვენი სამშობლოს მოამაგე იმპერატორი, შადრევანთმშენებელი მიშანიუსი, რომელიც საკუთარ ხალხზე საკმაოდ „მაღალი“ წარმოდგენისა იყო და თითოეულ ადამიანს მიიჩნევდა „მამაც“ გლადიატორად, რომელთა მისამართითაც მამობრივი მზრუნველობით განმსჭვალულს, „მათდა გასახარად“, უპურო სანახაობის შემდეგ მარჯვენა ხელის ცერა თითი ყოველთვის დაბლა ჰქონდა დაწეული და გაბადრული სახით იტყობინებოდა ხოლმე გარდაუვალ სიკვდილს!..** აი, ასეთი „სიყვარულით“ ელოლიავებოდა თავის თანამემამულეებს „მოწყალე“ კეისარი. ვაშა, მეგობრებო! „დიდება“ მის აღმატებულებასა და მის უცოცხესობას, ერის „სულგრძელ“ მეპატრონეს, ქვეყანაზე „ღმერთის ნაცვალს“ – მიშანიუს-გიჟუს-სულელუს კეისარს! დაე, „უკვდავვყოთ“ მისი სახელი მისსავე საფლავის ეპიტაფიაზე შემდეგი სიტყვებით:

**ვაშენე ესე ქვეყანა,**
**კვერცხებსა**
**ზედა ფლოსტებით,**
**ველოსიპედი დაგიდგით,**
**პატივ აგყარეთ ცოცხებით,**
**კონსტიტუციის**
**ჭრა-კერვით**
**გადაგიარეთ ფეხებით,**
**ბაჩომ, დიმამ და ვანიკომ...**
**მე ცუდად ნუ შემეხებით!**
**მე ხომ დუქნები გიშენეთ,**
**შადრევნები და ხიდები,**
**აქ მაინც ნუ**
**ჩამაფურთხებთ,**
**საფლავში**
**წყნარად ვიდები,**
**ისე კი, რა მეშველება,**
**უსკამოდ**
**ხომ გავგიჟდები...**
**რაო?! ჯოჯოხეთს**
**მიპირებთ?! ცეცხლში**
**არაფრით ვიჯდები!**

ჰმ, თურმე და მართლაც რომ დრონი მეფობენ და არა მეფენი!!! **„მიშანიკი“, ანუ ზედმეტ სახელად „ნაციონალური მოძრაობა“ იძირება!!! ნეტავ, რას იზამს ფსიქო-პათოლოგიურად ალეწილი კაპიტანი: ჩაჰყვება ფსკერამდე საკუთარ ხომალდს თუ ნავით გაიპარება სადმე და კრიმინალურ ეკიპაჟს მიატოვებს?** ვნახოთ... დრო გვიჩვენებს. ისე, რა უცნაურია... „დიდებიდან — სასაცილომდე ერთი ნაბიჯიაო“, — ამბობდა ნაპოლეონი. კარგი იქნება, ამას თუ მომავალში ყველა არჩეული მთავრობა გაითვალისწინებს და წინამორბედის უტიფრობასა და მის ანტიეროვნულ ტენდენციებს არ აყვება.

ამასობაში გთავაზობთ იმპერატორ მიშანიუსის დახასიათებისას მოხმობილი სამივე შეფასების კრიტერიუმთა ერთ ბიოორგანიზმში აკუმულირებულ ვერსიებს, რომლებიც თავად სახელოვანმა და შლეგმა ტირანოზავრმა, ბატონმა მაღალთ-მაღალმა წარმოადგინა და რომლის შეფასებაც უკვე ფსიქიატრის კომპეტენციაა:

„წელს საქართველოში 3 მილიონი ტურისტი შემოვიდა“, „ნატოში შესვლაზე ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი და ერეკლე ოცნებობდნენ“, „საქართველოს ეკონომიკა თავისი მაჩვენებლით სინგაპურის დონემდეა ამაღლებული“, „ჩვენ დავამარცხეთ კორუფცია“, „ბოლო 7 წლის მანძილზე სამშობლოს დაუბრუნდა 2 მილიონი ჩვენი თანამემამულე“, „პოსტსაბჭოთა ბანაკის ქვეყნებიდან ჩვენ გვყავს ყველაზე უძლეველი არმია“, „ბოლო დროს უგულავამ მეტროთი დაიწყო სიარული სამსახურში, იმისათვის, რათა ხალხთან უშუალოდ დაამყაროს კომუნიკაცია“, „ჩვენ ვართ ახალი ტიპის, ლიბერალ-დემოკრატიული სახელმწიფო“, „მე ყოველ ღამე მესიზმრება ჩემი საცხოვრებელი სახლი სოხუმში და აცრემლებულს მეღვიძება ხოლმე“, „ბათუმი და ანაკლია თავისი სილამაზითა და მიმზიდველობით ნიცასა და სენ-ტროპეს სჯობია“, „ქალაქი ლაზიკა იქნება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ულამაზესი მეგაპოლისი“, „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი თავისი კეთილმოწყობით კენედის აეროპორტს უტოლდება“, „პლეხანოვი მაგონებს პარიზს“, „სად გაქვს რუსეთზე მისაყიდი რაოდენობის ღვინო?!“, „ჩვენ რა? ზანგები ვართ?!“, „გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: აფხაზეთი არასოდეს არ ყოფილა საქართველოს შემადგენლობაში!“, „ჩვენი ინტელიგენციის უმეტესობას წარმოადგენენ ჩარეცხილები“, „მესტია სჯობია ალპებს“, „თამარ მეფე ეთნიკურად ქართველი არ ყოფილა, ის ოსი იყო“, „ჩვენ ავაგეთ ევროპული დონის ციხეები, სადაც ადამიანთა სრული რესოციალიზაცია ხდება“, „ფრანგები სწავლობენ ჩვენგან, თუ როგორ უნდა მართონ ციხე“, „ჩვენ გვაქვს უზარმაზარი მიღწევები სასამართლო რეფორმის კუთხით“, „ჩვენ მივიღეთ ყველაზე დახვეწილი კონსტიტუციური მოდელი“, „სულ მალე, ხულოში გავხსნით ყველაზე მაგარ თხილამურების ქარხანას“, „ქუთაისის ავეჯის საამქრო ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში“, „ჩვენ მივიღეთ მაპზე უკეთესი“, „მე არასოდეს მიცემული სიტყვა არ გამიტეხია“, „საქართველოში მედია ისეთი თავისუფალია, როგორც არასდროს“, „სწავლის გაიაფებას მხოლოდ ოროსანი სტუდენტები ითხოვენ“, „რუსთაველის გამზირზე გამართული მიტინგების ბრბო, ეს ის ხალხია, ვინც ზვიადი ჩამოაგდეს, ვინც სამოქალაქო ომი დაიწყეს და ეს ყველაფერი ერთ ქუჩაზე ხდება, ერთი ქუჩის ხალხი არიან ესენი, თორემ დანარჩენებს თბილისში საერთოდ არ აინტერესებს ეს პროცესები“ და ა.შ.

**შენ ყოფილხარ, ჩვენო მიშა,**
**შეპყრობილი ჯალათი,**
**უნდა გეცვას ახლა ნაღდად**
**გიჟის თეთრი ხალათი!**

ამრიგად, ხალხნო! ნუ იქნებით ესოდენ უმადურნი და ბეცნი! დააფასეთ „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“!!! პატივი მიაგეთ ქართულ ნაცბომონდს, სისადავით აღსავსე მშრომელ ქაჯოგადოებას და განერთხეთ მათ „უბიწო“ ფეხ-ქვეშ, რაითა უკუნისამდე იხარებდეთ ფერად ზღაპარსა შინა. ამინ!

**გიორგი ტიგინაშვილი,**
თეოლოგი

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში შეჯიბრის დაძაბულობა განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკა ჯერ კიდევ კოჭლობს, სიღატაკის დონე კი 2000 წლის შემდგომ პერიოდში 19%-ით გაიზარდა. თუმცა, იმ უსიამოვნებების მიუხედავად, რომლებიც ობამას დაატყდა თავს, და იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო სისტემა მდიდრების ხელშია, არჩევანი განპირობებულია შიდა პოლიტიკაზე შეხედულებით, ამ პოლიტიკაში კი მთავარია სახელმწიფოს ხარჯები და მოსახლეობისთვის დაწესებული გადასახადები, ჯანდაცვის სისტემა და აბორტების პრობლემა.**

# ლიბიაში ნატოს ოპერაციის შედეგი:



# 150 მილიარდი დოლარის აორთქლება

**ლიბიაში ნატოს სამხედრო კამპანია აღსანიშნავია ორი შედეგით: გაქრა ერთ დროს უცხოურ ბანკებში გაყინული 150 მილიარდი ლიბიური ავუარი და ნატოს სამხედრო-საჰაერო ძალებმა ქვეყანას შვიდჯერ მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერის ავიაციამ.**

სწორედ ეს მონაცემებია დაფიქსირებული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ანატოლი ეგორინის წიგნში „მუამარ კადაფის დამხობა. 2011-2012 წლების ლიბიური დღიური“. ეს არის 2011 წლის ლიბიური ტრაგედიის შესახებ რუსეთში პირველი კომპლექსური კვლევა, რომელიც ცხელ კვალზე ჩატარდა.

როგორც ლიბიაში რუსეთის ყოფილმა ელჩმა ალექსეი პოდცებორმა განაცხადა, წიგნი ზუსტად დროულად — მუამარ კადაფის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე გამოვიდა. მის პირველ ნაწილში მოცემულია მოვლენათა ქრონიკა, მეორე ნაწილში კი იმ ტრაგედიის ზუსტი შეფასებები, რომელიც ამ ქვეყანას დაარყდა თავს. ფაქტობრივად, წიგნი არის ლიბიაში ნატოს მოქმედებების ანალიზი და ასევე საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის სპეცრაზმების მოქმედებათა ანალიზი. ამ მოქმედებების დროს საერთაშორისო სამართლის ყველანაირი ნორმა დაირღვა.

ერვინ რომელის გერმანული საექსპედიციო კორპუსის ავიაციამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაახლოებით სამი ათასი გაფრენა შეასრულა. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემების თანახმად, მაშინ ამ გაფრენების შედეგად ლიბიას ორი მილიარდი დოლარის (თანამედროვე ფასებით) ზარალი მიადგა. **ნატოს სამხედრო საჰაერო ძალებმა დაახლოებით 30 ათასი გაფრენა მოასწრო და ლიბიას 14 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა.**

როგორც წიგნის ავტორი აცხადებს, ახლა ლიბია ფაქტობრივად უმართავია. მას არ ჰყავს ლიდერი.

როდესაც პოდცებორს ლიბიაში ამჟამად არსებული მდგომარეობის შეფასება სთხოვეს, მან განაცხადა, რომ იქ ყველაფერი მერყეობს და არავინ იცის, რა, რომელ მხარეს გადავარდება.

**მთავარი პრობლემა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეა. შეტაკებები მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. შედეგად, ან ქვეყანა დაიშლება და მიმდინარე პერიოდში ამის ტენდენციები უკვე შეინიშნება, ან ბოლოს და ბოლოს გაძლიერდება ცენტრალური ხელისუფლება. მაგრამ ამისათვის საჭიროა ყოფილი ამბოხებულების ბრიგადების განიარაღება, ეს კი ძალიან რთული საკითხია. ამ ფორმირებების საერთო შემადგენლობა უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე ქვეყნის არმიისა.**

vpk-news.ru



# ახალი მსოფლიო წესრიგის აღსასრული

**2008 წლის ზაფხულის მიწურულს ორმა მოვლენამ, რომლებმაც სწრაფად ჩაანაცვლა ერთმანეთი, ახალი მსოფლიო წესრიგის აღსასრულის შესახებ ამცნო მსოფლიოს.**



აგვისტოში აშშ-ის კლიენტი საქართველო რუსეთთან ხანმოკლე, მაგრამ სისხლიან ომში ჩაება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველო ვაშინგტონელი ნეოკონსერვატების საყვარელი ქვეყანა იყო. მისი ავტორიტარული პრეზიდენტი დაჟინებით ლობირებდა ნატოში საქართველოს გაწევრებას. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა დიკ ჩეინმა თვალის დაუხამხამებლად შეაფასა რუსეთის მაშინდელი რეაქცია „აგრესიის“ აქტად, „რომელიც პასუხის გარეშე არ უნდა დარჩეს“. ერაყში მიმდინარე კატასტროფული ომის ფონზე ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ 21-ე საუკუნეში მიუღებელია რუსეთის შეჭრა სუვერენულ სახელმწიფოში.

როდესაც ბრძოლები დასრულდა, ჯორჯ ბუშმა რუსეთი გააფრთხილა, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ აღიაროო, მაგრამ რუსეთმა სწორედაც ეს გააკეთა. კონფლიქტი საერთაშორისო შემობრუნებას ნიშნავდა, ამერიკის ბლეფის შესახებ ხმამაღმა იყო გამოცხადებული, მისი სამხედრო სახელმწიფო კი უკვე შერყეული იყო ტერორთან ომით, ერაყისა და ავღანეთის ომებით. იმ ოცი წლის შემდეგ, რომელთა განმავლობაში აშშ მთელ მსოფლიოს თავზე კოლოსივით გადმოჰყურებდა, აშშ-ის ძლევამოსილება დასრულდა.

სამი კვირის შემდეგ დასაბამი დაედო კიდევ უფრო შორსმიმავალ მოვლენათა ჯაჭვს, რომელიც მსოფლიო ფინანსურ სისტემას ემუქრებოდა, ამ სისტემაში კი აშშ დომინირებდა. 15 სექტემბერს მეოთხე უმსხვილესი საინვესტიციო ბანკის კრახით, როგორც იქნა, დაიწყო საკრედიტო კრიზისი. „Lehman Brothers“-ის გაკოტრებამ დასავლური სამყარო 1930-იანი წლების შემდეგ უდიდეს ფინანსურ კრიზისში გადააგდო.

**XXI საუკუნის პირველმა ათწლეულმა შეარყია მსოფლიო წესრიგი. ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩვენ ყველას გვეუბნებოდნენ, რომ ყველა მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხი მოგვარებული იყო. გაიმარჯვა ლიბერალურმა დემოკრატიამ და თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმმა. სოციალიზმი ისტორიის საკუთრება გახდა.**

1990 წელს უფროსმა ბუშმა აშშ-ის სამხედრო უპირატესობასა და დასავლეთის ეკონომიკურ დომინირებაზე დაფუძნებული ახალი მსოფლიო წესრიგის ინაუგურაცია ჩაატარა. ეს იყო ერთპოლარული მსოფლიო ყოველგვარი მოწინააღმდეგეების გარეშე.

რეგიონულ ზესახელმწიფოებს მუხლი უნდა მოეყარათ მსოფლიო იმპერიის წინაშე, როგორც მაშინ ამბობდნენ, თავად ისტორია მიუახლოვდა დასასრულს.

მაგრამ, ტყუპ ცათამბჯენებზე შეტევასა და ლემანის კრახს შორის პერიოდში ეს მსოფლიო წესრიგი დაიმსხვრა. გადამწყვეტი როლი ორმა ფაქტორმა შეასრულა. გაწელილი ომების ათწლედის დასასრულს აშშ-მა დიდ წარმატებას მიაღწია არა გავლენის ხარისხის გაზრდის, არამედ საკუთარი შეიარაღებული ძალების შესაძლებლობათა ზღვრის აღმოჩენის საქმეში. და ნეოლიბერალურმა კაპიტალისტურმა მოდელმა, რომელიც მთელი თაობის მანძილზე მეფობდა, რღვევა დაიწყო.

**სწორედ 9/11-ის თავდასხმებზე აშშ-ის რეაქციამ გაანადგურა ნამდვილად პირველი მსოფლიო იმპერიის დაუმარცხებლობის იმიჯი. ბუშის ადმინისტრაციის გადაჭარბებულმა შეფასებებმა ნიუ იორკსა და ვაშინგტონში მომხდარი თავდასხმები მსოფლიოში ყველაზე წარმატებულ ტერაქტებად აქცია.**

ავღანეთსა და ერაყში ამერიკულ-ბრიტანულმა შეჭრამ დაადასტურა, რომ გლობალურმა ბეჰემოტმა გადაწყვიტა, საკუთარი ნება მოეხვია იმ ქვეშევრდომთათვის, რომლებიც პასუხის გასაცემად მზად იყვნენ. ეს შეჭრები აშშ-ისა და მისი უახლოესი მოკავშირეების სტრატეგიული დამარცხება იყო.

ერთპოლარულობის გადაკვეთის ეს მომენტი გახდა პირველი იმ ოთხი მნიშვნელოვანი ცვლილებიდან, რომლებმაც ზოგიერთ ასპექტში მსოფლიო უკეთესობისკენ შეცვალეს. მეორე ცვლილება იყო 2008 წლის კრახის შედეგები და დასავლეთისეული კაპიტალისტური წესრიგის კრიზისი, რამაც აშშ-ში შედარებითი ვარდნა დააჩქარა.

იმ გაუმაძღარი კაპიტალიზმის მოდელი, რომელსაც ძალით ჩრიდნენ ხახაში მთელ მსოფლიოს, როგორც თანამედროვე ეკონომიკის მართვის ერთადერთ საშუალებას და რომელიც სულდგმულობდა უთანასწორობის ზრდისა და გარემოს დეგრადაციის ხარჯზე, როგორც იქნა, დისკრედიტირებულ იქნა და კოლაფსს მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ისტორიაში უდიდესი ჩარევის წყალობით გადაურჩა.



ნეოკონსერვატოზმისა და ნეოლიბერალიზმის ავბედითი ტყუპების კრახმა ჩინეთის აღორძინება განაპირობა, რაც მესამე ეპოქალურ ცვლილებად იქცა XXI საუკუნის დასაწყისში.

**ჩინეთის წამოწევამ პროგრესული ცვლილებებისათვის სივრცე გააფართოა, ამ ცვლილებებმა კი მოიცვა ლათინური ამერიკა და მეოთხე — გლობალურ ცვლილებად იქცა. მთელ კონტინენტზე ხელისუფლებაში მოვიდნენ სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები, რომლებმაც მიზანში ეკონომიკური და რასობრივი უსამართლობა ამოიღეს, გეზი აიღეს რეგიონული დამოუკიდებლობისაკენ და კორპორატიული ხელიდან რესურსების უკან დაბრუნებაზე. ოცი წლის შემდეგ, რაც მთელ მსოფლიოს უმტკიცებდნენ, რომ ნეოლიბერალურ კაპიტალიზმს ალტერნატივა არ მოეძებნება, ლათინოამერიკელებმა ამ ალტერნატივების შექმნა მოახერხეს.**

2008 წლის შემდეგ დისკრედიტირებული ელიტისა და მისი წარუმატებელი სოციალური თუ ეკონომიკური პროექტების მიმართ ზიზღი იზრდება, ვინაიდან მსოფლიო კრიზისმა თითქმის ყველა ქვეყნის თავზე გადაიარა, პროტესტების, გაფიცვებისა და გამაოგნებელი საარჩევნო შედეგების გავრცელება მხოლოდ ახლა იწყება. მიმდინარე ეპოქის მთავარი მახასიათებელი კორპორატიული ხელისუფლებისა და სიხარბის მიუღებლობა გახდა.

XXI-ე საუკუნის დასაწყისის რყევები ახალი ტიპის მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური ცვლილებების შესაძლებლობებს ქმნის. როგორც 1989 წელს კომუნისტებმა, 20 წლით უფრო გვიან კი კაპიტალიზმის გამარჯვებულებმა აღმოაჩინეს, წინასწარ არაფერია გადაწყვეტილი.

mixednews.ru

**გამოკითხულ ამერიკელთა ორ მესამედზე მეტი მიიჩნევს, რომ აშშ საჭიროზე ხშირად ირგებს მსოფლიო ჟანდარმის როლს. ამ ადამიანებს სამხედრო ხარჯების შემცირება მიაჩნიათ მიზანშეწონილად, ასევე ისინი ირანზე დარტყმისა და სირიელი ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდების წინააღმდეგნი არიან. მოსახლეობის ამგვარი განწყობა ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ამერიკაში ხალხის აზრს მნიშვნელობა არ აქვს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იმპერიული ამბიციების შესუსტებით ამერიკელებიც ისარგებლებენ

**ამერიკაში აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატების დებატებმა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ცხადყო, თუ რამდენად ახლოსაა ერთმანეთთან მათი შეხედულებები და რამდენად შორსაა საზოგადოებრივი აზრისგან. ის, ვინც ვაშინგტონში მართავს, სათავეში უდგას მსოფლიო იმპერიას. ამერიკის პოლიტიკა უდიდეს გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები დედამიწის ნებისმიერ წერტილში. ამასთან, ეს გავლენა ხშირად გადამწყვეტია და სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს ეხება. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როდესაც მსოფლიოში გამოკითხულთა 40%-მა ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ისურვა. დღეს ამერიკის შეერთებული შტატები საკუთარ თავს მიაწერს უფლებას, დანარჩენ მსოფლიოს ძალით მოახვიოს თავს თავისი ხელმძღვანელობა.**




სისხლში ამოთხვრილი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის, ხსოვნა ჯერ კიდევ ციცხალია ჩვენს მეხსიერებაში, ამიტომ ის ფაქტი, რომ ამერიკელების 81%-ს მომავალში პრეზიდენტად ნაკლებად მეომარი ობამას ხილვა სურს, საეჭვოა, ვინმესთვის სიურპრიზი იყოს. ერთადერთი პაკისტანში, ქვეყანაში, რომელიც ამერიკის უპილოტო საფრენი აპარატებისათვის სამიზნედ იქცა და რომელთა დაუნდობელ შეტევებს მუდმივად ეწირება სამოქალაქო პირების სიცოცხლე, რესპონდენტების უმეტესობას ობამას გაგონებაც აღარ სურს და პრეზიდენტად მისი ოპონენტი მიტ რომნი ურჩევნია.

**რა თქმა უნდა, თვით აზრი იმის შესახებ, რომ უცხოელებს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის ნებას ოდესმე ვინმე დართავს, ბოდვას ჰგავს. ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნებში გადაწყვეტილებას მხოლოდ ამერიკის მოქალაქეები მიიღებენ. ამასთან, მათი თითქმის ნახევარი, სავარაუდოდ, არც გამოიყენებს თავის საარჩევნო უფლებას. დანარჩენების არჩევანს კი, ძირითადად, შიდაპოლიტიკური საკითხები განაპირობებს და არავითარი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განაგებს ადმინისტრაცია თავის მრისხანე სამხედრო არსენალით ქვეყნის საზღვრებს გარეთ.**

მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში შეჯიბრის დაძაბულობა განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკა ჯერ კიდევ კოჭლობს, სიღატაკის დონე კი 2000 წლის შემდგომ პერიოდში 19%-ით გაიზარდა. თუმცა, იმ უსიამოვნებების მიუხედავად, რომლებიც ობამას დაატყდა თავს, და იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო სისტემა მდიდრების ხელშია, არჩევანი განპირობებულია შიდა პოლიტიკაზე შეხედულებით, ამ პოლიტიკაში კი მთავარია სახელმწიფოს ხარჯები და მოსახლეობისთვის დაწესებული გადასახადები, ჯანდაცვის სისტემა და აბორტების პრობლემა. ამერიკის პრეზიდენტობის პრეტენდენტმა უნდა იცოდეს, რომ ახლა მისი ქვეყნის მოსახლეობის 47% იძულებულია სხვის კმაყოფაზე იცხოვროს.

მიუხედავად ამისა, ტელედებატების მანძილზე, რომლებიც საგარეო პოლიტიკას მიეძღვნა, ძნელად თუ ვინმე გაარკვევდა, მაინც **რით განსხვავდება ამ ორი კანდიდატის აზრი ერთმანეთისგან. ორივე მთელი ძალით ცდილობდა, მაყურებლის წინაშე დაემტკიცებინა, რომ ცალსახად მზადაა, მომავალშიც უპირობოდ შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები ისრაელთან მიმართებაში, მუხლჩაუხრელად იბრძოლოს და აღკვეთოს ირანის მხრიდან ბირთვული იარაღის შექმნის ყველა მცდელობა. ამ მთავარი მიმართულებების გარდა, ორივე კანდიდატმა მტკიცედ „დაივალა“, აიძულონ ჩინეთი, რომ ბოლოს და ბოლოს, ითამაშოს წესების შესაბამისად.**

სხვათა შორის, რომნიმ ერთბაშად შეარბილა თავისი მრისხანე რიტორიკა. გარდა ყოველდღიური ჯაჯღანისა, რომ ობამას „ძლიერი ლიდერის თვისებები“ არ გააჩნია, მან თავი ნამდვილ ქორად მხოლოდ ორ შემთხვევაში წარმოაჩინა — როდესაც დაჟინებით მოითხოვდა სირიელი ამბოხებულებისთვის იარაღის პირდაპირ მიწოდებას და აშშ-ის ისედაც გიგანტური სამხედრო ბიუჯეტის გაზრდას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რომნის მზარდი დეფიციტი სულაც არ ჩაუთვლია დაბრკოლებად.

ერთ მომენტში რომნიმ გააკრიტიკა კიდეც აშშ-ის პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლაში თავისი ოპონენტი ობამა და გამოაცხადა, რომ მოქმედი პრეზიდენტი ისე იქცევა, თითქოს დღეს მუსლიმანურ სამყაროში არსებული ქაოსიდან აშშ მხოლოდ მკვლელობების საშუალებით დააღწევს თავს. მაგრამ ეს გამოთქმა სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ. ამ მხრივ ამერიკის იმ პრეზიდენტის პოზიცია, რომელმაც 2000 წელს თავი წარმოგვიდგინა, როგორც ზომიერმა და გულმხურვალე კონსერვატორმა და ხელისუფლებას „მოკრძალებული საგარეო პოლიტიკა“ შესთავაზა, შემდეგ კი ამერიკის თანამედროვე ისტორიაში ყველაზე გამომფიტველი და აგრესიული ომი წამოიწყო, შეიძლება თვალსაჩინო მაგალითად გამოდგეს.

რომნის მხრიდან ომების გამჩაღებლის იმიჯის ჩამოცილების მცდელობას საფუძვლად ამომრჩევლის მოხიბვლის სურვილი უდევს. როგორც გამოკითხვების შედეგებიდან ჩანს, **რიგითი ამერიკელები, ვაშინგტონის ისტებლიშმენტისგან განსხვავებით, თვლიან, რომ ერაყსა და ავღანეთში ომი არ ღირდა.**

გამოკითხულ ამერიკელთა ორ მესამედზე მეტი მიიჩნევს, რომ აშშ საჭიროზე ხშირად ირგებს მსოფლიო ჟანდარმის როლს. ამ ადამიანებს სამხედრო ხარჯების შემცირება მიაჩნიათ მიზანშეწონილად, ასევე ისინი ირანზე დარტყმისა და სირიელი ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდების წინააღმდეგნი არიან. მოსახლეობის ამგვარი განწყობა ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ამერიკაში ხალხის აზრს მნიშვნელობა არ აქვს.

**ობამას პრეზიდენტობასაც ვერ ეწოდება სამშვიდობო. მართალია, მან დააჩქარა ერაყიდან ჯარების გაყვანა, მაგრამ გააფართოვა საბრძოლო მოქმედებების მასშტაბები ავღანეთში და ვერ შეძლო იქ შეიარაღებული წინააღმდეგობის ჩახშობა თვით ათასობით სიცოცხლის დამატებითი დანაკარგების ხარჯზეც კი. მისი პრეზიდენტობის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა პაკისტანში უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების სიხშირე, მსგავსი მეთოდების გამოყენება დაიწყეს სომალსა და იემენშიც. პრეზიდენტი თავად ამოწმებდა იმ ადამიანების სიებს, რომლებიც განადგურებას ექვემდებარებოდნენ, და ამ სიებს ისე აფართოებდა, რომ დარტყმის მისაყენებელ კანონიერ სამიზნედ წვევამდელის ასაკის უკლებლივ ყველა მამაკაცი იქცა.**

ობამამ მხარი დაუჭირა ნატოს ინტერვენციას ლიბიაში, რისი შედეგიც გახდა, სულ მცირე, ათმაგი ზრდა ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა რაოდენობის მხრივ. მას წინააღმდეგობა არ გაუწევია სპარსეთის ყურის ქვეყნებში საპროტესტო აქციების ჩახშობისთვის და მოახერხა ჰონდურასის ძალადობრივი გადატრიალება „წარმატებულ დასასრულამდე“ მიეყვანა. კონგრესის მცირეოდენი დახმარებით მან დაარღვია ყველა პირობა გუანტანამოს ციხის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, თვალი დახუჭა ისრაელის უარზე, შეწყვიტოს პალესტინის უკანონო კოლონიზაცია, ახლა კი ამერიკის ქვედანაყოფები საჰარისა და იორდანიის სამხრეთით მდებარე აფრიკულ რეგიონშიც გაგზავნა.

ამ ყველაფერთან ერთად, როგორი აზრისაც არ უნდა იყოს ქვეყნის მმართველი ხელისუფლება, ამერიკული იმპერია არის სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს მსხვილი კორპორაციებისა და სამხედროების ინტერესები. რომნი გაცილებით სახიფათო ლიდერად გამოიყურება, მაგრამ არც ობამას მეორე ვადით არჩევაა იმის გარანტია, რომ ამერიკა ირანთან ომს ან სირიაში ინტერვენციას არ გადაწყვეტს.

ამ ყველაფერთან ერთად, ყველასათვის ნათელია, რომ ეს სისტემა ნელ-ნელა კარგავს ძლევამოსილებას და გავლენას, ზესახელმწიფო ხომ გადაიქანცა ტერორიზმთან ომში, ომში, რომლისთვისაც ამერიკელებმაც და მსოფლიოს სხვა ხალხებმაც უზარმაზარი საფასური გადაიხადეს, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური მსხვერპლის სახით. **ახლა ამერიკის სამხედრო ხარჯები აღემატება მის უკან მდგარი უდიდესი ხარჯების მქონე ოცი ქვეყნის სამხედრო ხარჯების ჯამს, ამერიკელი სამხედროები კი მთელ მსოფლიოს არიან მოდებულნი.**

სინამდვილეში სხვა ქვეყნების მოქალაქეებს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა და ხმის უფლება კი არა, მხოლოდ ის სურთ, რომ ამერიკამ თავი დაანებოს მათაც და მათ ქვეყანასაც. თავად ამერიკელებისთვისაც გაცილებით უკეთესი იქნებოდა, უზომოდ გაბერილ სამხედრო ბიუჯეტს თუ შეკვეცავენ, საკუთარ ჯარებს სახლში დააბრუნებენ, მთელ მსოფლიოში მოდებულ ბაზებს კი დაკეტავენ. გამოთავისუფლებული ხარჯები ხომ შეიძლება თავად ამერიკელებს ახალი სკოლების მშენებლობის, სამუშაო ადგილების შექმნისა და ჯანდაცვისათვის გამოადგეთ.

**The Guardian**

# ავსტრალიაში ბავშვებს ასწავლიან, რომ ჰეტეროსექსუალიზმი ნორმა არ არის

**პროგრამის ინიციატორი განათლების ყოფილი მინისტრი ვარიტი ფიორტია. ავსტრალიის განათლების დეპარტამენტის ახალი პროგრამის „კეთილშობილი შრომის“ შესაბამისად, სკოლებში ავსტრალიელ ბავშვებს უნდა ასწავლონ, რომ ჰეტეროსექსუალიზმი სულაც არ არის ნორმა.**

ჰეტეროსექსიზმი არის ერთერთი იმ ბოროტებათაგანი, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ერთად, რომელთაც ებრძვის განათლების ახალი პროგრამა. ამის შესახებ თავად განათლების სისტემის მაღალჩინოსნებმა გამოაცხადეს. „კეთილშობილური სკოლების“ საინიციატივო ჯგუფის სხდომის პროტოკოლის თანახმად, პროგრამა იბრძოლებს არა იმდენად ჰომოფობიის, რამდენადაც ჰეტეროსექსიზმის წინააღმდეგ.

**კომიტეტმა გამოაცხადა, რომ აუცილებელია მასწავლებლებს დაევალოთ, გააკონტროლონ, რომ ბავშვებმა არასასწავლო პერიოდშიც კი არ გამოიყენონ სიტყვები თუ გამოთქმები, რომლებიც რამენაირად მიანიშნებენ ჰეტეროსექსუალების უპირატესობაზე.**



საპილოტო პროგრამის რეალიზაციაზე უკვე გამოიყო 250 ათასი დოლარი და პროგრამა უკვე ამოქმედდა 12 სახელმწიფო სკოლაში.

პროგრამა „კეთილშობილური სკოლის“ ინიციატორად 2010 წელს განათლების ყოფილი მინისტრი ვერიტი ფიორსტი გამოვიდა. მას მხარი დაუჭირა მოქმედმა მინისტრმა ადრიანა პიკოლიმაც და განაცხადა, რომ მისი სამინისტრო ყველაფერს გააკეთებდა ჰომოფობიასთან დაკავშირებული დიფერენცირების აღმოსაფხვრელად. ანალოგიური პროგრამა უკვე მოქმედებს შტატ ვიქტორიაში, მას „უსაფრთხო სკოლების კოალიცია“ ჰქვია და მხარს უჭერს სექსუალურ მრავალფეროვნებას.

**ქვეყანაში გამოჩნდნენ ისეთებიც, ძირითადად, ჟურნალისტები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ვერ იგებენ, რატომ უნდა მიაქციოს განათლების სამინისტრომ ამხელა ყურადღება ჰომოსექსუალებს, რომლებიც მოსახლეობის მხოლოდ ორ პროცენტს შეადგენენ. ზოგიერთებმა თქვეს ისიც, რომ ახალი პროგრამის წყალობით ქვეყანა მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე თავგზააბნეულ თაობას გაზრდიდა, მაგრამ განათლების სამინისტრომ მშვიდად უპასუხა ამ განცხადებების ავტორთ, რომ პროგრამის დახურვას არ აპირებს.**



**mixednews.ru**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პანამა მუდმივად ფიგურირებს ნარკოტიკების წინააღმდეგ DEA-ს ბრძოლის ახალ ამბებში, რაც ნაწილობრივ იხსნება მისი გეოგრაფიული მდებარეობით და სატვირთო ნაკადების ზრდით. თავისუფალი სავაჭრო ზონა და შეღავათიანი პირობები ბანკებისათვის მშვენიერი პირობებია ნარკოდოლარების გათეთრებისთვის.**

# DEA — ნარკოტრაფიკის კოორდინატორი ლათინურ ამერიკაში

**პანამაში ნარკოტრაფიკთან დაკავშირებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიების განყოფილების ხელმძღვანელი ინსპექტორი ფრანკლინ ბრიუსტერ ჩეიზი 2006 წლის 3 ივლისს 39 წლის ასაკში მოწამლვით გამოასალმეს სიცოცხლეს. ბრიუსტერი, ისევე, როგორც სხვა მრავალი თანამშრომელი, სამსახურში სახლიდან მიტანილ საჭმელს მაცივარში ინახავდა. სადილისა და პლასტიკური ბოთლიდან წყლის მირთმევის შემდეგ მან თავი შეუძლოდ იგრძნო, ამბობდა, რომ ჰაერი არ ჰყოფნიდა, სიცხემ აუწია, თავბრუ ეხვეოდა და გულის რევის შეგრძნება ჰქონდა. სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ ჯერ კიდევ გონებაზე მყოფმა ნაციონალურ ჰოსპიტალში გადაყვანა ითხოვა. ორკვირიანი მტანჯველი აგონიის შემდეგ ბრიუსტერი გარდაიცვალა. პანამელმა გამომძიებლებმა პრესას აცნობეს, რომ, სავარაუდოდ, ბრიუსტერი ფოსფოროორგანული პესტიციდით მოიწამლა.**

ბრიუსტერი წარმატებული ოპერატიული მუშაკი იყო. მან ბრწყინვალედ დაამთავრა ამერიკის იუსტიციის სამინისტროს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს (DEA) აკადემია და სპეციალიზდებოდა კოლუმბიურ ნარკოკარტელებზე, ჩაატარა რამდენიმე წარმატებული ოპერაცია, ნარკოდოლარების გათეთრების არხების გამოსააშკარავებლად, მონაწილეობდა ნარკობარონ პაბლო რაიო მონტანოს პანამელი დამხმარეების გამოაშკარავებაში. დისკრედიტირებად კავშირებში ეს ადამიანი შემჩნეული არასდროს ყოფილა, ძალიან უფრთხილდებოდა თავის კარიერას და სამაგალითო მეოჯახე გახლდათ. ასეთი ადამიანისა და ნარკოტიკებთან ბრძოლის წამყვანი ექსპერტის მკვლელობას პანამაში მთელი პოლიციური სტრუქტურის მობილიზაცია და DEA-ს წარმომადგენლობის შეშფოთება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ბრიუსტერის მკვლელობა აღქმულ იქნა, როგორც რაღაც რუტინული, ორი დღის შემდეგ მის სხეულს კრემაცია ჩაუტარდა.

მკვლელობის გამოძიება მრავალი საგამოძიებო პროცედურის დარღვევით მიმდინარეობდა, რაც, ფაქტობრივ, კვალის დამალვას ემსახურებოდა. ბრიუსტერის საქმისადმი DEA-ს გულგრილობის დემონსტრირება იყო გამოძიების ფედერალური ბიუროს შტაბ-ბინაში მისი ქსოვილის, სისხლის, კუჭის წვენისა და სხვა მასალების გაგზავნა იყო — ნიმუშების სინჯარებზე არასწორად იყო მითითებული ბრიუსტერის საპასპორტო მონაცემები, სინჯარების ნაწილში კი სულაც სხვა ადამიანის ბიომასალა იდო. ზოგიერთი პანამელი ჟურნალისტის აზრით, DEA-ს რეზიდენტურა წინასწარი განზრახვით ქმნიდა პირობებს იმისათვის, რომ ექსპერტიზის ნებისმიერი დასკვნა გამოუსადეგარი აღმოჩენილიყო.

DEA-ს ხაზით გამოძიებას ჟოზეფ ევანსი კურირებდა, გამოძიების ფედერალური ბიუროს ხაზით — სამართლებრივი ატაშე დევიდ ვატლი. სწორედ მან გაგზავნა პანამის საგამოძიებო ორგანოში გამოძიების ფედერალური ბიუროს სამედიცინო ლაბორატორიის დოკუმენტი ბრიუსტერის ბიომასალასთან დაკავშირებით: „ფოფოროოგანული პესტიციდის კვალი აღმოჩენილი არაა, გამოვლინდა ატროფინი, ოქსიმი და ლიდოკაინი“. პირველი მედიკამენტები ნაციონალურ ჰოსპიტალში მკურნალობის შედეგია, მაგრამ ლიდოკაინი ამ მკურნალობას ვერანაირად მიეკუთვნება. დოკუმენტი გაგზავნილ იქნა ფაქსით, აშშ-ის საელჩოში სათანადო ლეგალიზაციის გარეშე. პანამის ხელისუფლების განკარგულებაში ბოლომდე ვერ მოხვდა ტოქსიკოლოგიური დასკვნის ორიგინალი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ყველაფრის შემდეგ პრესაში გამოქვეყნებულ ოფიციალურ წერილში გამოძიების ფედერალურმა ბიურომ საერთოდ უარყო ამგვარი დოკუმენტის არსებობა და განაცხადა, რომ ათას ვინმეს შეეძლო ფაქსის გაგზავნა მისტიფიკაციის მიზნით. რაღაც გადაკვრით ითქვა, რომ ბრიუსტერის გარდაცვალებიდან მეორე დღეს რომელიღაც დამნაშავეობრივმა ორგანიზაციამ გაავრცელა კომუნიკე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გამოძიების ფედერალურ ბიუროსა და DEA-სთან მომუშავე ყველა პანამელისთვის საფრთხის შემცველი ოპერაცია „Factura Roja“ წარმატებით განხორციელდა.

ბრიუსტერის გარდაცვალებისთანავე ამერიკელებმა, რომლებიც თავს გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებად ასაღებდნენ, ყოველგვარი დაპატიმრების ორდერების გარეშე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიების განყოფილებიდან „ამოიღეს“ მისი სამი უახლოესი თანამშრომელი. ისინი მიიყვანეს პანამა-სიტის ფეშენებელური სასტუმროს სპეციალურად აღჭურვილ ნომრებში და პოლიგრაფის გამოყენებით დაკითხეს. ყველაფერი კეთებოდა მათი დაშინებისათვის: მუქარა, ცემა, შანტაჟი... დაკითხვის პროცესში პანამელებისათვის ნათელი გახდა, რომ ეს ხალხი სულაც არ იყვნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები. მათგან ერთ-ერთი — აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერი ჯონ უორნერი დაკავებულებმა იცნეს. როდესაც „ეჭვმიტანილმა“ ქალმა ჯიოკონდა ველისმა ამერიკელს უთხრა, რომ იგი არ იყო გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელი, არამედ სამხედრო მეზღვაური იყო, უორნერი უმალ გავიდა ოთახიდან და მას შემდეგ იქ აღარ შესულა. დაკითხვებმა შედეგი არ გამოიღო. შესაძლოა, ამერიკელებს სურდათ, შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მათ ნამდვილად ჰქონდათ რეაქცია ბრიუსტერის მკვლელობაზე.







**ციფრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, გამოდიოდა, რომ ასობით ტონა ამოღებული კოკაინი, ჰეროინი, სინთეტიკური ჰალუცინოგენი, უბრალოდ, აორთქლდა. თუ ამ რაოდენობის ნარკოტიკები მართლაც არსებობდა, სად წავიდა, რომელ ბაზრებზე გაიყიდა და რა ბრენდით, გაურკვეველი რჩებოდა**

**ამ გახმაურებული საქმის მასალებზე დაყრდნობით მექსიკელმა ჟურნალისტმა ადელა კორიატმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში პანამაში მუშაობდა, დაწერა და 2011 წელს გამოსცა წიგნი „ნარკოტრაფიკის კვალდაკვალ“. გაზეთ „PANAMA AMERICA“-ს კორესპონდენტის ამპლუაში იგი ბრიუსტერის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მოვლენებს აშუქებდა. ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ მისი მოშორებით დაინტერესებულნი იყვნენ პანამის გავლენიანი პოლიტიკური ძალები, რომელთაც ნარკობარონები აფინანსებდნენ, ასევე აშშ-ის საელჩო, რომელიც ცდილობდა, ბრიუსტერი გამოეყენებინა პანამის მმართველი ელიტის ზოგიერთი პერსონაჟის შესახებ კომპრომატების შესაგროვებლად.** კერძოდ, ბრიუსტერის განყოფილება უახლესი აპარატურის გამოყენებით (ოპერაცია „მატადორი“) ასობით მობილური ტელეფონის მოსმენებს ახორციელებდა. ამოცანა კონკრეტულად იყო ფორმირებული: მასალები იმდენად დამაჯერებელი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოს გავლენის აგენტებად პერსპექტიული პოლიტიკოსების გადაბირება. მიუხედავად იმისა, რომ პანამა უკანასკნელ წლებში სისტემურად „ერთვებოდა“ აშშ-ის გეოპოლიტიკურ პროექტებში, ყოველთვის აუცილებელია ზრუნვა მემკვიდრეობაზე, საიმედო შემცვლელების მომზადებაზე პანამის ხელმძღვანელობაში, რათა გარანტირებული იყოს, რომ ისინი მომავალშიც ორიენტირებულნი იქნებიან ვაშინგტონზე. **როგორც ჩანს, ბრიუსტერი თავისი ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობას არ დათანხმდა, რითაც მოაწერა კიდეც ხელი საკუთარ სასიკვდილო განაჩენს.**

ჟურნალისტი სწორედ ვაშინგტონში გაემგზავრა, რათა საკუთარი წიგნისათვის ინფორმაციის დანაკლისი შეევსო. აშშ-ში იგი ხელისუფლების მხრიდან გამაოგნებელ წინააღმდეგობას წააწყდა. მას ვითომდა სახელმწიფო საიდუმლოებაში ქექვის გამო დაპატიმრებითა და სასამართლოთიც კი დაემუქრნენ. კორიატი იძულებული გახდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ქვეყნის ტერიტორია, მაგრამ არ დანებებულა, განაგრძო მასალების მოგროვება და უამრავი შეუსაბამობა აღმოაჩინა იმაში, თუ როგორ ტარდებოდა გამოძიება, როგორ იქნა მიჩუმათებული ფაქტები და როგორ გაყალბდა ბრიუსტერის მკვლელობის გარემოებები. ამ ყველაფრის გარდა, ჟურნალისტმა ყურადღება გაამახვილა პანამასა და სხვა ქვეყნებში ნარკოტიკების ამოღების DEA-ს სტატისტიკაზე. **ციფრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, გამოდიოდა, რომ ასობით ტონა ამოღებული კოკაინი, ჰეროინი, სინთეტიკური ჰალუცინოგენი, უბრალოდ, აორთქლდა.** თუ ამ რაოდენობის ნარკოტიკები მართლაც არსებობდა, სად წავიდა, რომელ ბაზრებზე გაიყიდა და რა ბრენდით, გაურკვეველი რჩებოდა.

ბრიუსტერის მკვლელობის ახალი მიზეზების ვერსიებიც გამრავლდა. პოლიციის წყაროებზე დაყრდნობით ირწმუნებიან, რომ **ბრიუსტერის მკვლელობა განპირობებული იყო კოლუმბიიდან პანამაში, შემდეგ კი აშშ-სა და ევროპაში კოკაინის კონტრაბანდასთან დაკავშირებული DEA-ს „შიდა მაფიის“ ოპერაციებით.** ნარკოტრაფიკზე მომუშავე აშშ-ის სპეცსამსახურების ილეთები ცნობილია: დაუნდობელი დარტყმები კონკურენტებზე და მომხმარებლისათვის ჰალუცინოგენების მიწოდების უსაფრთხო არხების შექმნა. ნარკობიზნესი დახურულ დისკუსიებში აშშ-ის ხელმძღვანელი წრეების მიერ სულ უფრო ხშირად განიხილება, როგორც ხაზინის შევსების სტრატეგიული წყარო გარდაუვალი ფინანსურ-ეკონომიკური კრახის პირობებში... ▶



**ბრიუსტერის მკვლელობა განპირობებული იყო კოლუმბიიდან პანამაში, შემდეგ კი აშშ-სა და ევროპაში კოკაინის კონტრაბანდასთან დაკავშირებული DEA-ს «შიდა მაფიის» ოპერაციებით**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ დრომდე „არ არის დასჯილი არც ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და სპეცსამსახურების არც ერთი წარმომადგენელი, რომლებიც დამნაშავენი არიან ერაყში, ავღანეთში, ცსს-ს სპეციალურ ციხეებსა და გუანტანამოს სპეციალურ ციხეში, როგორც ამერიკელების, ასევე სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიმართ წამების სისტემატიურად გამოყენების გამო“.**

# წამებისა და ძალადობის შესახებ ამერიკაში

**რუსეთში ეგრეთ წოდებული ოპოზიციის უკანონო მოქმედებებთან დაკავშირებით მთელი რიგი ახალი ფაქტების დადგენის შემდეგ, ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა დასავლეთის მძვინვარება განაპირობა. ძირითადად რეაქცია აგებულია მასმედიის მიერ ზოგიერთი ქვეყნისთვის შექმნილი იმ იმიჯის გამო, რომელთა თანახმადაც ეს სახელმწიფოები მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ სამაგალითონი არიან და, აქედან გამომდინარე, უფლება აქვთ, გამოვიდნენ საერთაშორისო მენტორების როლში და სხვა ქვეყნებში დარღვევებზე მიუთითონ...**



**◀ ბრიუსტერის მკვლელობის „გამოძიებასთან“ დაკავშირებული DEA-სა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ყველა წარმომადგენელი დაუყოვნებლივ გაიყვანეს პანამიდან. გავრცელდა ხმა, რომ ისინი გაათავისუფლეს სამსახურიდან, მაგრამ ეს არ დადასტურებულა — გამოცდილ კადრებს ასე არ ექცევიან. პანამაში DEA-ს ყველა შემდგომი ხელმძღვანელი მისდევდა ცენტრალური აპარატის სტრატეგიულ კურსს.**

მაგალითად, ლანს ხებერლე მონაწილეობდა ბოლივიელი გენერლის რენე სანაბრიის საწინააღმდეგო აქციაში. ეს უკანასკნელი თავის ქვეყანაში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას ედგა სათავეში სამხედრო კონტრდაზვერვის ხაზით. მას ხშირად უწოდებდნენ „DEA-ს საუკეთესო მოსწავლეს“, მაგრამ სწრაფად გამდიდრების ცდუნებას ვერ გაუძლო.ჩილეს ქალაქ არიკა სანაბრიაში იგი შეხვდა „კოლუმბიელ ნარკოსაქმოსნებს“ და თანამშრომლობის შესახებ შეუთანხმდა.ამისათვის წინასწარ 170 ათასი დოლარი მიიღო. მთელი საუბარი ჩილელი და ამერიკელი ოპერატიული მუშაკების ჩაწერის თანხლებით მიმდინარეობდა. აშშ-ში კოკაინის პირველი ტვირთი გენერლის მიერ ორგანიზებული „მწვანე დერეფნით“ გაიგზავნა. წარმატებით ფრთაშესხმული სანაბრია გაემგზავრა პანამაში, სადაც ხებერლეს თანამშრომლებმა დააკავეს და დაუყოვნებლივ გაგზავნეს აშშ-ში.ყოფილი გენერალი 17 წლით გაამწესეს ციხეში.

სენებრიამ უღალატა ევო მორალესის მთავრობას, რომლისთვისაც ნარკოტრაფიკთან ბრძოლა პრინციპის საკითხია. კოკის ფოთლების მოყვანა ათასწლოვანი ხალხური ტრადიციაა, კოკაინის წარმოება და ტრაფიკი კი — დანაშაული!ბოლივიაში დააკავეს სანაბრიას უახლოესი თანამშრომლები და გამოძიება ახლაც მიმდინარეობს. **პრეზიდენტის გარემოცვაში კი ეჭვი არავის ეპარება, რომ უახლოეს მომავალში DEA სანაბრიას ხელისუფლების კომპრომეტირებისთვის გამოიყენებს და ამით იძიებს შურს იმის გამო, რომ ბოლივიიდან DEA-ს თანამშრომლები გააძევეს.**

პანამა მუდმივად ფიგურირებს ნარკოტიკების წინააღმდეგ DEA-ს ბრძოლის ახალ ამბებში, რაც ნაწილობრივ იხსნება მისი გეოგრაფიული მდებარეობით და სატვირთო ნაკადების ზრდით. თავისუფალი სავაჭრო ზონა და შეღავათიანი პირობები ბანკებისათვის მშვენიერი პირობებია ნარკოდოლარების გათეთრებისათვის. **DEA-სთვის კი პანამაში ნარკოკარტელების ფინანსური რეზერვების მიტაცების თემა აქტუალურია, როგორც არასდროს.ამიტომაც რეგიონალური ხასიათის ოპერაციები სულ უფრო ხშირად ხორციელდება წინასწარი მომზადების გარეშე, იმპროვიზაციითა და თანამშრომლებისათვის რისკის თანხლებით.** მაისში პანამ-სიტის აეროპორტში დააკავეს თვითმფრინავი, რომელშიც ორი ამერიკელი მფრინავი, ორი ჰონდურასელი და კოლუმბიელი იყვნენ. ბორტზე მილიონობით დოლარით გატენილი ჩემოდნები აღმოაჩინეს. ეკიპაჟიცა და მგზავრებიც დააკავეს, დაიწყო გამოძიება და სწორედ ამ გამოძიებისას DEA-ს თანამშრომლებს დასჭირდათ ახსნა-განმარტებების მიცემა იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდნენ ამ თვითმრინავში ამერიკელები. ოპერაცია ჩავარდა, რადგან, გასაგები მიზეზების გამო, ჩემოდნებზე პრეტენზია არავის გამოუთქვამს. DEA-ს მოღვაწეობაში ამგვარი ეპიზოდების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. **აშშ-ის კონგრესში სულ უფრო ხშირად სვამენ კითხვას იმის შესახებ, თუ რას აკეთებს DEA — ებრძვის ფულის გათეთრებას თუ პირიქით?**

DEA-ს კი უკვე კარგად დამუშავებული სქემით გაჰყავს კადრები „ცხელი წერტილიდან“ — პანამაში სააგენტოს უფროსი ხაბერლე ახალ სამუშაო ადგილზე გაამწესეს.იგი აშშ-ის მე-4 ფლოტის სარდლობის მრჩეველი იქნება, ამ ფლოტის მოქმედების ზონა კი ცენტრალური ამერიკა, კარიბის აუზი და სამხრეთი ამერიკაა. ფორმალურად ხაბერლემ ფლოტის ხელმძღვანელობასა და სახელმწიფო დეპარტამენტს შორის კავშირები უნდა განახორციელოს, რეგიონში ფლოტის ოპერაციების შესახებ ანალიტიკური რეკომენდაციები უნდა გასცეს.

პრაქტიკაში კი ხაბერლე განაგრძობს DEA-ს ხაზით მუშაობას. კამათი იმის შესახებ, რომ მე-4 ფლოტის გემებს ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ნარკოტიკების გადასატანად იყენებენ აქამდეც მუდმივად ისმოდა. ხაბერლეს დანიშვნა კი კიდევ ერთი მძიმეწონიანი დადასტურებაა იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ნარკოტრაფიკი მართლაც არსებობს და მის კოორდინირებას DEA — ამერიკის იუსტიციის სამინისტროს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო უწევს კოორდინირებას.

fondsk.ru




გასულ კვირას აშშ-ის ხელისუფლებამ რუსეთი დაადანაშაულა წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დარღვევაში. ამის მიზეზი გახდა „ოპოზიციონერი“ რაზვოზჟაევის განცხადებები იმის თაობაზე, თითქოს მას იტაცებდნენ და აწამებდნენ. აშშ-ის ხელისუფლებამ რუსეთის ხელისუფლებისგან ამ ინფორმაციის „გადამოწმება“ მოითხოვა, რასაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აბსოლუტურად ცალსახა რეაქცია მოჰყვა: აშშ-ის მოთხოვნებს „თვალთმაქცური“ ეწოდა. და ეს ნამდვილად ასეა. **როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, ამ დრომდე „არ არის დასჯილი არც ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და სპეცსამსახურების არც ერთი წარმომადგენელი, რომლებიც დამნაშავენი არიან ერაყში, ავღანეთში, ცსს-ს სპეციალურ ციხეებსა და გუანტანამოს სპეციალურ ციხეში, როგორც ამერიკელების, ასევე სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიმართ წამების სისტემატიურად გამოყენების გამო“.**

თუმცა რუსეთის დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელი გადამეტებულად დიპლომატიური იყო და მხოლოდ საგარეო ცოდვებზე მიანიშნა.არადა, თავად ამერიკაში ხომ მდგომარეობა არაფრითაა უკეთესი, ვიდრე ქვეყნის გარეთ განთავსებულ ამერიკულ ციხეებში!

ჯერ ერთი, აშშ წამების წინააღმდეგ 1984 წელს მიღებულ კონვენციას მხოლოდ 1994 წელს შეუერთდა. საბჭოთა კავშირი კი ამ კონვენციას შეუერთდა მაშინვე, როგორც კი მასზე ხელმოწერა დაიწყო. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კონვენციის არსი არის ქვეყნების შიდა კანონმდებლობების საერთაშორისო კონტროლი, ამერიკა კი მთელი ათი წლის მანძილზე უარს აცხადებდა ამგვარ საერთაშორისო კონტროლზე, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი ნებაყოფლობით დაექვემდებარა ამგვარ კონტროლს.

**პატიმარს უფლება არ აქვს, ფედერალურ სასამართლოს მიმართოს სამოქალაქო სარჩელით დაკავებულობის პერიოდში მიყენებული ფსიქიკური და ემოციური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, თუ წინასწარ არ წარადგენს სხეულებრივი დაზიანებების მტკიცებულებებს**

მეორეც, აშშ-ში წამების შესახებ კანონმდებლობას სერიოზული ჩავარდნები აქვს და არ შეესაბამება 1984 წლის კონვენციას. ეს დასკვნა გააკეთა გაეროს საერთაშორისო კომიტეტმა წამების წინააღმდეგ, რომელსაც, 1984 წლის კონვენციის შესაბამისად, ანალოგიური დასკვნების ნება აქვს.

კომიტეტმა პირდაპირ გამოაცხადა, რომ ინფორმატიულობის, სწავლებისა და მომზადების ხარისხი ამერიკელ აღმასრულებლებსა და სამხედროებს შორის არ უზრუნველყოფს, რომ ყურადღების ცენტრში იყოს კონვენციის ყველა მდგომარეობა და არ იქნას დაშვებული წამების აკრძალვასთან დაკავშირებით რაიმე ხასიათის უკან დახევა.

კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 2002 წელს აშშ-ში დაუშვეს დაკითხვის წარმოების განსაკუთრებული მეთოდების გამოყენება, ამან კი დაკითხვების დროს დაკავებულების გარდაცვალება განაპირობა. კომიტეტმა „შეშფოთება გამოხატა“ იმ დაუსჯელობის შესახებ განცხადებების გამო, რომლითაც სარგებლობენ წამების წინააღმდეგ კონვენციის მონაწილე ქვეყნის ზოგიერთი აღსრულების ორგანოს ზოგიერთი თანამშრომლები.კომიტეტმა ასევე აღნიშნა, გამოძიებათა არასაკმარისი გულმოდგინებით ჩატარების შესახებ და იმის გამოც, რომ ჩიკაგოში წამების გამოყენების დამტკიცების შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა. ანგარიშში გამოთქმულია შეშფოთება იმ სირთულეების გამო, რომელთაც აწყდებიან მსხვერპლები ადეკვატური კომპენსაციისა და ანაზღაურების მიღებასთან დაკავშირებით, ასევე იმასთან დაკავშირებითაც, რომ ნაწამები პატიმრების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მოითხოვა მათ მიმართ განხორციელებული სასტიკი მოპყრობისათვის კომპენსაცია.

გაეროს კომიტეტმა გააკრიტიკა ციხის თანამშრომელთა მოქმედებების გასაჩივრების რიგი ცვლილებების შესახებ 1995 წელს მიღებული კანონის 1997 მუხლი, რომლის თანახმადაც, პატიმარს უფლება არ აქვს, ფედერალურ სასამართლოს მიმართოს სამოქალაქო სარჩელით დაკავებულობის პერიოდში მიყენებული ფსიქიკური და ემოციური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, თუ წინასწარ არ წარადგენს სხეულებრივი დაზიანებების მტკიცებულებებს. გაეროს კომიტეტის პოზიცია სავსებით დასაბუთებულია, რადგან ამგვარი მიდგომა აბსოლუტურად ცვლის თავად წამების განსაზღვრებას, რომელიც კონვენციის პირველ მუხლშია მოცემული. სწორედ ამ მუხლის თანახმად, **წამებად ითვლება როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიური ძალადობა.**

და ბოლოს, კომიტეტმა კიდევ ერთხელ განაცხადა აშშ-ის მიმართ უკვე მრავალწლოვანი მოთხოვნა — შეცვალოს საქმის ვითარება დაკავებულ ბავშვებთან დაკავშირებით. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბავშვები სრულად არ არიან იზოლირებულნი მოზრდილებისაგან დაკავების ადგილებში როგორც სასამართლომდე, ასევე განაჩენის გამოტანის შემდეგაც. გარდა ამისა, კომიტეტი აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ბავშვების დიდ რაოდენობას სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ეს კი, წამების წინააღმდეგ კონვენციის გარდა, ბავშვთა უფლებების კონვენციის დარღვევაცაა (სხვათა შორის, აშშ ამ კონვენციას ამ დრომდეც არ შეერთებია, საბჭოთა კავშირი კი შექმნის დღიდანვე მისი მონაწილეა). გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ბავშვთა უფლებების დაცვის თემა მხოლოდ იმის გამო არ განავრცო, რომ მისი კომპეტენცია მხოლოდ წამების წინააღმდეგ კონვენციაზე ვრცელდება. **რუსეთიდან ამერიკაში ნაშვილებ ბავშვებზე ძალადობის შემთხვევათა გახშირებასთან დაკავშირებით შესაბამისი კანონმდებლობის შემქმნელმა უწყებებმა უნდა იცოდნენ გაეროს ორგანოების დასკვნა იმის შესახებ, რომ აშშ-ში ბავშვების მკვლელობა და მათზე ძალადობა შემთხვევითი არაა და ეს ყველაფერი ამ ქვეყანაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო სისტემების არსებული ფორმის შედეგია.**

დაბოლოს, კომიტეტი შეშფოთებულია იმით, თუ **როგორ ეპყრობიან აშშ-ში დაკავებულ ქალებს, ქალები სქესობრივი ნიშნით დამცირების მსხვერპლნი ხდებიან და მშობიარობის დროსაც კი არ ხსნიან ბორკილებს.**

ასე რომ, ამერიკა თავად გორავს დიდ წუმპეში და რუსეთმა თუ ვინმესგან რამე უნდა ისწავლოს, ეს ვინმე ამერიკა ნამდვილად ვერ იქნება. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი დამოუკიდებლად გაარკვევს, თუ რა დარღვევებსა და დანაშაულებებს ჰქონდა ადგილი მასობრივი არეულობების მზადებისას. დასაწყისისათვის კი კარგი იქნებოდა, ამერიკელმა სამართალდამცავებმა ბოლოს და ბოლოს შეასრულონ გაეროს კომიტეტის რეკომენდაციები იმის შესახებ, რომ ფედერალურ სისხლის სამართლის კოდექსში წამების შესახებ მუხლი საერთაშორისო სამართალს შესაბამებოდეს!

fondsk.ru

საქართველო და მსოფლიო
კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სტალინის ნდობა რომ არ დააფასა, — წერს მ. ალექსანდროვი, — ჩან კაიშიმ თავის ცხოვრებაში მთავარი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. მან საკუთარი თავი მაღალი პოლიტიკის კორიფედ წარმოიდგინა... საერთაშორისო პოლიტიკის რინგზე რომ გამოვიდა, იგი თავისი წონითი კატეგორიის მიღმა აღმოჩნდა, ვერ გაუძლო ისეთი სახელგანთქმული პოლიტიკური ოპონენტის დარტყმებს, როგორიც სტალინი იყო. ამან მიიყვანა ბოლოს და ბოლოს ჩან კაიში ულმობელ პოლიტიკურ დამარცხებამდე და თავის ქვეყანაში იძულებით ლტოლვილად აქცია“.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-41 (139-179)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

**1926 წელს კომინტერნმა გამოაქვეყნა თავისი თეზისები, რომლებშიც აღნიშნული იყო: „ჩინეთის რევოლუცია არის მსოფლიო რევოლუციის ჯაჭვის რგოლი, ამიტომაა, რომ მსოფლიოს თვალუწვდენი რაიონები უშუალოდაა მოცული რევოლუციური სიტუაციით. ეს არის ნიშანი მსოფლიო რევოლუციის მოახლოების“. ორი თვის შემდეგ კომინტერნის აღმასკომმა, ფაქტობრივად, გააკრიტიკა სტალინის პოლიტიკა ამ საკითხში, გამოვიდა „მემარჯვენე ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, რომელიც სათანადოდ ვერ აფასებს ჩინეთის პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს და მივყავართ ეროვნულ მოძრაობასთან უფორმო შერწყმისკენ“...**

გომინდანის რიგებში ლიდერი იყო ვან ცზინვეი, მეორე პოზიცია კი ეკავა ჩან კაიშის, რომელიც ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიან პირველ საარმიო კორპუსს სარდლობდა. სტალინის წარმომადგენლად გომინდანის ხელმძღვანელობაში მივლინებული იყო მ. ბოროდინი, საბჭოთა სამხედრო მისიის პოლიტიკურ ნაწილს ხელმძღვანელობდა ი. რაზგონი — ზინოვიევისა და ტროცკის მიმდევარი.

მაისში ჩინელმა კომუნისტებმა უხერხული მანევრები განახორციელეს, რომლებიც ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ჰგავდა: გომინდანის ფლოტის სარდალმა (კომუნისტმა) საფლაგმანო კრეისერ „ჩჟუნშანს“ უბრძანა გასულიყო საბრძოლო პოზიციებზე ჯერ კუნძულთან, სადაც ვამპუს სამხედრო სკოლა იყო განლაგებული, შემდეგ — კანტონის რეიდზე. ქალაქში იმყოფებოდა ჩან კაიში, რომელიც ამ მოქმედებით შეშფოთებული იყო. მან იფიქრა, რომ კომუნისტები აჯანყებას აპირებდნენ. საამისო ანალოგები არსებობდა: „წითელი“ კრეისერის „პოტიომკინის“ ეპოპეა და რევოლუციური „ავრორის“ ზალპები 1967 წლის პეტერბურგში.

რატომ განვითარდა ასეთი მოვლენები ჩინეთში, არავინ იცის, უცნობია ისიც, თუ ვინ იყო მათი ორგანიზატორი. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჩან კაიშიმ ეს მოვლენები გამოიყენა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, რაც სტალინის პოზიციას ესადაგებოდა. გომინდანში განხორციელდა ხელისუფლების ცენტრალიზაცია, რამაც განამტკიცა ეს ორგანიზაცია; ახალი ხელმძღვანელი მზად იყო დაელაშქრა ქვეყნის ჩრდილოეთი და გაეერთიანებინა ჩინეთი. ამასთან, ჩან კაიში შეეცადა თავისი არმია გაეთავისუფლებინა ისეთი მრჩევლებისგან, როგორიც რაგონიზი იყო.

დაახლოებით იმავე დროს ბრიტანეთის კუნძულებზე გაიმართა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ზინოვიევმა შეაფასა, როგორც ახალი რევოლუციური აღმასვლა, რომელსაც მსოფლიო ხანძარი უნდა მოჰყოლოდა, ეკონომიკური მოთხოვნები კი პოლიტიკურ მოთხოვნებად გადაიზრდებოდა. კომინტერნის ინიციატივით საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა დაიწყეს დიდძალი თანხის გადარიცხვა გაფიცული მეშახტეებისთვის. შედეგად სერიოზულად დაზარალდა საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, ინგლისში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, არავითარი რევოლუცია არ მოხდა. ზინოვიევი გამოიყვანეს პოლიტბიუროს შემადგენლობიდან, შემდეგ კი კომინტერნის თავმჯდომარის პოსტიც დატოვა. **ტროცკის გამონათქვამით, ამ ხნიდან მოყოლებული სტალინს გაუჩნდა „პოლიტიკის დიპლომატიით შეცვლის“ ტენდენცია. არადა, სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გამჟღავნდა სტალინური დიპლომატია, რომელიც ესადაგებოდა მის გეოპოლიტიკურ მსოფლმხედველობას და რწმენას იმისას, რომ მავნე უაზრობაა მსოფლიო რევოლუციის ტროცკისეული პოზიცია.**

ამასობაში გომინდანის არმია, რომელსაც ჩან კაიში ედგა სათავეში, საბჭოთა სამხედრო მრჩევლების დახმარებით ჩინეთის ცენტრალურ პროვინციებში წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. სერიოზული საშიშროება დაემუქრა ინგლისის ინტერესებს ამ რეგიონში. მაშინ დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გადაეხედა ჩინეთთან დადებული არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებებისთვის. ჩან კაიში მდიდარი დასავლელი პარტნიორის მხარეს რომ არ გადასულიყო, ჩინეთის რამდენიმე ქალაქში ანტიბრიტანული დემონსტრაციები გაიმართა, რომელთაც ინგლისური კონცერნების ხელში ჩაგდებაც თან ახლდა. ინგლისმა ამ ყველაფერში „მოსკოვის ხელი“ დაინახა და 1927 წელს გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა სსრკ-სთან. მაგრამ ეს ყველაფერი არ ნიშნავდა, რომ კომუნისტებმა ჩინეთში გაიმაგრეს პოზიციები. პირიქით, ჩან კაიშიმ ახალი სამხედრო გადატრიალება მოახდინა, გამოვიდა კომუნისტების წინააღმდეგ თავისი პირადი ძალაუფლების დასამყარებლად და, როგორც თვითონ ამტკიცებდა, გარეშე ძალებისგან ჩინეთის სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად. სინამდვილეში კი, სავარაუდოა, რომ გომინდანის გავლენიან ბურჟუაზიულ წრეებს შეეშინდათ კომუნისტური იდეოლოგიის მზარდი პოპულარობის. ჩან კაიშის განცხადებით, იგი ეწინააღმდეგებოდა ჩინეთის კომპარტიის გადაქცევას „ჩინეთის პოლიტიკის დომინანტ ფაქტორად“.

ჩან კაიშის ასეთი შეშფოთება საფუძვლიანი იყო, მაგრამ მან გადაჭარბებით შეაფასა თავისი ძალა და ჩინეთის შესაძლებლობა, მოცემულ მომენტში ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომელიც დამოკიდებული არ იქნებოდა არც ეკონომიკურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე, არც საბჭოთა კავშირზე. არ გაითვალისწინა მან ისიც, რომ ჩინელი ხალხისთვის კომუნიზმის იდეები უფრო მიმზიდველი იყო, ვიდრე ბურჟუაზიული იდეოლოგია, მაშასადამე, დიდი იყო საბჭოთა კავშირის ავტორიტეტიც.

**„სტალინის ნდობა რომ არ დააფასა,** — წერს მ. ალექსანდროვი, — **ჩან კაიშიმ თავის ცხოვრებაში მთავარი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. მან საკუთარი თავი მაღალი პოლიტიკის კორიფედ წარმოიდგინა... საერთაშორისო პოლიტიკის რინგზე რომ გამოვიდა, იგი თავისი წონითი კატეგორიის მიღმა აღმოჩნდა, ვერ გაუძლო ისეთი სახელგანთქმული პოლიტიკური ოპონენტის დარტყმებს, როგორიც სტალინი იყო. ამან მიიყვანა ბოლოს და ბოლოს ჩან კაიში ულმობელ პოლიტიკურ დამარცხებამდე და თავის ქვეყანაში იძულებით ლტოლვილად აქცია“.**

მაგრამ ამ ფინალამდე ჯერ ძალიან შორს იყო. კომინტერნის ხელმძღვანელობაში უწინდებურად დომინირებდა მსოფლიო რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეები. ჩინეთის კომპარტიის V ყრილობაზე გომინდანის წარმომადგენლების თანდასწრებით ინდოეთის კომინტერნელმა მ. როიმ განაცხადა: „რევოლუციის დღევანდელ ეტაპზე დომინირება ეკუთვნის პროლეტარიატს, და იგი მონაწილეობს ეროვნულ-რევოლუციურ მთავრობაში, რათა გამოიყენოს სახელმწიფო აპარატი ხელისუფლების მოპოვების იარაღად”. ამის შემდეგ, ბუნებრივია, გომინდანელები შეეცადნენ ▶



ჩინეთის გამათავისუფლებელი არმიის ჩრდილოეთისკენ დიდი გადასვლა

# სტალინმა თითქმის ყველაფერი გააკეთა, რაც შესაძლებელი იყო, რათა განეხორციელებინა თავისი გეოპოლიტიკური გეგმა, მიეღწია წარმატებისთვის და, ამავე დროს, თავიდან აერიდებინა მარქსისტულ-ლენინური კონცეფციიდან გადახვევაში დასაბუთებული ბრალდების წაყენება.

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გათავისუფლებულიყვნენ კომუნისტებისგან, რომლებიც, კომინტერნის მითითებით, მიზანმიმართულნი იყვნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობის დასამხობად.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებდა სტალინის კონცეფციას. იგი იძულებული იყო დათანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას, რადგან მხარს უჭერდა ჩან კაიშის, რისი შედეგიც ამ უკანასკნელის დიქტატორად ჩამოყალიბება გახდა. გომინდანელებმა ჩინეთის კომპარტიასთან ურთიერთობის გაწყვეტით, განამტკიცეს თავიანთი რიგები.

**იმ ეტაპზე სტალინის დიპლომატიურმა სტრატეგიამ, როგორც ანალიტიკოსები გვარწმუნებენ, ფიასკო განიცადა. შეიძლება, ამის მიზეზი იყო კომინტერნის ხელმძღვანელობის ზედმეტად აშკარა ანტიგომინდანური და პრიმიტიულად რევოლუციურ-პროლეტარული თვალსაზრისი.**

ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ოპოზიციამ ამით დაარტყა არა მარტო ჩინეთის კომპარტიას, არამედ სტალინის საგარეო პოლიტიკასაც ჩინეთში. ამაზე გარკვეულად მიუთითებდა ოპოზიციონერთა პროგრამა, რომელიც 1927 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა: „მოცემულ ეტაპზე ჩინეთის რევოლუციის არახელსაყრელი დასასრულის მთავარი მიზეზი არის რუსეთის კომუნისტური პარტიისა და კომინტერნის მთელი ხელმძღვანელობის პრინციპულად მცდარი პოლიტიკა. შედეგად მივიღეთ ის, რომ გადამწყვეტ მომენტში ჩინეთში არ არსებობდა რეალური ბოლშევიკური პარტია. დანაშაულის მხოლოდ ჩინელი კომუნისტებისთვის დაკისრება ხელოვნური და უღირსი საქციელია. ჩინეთში განხორციელდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციაში მენშევიკური ტაქტიკის გამოყენების კლასიკური მაგალითი“.

**ჩინეთის ნიადაგზე რუსეთის რევოლუციური მოძრაობის რეალიების ამგვარი გადატანის მცდელობა, როგორც ამგვარ შემთხვევებში სტალინი ამბობდა, წვრილშუბლიანთა და მეთალმუდეთა ხრიკები იყო. კომუნისტები უფრო ადრე რომ დაპირისპირებოდნენ გომინდანელებს, აუცილებლად დაიწყებოდა სამოქალაქო ომი და ჩინეთის დანაწევრებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. სტალინი ამის თავიდან აცილებას ცდილობდა და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მართალიც იყო — მან თავის მიზანს მიაღწია: გომინდანთან თანამშრომლობის პერიოდში ჩინეთის კომპარტიამ განიმტკიცა ავტორიტეტი. საგანგებო კონფერენციაზე გადაყენებულ იქნენ პარტიის გენერალური მდივანი ჩენ დუსიუ და მისი ზოგიერთი თანამზრახველი.**

ოპოზიციონერების კრიტიკის საპასუხოდ სტალინმა ისინი მემარცხენე გადახრასა და პოლიტიკურ ავანტიურიზმში დაადანაშაულა. მის მოსაზრებას მხარი დაუჭირა საკ.კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მონაწილეთა უმრავლესობამ, ტროცკისა და ზინოვიევს გამოუცხადეს მკაცრი საყვედური გაფრთხილებით.

სტალინმა ფხიზლად შეაფასა ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა და ფსონი, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე დადო. მაგრამ ღიად და აშკარად ამგვარი დოქტრინით ის ვერ გამოვიდოდა, რადგან ეს დოქტრინა, არ ესადაგებოდა მარქსისტულ-ლენინურ საერთო თეორიულ პლატფორმას.

მთავარი სხვა რამეა: რამდენად მიზანშეწონილი იყო სტალინის სტრატეგია და შეიძლებოდა თუ არა რომელიმე სხვა სტრატეგიის არჩევა, რომელიც უფრო ეფექტიანი იქნებოდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის პოზიციის თვალსაზრისით და საბჭოთა კავშირის ინტერესებიდან გამომდინარე?

შეიძლება, ყველაზე უფრო რადიკალური გამომდგარიყო ჩინეთის კომუნისტების მიერ გომინდანელებთან კონფლიქტზე უარის თქმა და მოცემულ ეტაპზე ერთადერთ სწორ პოლიტიკად ეროვნული ერთიანობის პრიორიტეტის აღიარება. მაგრამ მაშინ ჩინეთის კომპარტიას შეიძლება დაეკარგა საკუთარი პოპულარობა მასებში, განზავებულიყო გომინდანში.

მეორე უკიდურესობა — ურთიერთობის სრული გაწყვეტა გომინდანელებთან, კომუნისტების მიერ ხელისუფლების უზურპირება და სამოქალაქო ომის დაწყება. მაგრამ, როგორც ვთქვით, ამას მოჰყვებოდა ქაოსი და ქვეყნის დანაწევრება.

1927 წელს კომუნისტების ერთ-ერთმა ლიდერმა მაო ძედუნმა წამოიწყო გლეხთა აჯანყება ხუნანის პროვინციაში, მაგრამ იგი მალევე ჩაახშეს.

გამორიცხული არ არის, რომ სტალინს გათვლილი ჰქონდა სხვა, გაცილებით უფრო მომგებიანი სვლები ამ ორ უკიდურესობას შორის თავისი სტრატეგიული მიმართულების განსახორციელებლად, მაგრამ ასეთი ვარიანტების არსებობა არ დასტურდება. ფაქტი ისაა, რომ **სტალინმა თითქმის ყველაფერი გააკეთა, რაც შესაძლებელი იყო, რათა განეხორციელებინა თავისი გეოპოლიტიკური გეგმა, მიეღწია წარმატებისთვის და, ამავე დროს, თავიდან აერიდებინა მარქსისტულ-ლენინური კონცეფციიდან გადახვევაში დასაბუთებული ბრალდების წაყენებისთვის. ჩინელი ხალხის ეროვნული ინტერესები მან რევოლუციური ინტერნაციონალიზმის დოგმებზე მაღლა დააყენა (ასეთი რწმენა მას ჩამოუყალიბდა ჯერ კიდევ რუსეთში სამოქალაქო ომის პერიოდიდან, განსაკუთრებით კი, ვარშავაზე ტუხაჩევსკის წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ). იგი რეალისტი იყო.**

**„სტალინის სტრატეგიის ჩინური გამოცდილება, — ასკვნის მ. ალექსანდროვი, — მნიშვნელოვანია იმით, რომ, ერთის მხრივ, წარმოაჩინა სტალინის პოლიტიკური რეალიზმი, მეორე მხრივ, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ჭეშმარიტება, რომ პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა“.**



**სტალინმა ფხიზლად შეაფასა ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა და ფსონი, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე დადო. მაგრამ ღიად და აშკარად ამგვარი დოქტრინით ის ვერ გამოვიდოდა, რადგან ეს დოქტრინა, არ ესადაგებოდა მარქსისტულ-ლენინურ საერთო თეორიულ პლატფორმას**

## დიადი ჩინეთის ლიდერი

**მაო ძედუნს ბევრი რამ საერთო ჰქონდა სტალინთან. ორივე ღარიბი ოჯახებიდან იყო, დიდ წარმატებებს მიაღწიეს შრომით, თვითგანვითარებით, შეუპოვრობით; მონაწილეობდნენ სამოქალაქო ომებში (ამასთან, სტალინი რუსეთში რევოლუციის მთავარი ორგანიზატორი იყო); მსოფლიოში სახელი გაითქვეს და დიდების მწვერვალებზე ავიდნენ. ორივე წერდა ლექსებს (სტალინი — სიყმაწვილეში, მაო — ღრმა ხანდაზმულობამდე, გამოსცა თავისი ლექსების რამდენიმე ტომი).**

საკავშირო კომუნისტური პარტიისა და კომინტერნის ბელადს იოსებ სტალინს 20-იან წლებში შეიძლება არც სცოდნოდა, თუ ვინ იყო ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში გლეხთა აჯანყების ორგანიზატორი, მაგრამ 1930 წლისთვის მაო ძედუნის სახელი ჩინეთის საზღვრებს გასცდა. იგი ამ დროს უკვე იყო ჩინეთის საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. ეს რესპუბლიკა იმ პერიოდში ქვეყნის სამხრეთ პროვინციებს აერთიანებდა.

1934-36 წლებში ჩინეთის წითელმა არმია, გომინდანელების შეტევების გამო, იძულებული გახდა, დაეტოვებინა ჩინეთის საბჭოთა რაიონები, სწორედ მაშინ განხორციელდა 10 ათას კილომეტრიანი გადასვლა ჩრდილო-დასავლეთისკენ — საბჭოთა კავშირის საზღვრების მიმართულებით. ამ გადასვლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო მაო ძედუნი. 1935 წლის იანვარში ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა მცირერიცხოვანმა თათბირმა, რომელიც ცზუნცის უდაბურ მიდამოებში გაიმართა და რომელსაც კანონიერი კვორუმი არ ჰქონდა, მაო ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობაში შეიყვანა. სტალინური კომინტერნის ხელმძღვანელობას ამ გადაწყვეტილებასთან საერთო არაფერი ჰქონია. იგი მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენეს.

მაო შეუდგა ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთის ე.წ. განსაკუთრებულ რაიონში პარტიული, საბჭოთა, სამხედრო ძალაუფლების კონცენტრაციას. იგი დიდი დაკვირვებითა და სიფრთხილით მოქმედებდა და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში კომინტერნის ოფიციალური წარმომადგენლის ლი ლისანის ავტორიტეტს ეფარებოდა.

1941 წელს, როცა გერმანელები მოსკოვს მიუახლოვდნენ, რეალურად შეიქმნა საბჭოთა კავშირზე იაპონიის თავდასხმის საშიშროება. იაპონელებს იმ პერიოდში ოკუპირებული ჰქონდათ მანჯურია, რომელიც სსრკ-ზე თავდასხმის პლაცდარმი უნდა გამხდარიყო. კომინტერნმა ლი ლისანს გაუგზავნა დირექტივა, დაეწყოთ ჩინეთის კომპარტიის ჯარების აქტიური მოქმედება იაპონელების წინააღმდეგ, რათა ამომავალი ქვეყნის სამხედრო ძალები მანჯურიაში ბრძოლებით დაკავებული ყო. ლი ლისანმა უარყო ეს დირექტივა, რითაც ფაქტობრივად უარი თქვა დახმარებოდა საბჭოთა კავშირს. მის ზურგს უკან კი იდგა მაო ძედუნი, რომელმაც დაარღვია კომუნისტების ინტერნაციონალური მოვალეობა და თავის ადგილობრივ ინტერესებს უპირატესობა მიანიჭა.

30-იანი წლების ბოლოს ლი ლისანი, რომელიც მაშინ სსრ კავშირში მუშაობდა, დააპატიმრეს როგორც „ხალხის მტერი“. მაშინ მაო ძედუნმა მოსკოვში გააგზავნა ჯოუ ენლაი (შემდგომში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მრავალი წლის განმავლობაში, ჯოუმ მოახერხა ლისანის გათავისუფლება. მაომ პასუხისმგებლობას თავი აარიდა იმით, რომ ყველაფერი ლი ლისანის გადააბრალა.

1943 წელს კომინტერნი გაუქმდა. ამით ისარგებლა მაო ძედუნმა და მოახერხა, რომ აერჩიათ იგი ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ორი წლის შემდეგ კი ისარგებლა სტალინის და მისი თანამებრძოლების უდიდესი გადატვირთულობით და მოახერხა, რომ ჩინეთის კომპარტიის ყრილობას მიეღო ასეთი გადაწყვეტილება: **ჩინეთის კომუნისტური პარტია „თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მაო ძედუნის იდეებით“ (და არა მარქს-ენგელს, ლენინ-სტალინის იდეებით, როგორც ამას აღიარებდნენ დანარჩენი კომპარტიები).**

ჩინელი ლიდერის ამგვარი „დამოუკიდებლობა“ ვლინდებოდა იმის მიუხედავადაც კი, რომ მის კომპარტიას ყოველმხრივ (ფინანსურადაც) მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირი: მაო თავის კურსს ჯიუტად მიჰყვებოდა.

იმაზე, თუ როგორ აფასებდა ამას მოსკოვი, შეგვიძლია ვიმსჯელოთ გიორგი დიმიტროვის მიერ მაო ძედუნისადმი გაგზავნილი წერილის მიხედვით. წერილი დათარიღებულია 1944 წლის 6 იანვრით. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ წერილის შინაარსი სტალინთან იყო შეთანხმებული.

„1. თქვენი ვაჟიშვილის შესახებ. მე იგი სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში მოვაწყვე... **2. მეგობრულად უნდა გითხრათ იმ შეშფოთების შესახებ, რომელსაც ჩემში ჩინეთის კომპარტიის მდგომარეობა იწვევს. პოლიტიკურად მცდარად მიმაჩნია იმ კურსის შეჩერება, რომელიც მიმართული იყო ჩინეთის უცხოელი ოკუპანტების წინააღმდეგ... პოლიტიკურად გაუმართლებლად მიმაჩნია კამპანია, რომელიც მიმდინარეობს ჯოუ ენლაისა და ვან მინის წინააღმდეგ. ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან ჯოუ ენლაი და ვან მინი პარტიისგან კი არ უნდა მოვკვეთოთ, არამედ შევინარჩუნოთ და ყოველმხრივ გამოვიყენოთ პარტიის საქმისათვის. მე მაშფოთებს ის გარემოება, რომ პარტიული კადრების ნაწილს არაჯანსაღი დამოკიდებულება აქვს საბჭოთა კავშირის მიმართ. საეჭვოდ მეჩვენება აგრეთვე კონ სინის (კან შენის — რედ.) როლიც. მტრული ელემენტებისგან პარტიის გაწმენდასა და მის განმტკიცებას იგი განახორციელებს ისეთი მახინჯი ფორმებით, რომლებსაც შეუძლია დათესოს მხოლოდ ეჭვიანობა და უნდობლობა ერთმანეთის მიმართ... და დაეხმაროს მტერს პარტიის გახრწნის მისეულ მცდელობაში.**

**ჩვენ მივიღეთ... სრულიად სანდო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გომინდანელებმა გადაწყვიტეს იანანში (მაოს შტაბბინაში. — რედ.) პროვოკატორების გაგზავნა, რათა წაგაჩხუბონ თქვენ ვან მინთან და სხვა პარტიულ მოღვაწეებთან, აგრეთვე, მტრული განწყობილება შექმნან ყველა მათგანის წინააღმდეგ, ვინც ცხოვრობდა და სწავლობდა მოსკოვში... მე დარწმუნებული ვარ, რომ კონ სინი თავისი მოღვაწეობით წყალს ასხამს ასეთი პროვოკატორების წისქვილზე“.**

გიორგი დიმიტროვის სხვა წერილის ფრაგმენტი, რომელიც მან 1944 წლის 7 დეკემბერს მოლოტოვსა და მიქოიანს გაუგზავნა, გვიჩვენებს თუ როგორ სარგებლობდა იმ პერიოდში მაო ძედუნი საბჭოთა კავშირის დახმარებით: „ამხ. მაო ძედუნის დავალებით ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენელი გვაცნობებს, რომ ჩინეთის კომპარტია უკიდურეს ფინანსურ გაჭირვებას განიცდის... აქედან გამომდინარე, ჩინეთის კომპარტიის ცკ გთხოვთ, თუ შესაძლებელია, აღმოუჩინოთ დახმარება.

ჩინეთში შექმნილი ვითარებისა და ჩინეთის კომპარტიის განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გავუწიოთ ფინანსური დახმარება 50 000 ამერიკული დოლარის ოდენობით. გთხოვთ თქვენს ნებართვას აღნიშნულ საკითხზე“.

ისევე, როგორც იოსიპ ბროზ ტიტო, მაგრამ უფრო ეშმაკურად, მაო ძედუნი თავის პოლიტიკურ კურსს განახორციელებდა. სკკპ XX ყრილობის შემდეგ დაიჩივლა, რომ **სტალინი მას მიიჩნევდა ისეთ კომუნისტად, რომელიც ნაციონალიზმის გავლენას განიცდიდა. საბჭოთა ბელადი მართალი იყო, თუმცა ჩინურ ნაციონალიზმზე დაყრდნობის გარეშე მაო ძედუნი, ალბათ, ვერ შეძლებდა ქვეყნის გაერთიანებას და მის სათავეში ადგილის დამკვიდრებას.**

ამგვარ მოღვაწეებს აუცილებლად სჭირდებათ დამკვირვებლის თვალის დევნება. ასეთი დამკვირვებელი იყო გაო განი — ჩინეთის კომპარტიის ცკ ბიუროს ხელმძღვანელი ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში, რომელიც წითელი არმიის მიერ იაპონელებისგან გათავისუფლების შემდეგ სტალინმა გასაკონტროლებლად ჩინელ კომუნისტებს გადასცა და რომელიც სსრკ-ის მიერ მათი მომარაგების ბაზა გახდა.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ფილ აივი

**ფილ აივი 1976 წლის 1 თებერვალს ნიუ-ჯერსიში დაიბადა. მას პოკერის ტაიგერ ვუდსად მოიხსენიებენ და იგი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მოთამაშეა პოკერის სამყაროში. მან აზარტული თამაშებისადმი ინტერესი ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა.** 20 წლის ფილი ნიუ-ჯერსიდან ატლანტიკ სითიში გადავიდა და დაიწყო თამაშის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. იგი ერთ-ერთ ყველაზე აგრესიულ მოთამაშედ ითვლება და მისი ყველა მოწინააღმდეგე აღიარებს, რომ შეუძლებელია ფილის სახეზე ან ქცევებში ამოიკითხო, ძლიერი კომბინაცია უჭირავს თუ სუსტი. 2000 წელს ფილმა პროფესიონალურ კარიერას მოჰკიდა ხელი და მონაწილეობა მიიღო ტურნირში World Series of Poker (WSOP). ფილი აღმოჩნდა ორ საფინალო მაგიდასთან და იმავე წელს მიიღო თავისი პირველი WSOP ოქროს სამაჯური. 2002 წელი ფილისთვის ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, მან შეძლო მოეგო პოკერის მსოფლიო სერიის სამი ოქროს სამაჯური და მიღწევებით ფილ ჰელმუტს და ტედ ფორესტს გაუტოლდა. 2005 წელს მან მოიგო მეხუთე სამაჯური, pot limit Omaha-ში გამარჯვებით. ფილ აივი ონლაინ პოკერ რუმის — Full Tilt Poker-ის სახეა და თითქმის ყველა პოკერ-შოუში მონაწილეობს.

# პოკერის ვარსკვლავები

## კრის ფერგიუსონი

**კრის ფერგიუსონი ფენომენალური ფიგურაა პოკერის სამყაროში. იგი ყველა სახის თამაშში ცოდნით გამოირჩევა. ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი 35 წლის ასაკში მიიღო და ამავე დროს იყო კალიფორნიის უნივერსიტეტის სამეჯლისო ცეკვების კლუბის პრეზიდენტი, მანამდე კალიფორნიის უნივერსიტეტში უმაღლეს მათემატიკას ასწავლიდა.**

კრისი 1963 წლის 11 აპრილს ლოს ანჯელესში დაიბადა. პოკერის თამაში ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო და პრაქტიკა ინტერნეტში განაგრძო.

თავიდან ბანკროლის შეგროვება დაიწყო ფრიროლებით. 1994 წლიდან მონაწილეობს ტურნირებში კალიფორნიაში და მხოლოდ 1995 წელს გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო თავის პირველ ტურნირში WSOP. დღესდღეობით მის მიერ ტურნირებში მოგებული თანხა 7 მილიონ დოლარს აღემატება და მე-13 ადგილზეა პოკერის ყველაზე მომგებიან მოთამაშეთა სიაში.

**2006 წელს ფერგიუსონმა რთული ექსპერიმენტი ჩაატარა — სცადა, უფულოდ დაეწყო თამაში და 10 000 დოლარი დაეგროვებინა და მას ეს გამოუვიდა. 9-თვიანი დაძაბული თამაშისა და ბანკროლის სწორი მართვის საშუალებით შეძლო ასვლა 10 000-მდე, რითაც შევიდა ონლაინ პოკერის ისტორიაში, როგორც Chris Ferguson Challenge $0-$10,000-ის ავტორი.**

შეგროვებული ფული ფერგიუსონმა ბავშვთა დაცვის საქველმოქმედო ფონდში გადარიცხა, რითაც კიდევ უფრო გაიმყარა ჯენტმლენის იმიჯი პოკერის სამყაროში, მაგრამ ეს იმიჯი, სამწუხაროდ, შეიბღალა 2011 წელს Full Tilt Poker-ის ირგვლივ ატეხილი სკანდალის გამო, კრის ფერგიუსონი ამ პოკერ რუმის ერთ-ერთი თანამფლობელი იყო. მას იცნობენ, როგორც ყველაზე ინტელექტუალ და კარგად აღზრდილ პოკერის მოთამაშეს, რომელმაც გაირა რთული გზა მეცნიერიდან პოკერის მოთამაშე მილიონერამდე.

კრის ფერგიუსონს კარიერის მანძილზე მოგებული აქვს



5 WSOP სამაჯური. მისი მეტსახელია „Jesus“ — ასე შეარქვეს გრძელი თმებისა და წვერის გამო.



## ანეტ ობრესტადი

**1988 წლის 18 სექტემბერს ნორვეგიაში დაიბადა გოგონა, რომლის მშობლებსაც ეჭვიც კი არ გასჩენიათ, რომ მათი შვილი პოკერის კონკია გახდებოდა. ანეტმა კარიერა 15 წლის ასაკში დაიწყო. პოკერის თამაში მამამ ასწავლა, მაგრამ სათამაშო ფული არ მიუცია, ამიტომ ბანკროლის შეგროვება ფრიროლებიდან დაიწყო.**

სულ თავიდან ეს იყო უფასო ტურნირი პოკერსტარსზე 9-დოლარიანი პრიზით, სადაც იგი ახლაც თამაშობს ნიკით „Annette—15“, ფრიროლების შემდეგ გადაერთო სხადასხვა Sit and Go-ზე და ორ წელიწადში ავიდა §100-იან buy-in-ებზე. ანეტს ისე კარგად ესმის ოპონენტების აზროვნება, რომ საკუთარ კარტებში ჩაუხედავად იგებს 180 მონაწილისგან შემდგარ ტურნირებს.

**რამდენიმე ათასი ონლაინ ტურნირის წარმატებით გათამაშების შემდეგ საუკეთესო შედეგით — 117 000 დოლარით — საკვირაო ტურნირ FULL TILT POKER POKER RUM-ზე ანეტმა შავი სათვალე გაიკეთა და პოკერის რეალურ მაგიდას მიუჯდა.** მისი პირველი შედეგები ასე გამოიყურებოდა: 2006 წელს — 37-ე ადგილი და 5 000 დოლარი „UltimateBet Aruba Poker Classic“ პალმ ბიჩში და მნ-18 ადგილი — „EPT Barcelona Open“-ზე. 2007 წელს WSOP-ის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, ტურნირი ევროპაში ჩაეტარებინათ და პირველი „World Series of Poker Europe“-დან (WSOPE), რომელიც ჩატარდა დიდ ბრიტანეთში, ანეტის ცხოვრება მთლიანად შეიცვალა.

მთავარ ტურნირში ანეტმა ყველას აჯობა და ჯილდოს სახით მილიონი ფუნტი სტერლინგი მიიღო. 3-დღიანი ტურნირის განმავლობაში მან მოუგო ისეთ ცნობილ მოთამაშეებს, როგორებიც არიან ენი დიუკი და ჯენიფერ ჰარმანი.

ფინალურ მაგიდასთან მის პირისპირ ჯონ ტაბატეი იჯდა.

თავბრუდამხვევი გამარჯვების შემდეგ ობრესტადის ცხოვრება შეიცვალა, მან მიატოვა სკოლა, რომლის დამთავრებამდეც სულ რაღაც 6 თვე რჩებოდა და იყიდა ახალი სახლი, რომელშიც დედასთან ერთად ახლაც ცხოვრობს.

მასთან 5-წლიანი კონტრაქტებით მუშაობს ცნობილი სპორტული ფსონების ბირჟა და პოკერ რუმი Betfair-ი.

2008 წელს „Scandinavian Poker Awards“ ცერემონიალზე ანეტმა გაიმარჯვა ორ ნომინაციაში — „წლის აღმოჩენა“ და „საუკეთესო მოთამაშე ქალი“.

**„ჩემი სტილი აგრესიულია. ბევრმა მოთამაშემ იცის, თუ როგორ უნდა ეთამაშოს ლუზოვი აგრესიულ მოთამაშეს, იმიტომ, რომ ინეტრნეტში ძირითადად ასეთი მოთამაშეები არიან. ცოცხალ ტურნირებში მონაწილეები კი უფრო ფრთხილ თამაშს არჩევენ, არ აკეთებენ გიჟურ რეიზებს, ამჯობინებენ დაგითმონ, ვიდრე გეთამაშონ აგრესიულად და მე ამას ჩემს სასარგებლოდ ვიყენებ. იმისთვის, რომ გაიმარჯვოთ, უნდა გარისკოთ და არ გეშინოდეთ იმის, რომ დატოვებთ ტურნირს“,** — ამბობს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ანეტ ობრესტადი.

დღესდღეობით ანეტ ობრესტადი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა პოკერის პროფესიონალ მოთამაშე ქალებს შორის და სერიოზული მოწინააღმდეგეა მამაკაცებისთვის. მისი ასაკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ის კიდევ ბევრს მიაღწევს.





## ჰოვარდ ლედერერი

**ჰოვარდ ლედერერი ისეთ ატმოსფეროში გაიზარდა, რომ შეუძლებელი იყო, კარგი მოთამაშე არ გამოსულიყო. თამაში ასწავლა მამამ — რიჩარდ ლედერერმა (მწერალი და ლინგვისტი), რომელთან მოგებასაც ჰოვარდი ვერასოდეს ახერხებდა. მათ ოჯახში პოკერის კიდევ ერთი გამოჩენილი მოთამაშეა — ჰოვარდის და ენი დიუკი. მეორე და, კეტ ლედერერი, მწერალია და თავის წიგნში „Poker Face: A Girlhood Among Gamblers“ აღწერილი აქვს თავისი ოჯახის გატაცებები და წარმატებები პოკერში.**



ჰოვარდ ლედერერი თავიდან ჭადრაკით იყო გატაცებული და სწორედ ამიტომ ჩააბარა ნიუ იურკში კოლუმბიის უნივერსიტეტში, რადგან ეს ქალაქი ცნობილი იყო ჭადრაკის კლუბებით. სწორედ იქ დაეუფლა პოკერს პროფესიულ დონეზე, თამაშობდა ახლა უკვე ძალიან ცნობილი ერიკ სეიდალთან და დენ ჰარინგტონთან ერთად.

1994 წელს ლედერერი ლასვეგასში წავიდა, რათა თამაშის ახალ ეტაპზე გადასულიყო და სწორედ იქ დაიწყო მაღალ ლიმიტებზე ქეშ-თამაშები. 2003 წელს მან ორჯერ მოიგო World Poker Tour (WPT), არის ორი ოქროს სამაჯურის მფლობელი.

ჰოვარდ ლედერერი და ენი დიუკი არიან პირველი და-ძმა, რომელთაც მოახერხეს და ერთდროულად გავიდნენ WSOP-ის ფინალურ ეპატზე.

2008 წელს ჰოვარდმა მიიღო მონაწილეობა ტურნირში Aussie Millions 10000 $, ად ბაი-ინით დაამარცხა 24 საუკეთესო მოთამაშე, მათ შორის ფილ აივი, კრის ფერგიუსონი,



გუს ჰანსენი. ამ ტურნირის მოგებით მან დამსახურებულად მიიღო ჯილდოდ 1.25 მილიონი დოლარი.

**ჰოვარდ ლედერერს მეტსახელი „პროფესორი“ შეარქვეს თამაშის ანალიტიკური სტილის გამო. იგი იყო ყველაზე ცნობილი ინტერნეტპოკერრუმის — FULLTILT POKER-ის გუნდის წევრი და ერთ-ერთი დამფუძნებელი, სარგებლობდა დიდი გავლენით პოკერ სამყაროში 2011 წლამდე, სანამ მისი რეპუტაცია არ შეირყა სწორედ ამ პოკერ-რუმის ირგვლივ ატეხილი სკანდალის გამო.**

## დევიდ ედვარდ რიზი

**პოკერის ლეგენდა დევიდ ედვარდ რიზი 1951 წლის 28 მარტს ამერიკაში, ოჰაიოს შტატში დაიბადა და 2007 წლის 4 დეკემბერს ლას ვეგასში გარდაიცვალა**

სამი ოქროს სამაჯუროს მფლობელი პოკერის დიდების დარბაზში ყველაზე ახალგაზრდა ასაკში შეიყვანეს.

რიზი პოკერის ლეგენდების პირველი თაობის წამომადგენელია. მას შეეძლო, ნებისმიერი დაეთანხმებინა ქეშ გეიმზე და ის ამაში მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა. არ უყვარდა ტურნირები, უპირატესობას ქეშ გეიმებს ანიჭებდა, მაღალ ლიმიტებზე თამაშობდა და პრაქტიკულად არასდროს აგებდა.

რიზი ითვლება 7-კარტიანი სტადის მსოფლიოში საუკეთესო მოთამაშედ. დოილ ბრანსონის წიგნ „სუპერსისტემის“ ის თავი, რომელშიც პოკერის ამ სახეობაზეა საუბარი, მან დაწერა. რიზი და ბრანსონი საუკეთესო მეგობრები იყვნენ და მრავალი საერთო წამოწყება თუ იდეა ჰქონდათ. ყველა ეს იდეა ორიგინალური, მაგრამ ნაკლებადწარმატებული იყო. მეგობრებს, უბრალოდ, მოსწონდათ ერთად ოცნება — მათი ინვესტიციები იდებოდა ნავთობში, ალმასებში, მოჯირითე ცხენებში, „ტიტანიკი“-ს თუ ნოეს კიდობნის ძებნაში...

ბრასნონის თქმით, როგორც კი ბიზნესს ეხებოდა საქმე, ვიქცეოდით ისე, როგორც არანორმალურები, მაგრამ ვიცოდით, რომ თადარიგში პოკერი გვქონდა. დევიდ ედვარდ რიზი მთელი ცხოვრება მეოჯახედ დარჩა, რაც პოკერის სამყაროში იშვიათობას წარმოადგენს.

როდესაც 56 წლის ასაკში რიზი გარდაიცვალა, ბევრმა ონლაინ პოკერ რუმმა ერთი წუთით შეწყვიტა მუშაობა, რათა პატივი მიეგო პოკერის ლეგენდისათვის.





## ვარდები, რომლებიც სიბნელეში ანათებს

**ეს ყვავილები დღის სინათლეზე თეთრი ფერისაა, მთელი დღის განმავლობაში სინათლეს ისრუტავს და სიბნელეში ფოსფორივით ანათებს. ყვავილის ეს ჯიში კომპანია Interflora-მ გამოიყვანა.** საზოგადოებას ვარდების შეძენა მხოლოდ ჰელოუინის დღესასწაულზე შეეძლება, მისი ღირებულება 44 გირვანქა სტერლინგია. როგორც კომპანიაში აცხადებენ, თაიგული იმ ადამიანებისთვის შექმნეს, რომელთაც ჰელოუინის დღესასწაულზე ტრადიციული, გოგრისგან შექმნილი დეკორაცია მობეზრდათ და გლამურული წვეულების გამართვა სურთ. კომპანია არ ამხელს, რა ტექნიკის წყალობით ანათებს ვარდები ღამით.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შევებულების გამო ქალმა საკუთარი გატაცება გაითამაშა

**ტეხასის შტატის 48 წლის მკვიდრმა, შეილა ბეილი იუბენკმა, ერთდღიანი უხელფასო შვებულების მოსაპოვებლად საკუთარი გატაცება გაითამაშა.**

შუა სამუშაო კვირაში შეილა სამსახურიდან პირადი საქმეების მოსაგვარებლად „გაიპარა“. დღის სასიამოვნოდ გატარების შემდეგ, მან ავტომობილის უკანა სავარძელზე ხელფეხი შეიკრა, დაიძინა და პოლიციის მოსვლას დაელოდა.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს იუბენკმა განუცხადა, რომ უცნობმა მამაკაცმა ის ბანკომატთან გაიტაცა, შემდეგ კი დანის მუქარით, ნარკოტიკების ძიებაში ქალაქი მოატარა. ავანტურისტის თქმით, დამნაშავემ მას ხელ-ფეხი შეუკრა და ავტომობილში დატოვა. თუმცა გამოძიების შედეგად პოლიციამ მომხდარის ნამდვილ მიზეზს მიაგნო.

ბენზინგასამართი სადგურის სიახლოვეს, სადაც იმ დღეს შეილას ავტომობილი შენიშნეს, სათვალთვალო კამერების ჩანაწერმა დაადასტურა, რომ სავარაუდო გატაცების მომენტში შეილა ლატარეის ბილეთებს ყიდულობდა. მოგვიანებით სამხილი შეილას ჩანთაში აღმოჩნდა.



ბოლოს შეილა იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ იმ დღეს დილიდან ფიქრობდა, რომ ყველაზე იღბლიანი დღე იყო ლატარეის ბილეთების შესაძენად.

საკუთარი გატაცებით შეილას ძალიან უნდოდა ყურადღების მიპყრობა. ცრუ ჩვენების მიცემის გამო იუბენკს კანონის წინაშე პასუხისგება მოუწევს.



# «ცოცხალი» ავტომობილი

**მხატვარმა ემა ჰაკმა 17 შიშველი ადამიანისგან ავტომობილის ფიგურა შექმნა. კომპოზიციის ყველა დეტალი ზედმიწევნით არის გათვალისწინებული — ქალის თავი სარკის ფუნქციას ასრულებს, მამაკაცის ზურგზე ავტომობილის ნომრისთვის განკუთვნილი დაფაა მიხატული, ერთ-ერთი მოდელის სხეულს კი საქარე მინის ფუნქცია აკისრია.**

მხატვარმა ადამიანების სხეული ლურჯი, თეთრი, შავი და ვერცხლისფერი საღებავით მოხატა. ემა ნამუშევარზე 18 საათი მუშაობდა.

ტექნიკური თვალსაზრისით, მსგავსი ნამუშევრის შექმნა ძალიან რთული და შრომატევადია, რადგან კონკრეტული ფიგურის „მასალად“ ცოცხალ ადამიანებს იყენებ. ემამ, დამტვრეული ავტომობილის ფოტოსურათის მიხედვით, ადამიანის სხეული კონკრეტული დეტალის შესაფერისი ფერით მოხატა.

ყოველ ჯერზე პროექტში მონაწილე ადამიანებს შერჩეულ პოზიციაზე დაბრუნება უწევდათ. ემა თითოეულ პიროვნებას კონკრეტულ ადგილს უთითებდა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი თუნდაც ერთ არასწორ მოძრაობას გააკეთებდა, კომპოზიცია დაიშლებოდა.






**შვიდი წლის ბრიტანელი სკოლის მოსწავლე ალმა დოიჩერი ოპერას წერს და ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე შესანიშნავად უკრავს. ის იმდენად პროფესიონალურ დონეზე უკრავს, რომ კლასიკური მუსიკის მოყვარულები მოცარტს ადარებენ.**

# «ახალი მოცარტი»

გოგონასYouTube-ზე საკუთარი არხი აქვს და მის თაყვანისმცემლებს შორის ცნობილი მსახიობი, ტელე და რადიო წამყვანი, მწერალი სტივენ ფრაია, რომელიც მუსიკაში კარგად ერკვევა. სწორედ მან უწოდა Twitter-ში გოგონას „ახალი მოცარტი“. ალმა დოჩერი მეცნიერის ქალიშვილია. მისი მამა მოყვარული ფლეიტისტია. სამი წლის რომ გახდა, ალმას ვიოლინო აჩუქეს და უკვე ერთი წლის შემდეგ გოგონა ჰენდელის სონატებს უკრავდა.

გარდა იმისა, რომ დოიჩერი ვუნდერკინდი შემსრულებელია, იგი კომპოზიტორიცაა. წელს გოგონამ ელიზაბეტ ედლინგტონის ლექსებზე მოკლე ოპერა „სიზმრების გამწმენდი“ დაწერა.

გოგონასYouTube-ის არხს, რომელზეც მისი შესრულებული კლასიკური და საკუთარი ნაწარმოებები იდება, უკვე 85 000 მნახველი და 300 გამომწერი ჰყავს.

„მინდა ადამიანებმა იცოდნენ, თუ როგორ ვუკრავ. რომ გავიზრდები, მინდა მოცარტივით მუსიკალური ნაწარმოებები შევქმნა“, — ამბობს ალმა.

გოგონას მამა პროგნოზის გაკეთებისგან თავს იკავებს. „მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს“, — ამბობს იგი მოკრძალებულად.

# წყალქვეშა რესტორანი

**მალდივის კუნძულებზე უნიკალური და ორიგინალური რესტორანია. ის წყალქვეშ, ზღვის დონიდან 4.87 მეტრის სიღრმეშია განთავსებული. რესტორანი სახელად „იტჰა“ სტუმრებს წყალქვეშა სამყაროს უპრეცედენტო ხედს სთავაზობს. თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ ზღვის ბინადრების ცხოვრებით და ამასთან, მიირთვათ ვახშამი. ეს უნიკალური დაწესებულება კურორტ Conrad Maldives Rangali Island-ის წყლებშია. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო რესტორანია.**

ადგილობრივ ენაზე „იტჰა“ მარგალიტს ნიშნავს. მშენებლობის დროს ძირითად მასალად გამჭვირვალე აკრილი გამოიყენეს. რესტორანს ერთდროულად 14 სტუმრის მიღება შეუძლია. შიდა სივრცე სიგრძეში — 9, ხოლო სიგანეში 5 მეტრია. ეს უნიკალური დაწესებულება არქიტექტორ ჯონ მერფის დაპროექტებულია.

რესტორანში შესვლა სპეციალური სპირალური კიბითაა შესაძლებელი. კიბე ნაპირს უკავშირდება.



აქ შეიძლება გაიმართოს ქორწილი, კერძო ღონისძიებები, ხოლო შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში, რესტორანი, შესაძლოა, წყალქვეშა საძინებლადაც იქცეს.





# პაპების ავტომობილები

ვატიკანის მუზეუმში პაპების კუთვნილი ისტორიული სატრანსპორტო საშუალებების გამოფენა მოეწყო. უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ავტომობილების გარდა, აქ ასევე შეხვდებით ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ეტლებს, რომელთაც პაპები მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე იყენებდნენ.

ყველა მათგანს თან ახლავს საფირმო ნიშანი, ორი გადაჯვარედინებული გასაღები — ვატიკანის სიმბოლო. „პაპმობილებმა“ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვეს იოანე პავლე მეორის დროს, რომელიც სახურავგადახდილ ჯიპისმაგვარ ავტომობილს იყენებდა, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა — 1981 წელს მას თურქმა ტერორისტმა მეჰმეტ-ალი აგჯამ ესროლა და მძიმედ დაჭრა. გადარჩენილმა პაპმა მოგვიანებით აგჯას დანაშაული მიუტევა.





# ლიონელ მესის ვაჟი შეეძინა



არგენტინელ ფეხბურთელ ლიონელ მესის და მის მეგობარ გოგონას, ანტონელა როკუცოს, ვაჟი შეეძინათ. მშობლებმა მას ტიაგო დაარქვეს. საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ თავდამსხმელისა და მისი შეყვარებულისთვის ტიაგო პირველი შვილია. მესი და მისი მეგობარი გოგონა საავადმყოფო USP Dexeus-ში პარასკევს, დილით, დაახლოებით 10 საათზე მივიდნენ, მშობიარობა კი საღამოს ხუთ საათზე დაიწყო. მესი მთელი მშობიარობის განმავლობაში ანტონელას გვერდით იმყოფებოდა, ხოლო ფეხბურთელის ოჯახი ჟურნალისტების ჯგუფთან ერთად გარეთ იცდიდა. მიუხედავად ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენისა, მესი საკუთარი გუნდის უახლოესი თამაშების გამოტოვებას არ აპირებს.

# სამხრეთ კორეაში სპილო ალაპარაკდა



სამხრეთ კორეის ერთ-ერთ ზოოპარკში სპილო სახელად კოშიკი ალაპარაკდა. მან საკუთარი მომვლელების მიერ წარმოთქმული სიტყვების კოპირება ისწავლა. „საუბრისას“ სპილო ხშირად იყენებს სიტყვებს: „სალამი“, „დაჯექი“ და „კარგი“. ვენის უნივერსიტეტის მეცნიერთა აზრით, სპილო სიტყვების მნიშვნელობას ვერ აცნობიერებს, თუმცალა ის ფაქტი, რომ სპილომ ადამიანის სიტყვების გამეორება მოახერხა, მეცნიერთა კვლევის საგანი გახდა.

# ჩინეთში 500 კატა დაკვლას გადაარჩინეს



**ჩინეთის პროვინცია ძიანსუში 500 კატა დაკვლას გადაარჩინეს. როდესაც სატვირთო მანქანა შესამოწმებლად გააჩერეს, საბარგულში გალიებში გამომწყვდეული 500 კატა იპოვეს. ცხოველებს უჰაერობისგან სუნთქვა უჭირდათ.** კატები რესტორნებში გასაყიდად მიჰყავდათ. ოფიცრები ნანახით გაოგნებულები დარჩნენ და დახმარებისთვის ცხოველთა დაცვის ადგილობრივ ცენტრს მიმართეს. ცენტრის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ და მშიერი ცხოველები გამოკვებეს, შემდეგ კი კატები სპეციალურ დაწესებულებაში გადაიყვანეს. შეგახსენებთ, ჩინეთში ძაღლის ხორცი ქუჩის ბაზრობებზე თავისუფლად იყიდება. ჩინეთის ავტონომიური რეგიონის, გუანსი-ჯუანის ოლქ იულინის ბაზარში გატყავებული ძაღლის ხორცი ძვირად ფასობს. ძაღლის ხორცს ყიდულობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე რესტორნების მეპატრონენი. ჩინეთში ჩაშუშული ძაღლის ხორცი საკმაოდ პოპულარულია.

# შვედეთმა ნაგვის იმპორტი დაიწყო

**უკვე დიდი ხანია, მსოფლიო ნაგვის პრობლემას ებრძვის. უამრავი ქვეყანა მართავს დისკუსიას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გადაამუშაონ ტონობით დაგროვილი ნაგავი. ამ ქვეყნებისგან რადიკალურად განსხვავდება შვედეთი. შვედეთის სამეფო სხვა ქვეყნებს ნაგავთან „გამკლავებაში“ დახმარებასაც კი სთავაზობს.**



საქმე ის არის, რომ შვედები მათი ენერგეტიკული საჭიროებების 20%-ს სწორედ ნაგვის გადამუშავების შედეგად იღებენ. გარდა ამისა, მათ ნაგვის გადამუშავების განვითარებული სისტემა აქვთ და საჭირო ენერგიის მისაღებად უკვე საკუთარი ნაგავიც კი აღარ ჰყოფნით. შვედები იმდენ ნაგავს ამუშავებენ, რომ აუთვისებელი რჩებათ მხოლოდ ნარჩენების 4%, რომელსაც მარხავენ. შედარებისთვის: აშშ-ში ნაგვის 67% იმარხება. ვინაიდან შვედეთის სამეფოს საკუთარი ნაგავი აღარ ჰყოფნის, მათ ნაგვის იმპორტი დაიწყეს. ამ დროისთვის შვედები უსარგებლო ნარჩენებს მეზობელი ნორვეგიიდან ეზიდებიან. გარდა ამისა, ნორვეგიის ხელისუფლება შვედეთს ფულსაც გადაუხდის იმისთვის, რომ ის მათ ნაგვის მოშორებაში ეხმარება. შვედეთი წლის განმავლობაში 800 000 ტონა ნაგვის იმპორტს გეგმავს, რომლის უმეტესობა ელექტროენერგიის მიღების მიზნით გადამუშავდება. წვის შედეგად დარჩენილი ყველა ტოქსიკური ნივთიერება, უკან, ნორვეგიაში დაბრუნდება. „იმედი მაქვს, რომ მომავალში შევძლებთ ნარჩენების შემოტანას იტალიიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, ვინაიდან ამ ქვეყნებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მიწაში დამარხვის ტრადიციაა“, — აცხადებს შვედეთის სამეფოს გარემოს დაცვის კომისიის მრჩეველი კატარინა ოსტლუნდი.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა

დ ა ვ ი თ ი ა ნ ნ ი

13 ნოემბერი

100 000 მოწამის ხსენების დღე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დავითიანნი აწყობს ლოცვით მსვლელობას მეტეხის ხიდის მიმართულებით, სადაც მისი უწმინდესობა გადაიხდის საზეიმო პარაკლისს 100 000 ქართველი მოწამის სახელზე

შემოგვიერთდით

მსვლელობის მარშრუტი:

14:00 სთ. - დიდების პანთეონიდან

15:00 სთ. - სპორტის სასახლიდან

15:00 სთ. - მეტრო ისნიდან

17:00 სთ - პარაკლისი მეტეხის ხიდზე

www.daviTianni.ge

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

გაიმართება ვოკალური და სიმფონიური მუსიკის კონცერტები

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 8 და 9 ნოემბერს 19 საათზე თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ორ შთამბეჭდავ კონცერტს გამართავს.**

8 ნოემბერს ვოკალური მუსიკის კონცერტზე გიწვევენ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები, ცნობილი მომღერლები **ირინე რატიანი** (სოპრანო) და **სულხან გველესიანი** (ბარიტონი), მათ პარტნიორობას გაუწევს პიანისტი, თეატრის კონცერტმაისტერი **ირინე აივაზოვა**.

კონცერტის პროგრამა იტალიელ კომპოზიტორთა ქმნილებებს ეფუძნება. შესრულდება გაეტანო დონიცეტის, ვინჩენცო ბელინის, ჯუზეპე ვერდის, ალფრედო კატალანის, ჯაკომო პუჩინის, პიეტრო მასკანის, უმბერტო ჯორდანოს საოპერო ნაწარმოებები.

9 ნოემბერს კი კონცერტს გამართავს თეატრის სიმფონიური ორკესტრი. ამ კონცერტის პროგრამაც მრავალფეროვანია. შესრულდება ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მესამე სიმფონია, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის 27-ე საფორტეპიანო კონცერტი და ფედერიკ შოპენის კონცერტი №2 ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის. სოლისტის ამპლუაში წარსდგება ცნობილი ქართველი პიანისტი **ანი ტაკიძე**. კონცერტს წარუძღვება დირიჟორი **რევაზ ტაკიძე**.

**საინტერესო პროგრამა და მუსიკოსთა მაღალი საშემსრულებლო დონე კონცერტის წარმატების საწინდარია. ეწვიეთ კონსერვატორიის დიდ დარბაზს და ისიამოვნეთ.**

# რაკეტა, რომელიც მხოლოდ კომპიუტერებს ანადგურებს



**ოქტომბრის შუა რიცხვებში ამერიკულმა „ბოინგმა“ ახალი ფრთოსანი რაკეტა გამოსცადა. მსგავსი ტიპის შეიარაღებისგან განსხვავებით, ის არც ცოცხალ ძალას, არც სამხედრო ტექნიკას და არც რაიმე შენობა-ნაგებობას ანადგურებს. რადიოტალღების ძლიერი იმპულსებით მას მწყობრიდან მხოლოდ მოწინააღმდეგის კომპიუტერები და ელექტრონული სისტემები გამოჰყავს.** „ბოინგის“ სპეციალისტთა აზრით, მსგავსი შეიარაღება ომებისა და საბრძოლო მოქმედებების წარმოების ტაქტიკას ძირფესვიანად შეცვლის. გამომდინარე იქიდან, რომ CHAMP-ის ტიპის ახალი რაკეტა მხოლოდ ელექტოსისტემების წინააღმდეგაა გამიზნული, მის მიერ მიყენებული არაპირდაპირი ზიანი მინიმალურია. ელექტროტექნიკაზე ელექტრომაგნიტური იმპულსის უარყოფითი მოქმედება გასული საუკუნის შუა ხანებში ატომური ბომბების გამოცდებისას აღმოაჩინეს. ყოველი აფეთქების შემდეგ რამდენიმე ათეული კილომეტრის რადიუსში მცირე დროით ყველა ელექტრონული მოწყობილობის მუშაობაში შეფერხებები შეინიშნებოდა, მათი ნაწილი კი საერთოდ მწყობრიდან გამოდიოდა. მას შემდეგ ელექტრომაგნიტური იარაღის შექმნაზე მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები აქტიურად მუშაობენ. რაკეტა CHAMP-ის გამოცდისას, სამიზნეს კომპიუტერული და სხვა ელექტროტექნიკით სავსე ორსართულიანი შენობა წარმოადგენდა. მიკროტალღური გამოსხივების იმპულსის „გასროლის“ შემდეგ, რამდენიმე წამში შენობაში არსებულმა ყველა ელექტრულმა მოწყობილობამ მუშაობა შეწყვიტა. გამოცდა წარმატებულად ჩაითვალა, რადგან ერთი საათის განმავლობაში რაკეტამ მსგავსი სახის შვიდი სამიზნე „გაანადგურა“. სპეციალისტთა თქმით, ამ სისტემის შეიარაღებაში მიღებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. თუმცა ყველანი ერთხმად აღნიშნავენ, რომ მსგავსი შეიარაღების გამოჩენა სამხედრო საქმეში დიდ გადატრიალებას მოახდენს.

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოლუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009